

საქართველოს
პოლიტიკური სისტემა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მალხაზ მაცაბერიძე

საქართველოს პოლიტიკური სისტემა



უნივერსიტეტის
გამოცემა

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საქართველოს პოლიტიკური სისტემის ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპები; განხილულია საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური სისტემა: საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ძირითადი ინსტიტუტები (პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი); მოცემულია საქართველოს სახელმწიფოს ზოგადი დახასიათება, ქვეყნის ტერიტორიული მონაცობა, საგარეო პოლიტიკის კონსტიტუციური საფუძვლები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისათვის.

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

ISBN 978-9941-13-830-0 (PDF)

შინაარსი

I ნაწილი

თემა I. რა არის პოლიტიკური სისტემა	23
შესავალი	23
1. სისტემური მიდგომის დამკვიდრება	
პოლიტიკურ მეცნიერებაში	24
1.1. რატომ შემოიტანეს პოლიტიკურ მეცნიერებაში „პოლიტიკური სისტემის“ ცნება.....	24
1.2. როგორ ჩამოყალიბდა სისტემური მიდგომა	25
1.3. სისტემური მიდგომა პოლიტიკაში.....	27
1.4. პოლიტიკური სისტემის განსაზღვრის საკითხი.....	28
1.5. პოლიტიკური სისტემის კომპონენტები	30
2. პოლიტიკური სისტემის არსი	31
2.1. შესვლა: მოთხოვნები და მხარდაჭერა.....	32
2.2. პოლიტიკური სისტემის ფუნქციები „შესვლისას“	34
2.3. „გამოსვლა“	35
2.4. პოლიტიკური სისტემის ფუნქციები „გამოსვლისას“ ..	36
2.5. დევიდ ისთონისა და გაბრიელ ალმონდის მიდგომათა განსხვავება.....	37
2.6. პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური რეჟიმი	39
3. პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა	41
3.1. პოლიტიკური სტრუქტურები.....	42
3.2. პოლიტიკური სისტემის ქვესისტემები.....	43
3.3. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების დონეები.....	44
4. პოლიტიკური სისტემების ტიპები	47
4.1. დახურული და ღია პოლიტიკური სისტემები.....	48
4.2. პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით	48
4.3. ა. ლეიპჰარტის პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგია	50

5. პოლიტიკური სისტემის ეფექტურობა	
და სტაბილურობა	51
5.1. პოლიტიკური სისტემის ეფექტურობა	51
5.2. პოლიტიკური სტაბილურობა	52
დანართი	54
პოლიტიკური სისტემა: კარლ დოიჩის (1912–1992)	
ინფორმაციული მოდელი	54
პოლიტიკური სისტემების სხვადასხვა კლასიფიკაცია	59
პოლიტიკური სისტემის კლასიფიკაციის კლასობრივი	
პრინციპი	59
გ. ალმონდის პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგია	59
პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია მოდერნიზაციის	
თეორიის ფარგლებში (გ. ალმონდი, დ. პაუელი)	61
ჟან ბლონდელის კლასიფიკაცია	63
ძირითადი ცნებები.....	63

თემა II. საქართველოს პოლიტიკური სისტემის

ისტორიული განვითარება	69
შესავალი	69
1. სახელმწიფოს ჩამოყალიბება საქართველოში	71
1.1. პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება	71
1.2. უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი	
გაერთიანებები.....	74
1.3. ქართული წყაროები ქართლის სახელმწიფოს	
წარმოშობის შესახებ	76
2. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა	
XI–XV საუკუნეებში	78
2.1. მეფე	80
2.2. სამეფო დარბაზი.....	81
2.3. მოხელეები	82
2.4. სამეფოს უმაღლესი მოხელეები	83
2.5. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მმართველობა	86
2.6. ერთიანი სამეფოს სახელმწიფოებრივი	
ინსტიტუტების მოშლა.....	87

3. ქართლ-კახეთის სამეფო XVIII საუკუნის	
მეორე ნახევარში	90
3.1. ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური წყობა.....	90
3.2. ქართლ-კახეთის სამეფოს რეფორმირების გეგმა.....	91
4. საქართველოს ერთიანობის იდეა.....	93
5. საქართველოს ევროპეიზაციის იდეა.....	94
5.1. ქართული სახელმწიფო იდეოლოგიები	95
5.2. ევროპული პოლიტიკური იდეების გავლენა და „ევროპეიზაციის“ დასაწყისი.....	98
6. საქართველო XIX საუკუნეში – საერთოეროვნული	
ცნობიერების ფორმირება.....	100
6.1. ერთიანი ეროვნული ცნობიერების ფორმირება	101
დანართი	103
1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მიერ დაწერილი პროკლამაციები	103
ინფორმაცია განსჯისათვის: უნდა შემოვიღოთ თუ არა ქართული სამოხელეო ტერმინები?	104
თემა III. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის	
პოლიტიკური სისტემა.....	106
შესავალი	106
1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის	
ჩამოყალიბების წინაპირობები	107
1.1. დამოუკიდებლობის გამოცხადების საშინაო წანამძღვრები	107
1.2. დამოუკიდებლობის გამოცხადების საგარეო წანამძღვრები	109
2. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.....	112
2.1. როგორ დაინერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი	112
2.2. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესავალი ნაწილი	115

2.3. საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ამოსავალი პრინციპები	117
3. როგორი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.....	119
3.1. როგორ უყურებდნენ სოციალ-დემოკრატები სახელმწიფოს მშენებლობას	119
3.2. დემოკრატიული რესპუბლიკა	119
3.3. პარლამენტი	120
3.4. აღმასრულებელი ხელისუფლება	120
3.5. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა	121
3.6. მოქალაქეთა უფლებები	121
4. „სსვა“ 1921 და მომდევნო წლები.....	122
4.1. როგორ განვითარდებოდა მოვლენები, საბჭოთა რუსეთის აგრესია რომ არ ყოფილიყო.....	122
4.2. როგორი იქნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა	123
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა: შიდა და გარე ფაქტორები	125
5.1. გეოპოლიტიკური სიტუაცია კავკასიაში 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის წინ	125
5.2. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომში საქართველოს დამარცხების მიზეზები	126
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის გზების ძიება.....	130
6.1. გზა პირველი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა საბჭოთა რუსეთზე დასავლეთის ზენოლის გზით	130
6.2. გზა მეორე – განთავისუფლების მცდელობა საკუთარი ძალებით	131
6.3. გზა მესამე – საბჭოთა კავშირის დამარცხება დიდ ომში, რომლის შედეგადაც ის დაიშლებოდა ან არსებობას შეწყვეტდა	132
6.4. გზა მეოთხე – საბჭოთა რეჟიმის შინაგანი კრახის შედეგად	133

თემა IV. ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის	
დამახასიათებელი ნიშნები (XIX–XX საუკუნეები)	135
შესავალი	135
1. ქართული პოლიტიკური აზრის ევროპეიზაციიდან	
მომდინარე საფრთხეები	137
1.1. უცხო იდეოლოგიების მექანიკური გადმოტანით	
გამონვეული საფრთხეები	137
1.2. „ნამბახველობით“ გამოწვეული საფრთხეები	139
2. დამოუკიდებლობის ხანგრძლივი არქონის გავლენა	
პოლიტიკურ აზროვნებაზე	144
2.1. სახელმწიფოებრივი აზროვნების დაკარგვა	144
2.2. სერვილიზმი და მონური ფსიქოლოგია	145
2.3. პოლიტიკური აზროვნების გაორება.....	146
2.4. პოლიტიკური აზროვნების უკომპრომისობა	147
3. გულუბრყვილობა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში... 148	
3.1. გულუბრყვილობა XVIII საუკუნის	
ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში	148
3.2. ეროვნულ-ქართულისა და რუსულ-სახელმწიფოებრივი	
ინტერესების შეთავსების მცდელობა XIX საუკუნეში.....	149
3.3. გულუბრყვილობა ქართულ პოლიტიკურ	
აზროვნებაში საქართველოს დემოკრატიული	
რესპუბლიკის (1918–1921) პერიოდში.....	151
3.4. ქართული პატრიოტიზმის ნაკლოვანებანი	153
4. რეალიზმი და იდეალიზმი ქართულ პოლიტიკურ	
აზროვნებაში.....	154
4.1. დისკუსია პოლიტიკური რომანტიზმისა	
და პოლიტიკური რეალიზმის ურთიერთმიმართების	
შესახებ	154
4.2. 1924 წლის აჯანყების შეფასება პოლიტიკური	
იდეალიზმისა და პოლიტიკური რეალიზმის	
კონტექსტში	155

თემა V. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი საქართველოში და მისი დემონტაჟი.....	160
1. საბჭოთა რეჟიმის ზოგადი დახასიათება.....	160
1.1. სახელმწიფო სოციალიზმის იდეა	160
1.2. ბოლშევიზმი	161
1.3. საბჭოთა ნყობილება.....	162
1.4. საქართველოს „გასაბჭოება“	165
2. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები	167
2.1. „პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელმწიფო	168
2.2. ცრუ სუვერენიტეტი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში	169
2.3. „სოციალისტური საერთო-სახალხო“ სახელმწიფო.....	171
2.4. სოციალური უფლებების დეკლარირება და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა.....	173
3. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა	176
3.1. საბჭოთა კავშირის კრიზისი და გზა დამოუკიდებლობისაკენ	176
დოსიე № 1 – საბჭოთა ხელისუფლების ანტისაბჭოთა დადგენილებები	178
დოსიე №2 – 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნები.....	180
დოსიე №3 – 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი.....	181
3.2. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციები: შედარებითი ანალიზი	181
4. ტოტალიტარული რეჟიმის დემონტაჟი საქართველოში... 187	187
4.1. ტოტალიტარული რეჟიმის ნიშნები	187
4.2. ტოტალიტარიზმის დემონტაჟის დასაწყისი საქართველოში	189
დანართი	195
2010 წელს საქართველოში ოკუპაციისა და ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა გახსენების ოფიციალური დღეები დაწესდა.....	195

თემა VI. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება	
დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.....	198
1. პოსტსაბჭოთა საქართველო: მიღწევები	
და შეცდომები.....	198
1.1. ლიტვამ გააკეთა ის, რის გაკეთებაც საქართველოსაც უნდოდა.....	198
1.2. დამოუკიდებლობის 15 წელი: მიღწევები და შეცდომები	201
2. პოსტსაბჭოური დემოკრატიზაციის თავისებურებანი.....	206
2.1. დემოკრატიული ტრანზიტის თეორიები და პოსტსაბჭოური სინამდვილე.....	206
2.2. კლანური სახელმწიფოს კონცეფცია.....	209
2.3. კორუმპირებულ-კლანური სისტემის ფორმირება საქართველოში	212
3. საქართველო – ჰიბრიდული დემოკრატიის ქვეყანა.....	214
3.1. ჰიბრიდული რეჟიმის არსი და მისი სახეები.....	214
3.2. საქართველო დემოკრატიის განვითარების საერთაშორისო რეიტინგებში	218
3.3. დემოკრატიის გააზრება საქართველოს საზოგადოების მიერ თანამედროვე ეტაპზე	223
დანართი	225
როგორ შეიცვალა მიღწევებისა და შეცდომების ნუსხა დამოუკიდებლობის აღდგენიდან სამი ათეული წლის შემდეგ?	225
თემა VII. საქართველოს კონსტიტუციური განვითარება	227
შესავალი: რა არის კონსტიტუცია.....	227
1. საქართველოს პოსტსაბჭოური კონსტიტუციური განვითარება	229
1.1. „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის“ პოსტკომუნისტური ბედი	229
1.2. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი.....	230
1.3. სამხედრო საბჭო და 1921 წლის კონსტიტუცია.....	231

1.4. 1992 წელს არჩეული პარლამენტი და 1921 წლის კონსტიტუცია	232
2. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია	233
2.1. საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება	233
2.2. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია და მემკვიდრეობითობის პრინციპი	238
2.3. 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებები	242
2.4. საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის რედაქცია.....	244
2.5. საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქცია.....	247
3. ხელისუფლების დანაწილება და ბალანსი – დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი	252
3.1. ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსის პრინციპის მნიშვნელობა	252
3.2. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი	255
3.3. საბჭოთა პერიოდი – ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უარყოფა.....	256
3.4. 1992 წლის 6 ნოემბრის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი	257
3.5. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი	257
3.6. 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებები და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი	259
3.7. 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი	260
3.8. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ერთი პოლიტიკური ძალის დომინირების პირობებში	261

II ნაწილი

თემა VIII. საქართველოს სახელმწიფოს ზოგადი დახასიათება	263
ფასეულობები, რომელთაც ემყარება საქართველოს სახელმწიფო	263
1. კონსტიტუციის პრეამბულა როგორც სახელმწიფოს ფუძემდებლური ფასეულობების დეკლარირება	263
1.1. კონსტიტუციის პრეამბულის დანიშნულება	263
1.2. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულა	264
1.3. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულის სტრუქტურა	264
1.4. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულა 2010 წლის რედაქციის მიხედვით	265
დოსიე: როგორია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები	267
1.5. კონსტიტუციის პრეამბულაში საქართველოს საგარეო ორიენტაციის ასახვის საკითხი	268
„თავისუფლების ინსტიტუტის“ პროექტი	270
1.6. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების აღნიშვნის მნიშვნელობა	272
2. საქართველოს კონსტიტუციების პრეამბულების ისტორიიდან	273
2.1. როგორი პრეამბულა შეიძლება ჰქონოდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას	273
2.2. საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის და მისი 1991 წლის რედაქციის პრეამბულების შედარებითი ანალიზი	275
ა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის 15 აპრილს მიღებული კონსტიტუციის პრეამბულა	275

ბ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულა, 1991 წელი	277
3. ევროკავშირი პარტნიორი ქვეყნებისაგან საერთო ფასეულობების დაცვას მოითხოვს.....	278
3.1. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა საზიარო ფასეულობების შესახებ	278
3.2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია საქართველოს ეროვნული ღირებულებების შესახებ	280
4. საქართველოს სახელმწიფოს დახასიათება: შედარებითი ანალიზი	282
4.1. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია.....	283
4.2. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია	283
4.3. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია 1991 წელი	284
დანართი: საქართველო საბჭოთა პერიოდში.....	284
4.4. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია	284
4.5. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ	285
5. ხალხი როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყარო	288
5.1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს, შესახებ	290
ისტორიიდან.....	290
5.2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს, შესახებ.....	290
5.3. საქართველოს 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუცია და მისი 1991 წლის რედაქცია ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს, შესახებ.....	291

5.4. რეფერენდუმები და პლემბისციტები	
საქართველოში	293
1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ	294
2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმი საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების შესახებ	295
საქართველოს ნატოში განწევრების პლემბისციტი (2008)	296
საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თარიღის დასადგენი პლემბისციტი (2008)	296

თემა IX. საქართველოს ტერიტორიული მონყობა.

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი	298
შესავალი	298
1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) ტერიტორიული მონყობა	304
2. საბჭოთა საქართველოს ტერიტორიული მონყობა	306
2.1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა	306
2.2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა	308
2.3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	308
3. საქართველოს ტერიტორიული მონყობის საკითხი	
პოსტსაბჭოთა პერიოდში	309
3.1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება	310
3.2. მოვლენათა განვითარება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	310
3.3. დისკუსია ქვეყნის ტერიტორიულ მონყობასთან დაკავშირებით 1995 წლის კონსტიტუციის მიღების წინ	314
3.4. საქართველოს ტერიტორიული მონყობა თანამედროვე ეტაპზე	316
3.5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	318
3.6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	319

3.7. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.....	321
3.8. სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტი	322
4. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.....	324
4.1. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ.....	324
4.2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ.....	324
4.3. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ.....	325
5. კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.....	326
5.1. არაღიარების პოლიტიკიდან ოკუპაციის აღიარების პოლიტიკამდე	327
5.2. საქართველოს სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით	330
5.3. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა.....	331
თემა X. საგარეო პოლიტიკის კონსტიტუციური საფუძვლები.....	335
1. პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების თეორიული საკითხები.....	335
1.1. პატარა სახელმწიფოს ცნება.....	335
1.2. პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემატურობა.....	336
1.3. პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები.....	338
1.4. პატარა სახელმწიფოს წარმატებული წინააღმდეგობის ფაქტორები	340
1.5. პოლიტიკოსების პროფესიონალიზმის მნიშვნელობა....	344
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921 წლების) უსაფრთხოების გარანტიების ძიებაში	345
2.1. ნეიტრალობა	346
2.2. მოკავშირის ძიება	348

2.3. რეგიონული თანამშრომლობა.....	349
2.4. დაშოშმინების პოლიტიკა.....	349
2.5. ეროვნული ენერჯის მობილიზება	350
2.6. დასკვნები.....	351
3. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია საგარეო პოლიტიკის შესახებ.....	351
3.1. საგარეო პოლიტიკა – უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობის სფერო.....	351
3.2. პარლამენტი – ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი	352
3.3. პრეზიდენტის, პრემიერმინისტრისა და მთავრობის როლი საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში.....	353
3.4. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი საგარეო პოლიტიკაში.....	354
3.5. საქართველოს პარლამენტის 2013 წლის რეზოლუცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ.....	354
3.6. საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის პროექტი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ამოცანების შესახებ	358
4. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები.....	358
4.1. საქართველოს თავდაცვის ძალები	359
4.2. საგანგებო და საომარი მდგომარეობა	360
4.3. თავდაცვის ძალების გამოყენება	361
4.4. ეროვნული თავდაცვის საბჭო.....	364
თემა XI. საქართველოს პარლამენტი	365
1. პარლამენტარიზმის ისტორიიდან	365
2. ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან.....	367
2.1. ყუთლუ-არსლანის კარავი – ქართული პარლამენტარიზმის სათავე?	367
2.2. სამეფო დარბაზი თამარ მეფის დროს	368
2.3. სამეფო დარბაზი – მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები.....	369

2.4. იოანე ბაგრატიონი – სახელმწიფო საბჭოს რეფორმა	370
3. პარლამენტი საქართველოში – ისტორია.....	371
3.1. საქართველოს ეროვნული საბჭო.....	371
3.2. საქართველოს დამფუძნებელი კრება.....	372
3.3. წარმომადგენლობითი ორგანო საბჭოთა პერიოდში	373
3.4. რა დავარქვათ საქართველოს პარლამენტს.....	374
3.5. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდებები	374
4. საქართველოს პარლამენტი – ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო	375
4.1. საქართველოს პარლამენტის სტატუსი 1995 წლის კონსტიტუციით.....	375
4.2. ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივა.....	376
4.3. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა და შემადგენლობა, დავა მაჟორიტარული არჩევნების საჭიროების თაობაზე	377
4.4. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის თანახმად.....	378
4.5. საქართველოს პარლამენტის არჩევის წესი	379
4.6. პარლამენტის პირველი სხდომა.....	381
4.7. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი	381
4.8. საქართველოს პარლამენტის შენობა	382
4.9. პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის წესი ..	385
5. საქართველოს პარლამენტის წევრები და სამუშაო რეგლამენტი	388
5.1. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი.....	388
5.2. საქართველოს პარლამენტის წევრობის შეუთავსებლობა სხვა საქმიანობასთან.....	389
5.3. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობა	390
5.4. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები	391

5.5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეები	391
5.6. პარლამენტის სასესიო მუშაობის წესი.....	393
5.7. კანონშემოქმედება და გადაწყვეტილებების მიღების წესი	394
5.8. კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება.....	394
5.9. პრეზიდენტის იმპიჩმენტი.....	396
5.10. საპარლამენტო არჩევნები საქართველოში.....	396
თემა XII. საქართველოს მთავრობა.....	399
1. მთავრობა: ზოგადი დახასიათება.....	399
1.1. მთავრობა საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებში	399
1.2. მთავრობის პარტიული შემადგენლობა.....	401
1.3. მთავრობის სტრუქტურა	401
2. საქართველოს მთავრობა: ისტორია	403
2.1. მთავრობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918–1921).....	403
2.2. მთავრობა საბჭოთა პერიოდში (1921–1990).....	407
2.3. მთავრობა ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს.....	408
2.4. საქართველოს მთავრობა 1992–1995 წლებში	409
2.5. საქართველოს მთავრობა 1995 წლის კონსტიტუციით	409
2.6. საქართველოს მთავრობა 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ.....	411
2.7. საქართველოს მთავრობა 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით	413
2.8. საქართველოს პრემიერმინისტრები 2004–2012 წლებში.....	414
3. საქართველოს მთავრობა მოქმედი კანონმდებლობით	417
3.1. საქართველოს მთავრობა კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის თანახმად	417
3.2. საქართველოს პრემიერმინისტრი.....	420

3.3. საქართველოს მთავრობის პრემიერმინისტრები 2012–2016 წლებში.....	421
4. მთავრობის ფორმირების კონსტიტუციური მექანიზმი....	422
4.1. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება.....	422
4.2. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება.....	423
4.3. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება პრემიერმინისტრის ინიციატივით	424
დანართი	424
მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა.....	424
თემა XIII. საქართველოს პრეზიდენტი	428
1. პრეზიდენტის ინსტიტუტი პოლიტიკურ სისტემაში:	
თეორიული საკითხები.....	428
1.1. პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და განვითარება	428
1.2. საპრეზიდენტო მმართველობა	433
1.3. კონსტიტუციური და აღმასრულებელი პრეზიდენტები	434
1.4. შეზღუდული და შეუზღუდავი საპრეზიდენტო მმართველობა	434
1.5. საპრეზიდენტო რეჟიმის არსი.....	435
1.6. შერეული (ნახევრად საპრეზიდენტო) რეჟიმები	435
1.7. პოლიტიკური რეჟიმი და მმართველობის ფორმა.....	436
2. პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში:	
ჩამოყალიბება და ცვლილებები	436
2.1. პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროების საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში	436
2.2. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროექტი 1921 წლის კონსტიტუციაში პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების თაობაზე	437
2.3. პრეზიდენტის ფიცის ტექსტი ეროვნულ-დემოკრატიის პროექტის თანახმად	437

2.4. გრიგოლ ლორთქიფანიძე საქართველოსთვის პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროების თაობაზე	438
2.5. პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში	438
2.6. 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები	439
2.7. ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმული პრეზიდენტის ფიცის ტექსტი	439
2.8. ზვიად გამსახურდიას შემდგომი ბედი.....	440
2.9. ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის თავმჯდომარე ...	440
2.10. პრეზიდენტის ინსტიტუტის აღდგენა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით	441
2.11. 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	445
2.12. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	446
2.13. პრეზიდენტის ინსტიტუტი „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ.....	447
2.14. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	447
2.15. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	448
2.16. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	450
3. პრეზიდენტის ინსტიტუტი კონსტიტუციის	
2010 წლის რედაქციის მიხედვით.....	451
3.1. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირება	451
3.2. 2013 წლის შემდგომი გამოცდილება და დაპირისპირება პრეზიდენტის ინსტიტუტში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით	453
4. პრეზიდენტის ინსტიტუტი კონსტიტუციის	
2017 წლის რედაქციის მიხედვით.....	456
4.1. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი.....	456
4.2. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი	456
4.3. პრეზიდენტის ფიცი, უფლებამოსილება, იმუნიტეტი	458
4.4. პრეზიდენტის უფლებამოსილებები	459
4.5. თანახელმონერა (კონტრასიგნაცია).....	461
4.6. საქართველოს პრეზიდენტები	464

I ნაწილი

თემა I. რა არის პოლიტიკური სისტემა

შესავალი

სანამ საქართველოს პოლიტიკური სისტემის განხილვას შევუდგებოდეთ, აუცილებელია, გავიაზროთ თუ რა არის და როგორ ფუნქციონირებს პოლიტიკური სისტემა. ამიტომ მოკლედ განვიხილოთ სისტემური მიდგომის არსი, ტიპოლოგია და ფუნქციონირება, ასევე პოლიტიკური სისტემის თეორიის ჩამოყალიბება.

საზოგადოება მუდმივად ვითარდება, რაც სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით მიმდინარეობს. ადამიანებს შორის რთულდება სოციალური ურთიერთკავშირები, ჩნდება ახალი მოთხოვნილებანი და, შესაბამისად, მათი დაკმაყოფილებისკენ მიმართული საქმიანობის ახალი სახეები. გარდა ამისა, იცვლება სახელმწიფოთა არსებობის ბუნებრივი გარემო, საერთაშორისო პირობები. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებს საზოგადოება მუდმივად ცვლებად შიდა და გარე პირობებზე, აქტუალურია, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

ამ რეაგირებას პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს. პოლიტიკური სისტემის კონცეფცია მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ როლს ასრულებს თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში. სისტემის ცნება, ერთი მხრივ, საშუალებას იძლევა, დავინახოთ პოლიტიკური ცხოვრება მთლიანობაში, მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა, გავაანალიზოთ პოლიტიკის ურთიერთქმედება გარემოსთან. ამგვარად წარმოდგენილი პოლიტიკური სისტემა გვეხმარება, ვიპოვოთ საზოგადოების სტაბილური მდგომარეობის ვარიანტები.

1. სისტემური მიდგომის დამკვიდრება პოლიტიკურ მეცნიერებაში

1.1. რატომ შემოიტანეს პოლიტიკურ მეცნიერებაში „პოლიტიკური სისტემის“ ცნება

ცნება „პოლიტიკური სისტემა“ შედარებით ახალია და პოლიტიკურ მეცნიერებაში XX საუკუნის 50–60-იან წლებში შემოიტანეს. მისი შემოტანით ხაზი ესმებოდა პოლიტიკის სისტემურ ხასიათს. მანამდე, ხელისუფლებითი ურთიერთობების აღწერისას, გამოიყენებოდა ცნებები: „მმართველობის ტიპი“ ან „მმართველობის სისტემა“. პოლიტიკა დაიყვანებოდა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაზე. გარკვეულ ეტაპამდე მსგავსი ახსნა რეალობას ასახავდა, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ, დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებამ თავისი უფლებებითა და თავისუფლებებით, შექმნა ახალი რეალობა – მოქალაქე არა მარტო ემორჩილებოდა სახელმწიფოს, არამედ ზეგავლენასაც ახდენდა მასზე, რისთვისაც ქმნიდა პოლიტიკურ ორგანიზაციებს (პარტიებს, მოძრაობებს და ა.შ.).

ხელისუფლება აღარ იყო სახელმწიფოს მონოპოლია, ხოლო ხელისუფლებითმა ურთიერთობებმა უფრო რთული ხასიათი შეიძინა – მასში უკვე მონაწილეობდნენ არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები. იმის შეგნებამ, რომ ხელისუფლებითი ურთიერთობების დაყვანა უკვე აღარ შეიძლებოდა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაზე, განაპირობა იმ დროისათვის პოლიტიკის ახსნაში გაბატონებული ინსტიტუციური და ბიჰევიორისტული მიდგომების გადასინჯვის აუცილებლობა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი იყო სისტემური მიდგომის დამკვიდრება პოლიტიკურ მეცნიერებაში, მისთვის დამახასიათებელი იმ უნივერსალური კანონზომიერებებისა და მექანიზმების ძიებით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საზოგადოებისათვის მდგრადობასა და გადარჩენას არახელსაყრელი გარემოს არსებობის პირობებში.

პოლიტიკური სისტემის კატეგორიას რიგი უპირატესობებისა აქვს, „სახელმწიფოსა“ და „მართვის“ კატეგორიებთან შედარებით

– ის თავისუფალია „სახელმწიფოს“ თანმხლები სამართლებრივი მნიშვნელობებისაგან, შესაძლებლობას იძლევა, ღრმად შევისწავლოთ არაფორმალური სტრუქტურები, რადგანაც „მართვა“ ხშირად იგივეა ფორმალურ ინსტიტუტებთან. პოლიტიკური სისტემის კატეგორიის უპრობლემოდ გამოყენება შეიძლება არქაული საზოგადოებების მიმართ, სადაც პოლიტიკა ხორციელდება ოჯახურ, ტომობრივ და სხვა სპეციფიკურ წარმონაქმნებში. პოლიტიკური სისტემის კატეგორიის მეშვეობით შეიძლება შევისწავლოთ სახელმწიფოთა ურთიერთობა გლობალურ დონეზე.

1.2. როგორ ჩამოყალიბდა სისტემური მიდგომა

სისტემური მეთოდის პროტოტიპად შეიძლება მივიჩნიოთ არისტოტელეს მიერ „პოლიტიკაში“ ბერძნული ქალაქების კონსტიტუციების შედარება. პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა სახის არსებობა აიხსნება გარემოს სხვადასხვა ფაქტორის მეშვეობით (კლიმატი, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის შემადგენლობა, ზნეობა და ა.შ.). არისტოტელე, პლატონი და ჰობსი საზოგადოებას ადარებდნენ ცოცხალ ორგანიზმს, მიიჩნევდნენ მთლიან და მონესრიგებულ ფენომენად.

„სისტემის“ ცნება XX ს.-ის 20-იან წლებში სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა გერმანელმა ბიოლოგმა **ლუდვიგ ფონ ბერტალანფიმ (1901–1972)**, უჯრედის გარემოსთან გაცვლის პროცესების აღსანიშნავად. იგი სისტემას განიხილავდა მთლიანობად, ერთმანეთზე დამოკიდებული ელემენტების სახით. ერთმანეთზე დამოკიდებულება ნიშნავს, რომ სისტემის ერთი ელემენტის შეცვლის შემთხვევაშიც კი იცვლება მთლიანობა. სისტემა ვითარდება იმის წყალობით, რომ რეაგირებს გარედან მომდინარე სიგნალებსა და თავის შიდა ელემენტების მოთხოვნებზე.

სისტემური ანალიზის თანახმად, ნებისმიერ სისტემას, მათ შორის პოლიტიკურსაც, აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- სისტემა შედგება მრავალი ნაწილისაგან;
- ნაწილები შეადგენს ერთ მთლიანობას;
- სისტემას აქვს საზღვრები;

– ცვლილება ერთ ნაწილში იწვევს ცვლილებებს სხვა ნაწილებშიც.

ნებისმიერი მთლიანობა სისტემაა, თუკი ორი ძირითადი ნიშანი აქვს: ა) შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილებისგან, ბ) გამიჯნულია გარემოსგან, რომელთანაც ურთიერთქმედებს.

სისტემური მიდგომა გულისხმობს რაიმე მთლიანობის გამოყოფას გარემოდან. სისტემისა და გარემოს განსხვავებას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. გარემო არის გარე (გარს აკრავს სისტემას) და შიდა (მოიცავს სისტემას).

სისტემა შედგება ელემენტებისაგან. სისტემის შესწავლა ნიშნავს მისი ელემენტების დადგენას. ყოველი სისტემა შეიძლება განვიხილოთ ქვესისტემის სახით. სისტემურობა გულისხმობს გარკვეულ იერარქიულობას, სხვადასხვა დონის სისტემის შეხამებას. სისტემა არაა უბრალოდ ელემენტების ნაკრები – მათ შორის გარკვეული სახის კავშირები არსებობს. რაც უფრო მეტი ელემენტია და მრავალფეროვანი მათ შორის კავშირები, მით უფრო რთულია სისტემა. ასეთი სისტემის შესწავლა მოითხოვს მისი სტრუქტურისა (კავშირების კონფიგურაცია) და ფუნქციების (კავშირების ბუნება და შინაარსი) გათვალისწინებას.

„სისტემის“ ცნება საზოგადოების მიმართ პირველად გამოიყენა **ტალკოტ პარსონსმა (1902–1979)**, რომელმაც ნაშრომში – „სოციალური სისტემა“ (1952) – საზოგადოება წარმოადგინა ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ქვესისტემის ურთიერთქმედების სახით: ეკონომიკის, პოლიტიკის, სოციალურისა და სულიერის. თითოეული ქვესისტემა გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს, რეაგირებს შიგნიდან და გარედან მომდინარე მოთხოვნებზე, ერთობლივად კი ეს ქვესისტემები უზრუნველყოფენ საზოგადოების ფუნქციონირებას მთლიანობაში.

ასე მაგალითად: საქონელზე ადამიანების მოთხოვნილებების რეალიზაციას ემსახურება ეკონომიკური ქვესისტემა; რაც შეეხება პოლიტიკურ ქვესისტემას, მისი ფუნქციაა: კოლექტიური მიზნების განსაზღვრა, რესურსების მობილიზება ამ მიზნების მისაღწევად და შესაბამის გადანაცვეტილებათა მიღება; სოციალუ-

რი ქვესისტემა უზრუნველყოფს არსებული ცხოვრების წესის მდგრადობას, საზოგადოების ახალი წევრებისათვის იმ ნორმების, წესებისა და ფასეულობების გადაცემას, რომლებიც მათი ქცევის მოტივაციის მნიშვნელოვან ფაქტორებად იქცევიან; სულიერი ქვესისტემა ახორციელებს საზოგადოების ინტეგრაციას, მის ელემენტებს შორის სოლიდარობის დამყარებასა და შენარჩუნებას.

სწორედ სოციალური სისტემის თეორიის წყალობით პოლიტიკურ მეცნიერებაში შეაღწია პარსონსის თეორიამ.

1.3. სისტემური მიდგომა პოლიტიკაში

პოლიტიკურ მეცნიერებაში სისტემური მიდგომის ფუძემდებელია **დევიდ ისტონი (1917–2014)**. ნაშრომებში – „პოლიტიკური სისტემა“ (1953) და „სისტემური ანალიზი პოლიტიკური ცხოვრებისათვის“ (1965) – პოლიტიკური სისტემა წარმოდგენილია ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების მექანიზმის სახით, რომლის დანიშნულებაცაა საზოგადოების ხელთ არსებული რესურსებისა და ფასეულობების განაწილება. ამასთან, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება უნდა არწმუნებდეს მოქალაქეებს განაწილების არსებული სისტემის სამართლიანობაში. რადგანაც ადამიანები საზოგადოებაში სხვადასხვა სისტემისა და ქვესისტემის სუბიექტები არიან, ისინი სხვადასხვა როლს ასრულებენ მრავალფეროვან სისტემებში. სისტემა ადეკვატურად უნდა რეაგირებდეს შიდა და გარე ზემოქმედებაზე. პოლიტიკური სისტემის მდგრადობა ბევრად განისაზღვრება უკუკავშირით.

სისტემური მიდგომა პოლიტიკისადმი:

– საშუალებას გვაძლევს, პოლიტიკა წარმოვადგინოთ მთლიანობის სახით, გავანალიზოთ მისი ურთიერთქმედება გარემოსთან;

– საშუალებას გვაძლევს, წარმოვადგინოთ პოლიტიკა ადამიანთა ქცევისა და საქმიანობის სისტემის სახით.

სისტემური თეორია ურთიერთქმედების პროცესებს სამ ციკლად ყოფს: შესვლა (*input*), კონვერსია (*conversion*), გარდაქმნა და გამოსვლა (*oufput*). რაც შეეხება პოლიტიკური სისტემის საზ-

ღვრებს – მას გაფართოება და შევიწროება შეუძლია. პოლიტიკურ სისტემაში ადამიანები, პირველ რიგში, ასრულებენ მოქალაქეების, ქვეშევრდომების, ამომრჩევლების როლს. არჩევნების დღეს პოლიტიკური სისტემის საზღვრები ფართოვდება მასში ამომრჩეველთა უშუალო შეჭრით. ომის დროსაც პოლიტიკური სისტემის საზღვრები ფართოვდება, რადგანაც მრავალი ადამიანი ჩაბმულია სამხედრო სამსახურში, სახელმწიფო იწყებს ეკონომიკის რეგულირებას, დამატებით ზომებს იღებენ საშინაო უსაფრთხოებისათვის და ა.შ.

სისტემური მიდგომა

სისტემის ნიშნები	<ul style="list-style-type: none"> • სისტემა შედგება ცალკეული ელემენტებისაგან • ყველა ელემენტი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, შეადგენს მთლიანობას, რომელიც არ დაიყვანება მის ნაწილებზე • ნებისმიერ სისტემას აქვს გარემოში გავრცელების საზღვრები
გარემოსთან ურთიერთქმედება	<ul style="list-style-type: none"> • იმპულსების შესვლა გარემოდან • ინფორმაციის გარდაქმნა (კონვერსია) სისტემის შიგნით • გამოსვლა – სისტემის რეაქცია მიღებულ იმპულსებზე

1.4. პოლიტიკური სისტემის განსაზღვრის საკითხი

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში არ არსებობს პოლიტიკური სისტემის საყოველთაოდ მიღებული უნივერსალური განსაზღვრება. ამას განაპირობებს სხვადასხვა მიდგომის არსებობა ხელისუფლებისა და პოლიტიკის განსაზღვრისადმი, რასთანაც უშუალოდაა „დაკავშირებული „პოლიტიკური სისტემის“ კატეგორია.

არსებობს პოლიტიკური სისტემის 20-ამდე სხვადასხვა განსაზღვრება“ და თითოეულს უნივერსალურობის პრეტენზია აქვს. სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომის მომხრენი პოლიტიკური სისტემის ანალიზისას ყურადღებას ამახვილებენ პოლიტიკური ხელისუფლების დიფერენცირების ძირითად ელემენტებსა და მათ ფუნქციონირებაზე; ინსტიტუციური მიდგომის მომხრენი პოლიტიკურ სისტემას განიხილავენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართული ინსტიტუტების კუთხით; ელიტური მიდგომის მომხრენი წარმოაჩენენ ეკონომიკური და მმართველი ელიტის როლს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პოლიტიკური ლიდერების, პარტიული ფუნქციონერების, ბიუროკრატიული აპარატის, არაფორმალური ჯგუფების შესწავლას.

მაგრამ, ამავე დროს, არის საერთოც პოლიტიკური სისტემის ყველა განსაზღვრებისათვის:

პარსონსის აზრით, მთავარი პრობლემა, რომელსაც პოლიტიკური სისტემა წყვეტს, იმ მიზნების ფორმულირებაა, რაც აუცილებელია სოციუმის ფუნქციონირებისთვის, მას ექვემდებარება სოციალური ინტეგრაციის და ლეგიტიმაციის საკითხები.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემა – ესაა სამართლისა და სხვა სოციალური ნორმების საფუძველზე მოწესრიგებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფო ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება და ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება.

პოლიტიკური სისტემა ასოცირდება საზოგადოებაში დაკანონებულ ფიზიკურ იძულებასთან. ყველა სისტემაში ხაზგასმულია პოლიტიკური სისტემის კანონიერი უფლება – დასაჯოს, აიძულოს და დაიმორჩილოს.

პოლიტიკურ სისტემას აქვს ოთხი მახასიათებელი, რომლებითაც განსხვავდება სხვა სოციალური სისტემებისაგან:

- 1) უნივერსალურია, რადგანაც ზემოქმედებას ახდენს მთელ საზოგადოებაზე;
- 2) ახორციელებს სრულ კონტროლს ფიზიკურ და სხვა სახის იძულებაზე;

3) პოლიტიკური სისტემის უფლება. გამოიტანოს საყოველთაოდ სავალდებულო გადაწყვეტილებები, მიიჩნევა ლეგიტიმურად;

4) პოლიტიკური სისტემის გადაწყვეტილებები ავტორიტეტულ-ხელისუფლებითა და ლეგიტიმურობის გამო დიდია ალბათობა იმისა, რომ ადამიანები მას დაემორჩილებიან.

1.5. პოლიტიკური სისტემის კომპონენტები

პოლიტიკურ სისტემას გარკვეული კომპონენტები აქვს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია მისი არსებობა. პირველ რიგში, ესაა პოლიტიკური გაერთიანება – **ერთობლიობა ადამიანებისა**, რომლებიც პოლიტიკური იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე დგანან, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან გარკვეული პოლიტიკური კულტურით, პოლიტიკისა და ქვეყნის ისტორიის ცოდნით, ტრადიციებითა და ფასეულობითი ორიენტაციებით, აგრეთვე გარკვეული გრძნობებით პოლიტიკური სისტემისა და მმართველობის მიზნების მიმართ;

მეორე კომპონენტია **თანამდებობის პირები**, რომელთა გადაწყვეტილებებიც პოლიტიკურ საზოგადოებას სავალდებულოდ მიაჩნია. თანამდებობის პირები თანამდებობრივი პოსტების პერსონიფიცირებას ახდენენ, ისინი პოლიტიკური ხელისუფლების საფუძველს შეადგენენ, მართავენ და მოქმედებენ სისტემის სახელით და მის სასარგებლოდ. არსებობს თანამდებობის პირთა ორი ფენა: ა) თანამდებობის პირები, რომელთაც პოსტები უკავიათ ზოგადსისტემურ იერარქიაში. ესენია: პრეზიდენტი, მთავრობის მეთაური, მინისტრები, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურები და ა.შ.; ბ) პირები (შუამავლები), რომელთაც აკისრიათ სპეციალური პროფილის აღმასრულებელი სამუშაო – ე.ი. მოხელეები, რომლებიც მიუდგომლად უნდა მართავდნენ, ზუსტად და ნებაყოფლობით ასრულებდნენ ბრძანებებს, განკარგულებებს და კანონის შესაბამისად ემსახურებოდნენ სახელმწიფო ინტერესს;

მესამე კომპონენტია **სამართლებრივი და პოლიტიკური ეთიკის ნორმები**, რომლებიც არეგულირებენ სისტემის მუშაობას, პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების მეთოდები და ხერხები. ეს კომპონენტი პოლიტიკურ რეჟიმში განსახიერდება;

მეოთხე კომპონენტია **ტერიტორია**, სადაც არსებობს პოლიტიკური სისტემა და გარკვეული საზღვრები აქვს. ტერიტორია, როგორც პოლიტიკური სისტემის კომპონენტი, სახელმწიფოს იგივეობრივი არაა. ქალაქი ან სასოფლო რაიონი თავისი პოლიტიკური საზოგადოებით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებით, ტერიტორიით – ესეც აგრეთვე პოლიტიკური სისტემაა. სახელმწიფოში შეიძლება არსებობდეს ავტონომიები, თავიანთი სპეციფიკური პოლიტიკური სისტემით.

2. პოლიტიკური სისტემის არსი

პოლიტიკური სისტემა – ესაა განსაკუთრებული რეალობა, რომელიც თვისებრივად განსხვავდება საზოგადოების სხვა სისტემებისგან და ვითარდება საკუთარი ლოგიკის შესაბამისად. პოლიტიკური სისტემის მეშვეობით ხორციელდება ხელისუფლება საზოგადოებაში, მიიღება ყველასთვის სავალდებულო გადანაწილებები.

პოლიტიკური სისტემა ორიენტირებულია საზოგადოებაში ფასეულობათა ავტორიტეტულ განაწილებაზე, ამასთან, ისეთი სახით, რომ მიღწეულ იქნეს ინტერესთა ბალანსი და შენარჩუნდეს სისტემის მთლიანობა. პოლიტიკური სისტემის ყოველი სუბიექტი ცდილობს თავისი ინტერესების რეალიზებას პოლიტიკური ხელისუფლების მექანიზმის დახმარებით, მაგრამ ამას აკეთებს სისტემური ინტეგრაციის კონტექსტში.

პოლიტიკური სისტემის მიერ საერთო მიზნების მიღწევა ხდება ისეთ პირობებში, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტები განსხვავებულ და ხშირად საპირისპირო მიზნებს ისახავენ, როდესაც რეალური უთანასწორობა არსებობს პოლიტიკური რესურსების კონტროლსა და პოლიტიკური გავლენის განაწილებაში. საერთო მიზანი, საერთო ინტერესი არ ჩნდება სახელმწიფო მოხელეთა ან პოლიტიკური ელიტის სურვილების მიხედვით. ესაა პოლიტიკურ გავლენათა ურთიერთქმედების შედეგი, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მოთხოვნათა შორის მიღწეული რთული კომპრომისი.

დევიდ ისტონმა სისტემა განიხილა „შავი ყუთის“ სახით. ასეთი სისტემის გარემოსთან ურთიერთობა და რესურსების გაცვლა ხორციელდება პრინციპით: „შესვლა – გამოსვლა“. გარემო იძლევა იმპულსებს, ახდენს თავისებურ „შესვლას“ (ინგლ. *input*) პოლიტიკურ სისტემაში, ეს უკანასკნელი იღებს გადაწყვეტილებებს და მათ რეალიზებას ახდენს, პირობითად რომ ვთქვათ, ხდება „გამოსვლა“ (ინგლ. *Output*). ასეთი სახით პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს საზოგადოების მართვას, რაც მისი მთავარი ამოცანა და ფუნქციაა. ისტონის პოლიტიკური სისტემის თეორია ცდილობს, პოლიტიკურ მეცნიერებას „ზუსტი“ მეცნიერების ხასიათი მისცეს. ის ცდილობს, პოლიტიკური ცხოვრების აღწერას კონსტანტებისა (ე.ი. მუდმივი ფაქტორების) და ცვლადების კონკრეტული ნაკრების სახით. ეს შესაძლებელს ხდის პოლიტიკური პროცესების კომპიუტერულ მოდელირებას.

2.1. შესვლა: მოთხოვნები და მხარდაჭერა

მოთხოვნები

დევიდ ისტონი განასხვავებდა „შესვლის“ ორ ტიპს: მოთხოვნასა და მხარდაჭერას. მოთხოვნა შეიძლება განისაზღვროს როგორც მიმართვა ხელისუფლების ორგანოებისადმი საზოგადოებაში ფასეულობათა სასურველ ან არასასურველ განაწილებათა თაობაზე. დ. ისტონი გამოყოფდა მოთხოვნათა შემდეგ სახეებს:

- მოთხოვნები, რომლებიც ეხება დოვლათისა და მომსახურებათა განაწილებას – ხელფასსა და სამუშაო დროს, განათლების მიღების პირობებს, სამედიცინო და სხვა მომსახურებებს;

- მოთხოვნები, დაკავშირებული ქცევის რეგულირებასთან – საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კონტროლი წარმოებასა და ბაზარზე და ა.შ.;

- მოთხოვნები კომუნიკაციისა და ინფორმაციის სფეროში – პოლიტიკური ინფორმაციის მიწოდების, პოლიტიკური ძალის გამოყენების თაობაზე და ა.შ.

მოთხოვნებს აქვთ პოლიტიკური სისტემის დასუსტების ტენდენცია.

მხარდაჭერა

პოლიტიკურმა სისტემამ მუშა მდგომარეობა რომ შეინარჩუნოს, მას, მოთხოვნების გარდა, მხარდაჭერა სჭირდება. მხარდაჭერა ნიშნავს პოლიტიკური სისტემის გაძლიერებას. მხარდაჭერის გამოვლენის ფორმები ძალზე მრავალფეროვანია: გადასახადების ნესიერი გადახდა, სამხედრო მოვალეობის შესრულება, სახელისუფლო ინსტიტუტების პატივისცემა, პოლიტიკური ხელმძღვანელების მხარდაჭერა, პატრიოტიზმი, ხელისუფლების მხარდასაჭერად დემონსტრაციების ჩატარება და ა.შ.

მხარდაჭერა უზრუნველყოფს ხელისუფლების ორგანოების შედარებით სტაბილურობას; მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური საზოგადოების წევრებს შორის თანხმობის უზრუნველსაყოფად.

პოლიტიკურ სისტემაში მხარდაჭერის ძირითად ობიექტებად დ. ისთონი ასახელებდა პოლიტიკურ რეჟიმს, ხელისუფლებას და პოლიტიკურ საზოგადოებას. ობიექტების შესაბამისად, იგი გამოყოფდა მხარდაჭერის სამ ტიპს:

1) **რეჟიმის მხარდაჭერა** – ესაა მდგრადი მოლოდინების ერთობლიობა, მხარდაჭერა იმ პრინციპებისა და ფასეულობების (თავისუფლება, პლურალიზმი, საკუთრება და ა.შ.), რომელთაც ემყარება პოლიტიკური სისტემა, ხელისუფლების ნორმები (კონსტიტუციური, სამართლებრივი და ა.შ.) და სტრუქტურები;

2) **ხელისუფლების მხარდაჭერა** – ე.ი. ყველა ფორმალური და არაფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების მხარდაჭერა, მაგალითად, ქარიზმატული ლიდერებისა, რომლებიც ხელისუფლებით ფუნქციებს ახორციელებენ;

3) **პოლიტიკური საზოგადოების მხარდაჭერა** – ე.ი. იმ ადამიანთა ჯგუფისა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან პოლიტიკური შრომის განაწილებით.

2.2. პოლიტიკური სისტემის ფუნქციები „შესვლისას“

„შემავალ“ ფუნქციებს ახორციელებს სხვადასხვა არასამთავრობო ასოციაცია: ინტერესთა ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები, მასმედიის დამოუკიდებელი საშუალებები. „გამომავალ“ ფუნქციებს ასრულებენ სახელმწიფო სტრუქტურები. ესაა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების პრეროგატივა.

„შესვლისას“ პოლიტიკური სისტემა ასრულებს პოლიტიკური სოციალიზაციისა და რეკრუტირების ფუნქციას. პოლიტიკური სოციალიზაციის ფუნქციის დახმარებით ხორციელდება პოლიტიკური სისტემის არსებული მოდელის შენარჩუნება ან მხარდაჭერა. პოლიტიკური სოციალიზაცია არის პოლიტიკური ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, გრძნობების ერთობლიობა, ფასეულობების შექმნა, რაც ახასიათებს იმ საზოგადოებას, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს.

ინდივიდის ზიარება პოლიტიკურ ფასეულობებთან, მის მიერ საზოგადოებაში მიღებული პოლიტიკური ქცევის სტანდარტების დაცვა, ლოიალური დამოკიდებულება ხელისუფლების ინსტიტუტებთან უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის არსებული მოდელის მხარდაჭერას.

სოციალიზაცია აყალიბებს პოლიტიკური ადამიანის გარკვეულ ტიპს და უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობას ქვეყნის განვითარებაში, მის სტაბილურობას, ქმნის არსებული წესრიგისადმი მხარდაჭერას. სოციალიზაცია მიმართულია მხარდაჭერის აუცილებელი დონის შესაქმნელად, რაც პოლიტიკური სისტემის თვითშენარჩუნების საფუძველია.

სოციალიზაციის ფუნქციას უკავშირდება რეკრუტირება. პოლიტიკური რეკრუტირება ნიშნავს პოლიტიკურ სისტემაში როლების შესრულების ფუნქციას – პიროვნებათა მიერ გარკვეული პოლიტიკური როლების: ამომრჩევლის, მოქალაქის, პრეზიდენტის, მოსამართლის და ა.შ. შესრულებას.

პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუკი მისი ფუნქციონირება ემყარება საზოგადოების პოლიტიკური კულტურის შესაბამის პრინციპებს. მაგალითად, ამერიკუ-

ლი პოლიტიკური კულტურა ემყარება იმ მითებს, იდეალებსა და წარმოდგენებს, რომელთაც იღებს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, მიუხედავად მათი რელიგიური და რასობრივი სხვაობისა.

პოლიტიკურ სისტემაში „შესვლის“ ფუნქციებს მიეკუთვნება:

- პოლიტიკური სოციალიზაცია – საზოგადოების წევრების ჩართვა პოლიტიკურ საქმიანობაში;
- რეკრუტირება – ადამიანთა შერჩევის ფორმა სისტემის სხვადასხვა სტრუქტურაში ჩასართავად;
- ინტერესების არტიკულაცია (გამოხატვა) – მოთხოვნათა წაყენება მათთვის, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს;
- ინტერესების აგრეგირება – მოთხოვნათა შეთანხმება და განზოგადება, ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება, მისთვის პოლიტიკური პლატფორმის სახის მიცემა;
- პოლიტიკური კომუნიკაცია – სხვადასხვა სახის საინფორმაციო ურთიერთქმედება.

2.3. „გამოსვლა“

გადაწყვეტილებების მიღება

გარემოს სისტემაზე ზემოქმედების შედეგად წარმოიშობა რეაქცია – „გამოსვლა“, ე.ი. გადაწყვეტილებათა მიღება ფასეულობათა განაწილების თაობაზე. სისტემის პასუხი გარედან მიღებულ იმპულსებზე ხორციელდება გადაწყვეტილებათა და მოქმედებათა ფორმით.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შეიძლება ჰქონდეთ ახალი კანონების, განცხადებების, რეგლამენტების, სუბსიდიებისა და სხვა ფორმა. გადაწყვეტილებათა შესრულებას უზრუნველყოფს კანონის ძალა.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ემყარება **პოლიტიკური მოქმედება**. პოლიტიკურ მოქმედებებს არ გააჩნიათ ასეთი იძულები-

თი ხასიათი, მაგრამ არსებით ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე. ისინი ხორციელდება ლონისძიებათა სისტემის სახით ეკონომიკის, ეკოლოგიის, სოციალური პოლიტიკის და ა.შ. სფეროებში აქტუალურ პრობლემათა გადასაწყვეტად.

მაშასადამე, პოლიტიკურ სისტემას თვითრეგულირების უნარი აქვს – გარემოსთან მრავალმხრივ და რთულ ურთიერთკავშირშია. მან შემოსული მოთხოვნები და მხარდაჭერა უნდა გარდაქმნას შესაბამის გადანყვეტილებებად და მოქმედებებად. პოლიტიკური პროცესი არსებითად ინფორმაციის გარდაქმნის პროცესია. გარემოს სიგნალებზე რეაგირებისას პოლიტიკური სისტემა საზოგადოებაში ცვლილებებს ახორციელებს და იმავდროულად ინარჩუნებს მასში სტაბილურობას. ცვალებადობა სისტემის მოღვაწეობის კერძო ფუნქციური მახასიათებელია, გადარჩენა და თვითშენარჩუნება კი პრინციპულად მნიშვნელოვანი ნიშნებია.

2.4. პოლიტიკური სისტემის ფუნქციები „გამოსვლისას“

სისტემის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს გარემოსადმი მისი ადაპტაციის უნარი. ადაპტაციის ფუნქცია შეიძლება ხორციელდებოდეს პოლიტიკური რეკრუტირების დახმარებით – ხელისუფლების სუბიექტების (ლიდერების, ელიტების) მომზადება და შერჩევა, რომელთაც შეუძლიათ იპოვონ და საზოგადოებას შესთავაზონ აქტუალური პრობლემების ყველაზე ეფექტური გადაწყვეტა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია რეაგირების ფუნქცია. ამ ფუნქციის წყალობით, პოლიტიკური სისტემა პასუხობს გარედან ან შიგნიდან მომდინარე იმპულსებსა და სიგნალებს. რეაგირების მაღალგანვითარებული უნარი სისტემას შესაძლებლობას აძლევს, სწრაფად შეეგუოს ფუნქციონირების ცვლად პირობებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ჩნდება პარტიების, ჯგუფების ახალი მოთხოვნები, რომელთა იგნორირებასაც შეიძლება მოჰყვეს საზოგადოების დეზინტეგრაცია და დაშლა.

პოლიტიკურ სისტემას წარმოშობილ მოთხოვნებზე ეფექტური რეაგირების უნარი მხოლოდ **რესურსების** ქონის შემთხვევაში

აქვს. რესურსებს იგი იღებს შიდა ან გარე ეკონომიკური, ბუნებრივი და ა.შ. გარემოდან. ამ ფუნქციას ექსტრაქციულს უწოდებენ. მიღებული რესურსები უნდა განაწილდეს ისე, რომ უზრუნველყოფდეს საზოგადოების შიგნით სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების ინტეგრაციასა და თანხმობას. მამასადამე, პოლიტიკური სისტემის მიერ დოვლათისა და სიკეთეების, მომსახურებათა და სტატუსების განაწილება შეადგენს მისი დისტრიბუციული (განაწილებითი) ფუნქციის შინაარსს.

და ბოლოს, პოლიტიკური სისტემა საზოგადოებაზე ზეგავლენას ახდენს ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევის მართვისა და კოორდინაციის მეშვეობით. პოლიტიკური სისტემის მმართველობითი მოქმედება გამოხატავს **მარეგულირებელი ფუნქციის** არსს. იგი რეალიზდება ნორმებისა და წესების შემოღების გზით, რომელთა საფუძველზეც ერთმანეთთან ურთიერთობას ახორციელებენ ინდივიდები, ჯგუფები, აგრეთვე ამ ნორმების დამრღვევთა მიმართ ადმინისტრაციული და სხვა ზომების გამოყენებით.

<p>პოლიტიკური სისტემა „გამოსვლისას“ ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნორმათა ჩამოყალიბება – ე. ი. ქცევის მარეგულირებელი წესებისა და კანონების ჩამოყალიბება; • წესებისა და ნორმების გამოყენება – მათი ამოქმედება; • კონტროლი წესებისა და ნორმების დაცვაზე – კანონების განმარტება და მათი დარღვევის მცდელობების აღკვეთა.

2.5. დევიდ ისტონისა და გაბრიელ ალმონდის მიდგომათა განსხვავება

გარემოსთან ურთიერთობაზე აქცენტის გაკეთებით დევიდ ისტონმა უყურადღებოდ დატოვა სისტემის შინაგანი სტრუქტურა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, საზოგადოებაში შენარჩუნდეს დინამიკური წონასწორობა. ამიტომ პოლიტიკური სისტემის საზღვრები მის მოდელში მკაფიო არაა.

ამ ნაკლოვანების დასაძლევად გაბრიელ ალმონდმა (1911–2002) წინადადება წამოაყენა, პოლიტიკურ სისტემაში ეგულისხმათ „მოქმედებათა ყველა ტიპი, რომელთაც კავშირი აქვთ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასთან“. მან პოლიტიკურ სისტემაში ჩართო მხოლოდ ის ინსტიტუტები, რომლებიც კონკრეტულ პოლიტიკურ ფუნქციებსა და როლებს ასრულებენ. ისტონისგან განსხვავებით, ალმონდმა პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ელემენტებიდან ყურადღება გადაიტანა პოლიტიკური სისტემის კავშირზე გარემოსთან. მისი კონცეფციის საბაზო ცნებაა როლი (ნაცვლად ინსტიტუტის, ორგანიზაციის, ჯგუფის).

დ. ისტონის მსგავსად, გ. ალმონდმა ასევე გამოყო „შესვლისა“ და „გამოსვლის“ ფუნქციები, მაგრამ, ისტონისაგან განსხვავებით, მან ყოველ პოლიტიკურ ინსტიტუტს თავისი სპეციფიკური პოლიტიკური როლი განუსაზღვრა. თუკი „შესვლისას“ პოლიტიკური სოციალიზაციისა და მოქალაქეთა პოლიტიკაში ჩართვის ფუნქციას ამა თუ იმ სახით ახორციელებს პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტი, სამაგიეროდ „გამოსვლისას“ ფუნქციები ნაწილდება სხვადასხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის.

ასე მაგალითად, ინტერესების ინტეგრაციის ფუნქცია პოლიტიკური პარტიების კომპეტენციაა. ინტერესთა ჯგუფები მონოდებულნი არიან, განახორციელონ ინტერესების გამოსატყვის ფუნქცია. მასმედიის საშუალებებს აქვთ მასობრივი კომუნიკაციის ფუნქცია, ე.ი. მოსახლეობისა და ხელისუფლების ინსტიტუტების ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა.

„გამოსვლისას“ სახელმწიფო ხელისუფლების ყოველი შტო ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს. საკანონმდებლო ხელისუფლების ინსტიტუტები დაკავებულნი არიან ურთიერთობათა წესებისა და ნორმების შემუშავებით, რომელთაც სავალდებულო ხასიათი აქვთ მოქალაქეებისათვის. ამ წესების გამოყენების ფუნქცია მიეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს. სასამართლო ორგანოები ასრულებენ კონტროლის ფუნქციას წესების დაცვაზე. ამრიგად, პოლიტიკური როლებისა და ფუნქციების სპეციალიზაციისა და განაწილების მეშვეობით უზრუნველყოფილი ხდება საზო-

გადოების სტაბილურობა, შეცვლილ პირობებთან მისი ადაპტირების უნარი.

ამრიგად, სოციალურ ურთიერთქმედებათა მთელი ერთობლიობა პოლიტიკურ სისტემაში შეიძლება განისაზღვროს როგორც გარემოდან სისტემაში ფაქტორების „შესვლის“ ფუნქციების, სისტემის შიგნით მათი კონვერსიისა და „გამოსვლის“ ფუნქციების ერთობლიობა. პოლიტიკური სისტემა მდგრადია მხოლოდ „შესვლისა“ და „გამოსვლის“ ფუნქციების ბალანსის შენარჩუნების პირობებში.

პოლიტიკური სისტემის მოდელში აქცენტი შიდა გამონვევებზე მისი რეაგირების უნარზე კეთდება. მაგრამ არსებობს გარე გამონვევებიც. პატარა სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა შეიძლება უზრუნველყოფდეს საზოგადოების ფუნქციონირებას და კარგად პასუხობდეს შიდა გამონვევებს, მაგრამ გაუჭირდეს გარე გამონვევებთან გამკლავება. 1801 და 1921 წლებში საქართველოს სახელმწიფო სწორედ გარე გამონვევებს ვერ გაუმკლავდა.

2.6. პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური რეჟიმი

პოლიტიკურ სისტემასთან ერთად პოლიტიკური მეცნიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა პოლიტიკური რეჟიმი. ყოველი ქვეყანა ხასიათდება თავისი პოლიტიკური კლიმატით, პოლიტიკური წესრიგით, რომელიც ყალიბდება პოლიტიკური სისტემის ყველა კომპონენტის – ინსტიტუტების, ნორმების, პოლიტიკური კულტურის, – გარკვეული ურთიერთქმედების შედეგად. პოლიტიკური რეჟიმი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შინაარსობრივი მახასიათებელია.

პოლიტიკური სისტემა	პოლიტიკური რეჟიმი
საზოგადოების პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობას აწესრიგებს სამართალი და სხვა სოციალური ნორმები	განსაზღვრავს პოლიტიკური სისტემის შინაგან მდგომარეობას

პოლიტიკური რეჟიმი განსაზღვრავს პოლიტიკური სისტემის შინაგან მდგომარეობას და აჩვენებს:


- როგორ ხორციელდება ხელისუფლება;
- როგორ ფუნქციონირებენ პოლიტიკური ინსტიტუტები და ურთიერთობები;
- როგორი ურთიერთობაა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის (ვინ ვის აკონტროლებს);
- როგორ ხდება პოლიტიკური მიზნების მიღწევა, პოლიტიკური ძალების ინტერესების რეალიზება.

პოლიტიკური რეჟიმის შესწავლით შეიძლება დადგინდეს, როგორია ხელისუფლების განხორციელების მექანიზმი, როგორ მიაღწიეს ხელისუფლებას მმართველმა ჯგუფებმა, რა გზით ყალიბდება ახალი სახელისუფლო ინსტიტუტები: არჩევნებისა და პარლამენტის გზით, ზემოდან დანიშვნით, თუ ლიდერის შეხედულებისამებრ.

პოლიტიკური რეჟიმი აჩვენებს, რეალურად როგორია განაწილებული ხელისუფლება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს და მათ პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის, ვის ხელშია ხელისუფლება. პოლიტიკური რეჟიმი აჩვენებს, ვინ და როგორ აკონტროლებს პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებას, რეალიზებულია თუ არა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

პოლიტიკური რეჟიმი ხშირად მოკლედ შემდეგნაირად განისაზღვრება: ხელისუფლების განხორციელების მეთოდების, პრინციპებისა და ხერხების ერთობლიობა.

ზოგჯერ „საზოგადოების პოლიტიკური სისტემა“ იგივეა „საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციასთან“, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: „საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია“ მოიცავს მხოლოდ ხელისუფლებით კომპონენტებს – პოლიტიკურ ინსტიტუტებს და პოლიტიკურ ნორმებს. „პოლიტიკური სისტემის“ კატეგორია კი უფრო ფართოა: მოიცავს არა მხოლოდ პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და ნორმებს, არამედ პოლიტიკურ ცნობიერებას, პოლიტიკურ კულტურას, პოლიტიკურ კომუნიკაციას, პოლიტიკურ მონაწილეობას.



პოლიტიკური სისტემის გამარტივებული მოდელი

3. პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა

პოლიტიკურ სისტემას გარკვეული სტრუქტურა აქვს – შედეგა მდგრადი ელემენტების და ამ ელემენტებს შორის მდგრადი კავშირებისაგან. პოლიტიკურ სისტემას შეიძლება ჰქონდეს რთული ან მარტივი სტრუქტურა. ეს დამოკიდებულია მასში შემავალ ინსტიტუტებზე, სისტემის ელემენტების დიფერენცირებისა და სპეციალიზაციის ხარისხზე, პოლიტიკაში როლების დანაწილების დონეზე. ტრადიციული პატრიარქალური ტიპის პოლიტიკური სისტემები სუსტი დიფერენცირებით ხასიათდებიან, თანამედროვე პოლიტიკური სისტემები კი უაღრესად რთული დიფერენცირებით გამოირჩევიან.

პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულობა გამოიხატება არა მხოლოდ მისი ძირითადი ნაწილების ამოცანების დიფერენცირებაში, არამედ მათ იერარქიულობაშიც. გამოიყოფა მეგადონე: სახელმწიფო მართვის ცენტრალური აპარატი; საშუალო დონე – რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლება და მიკროდონე – პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მონაწილეობა. პირველი ორი დონისგან განსხვავებით, ესაა არაინსტიტუტიზებული დონე. პოლიტიკური სისტემის მიკ-

როდონეზე ხდება საზოგადოების პოლიტიკური და არაპოლიტიკური სფეროების ურთიერთშელეწევა, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირი.

3.1. პოლიტიკური სტრუქტურები

პოლიტიკური სტრუქტურები მოიცავს სხვადასხვა ორგანიზაციას, როგორც საკუთრივ პოლიტიკურს – სახელმწიფოს, პოლიტიკურ პარტიებს, ისე არაპოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციებს, რომლებიც შეიძლება მიზნად ისახავდნენ სერიოზულ პოლიტიკურ ინტერესებს, მაგალითად: პროფკავშირები, მენარმეთა გაერთიანებანი, ეკლესია და სხვ.

როგორც უკვე ითქვა, პოლიტიკური სტრუქტურები – ეს არა მხოლოდ ორგანიზაციებია, არამედ მდგრადი ურთიერთობებიცაა, პოლიტიკის სხვადასხვა მონაწილეთა – პოლიტიკის აქტორების ურთიერთქმედება, რომლებიც გარკვეულ როლებს ასრულებენ. პარლამენტარები, მოსამართლეები, ამომრჩევლები და ა.შ. – ეს ყველაფერი როლებია, რომლებიც პოლიტიკაში ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და შეადგენენ პოლიტიკური სისტემის სტრუქტურას. ამრიგად, პოლიტიკური სისტემა – ესაა როლების მქონე სტრუქტურათა მდგრადი ურთიერთქმედება.

პოლიტიკურ სტრუქტურებს გარკვეული მდგრადობა ახასიათებთ. სწრაფი ცვლილებებისგან – პროცესების ანუ ფუნქციებისგან – განსხვავებით, სტრუქტურული ცვლილებები ნელა მიმდინარეობს.

პოლიტიკური სტრუქტურების სწრაფი ცვლა ან მათი დანგრევა რევოლუციების პერიოდისთვისაა დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი სოციალური დანაკარგები ახლავს თან. ასეთ პერიოდში პოლიტიკური სისტემები არასტაბილურობით გამოირჩევიან, – საზოგადოებაში პოლიტიკური ინტერესების ანტაგონისტური ასპექტები დომინირებს ინტეგრაციულზე.

3.2. პოლიტიკური სისტემის ქვესისტემები

პოლიტიკური სისტემა, როგორც უკვე ითქვა, ქვესისტემებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან კავშირშია და უზრუნველყოფს საჯარო ხელისუფლების ფუნქციონირებას. მეცნიერები ასეთი ქვესისტემების სხვადასხვა რაოდენობას ასახელებენ. ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ქვესისტემები:

ინსტიტუციური ქვესისტემა მოიცავს სახელმწიფოს, პოლიტიკურ პარტიებს, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მათ შორის ურთიერთობას. ისინი მთლიანობაში ქმნიან საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას. ამ ქვესისტემაში ცენტრალური ადგილი სახელმწიფოს განეკუთვნება. თავის ხელში რესურსების დიდი ნაწილის კონცენტრირებით, კანონიერ ძალადობაზე მონოპოლიის ფლობით, სახელმწიფოს ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს, ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე. მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა სავალდებულოება მას შესაძლებლობას აძლევს, სოციალურ ცვლილებებს მისცეს მიზანშეწონილობა, გონივრულობა, ორიენტაცია საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ინტერესების გამოსახატავად.

ამავე დროს, მართებული არ იქნებოდა პოლიტიკური პარტიების, ინტერესთა ჯგუფების როლის შეუფასებლობაც. მათი ზეგავლენა სახელმწიფო ხელისუფლებაზე მნიშვნელოვანია. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვთ ეკლესიასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომელთაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით კი შეუძლიათ ზენოლის მოხდენა მთავრობასა და პოლიტიკურ ლიდერებზე.

ნორმატიული ქვესისტემა მოიცავს სამართლებრივ, პოლიტიკურ, მორალურ ნორმებსა და ფასეულობებს, ტრადიციებს, ადათ-ჩვევებს. მათი მეშვეობით პოლიტიკური სისტემა მარეგულირებელ ზემოქმედებას ახდენს ინსტიტუტების მოღვაწეობაზე, მოქალაქეთა ქცევაზე.

ფუნქციური ქვესისტემა – ესაა პოლიტიკური მოღვაწეობის მეთოდები, ხელისუფლების განხორციელების ხერხები. ის პოლიტიკური რეჟიმის საფუძველია.

კომუნიკაციური ქვესისტემა მოიცავს პოლიტიკური ურთიერთქმედების ყველა ფორმას როგორც სისტემის შიგნით (მაგალითად, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის), ისე სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ სისტემებთან.

პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა

ინსტიტუციური ქვესისტემა	მოიცავს საზოგადოების პოლიტიკურ ინსტიტუტებს
კომუნიკაციური ქვესისტემა	უზრუნველყოფს კავშირს პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტს შორის
ნორმატიული ქვესისტემა	განსაზღვრავს პოლიტიკური საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას
ფუნქციური ქვესისტემა	პოლიტიკური მოღვაწეობის მეთოდები, ხელისუფლების განხორციელების ხერხები, რაც შეადგენს პოლიტიკური რეჟიმის საფუძველს.

3.3. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების დონეები

აღმონდი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას სამ დონეზე განიხილავს, რაც შესაძლებლობას იძლევა, შედარდეს პოლიტიკურ სისტემათა სხვადასხვა ტიპი.

პირველი დონეა სისტემის შესაძლებლობები. შესაძლებლობებს აღმონდი განიხილავდა როგორც მთავრობის გავლენის ხარისხს საზოგადოებაზე, ადამიანთა გონებასა და ქცევაზე სამთავრობო მიზნების მიღწევის ინტერესებში. იგი ასახელებდა შესაძლებლობათა ხუთ სხვადასხვა ტიპს, რომლებიც შეიძლება ერთ შემთხვევაში ძალზე დიდი იყოს, სხვა შემთხვევებში კი ნაკლები:

1) ექსტრაქციული შესაძლებლობა	სისტემის უნარი, აითვისოს გარკვეული მიზნების მისაღწევად ადამიანური (ადამიანთა ნიჭი, მხარდაჭერა, ფული) და მატერიალური რესურსები;
2) მარეგულირებელი შესაძლებლობა	საზოგადოებაში ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების ქცევის კონტროლის, საზოგადოების მოღვაწეობის რეგულირების უნარი;
3) განაწილებითი შესაძლებლობა	ესაა უნარი, შექმნას, განათავსოს და გაანაწილოს მატერიალური და არამატერიალური ფასეულობანი საზოგადოებაში;
4) რეაგირების შესაძლებლობა	სისტემის უნარი, რეაგირება მოახდინოს მოთხოვნებზე შესაბამისი პოლიტიკით, უპასუხოს სხვადასხვა ჯგუფიდან მომდინარე მრავალგვარ მოთხოვნას;
5) სიმბოლური მნიშვნელობა	მჭიდროდ უკავშირდება ლეგიტიმურობისა და მხარდაჭერის მოთხოვნილებას, სისტემის უნარს, განავითაროს პოპულარული შეხედულებები, მითები, შექმნას მკაფიო, გასაგები სიმბოლოები და ლოზუნგები, მათი გამოყენებით ინარჩუნებდეს ლეგიტიმურობას, რაც აუცილებელია სისტემის მიერ დასახული მიზნების განსახორციელებლად.

მრავალი პოლიტიკური სისტემა თავისი ხასიათით, ძირითადად, მარეგულირებელი და ექსტრაქციულია. ტოტალიტარული სისტემები თრგუნავენ საზოგადოების მოთხოვნებს და არ რეაგირებენ გარემოდან მომდინარე მოთხოვნებზე. კომუნისტური ტოტალიტარიზმი განსხვავდება ფაშისტურისაგან ძლიერი გამანაწი-

ლებელი უნარით. სიმბოლოების მნიშვნელობა ტოტალიტარულ სისტემებში ასევე დიდია.

დემოკრატიულ სისტემებში რეგულირების, ექსტრაქციისა და განაწილების ფუნქციებზე გავლენას ახდენს ჯგუფების მოთხოვნათა „შესვლა“. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, დემოკრატიებს უაღრესად განვითარებული აქვთ რეაგირების უნარი.

სისტემის შესაძლებლობებს უკავშირდება სისტემის ეფექტურობა, ე.ი. მისი საერთო უნარი – შედეგი გამოიღოს, შექმნას და განათავსოს ფასეულობები.

სისტემის ფუნქციონირების მეორე დონე ასახავს იმას, რაც თავად სისტემაში ხდება, ე.ი. კონვერსიის პროცესი – ესაა შემავალი ფაქტორების გარდაქმნის უნარი გამავალ ფაქტორებად. ერთი პოლიტიკური სისტემის კონვერსიული პროცესი შეიძლება გაანალიზდეს და შედარდეს სხვა სისტემის ანალოგიურ პროცესთან ალმონდის სქემის მიხედვით, რომელშიც გამოყოფილია ექვსი ძირითადი ფუნქცია:

1) როგორ ყალიბდება მოთხოვნები	ინტერესების არტიკულაცია
2) როგორ ხდება მოთხოვნათა ჩამოყალიბება მოქმედებათა ალტერნატიულ პროგრამებად	ინტერესების აგრეგირება
3) როგორ ყალიბდება ნორმები	ნორმების შექმნა
4) როგორ ხორციელდება ეს ნორმები ცხოვრებაში	ნორმების რეალიზება
5) როგორ კონტროლდება და რეგულირდება ისინი	კონტროლი ნორმებზე
6) ყველა ეს სხვადასხვა მოქმედება როგორ შეესაბამება ერთმანეთს ამა თუ იმ სისტემის შიგნით, აგრეთვე სისტემის გარემოსთან ურთიერთქმედების დროს	კომუნიკაცია

პოლიტიკური სისტემის მესამე დონის ფუნქციონირებაში აღმონდს მხედველობაში ჰქონდა მოდელის მხარდაჭერისა და ადაპტაციის ფუნქციები. აღმონდისათვის ეს იყო სოციალიზაციისა და რეკრუტირების პროცესი, რომლის დროსაც იქმნება ახალი როლები და ახალი ადამიანები „შედიან“ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პოლიტიკური სისტემის დონეები

სისტემის შესაძლებლობების დონე	ექსტრაქციული, რეგულაციური, რეპრეზენტაციული, რეაგირების, სიმბოლური
კონვერსიული დონე	არტიკულაცია, აგრეგირება, ნორმების შექმნა, კომუნიკაცია, ნორმების შესრულების კონტროლი, ნორმების რეალიზება
მოდელის მხარდაჭერის დონე	პოლიტიკური სოციალიზაცია, რეკრუტირება

4. პოლიტიკური სისტემების ტიპები

თანამედროვე მსოფლიოში არსებული პოლიტიკურ სისტემათა მრავალფეროვნება იმაზე მიუთითებს, რომ მათი ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას: ისტორიული ტრადიციები, კულტურა, ეკონომიკური განვითარება, სამოქალაქო საზოგადოების სიმნიფე, გეოპოლიტიკური პირობები და ა.შ. ამა თუ იმ ფაქტორების სიჭარბე განაპირობებს პოლიტიკურ სისტემათა თავისებურებებსა და განუმეორებლობას. მაგრამ თეორიულად და პრაქტიკულად საინტერესოა ის, რაც მათ აახლოებს, საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ უნივერსალური მექანიზმების როლი და მათი ფუნქციონირების კანონზომიერებანი.

პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციის პრაქტიკული მნიშვნელობა იმ პირობების საკმარისობის გამორკვევაა, რომლებიც პოლიტიკურ ინსტიტუტებს ეფექტიანი ფუნქციონირებისა და თავიანთი პოლიტიკური როლის წარმატებით შესრულების შესაძლებლობას აძლევენ. ყველაზე მოსახერხებელია, კლასიფიკაცია განხორციელდეს შედარებითი პროცედურების გამოყენებით, რაც თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების განუყოფელი ნაწილია.

4.1. დახურული და ღია პოლიტიკური სისტემები

პოლიტიკურ სისტემათა ტიპოლოგია ხორციელდება განსხვავებული ნიშნების გათვალისწინების საფუძველზე. ერთ-ერთი პირველი კლასიფიკაცია (ტიპოლოგია) გამომდინარეობს გარემოსთან მათი ურთიერთობის ხასიათიდან. ამ კრიტერიუმის მიხედვით, გამოიყოფა დახურული და ღია პოლიტიკური სისტემები.

დახურულ პოლიტიკურ სისტემებს შეზღუდული კავშირი აქვთ გარემოსთან, არ აღიქვამენ სხვა სისტემათა ფასეულობებს და თვითკმარნი არიან, ე.ი. განვითარების რესურსებს პოულობენ საკუთარი თავის შიგნით. დახურული სისტემების მაგალითია ყოფილი სოციალისტური ქვეყნები (საბჭოთა კავშირი, უნგრეთი და ა.შ.). დახურული პოლიტიკური სისტემა ჰქონდათ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოსაც.

ღია სისტემები აქტიურად ცვლიან რესურსებს გარე სამყაროსთან, წარმატებით ითვისებენ სხვა სისტემების მოწინავე ფასეულობებს, მოძრავნი და დინამიკურნი არიან. ღია პოლიტიკური სისტემების მაგალითია დასავლეთის განვითარებული დემოკრატიული ქვეყნები. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო ესწრაფვის ღია პოლიტიკური სისტემის შექმნას.

4.2. პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით

გავრცელებულია, აგრეთვე, პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია პოლიტიკური რეჟიმის, ე.ი. ხელისუფლების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ხასიათისა და ხერხების

მიხედვით. ამ კრიტერიუმის შესაბამისად, გამოიყოფა დემოკრატიული (პლურალისტური), ავტორიტარული და ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემები.

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა გულისხმობს პიროვნების უფლებათა პრიორიტეტს, ხელისუფლებაზე საზოგადოების კონტროლს, ემყარება ხელისუფლების დანაწილებას; დემოკრატიის დროს შეუძლებელია მდგრადი, უცვლელი უმრავლესობის ბატონობა, ახასიათებს კონკურენტული ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რაც ემორჩილება კონსტიტუციურად განმტკიცებულ წესებსა და პროცედურებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921) ამკვიდრებდა დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას. მეტიც, – მისი მესვეურების აზრით, საქართველო უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული მსოფლიოში.

ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა ეფუძნება ერთი პირის ან ადამიანთა ჯგუფის შეუზღუდავ ხელისუფლებას მოქალაქეთა ზოგიერთი ეკონომიკური, სამოქალაქო, სულიერი თავისუფლების შენარჩუნებით. გამორიცხავს დემოკრატიას, ხელისუფლების რეალურ დანაწილებას, მასმედიის საშუალებათა დამოუკიდებლობას.

ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელია ხელისუფლებისადმი პიროვნებისა და საზოგადოების სრული დაქვემდებარება, სახელმწიფოს მხრიდან ადამიანთა ცხოვრების ყველა მხარის რეგლამენტაცია და კონტროლი. საბჭოთა პერიოდში საქართველოში არსებობდა ტოტალიტარული რეჟიმი.

დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის თავისებური ნაჯვარია **ჰიბრიდული რეჟიმი**. დღეს ამგვარ პოლიტიკურ სისტემას მიეკუთვნება მრავალი ქვეყანა. ისინი ან უფრო დემოკრატიისკენ იხრებიან, ან უფრო ავტორიტარიზმისკენ. ჰიბრიდულ რეჟიმად მიიჩნევა თანამედროვე საქართველოც.

4.3. ა. ლეიპჰარტის პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგია

ა. ლეიპჰარტმა ეჭვქვეშ დააყენა გ. ალმონდის პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგია, იმის გამო, რომ იგი გულისხმობს კულტურული თვალსაზრისით ჰომოგენურ საზოგადოებას, რომელშიც მინიმუმამდეა დაყვანილი სოციალური კონფლიქტები. საზოგადოებათა დიდი ნაწილი კი ასეთი არ არის.

ლეიპჰარტი დასავლური წარმომადგენლობითი დემოკრატიების სისტემებს ყოფდა მაჟორიტარულად და კონსენსუსურად (შეთანხმებით). მაჟორიტარული პოლიტიკური სისტემებისათვის დამახასიათებელია პარლამენტში არჩევნების მაჟორიტარული წესი, ორპარტიულობა, ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომლის მოქმედებაც სუსტადაა შეზღუდული პარლამენტის მიერ (პარლამენტი უმეტეს შემთხვევაში ერთპალატიანია), კონსტიტუცია (დაუნერელი, როგორც დიდი ბრიტანეთში და მოკლე, როგორც აშშ-ში), კონსტიტუციური სასამართლოს არარსებობა, ე.ი. სასამართლო ზედამხედველობის არარსებობა კონსტიტუციის დაცვაზე, უნიტარული და ცენტრალიზებული სახელმწიფო მოწყობა.

კონსენსუსური სისტემისათვის დამახასიათებელია საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესი, მრავალპარტიულობა, მთავრობის მკაფიო პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე, პარლამენტში ორი პალატის არსებობა, რომელთაგან ერთი წარმოადგენს რეგიონულ ან ადგილობრივ ინტერესებს, ხისტი და დანვრისგარეშე კონსტიტუციისა და კონსტიტუციური სასამართლოს არსებობა, ფედერალიზმისა და დეცენტრალიზაციის ნიშნები. ევროკავშირის ეროვნულ სისტემებს შორის ამ აღწერას უმეტესწილად შეესაბამება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი სისტემა.

მაჟორიტარული სისტემის ძირითადი უპირატესობაა მის მიერ უზრუნველყოფილი პოლიტიკური სტაბილურობა: მთავრობას შეუძლია, მშვიდად გაატაროს დასახული კურსი, ყურადღება არ მიაქციოს ოპოზიციის აზრს, რომელსაც, თავის მხრივ, იმედი აქვს, რომ ანალოგიურ მანდატს მიიღებს მომავალი არჩევნების შედეგად.

კონსენსუსური სისტემის მთავარი უპირატესობაა მეტი დემოკრატიულობა, ე.ი. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ერთდროული და მუდმივი წარმომადგენლობა პარლამენტში, მათ შორის ოპოზიციურისა აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. გადანყვებილების მიღების პროცესი მუდმივად მიმართულია საზოგადოებისათვის ხელსაყრელი კომპრომისის მიღწევისაკენ.

მიჩნეულია, რომ მაჟორიტარული პოლიტიკური სისტემა უფრო შეესაბამება ერთგვაროვან საზოგადოებას, ხოლო კონსენსუსური – ფრაგმენტირებულ საზოგადოებას.

ევროკავშირის პოლიტიკური სისტემის განვითარება ხდება კონსენსუსური ნიშნების ზრდისა და მაჟორიტარულის შესუსტების მიმართულებით. მიჩნეულია, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის კონსენსუსური ტიპი უფრო შეესაბამება ევროპული საზოგადოების ბუნებას, ყოველ შემთხვევაში, კონტინენტურს მაინც.

ა. ლეიპჰარტის მიერ წამოყენებული ტიპოლოგია სულაც არ გულისხმობს, რომ ყველა რეალურად არსებული დემოკრატიული სისტემა აუცილებლად ექცევა ამ ორი აღწერილი სტანდარტიდან ერთ-ერთის ქვეშ.

ტიპოლოგია – ესაა სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის შედარებისა და ანალიზის ინსტრუმენტი, რომელთაგან თითოეულს შეიძლება ჰქონდეს ორივე აბსტრაქტული ტიპის ნიშნები, სხვადასხვა შეხამებით, და შეიძლება ვილაპარაკოთ ან მაჟორიტარული, ან კონსენსუსური მახასიათებლების სიჭარბეზე.

5. პოლიტიკური სისტემის ეფექტურობა და სტაბილურობა

5.1. პოლიტიკური სისტემის ეფექტურობა

პოლიტიკური სისტემის ეფექტურობა ეწოდება მის უნარს, სწრაფი და ადეკვატური რეაგირება მოახდინოს მოთხოვნებზე, მიაღწიოს დასახულ მიზნებს, მოაწესრიგოს სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობები.

პოლიტიკური სისტემის ეფექტურობის კრიტერიუმებად შეიძლება ჩაითვალოს მისი უნარების განვითარების დონე, რომელთაც განეკუთვნება:

1. რესურსების მობილიზაციის უნარი;
2. ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევის კონტროლის უნარი;
3. დეფიციტური რესურსების, მომსახურებისა და სტატუსების განაწილების უნარი;

4. ფასეულობების შენარჩუნებისა და კვლავწარმოების უნარი.

აღმონდმა ნაშრომში – „**პოლიტიკა განვითარებად ქვეყნებში**“ (1971) – ჩამოაყალიბა პოლიტიკური სისტემის ეფექტურობის ძირითადი პირობები. მათ მიაკუთვნა:

- პოლიტიკური სოციალიზაცია;
- რეკრუტირება;
- ინტერესების არტიკულირება და აგრეგირება;
- პოლიტიკური კომუნიკაცია;
- წესების შემოღება, მათი გამოყენება და კონტროლი გამოყენებაზე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები).

პოლიტიკური სისტემა ეფექტური რომ იყოს, მას სჭირდება განვითარებული (ძლიერი) სტრუქტურული დიფერენცირება.

5.2. პოლიტიკური სტაბილურობა

პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა პოლიტიკური სისტემის მდგრადი მდგომარეობაა, რაც ემყარება მის უნარს, რეაგირება მოახდინოს მასში შესულ მოთხოვნებზე, მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილებები და გაატაროს ისინი ცხოვრებაში.

პოლიტიკური სტაბილურობის უმნიშვნელოვანეს პირობებად ითვლება ხელისუფლების ლეგალურობა და ეფექტურობა. ს.ლიპსეტმა წინადადება წამოაყენა, პოლიტიკური სისტემები განესხვავებინათ ორი კრიტერიუმის საფუძველზე: ხელისუფლების ლეგიტიმურობისა და ეფექტურობის მიხედვით.

ს.ლიპსეტი სტაბილურად მიიჩნევს პოლიტიკურ სისტემებს, რომლებიც ერთდროულად ეფექტურიცაა და ლეგიტიმურიც (1); სისტემები, რომელთაც არ გააჩნიათ ერთი ამ ორი კრიტერიუმიდ-

ან: ეფექტური, მაგრამ არა არალეგიტიმური (2) ან ლეგიტიმური, მაგრამ არაეფექტური (3), ის მიაკუთვნებს შედარებით სტაბილურ სისტემებს; არაეფექტურ და არალეგიტიმურ სისტემებს ის მიიჩნევს არასტაბილურად (4).

	ლეგიტიმური	არალეგიტიმური
ეფექტური	1 – სტაბილური	2 – შედარებით სტაბილური
არაეფექტური	3 – შედარებით სტაბილური	4 – არასტაბილური

ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ პოლიტიკურ სტაბილურობას, შემდეგია:

- სოციალურ სტრატეფიკაციაში საშუალო ფენის მნიშვნელოვანი წილის არსებობა;
- კლასობრივი, რელიგიური და სხვა კონფლიქტების ინსტიტუციონალიზება;
- ძირითადი პოლიტიკური ძალების კონსენსუსი საბაზისო ფასეულობებისა და თამაშის წესების თაობაზე;
- ანტისისტემური პარტიების არარსებობა პოლიტიკურ სისტემაში;
- მონაწილეობის პოლიტიკური კულტურა, რომელიც გულისხმობს მოქალაქეთა ორიენტაციას თავისი ინტერესების დაცვაზე;
- კანონიერება და მართლწესრიგი;
- პოლიტიკური კონკურენცია;
- პოლიტიკური სისტემის ინსტიტუტების მისანდომობა ჯგუფებისათვის, რომლებიც ადრე არ მონაწილეობდნენ პოლიტიკაში.

გ. აღმონდი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის საკითხს წყვეტს ისეთი ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორებიცაა შემდეგი მახასიათებლების ეფექტურობა:

- პოლიტიკური სოციალიზაციის;

- ელიტების რეკრუტირება;
- ექსტრაორდინარული, დისტრიბუციული და პროცედურული პოლიტიკის განხორციელება.

ა. ლეიპჰარტი დემოკრატიის სტაბილურობისა და არასტაბილურობის დახასიათებისას მიუთითებს ორ ფაქტორზე, რომელთაც შეუძლიათ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზება: პოლიტიკური ელიტების გათიშულობა და საზოგადოებაში ღრმა სოციალური, რელიგიური ან ეთნიკური გათიშულობა.

დანართი

პოლიტიკური სისტემა: კარლ დოიჩის (1912–1992) ინფორმაციული მოდელი

განვითარებული ქვეყნების გადასვლამ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, რასაც კომპიუტერული ტექნიკის მასობრივი დაწინაურება მოჰყვა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ხელი შეუწყო სოციალური სისტემების ანალიზის დროს მექანიკური მოდელების გამოყენებას. კიბერნეტიკა მიუთითებდა მსგავსებაზე ადამიანის ქცევასა და მანქანის „ქცევას“ შორის. მათი ქცევის მოდელების მსგავსება იმითაა განპირობებული, რომ თვითორგანიზებად სისტემებს აქვთ უნარი, დამოუკიდებლად რეაგირებდნენ ინფორმაციაზე და შეცვალონ თავისი ქცევა ან მდებარეობა. თუ ცვლილებები ეფექტიანია და სისტემა მიზანს აღწევს, მაშინ მისი ენერჯის ნაწილი ან შინაგანი დაძაბულობა, ჩვეულებრივ, მცირდება.

სისტემის მოქმედების ეფექტიანობა ორ ცვლადზეა დამოკიდებული:

ა) ინფორმაციის გადაცემასა და

ბ) ბრძანებათა გაცემის მექანიზმებზე, რომლებიც წარმართავენ და აკონტროლებენ მოქმედებას.

პოლიტიკური სისტემა კიბერნეტიკულ მანქანას პირველმა შეადარა კარლ დოიჩმა (1912–1992). იგი პოლიტიკურ სისტემას განიხილავდა „კომუნიკაციური მიდგომის“ კონტექსტში, რომლის

დროსაც პოლიტიკა გაგებულია როგორც დასახული მიზნების მისაღწევად ადამიანთა ძალისხმევის მართვისა და კოორდინაციის პროცესი. მიზანთა ფორმულირებას და მათ კორექციას პოლიტიკური სისტემა ახორციელებს არსებული ინფორმაციის საფუძველზე: ა) საზოგადოების მდგომარეობისა და ამ მიზნებისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ; ბ) მიზნის მიღწევამდე დარჩენილი მანძილის შესახებ; გ) ადრინდელ მოქმედებათა შედეგების შესახებ.

მაშასადამე, პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება დამოკიდებულია გარემოდან მუდმივად მომდინარე ინფორმაციისა და მისი საკუთარი მოძრაობის შესახებ ინფორმაციის ხარისხზე. ინფორმაციის ორი ნაკადის საფუძველზე მიიღება პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რაც გულისხმობს საძიებო მიზნისკენ თანმიმდევრულ მოძრაობას. ამიტომ მართვას კ. დოიჩი ადარებდა პილოტირების ან გემის მოძრაობის პროცესს – კურსის განსაზღვრას წარსულში მისი მოძრაობისა და დასახული მიზნისადმი ამჟამად მისი ადგილმდებარეობის მიხედვით.

საძიებო მიზნების მიღწევა არის პოლიტიკური სისტემის სწრაფვა, უზრუნველყოს დინამიკური წონასწორობა საზოგადოებაში – ჯგუფების, სტატუსების, ინტერესების წონასწორობა. უნდა ითქვას, რომ სოციალური სისტემის წონასწორობა უფრო იდეალური მდგომარეობაა, ვიდრე რეალური, რადგანაც მუდმივად მიმდინარეობს მიზნების დაზუსტება.

სასურველი მიზნების რეალიზება დამოკიდებულია ოთხი რაოდენობრივი ფაქტორის ურთიერთკავშირზე:

1. საინფორმაციო დატვირთვა სისტემაზე – განისაზღვრება მთავრობის მიერ დაგეგმილი ამოცანების მასშტაბით და სოციალური ცვლილებების სიხშირით;

2. დაგვიანება სისტემის რეაგირებაზე – ე. ი., რამდენად სწრაფად ან ნელა შეუძლია პოლიტიკურ სისტემას რეაგირება ახალ ამოცანებსა და ფუნქციონირების ახალ პირობებზე;

3. მატება – ე. ი., იმ ცვლილებების ჯამი, რომლებიც წარმოიშობა სისტემის მოძრაობის შედეგად საძიებო მიზნისკენ: რაც უფრო რადიკალურად რეაგირებს ახალ ფაქტებზე, მით უფრო მნიშ-

ვნელოვანია ცვლილებების ჯამი, მაშასადამე, მით უფრო მეტად სცილდება სისტემა დასახულ მიზნებს;

4. დასწრება – სისტემის უნარი, განჭვრიტოს მოვლენათა შესაძლო განვითარება, ახალი პრობლემების გარჩენა და მათი გადანყვეტისათვის მზადყოფნა.

ამ ცვლილებების შედარებისას დოიჩმა გამოყო რიგი დამოკიდებულებებისა:

– მიზნის მიღწევისას წარმატების შესაძლებლობა ყოველთვის უკუპროპორციულია ინფორმაციული დატვირთვისა და სისტემის რეაქციის დაგვიანებისა;

– გარკვეულ მომენტამდე წარმატების შანსი უკავშირდება ნამატის სიდიდეს, მაგრამ, თუკი ცვლილებების დონე კორექციის შედეგად ძლიერ მაღალია, მაშინ უკუთანაფარდობა იქმნება;

– წარმატების შესაძლებლობა ყოველთვის უკავშირდება დასწრებას, ე.ი. მთავრობის უნარს, ეფექტურად იზინასწარმეტყველოს ახალი პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას და იმოქმედოს დასწრებით.

დოიჩის აზრით, მოდელი საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს პოლიტიკური სისტემების ქმედითობა. ქმედითობის კრიტერიუმად ის თვლიდა პოლიტიკური სისტემების უნარს, „იფუნქციონიროს მეტ-ნაკლებად ეფექტურმა სამართავმა მექანიზმმა“. ასეთი მექანიზმის საფუძველი არის მთავრობის საქმიანობა გადანყვეტილებების მისაღებად, რაც ყალიბდება ინფორმაციის მრავალფეროვანი ნაკადის საფუძველზე. პირობითად გადანყვეტილების მიღების პროცესი შეიძლება დაიყოს რამდენიმე სტადიად. თავდაპირველად ინფორმაციის ნაკადები, რომლებიც შემოდის შიდა და გარე გარემოდან, ფიქსირდება მრავალრიცხოვანი მიმღები ბლოკების მიერ. ისინი ახდენენ ინფორმაციის შერჩევას, მონაცემთა დამუშავებას და კოდირებას. შემდეგ ინფორმაცია შედის ბლოკში „მეხსიერება და ფასეულობები“, სადაც ხდება მისი შედარება უკვე არსებულ გამოცდილებასთან და არსებული შესაძლებლობების შედარება პრიორიტეტულ მიზნებთან. ამავე ბლოკში ხდება ინფორმაციის დაგროვება და შენახვა. დასახული მიზნისკენ პროცესების განვითარების ვარიანტები შემდეგ გადაეცემა გადან-

ყვეტილებათა მიღების ცენტრს. იქ მზადდება გადანყვეტილება, რომელიც შესასრულებლად გადაეცემა აღმასრულებელ ბლოკებს, სხვა სიტყვებით, „ეფექტორებს“. განკარგულებების შესრულების შემდეგ ეფექტორები ინფორმაციას აწვდიან სისტემას გადანყვეტილებათა რეალიზების შედეგებისა და თავად სისტემის მდგომარეობის შესახებ. წინა მოქმედებების რეალური შედეგების თაობაზე ინფორმაციის საფუძველზე მიიღება დასახული მიზნებისაკენ სისტემის მოძრაობის კორექცია. უკუკავშირის პრინციპის შესაბამისად, მონაცემები გადანყვეტილებათა შესრულების თაობაზე უბრუნდება სისტემას ახალი „შესვლის“ სახით და მუშავდება.

დოიჩის მოდელი ყურადღებას აქცევს ინფორმაციის მნიშვნელობას სოციალური სისტემის ცხოვრებაში. რთული კომუნიკაციური სისტემების არსებობის პირობებში ინფორმაცია „მართვის ნერვებია“, რომელთა მოქმედებაც ბევრად განსაზღვრავს ხელისუფლების ეფექტურობას, მაგრამ ის მხედველობიდან უშვებს სხვა ცვლადების მნიშვნელობას, მათ შორის იმათსაც, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ინფორმაციის გადაცემაზე „ზემოდან ქვევით“, და პირიქით. მაგალითად, პოლიტიკური ნება, იდეოლოგიური პოზიცია ასევე გავლენას ახდენს ინფორმაციის შერჩევაზე, გადანყვეტილების მიღების ცენტრებამდე მათი მიტანის წესებზე.

პოლიტიკური ცხოვრების ყველა მონაწილეს შორის ინფორმაციის მუდმივი გაცვლის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პოლიტიკური სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირება. პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემას, რის წყალობითაც ის ცირკულირებს პოლიტიკური სისტემის ერთი ნაწილიდან მეორისაკენ, ასევე პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებს შორის, ეწოდება პოლიტიკური კომუნიკაცია. პოლიტიკურ კომუნიკაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გაცვლას მმართველებსა და მართულებს შორის თანხმობის მიღწევის მიზნით: ერთი მხრივ, მთავრობა კომუნიკაციის მეშვეობით მოსახლეობას აღძრავს, მიიღოს მისი გადანყვეტილებები როგორც სავალდებულო; მეორე მხრივ, მართულები კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით ცდილობენ, გამოსატონ თავიანთი ინტერესები, რათა ხელისუფლებამ გაიგოს მათ შესახებ. ყველაზე ფართო არხია მასობრი-

ვი ინფორმაციის საშუალებები: ბეჭდური (გაზეთები, წიგნები, პლაკატები და ა.შ.) და ელექტრონული (რადიო, ტელევიზია და ა.შ.). გარდა ამისა, კომუნიკაციის საშუალებების სახით გამოდიან პოლიტიკური პარტიები, ზენოლის ჯგუფები, პოლიტიკური კლუბები, ასოციაციები და სხვა ორგანიზაციები. კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ხერხია არაფორმალური (პირადი) კონტაქტები სახელმწიფოების, პარტიების, მოძრაობების ლიდერთა შორის.

ინფორმაციის მოძრაობა პოლიტიკური სისტემის ერთი ნაწილიდან (მაგალითად ელიტიდან) მეორისაკენ (მოქალაქეებისაკენ) დამოკიდებულია თავად საზოგადოების სიმნიფეზე. საზოგადოების სოციოკულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება განსაზღვრავს ინფორმაციის ნაკადის მიმართულებას, მის მოცულობას, მობილურობას, დიფერენცირებულობას. დემოკრატიულ განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკური ინფორმაცია განკუთვნილია მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის, მისი ცირკულირება არ აწყდება ცენზურას, ის ფუნქციონირებს ორმხრივი გაცვლის საფუძველზე: როგორც ლიდერებიდან მოსახლეობისაკენ, ასევე მოქალაქეებიდან ხელისუფლებისაკენ. ტოტალიტარულ და განვითარებად საზოგადოებებში ქარბობს კომუნიკაცია „პირველი პირების“ არაფორმალური კონტაქტების საფუძველზე. თავად ინფორმაცია მნიშვნელოვნადაა დიფერენცირებული მოცულობისა და შინაარსის თვალსაზრისით, იმის მიხედვით, თუ ვინ არის ადრესატი. მასობრივი ინფორმაციის განუვითარებლობა, დამოუკიდებელი პრესის არარსებობა განაპირობებს პოლიტიკური ინფორმაციის დოზირებულ ხასიათს და მოცულობას, სრულ კონტროლს მასზე სახელმწიფოს მხრიდან.

პოლიტიკური სისტემების სხვადასხვა კლასიფიკაცია

პოლიტიკური სისტემის კლასიფიკაციის კლასობრივი პრინციპი

პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციას საფუძვლად შეიძლება დაედოს კლასობრივი პრინციპი, ე.ი., იმის მიხედვით, რომელი კლასის ინტერესებს გამოხატავს პოლიტიკური სისტემა. მსგავსი ტიპოლოგია ახასიათებდა მარქსიზმს, რომლისთვისაც პოლიტიკური სისტემა იარაღი იყო ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ხელში. ამ ნიშნის მიხედვით, მარქსიზმი გამოყოფდა მონათმფლობელურ, ფეოდალურ, კაპიტალისტურ და კომუნისტურ (სოციალისტურ) პოლიტიკურ სისტემებს.

გ. ალმონდის პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგია

დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში საყოველთაოდაა მიღებული გ. ალმონდის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგია. იგი მათ განასხვავებდა პოლიტიკური კულტურის ტიპისა და პოლიტიკური პროცესის მონაწილეთა შორის პოლიტიკური როლების განაწილების მიხედვით. გ. ალმონდმა გამოყო პოლიტიკური სისტემების ოთხი ტიპი:

1. ინგლისურ-ამერიკული;
2. ევროპულ-კონტინენტური;
3. წინაინდუსტრიული და ნაწილობრივინდუსტრიული;
4. ტოტალიტარული.

მთავარი ნაკლი, რის გამოც ზოგიერთი აკრიტიკებს ამ კლასიფიკაციას, არის მისი ამოსავალი დებულება, რომლის თანახმადაც ყველა ტიპის სისტემა ფასდება დასავლურ სისტემებთან მიმართებით.

ინგლისურ-ამერიკული პოლიტიკური სისტემისათვის (აშშ, დიდი ბრიტანეთი) დამახასიათებელია პოლიტიკური პროცესის მონაწილეთა შორის პოლიტიკური როლებისა და ფუნქციების განაწილების მაღალი დონე: სახელმწიფოს, პარტიებს, ინტერესთა

ჯგუფებს და ა.შ. შორის ხელისუფლება და გავლენა განაწილებულია პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა რგოლის სახით. პოლიტიკური სისტემა ფუნქციონირებს ერთგვაროვანი პოლიტიკური კულტურის ფარგლებში, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული ლიბერალური ფასეულობების დაცვაზე: თავისუფლების, უსაფრთხოების, საკუთრების და ა.შ.

ევროპულ-კონტინენტური პოლიტიკური სისტემა (დასავლეთ ევროპის ქვეყნები) განსხვავდებიან პოლიტიკური კულტურის გათიშულობით, ეროვნულ კულტურათა შიგნით საპირისპირო ორიენტაციების, იდეალების, ფასეულობების არსებობით, რაც ახასიათებს ამა თუ იმ კლასს, ეთნოსს, ჯგუფს, პარტიას. ამიტომ პოლიტიკური როლებისა და ფუნქციების განაწილება ხდება არა საზოგადოების მასშტაბით, არამედ კლასის, ჯგუფის, პარტიის და ა.შ. შიგნით. თუმცა სხვადასხვაგვარი სუბკულტურის არსებობა ხელს არ უშლის თანხმობის პოვნას საზოგადოებაში, რადგანაც არსებობს საერთო კულტურული საფუძველი – ლიბერალური ფასეულობები.

წინაინდუსტრიულ და ნაწილობრივ ინდუსტრიულ პოლიტიკურ სისტემებს აქვთ შერეული პოლიტიკური კულტურა. იგი შედგება ადგილობრივი პოლიტიკური სუბკულტურებისაგან, რომელთაც საფუძვლად უდევთ კლანის, გვარის, თემის, ტომის ფასეულობები. ამიტომ თანხმობისა და კომპრომისის პოვნა აქ, ძალადობის გამოყენების გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია. საზოგადოების ინტეგრაცია ძალადობის მეშვეობით იწვევს ხელისუფლების კონცენტრაციას ადამიანთა ვიწრო ჯგუფის ხელში.

ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემები ფუნქციონირებს კლასობრივი, ეროვნული ან რელიგიური ფასეულობების პრიორიტეტის საფუძველზე. ხელისუფლება კონცენტრირებულია მონოპოლიურად მმართველი პარტიის ან ადამიანთა ჯგუფის ხელში, რომელიც აკონტროლებს საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრების ყველა სფეროს.

ამ კლასიფიკაციის თანახმად, საქართველო ისწრაფვის, ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემიდან გადავიდეს, არსებულ

რეალობათა გათვალისწინებით, ევროპულკონტინენტურ პოლიტიკურ სისტემაზე.

პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია მოდერნიზაციის თეორიის ფარგლებში (გ. ალმონდი, დ. პაუელი)

მოდერნიზაციის თეორიის ფარგლებში გ. ალმონდმა და დ. პაუელმა განსაზღვრეს ცვლადები, რომლებიც საფუძვლად უდევს პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციას. ეს ცვლადები აჩვენებს პოლიტიკური სისტემების განვითარების დინამიკას, ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლის შესაძლებლობას. ასეთ ცვლადებად მიჩნეული იქნა:

- პოლიტიკური როლების დიფერენცირება;
- ქვესისტემების დამოუკიდებლობა;
- კულტურის სეკულარიზებულიობა.

სტრუქტურის დიფერენცირება განიხილება პროცესის სახით, რომელშიც როლები იცვლება და ხდება სულ უფრო სპეციალიზებული და დამოუკიდებელი, ან რომლის დროსაც შემოდის როლების ახალი ტიპი ან იქმნება ახალი სტრუქტურები და ქვესისტემები.

ახალი როლები მოითხოვს სტრუქტურულ სპეციალიზაციას, შედარებით დამოუკიდებელი და დიფერენცირებული პოლიტიკური ინსტიტუტების (პარტიები, ზენოლის ჯგუფები და ა.შ.) არსებობას.

როლების დიფერენცირება გულისხმობს კულტურულ სეკულარიზაციას. ალმონდისა და პაუელის თანახმად, სეკულარიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილე ინდივიდი ხდება უფრო რაციონალური, შეუძლია არსებული რეალობის რაციონალურად გაანალიზება და გათვალისწინება.

ამ ინდიკატორების საფუძველზე ალმონდმა და პაუელმა ჩამოაყალიბეს პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყვეს:

პრიმიტიული სისტემები – კულტურის სუსტი სეკულარიზებითა და როლების დიფერენცირებით;

ტრადიციული სისტემები – დიფერენცირებული სამთავრობო სტრუქტურით, თუმცა ფაქტობრივი ხელისუფლება კონცენტრირებულია მონარქის ხელში;

თანამედროვე სისტემები – დიფერენცირებული პოლიტიკური ინფრასტრუქტურით.

ამ ტიპოლოგიამ შესაძლებელი გახადა პოლიტიკური რეჟიმების მთელი მრავალფეროვნების მოცვა, რომლებიც ოდესმე არსებობდნენ, ან დღეს არსებობენ.

ეს კლასიფიკაცია გავრცელდა პოლიტიკური სისტემების ტრადიციულ და მოდერნიზებულ სისტემებად უფრო მარტივ დაყოფაზე, რაც დამოკიდებულია პოლიტიკური ინსტიტუტების როლებისა და ფუნქციების სპეციალიზებაზე.

მოდერნიზებულ სისტემებს აქვთ პოლიტიკური ინსტიტუტების მაღალი სტრუქტურა და ფუნქციური სპეციალიზება. ეს მათ საშუალებას აძლევს, საკმაოდ ეფექტური რეაგირება მოახდინონ სამოქალაქო საზოგადოების მუდმივად ცვალებად ინტერესებზე. ურთიერთობა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის რაციონალიზებულია და რეგულირდება სამართლით.

ტრადიციულ სისტემებში ყველა ფუნქცია პრაქტიკულად კონცენტრირებულია მონარქის, ბელადის ხელში, რომელიც ემყარება ძალადობის ინსტიტუტებს და მოსახლეობაში დამკვიდრებულ ხელისუფლებისადმი მორჩილების ჩვევას.

აღმონდისა და პაუელის სისტემაში შედის პოლიტიკური სისტემების უფრო კერძო კლასიფიკაციაც – დომინირებული პოლიტიკური ორიენტაციის ტიპის მიხედვით, ე.ი. იმ პრინციპების საფუძველზე, რომელთაც ემყარება საზოგადოების სასურველი მოდელი, ესენია:

- რადიკალურ-ავტორიტარული (კომუნისტური სისტემები);
- კონსერვატიულ-ავტორიტარული (ფაშისტური სისტემები);
- ლიბერალურ-დემოკრატიული (დასავლური დემოკრატიები);
- ავტორიტარულ-მოდერნიზებადი (ლათინური ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სისტემები და ა.შ.).

ჟან ბლონდელის კლასიფიკაცია

ფრანგი პოლიტოლოგი ჟან ბლონდელი განასხვავებს პოლიტიკურ სისტემებს მმართველობის შინაარსისა და ფორმების მიხედვით. იგი გამოყოფს მათ ხუთ ძირითად სახესხვაობას:

1. **ლიბერალურ დემოკრატიებს**, რომლებშიც პოლიტიკურ გადანწყვეტილებათა მიღება ორიენტირებულია ინდივიდუალიზმის, თავისუფლების, საკუთრების ფასეულობებზე;

2. **კომუნისტური სისტემები**, ანუ ავტორიტარულ-რადიკალური, ორიენტირებული თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის ფასეულობებზე;

3. **ტრადიციული პოლიტიკური სისტემები**, რომლებიც ეყრდნობიან მმართველობის ოლიგარქიულ ფორმებს და ორიენტირებულნი არიან ეკონომიკური რესურსებისა და სოციალური სტატუსების უთანასწორო განაწილებაზე;

4. **პოპულისტური პოლიტიკური სისტემები**, რომლებიც ჭარბობენ განვითარებად ქვეყნებში; ისინი იყენებენ მმართველობის ავტორიტარულ მეთოდებს და ესწრაფვიან მეტ თანასწორობას ფასეულობათა განაწილებაში;

5. **ავტორიტარულ-კონსერვატიული პოლიტიკური სისტემები**, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის, მოსახლეობის პოლიტიკური მონაწილეობის შეზღუდვას.

ძირითადი ცნებები

სისტემა – (ბერძნ. მთლიანობა, რომელიც ნაწილებისგან შედგება). ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ელემენტების სიმრავლე, რომლებიც მთლიანობას ქმნიან. ნებისმიერი სისტემა ახალი თვისებრიობაა, რომელიც მის შემადგენელ ელემენტებზე არ დაიყვანება. სისტემური მიდგომის თანახმად, ყოველი სისტემა შეიძლება განვიხილოთ როგორც ქვესისტემა, ე. ი. სხვა უფრო მაღალი დონის სისტემის ელემენტად.

ობიექტის წარმოდგენა სისტემის სახით მოითხოვს მხოლოდ იმ ელემენტების გამოყოფას, რომლებიც, ერთი მხრივ, აუცილებელია ამ ობიექტის მიერ გარკვეული ფუნქციური ამოცანების შესასრულებლად და მისი სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

ქვესისტემა

სისტემის შედარებით უფრო რთული ელემენტი, რომელსაც თავისი სტრუქტურა აქვს და უფრო მარტივი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობაა.

სტრუქტურა

სისტემის ელემენტებს შორის მონესრიგებული მდგრადი კავშირების ქსელი, განპირობებული ელემენტების ფუნქციების მრავალფეროვნებით, განსაკუთრებით მათი როლით სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაში. სტრუქტურა სისტემის უმნიშვნელოვანესი თვისებაა, რადგანაც აჩვენებს თავისი ელემენტების ორგანიზაციულ და ფუნქციურ თანაფარდობას.

ელემენტი

სისტემის ყველაზე მარტივი ნაწილი (კომპონენტი), იმ შემთხვევაში, თუკი ელემენტს თავისი სტრუქტურა აქვს, ე.ი. არის მასზე უფრო მარტივი ელემენტების ერთობლიობა. ეს ელემენტი შეიძლება ქვესისტემის სახით იქნეს განხილული.

გარემო

ერთობლიობა გარე და შიდა ფაქტორებისა, რომლებიც მუდმივად ურთიერთქმედებენ სისტემასთან, განსაზღვრავენ მის ფორმას და ფუნქციონირების პირობებს. ასეთი ურთიერთქმედება ყალიბდება არა მხოლოდ გარემოს ცალმხრივი ზეგავლენით სისტემაზე, არამედ, ასევე, სისტემის ზემოქმედებით გარემოს ფაქტორების შეცვლით. განასხვავებენ გარე და შიდა გარემოს.

ფუნქცია

1) სისტემის ამა თუ იმ ელემენტის როლი მისი, როგორც მთლიანობის, ორგანიზებაში; 2) ერთობლიობა მოქმედებებისა („მოვალეობები“), რომელთაც ასრულებს სისტემის ელემენტი სტრუქტურაში მისი მდგომარეობის შესაბამისად; 3) ელემენტების

პოზიტიური რეაქცია, რომელიც მიმართულია სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად (განსხვავებით დისფუნქციისაგან) და არის პასუხი გარე და შიდა გარემოს სხვადასხვა ზეგავლენაზე.

სისტემათა თეორიაში ფუნქცია გულისხმობს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც მიმართულია მდგრად მდგომარეობაში სისტემის შესანარჩუნებლად და მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

პოლიტიკური სისტემა

ადამიანთა ურთიერთკავშირების მდგრადი ფორმა, რომლის მეშვეობითაც მიიღება გადანყვეტილებები და ხორციელდება ხელისუფლებითი ურთიერთობები ამა თუ იმ საზოგადოებაში.

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა

სახელმწიფოების ურთიერთქმედება გლობალურ დონეზე, თავისი გეოგრაფიული (მაგალითად, დასავლეთ ევროპა), ნაციონალური და ორგანიზაციული (გაერო, ნატო და ა.შ.) მახასიათებლებით.

სისტემის ქცევა

გარემოსთან ურთიერთქმედებაში ვლინდება სისტემის ქცევა, რაც შეიძლება იყოს: 1) რეაქტიული, როდესაც ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გარემოა; 2) ადაპტაციური, ე. ი., შემგუებლური სისტემის მხრიდან; 3) აქტიური, თუკი სისტემა მიზანმიმართულად ცდილობს გარემოს შეცვლას. სისტემის ქცევის (ფუნქციონირების) ტიპი განპირობებულია მისი შინაგანი თვისებებით და ელემენტებს შორის კავშირების ხასიათით.

სისტემის ურთიერთქმედება გარემოსთან დამოკიდებულია იმაზე, სისტემა ღიაა თუ დახურული. ღია სისტემა ახორციელებს სხვადასხვა ურთიერთქმედებას და გაცვლას გარემოსთან, დახურული – არა.

„შავი ყუთი“

ამ ტერმინით აღინიშნება სისტემები, რომელთა სტრუქტურა და შიდა პროცესები ძალზე რთულია, ან საერთოდ უცნობია.

ასეთი სისტემების შესწავლის მეთოდი ემყარება მათი რეაქციის შესწავლას ცნობილ შემთავებელ ზემოქმედებაზე.

ძირითადი ცნებები

პოლიტიკური სისტემა	სისტემური მიდგომა პოლიტიკისადმი
პოლიტიკური რეჟიმი	პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა
პოლიტიკური სისტემის ფუნქციები	პოლიტიკური სისტემის ტიპები
პოლიტიკური სისტემის ეფექტურობა	პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა

კითხვები:

1. როგორია სისტემური მიდგომის არსი?
2. რატომ შემოიტანეს პოლიტიკური სისტემის ცნება პოლიტიკურ მეცნიერებაში?
3. ვინ არის პოლიტიკურ მეცნიერებაში სისტემური მიდგომის ფუძემდებელი?
4. რას ეწოდება პოლიტიკური სისტემა?
5. რომელი პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან შედგება საზოგადოების პოლიტიკური სისტემა?
6. რატომ ითვლება სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის ძირითად ინსტიტუტად?
5. რით განსხვავდება პოლიტიკური სისტემა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციისგან?
6. როგორ ხორციელდება სისტემის გარემოსთან ურთიერთქმედება?
7. რა მიმართებაა პოლიტიკურ სისტემასა და პოლიტიკურ რეჟიმს შორის?
8. რომელი ქვესისტემებისგან შედგება პოლიტიკური სისტემა?

9. რა ფუნქციებს ასრულებას პოლიტიკური სისტემა?
10. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების დონეები,
11. პოლიტიკური სისტემის რა ტიპოლოგიები არსებობს?
12. თქვენი აზრით, რა ტიპის პოლიტიკური სისტემები არსებობდა საქართველოში?
13. როგორ დაახასიათებთ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ სისტემას პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგიების გავალისწინებით?
14. რა განსაზღვრავს პოლიტიკური სისტემის ეფექტურობას?
15. რაზეა დამოკიდებული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა?

დავალება:

იმსჯელეთ, რამდენად ეფექტური და სტაბილურია საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური სისტემა.

როგორ შევისწავლოთ პოლიტიკური სისტემა

ალმონდისა და ვერბას ცნობილ ნიგნში – „სამოქალაქო კულტურა“ (1965) – ალმონდი წერდა, რომ პოლიტიკური სისტემების ანალიზისა და, მით უმეტეს, მათი შედარებისათვის საჭიროა პასუხის გაცემა შემდეგ კითხვებზე:

1. რა იცის ადამიანმა თავისი ერისა და პოლიტიკური სისტემის შესახებ საერთოდ, მის ისტორიაზე, მდგრადობაზე, კონსტიტუციურ პარამეტრებზე და ა.შ.? რა გრძნობები აქვს ამ სისტემური მახასიათებლების მიმართ? როგორია მისი შეხედულებები და განსჯა ამ საკითხებთან დაკავშირებით?

2. რა წარმოდგენები აქვს ადამიანს მრავალფეროვანი ელიტის სტრუქტურასა და როლებზე, ასევე წინადადებების, ინიციატივების თაობაზე, რაც ჩართულია პოლიტიკის შემუშავებაში? რა გრძნობები და შეხედულებები აქვს ამ სტრუქტურებისა და ლიდერების შესახებ?

3. რა იცის ადამიანმა პოლიტიკური იძულების შესახებ, ამ პროცესში ჩართული სტრუქტურების, ადამიანებისა და გადა-

წყვეტილებების შესახებ? რას გრძნობს ადამიანი და რა აზრისაა მათ შესახებ?

4. როგორ აცნობიერებს თავს ადამიანი პოლიტიკური სისტემის წევრის სახით? იცის თუ არა თავისი უფლებების, ვალდებულებების, შესაძლებლობების შესახებ და აცნობიერებს თუ არა, რომ შეუძლია სისტემაზე გავლენის მოხდენა? როგორ აღიქვამს თავის შესაძლებლობებს? მონაწილეობის რა ნორმები აქვს შეთვისებული და იყენებს თუ არა მათ პოლიტიკური მსჯელობებისა და შეხედულებების ჩამოყალიბებისას?

ამ კითხვებზე პასუხი გვიჩვენებს ერის პოლიტიკური კულტურის სახეს. აღმონდის აზრით, სწორედ პოლიტიკური კულტურა, საბოლოოდ, განაპირობებს პოლიტიკური სისტემის მოქმედებას, მის ქცევას დროსა და სივრცეში.

თემა II. საქართველოს პოლიტიკური სისტემის ისტორიული განვითარება

შესავალი

სულ ცოტა, 23-საუკუნოვანი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ისტორიულ განვითარებაზე სრულყოფილი საუბარი ერთი თავის ფარგლებში შეუძლებელია. შემოვიფარგლებით მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირების სათავეების, ერთიანი ქართული სამეფოს (XI–XV სს.) პოლიტიკური სისტემისა და XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური სისტემის აღწერით.

ამ თავში განვიხილავთ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ საფუძვლებს: როგორ ჩამოყალიბდა საქართველო, როგორ ფორმირდება საერთოეროვნული ცნობიერება, როგორ მოხდა ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაცია – ეს ის სამი ძირითადი საყრდენია, რომელთა საფუძველზეც საქართველო ჩამოყალიბდა როგორც ერი – სახელმწიფო.

ამავე დროს, სათანადო ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიაში შემაფერხებელი ფაქტორები და ხანგრძლივი წყვეტა იყო. როდესაც საქართველოს პოლიტიკური სისტემის ისტორიულ განვითარებაზე ვსაუბრობთ, სწორედ ამ გარემოებაზე გვინდა ყურადღების გამახვილება. XII საუკუნის ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების აღწერასთან ერთად, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ შემდგომმა ისტორიულმა ძნელებლობამ საქართველოს ბუნებრივი განვითარება შეაფერხა და სხვა გზით წაიყვანა.

XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების აღწერა გვიჩვენებს, თუ როგორ დიდი განსხვავებაა ერთიანი საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ინსტიტუტე-

ბისაგან, როგორ დიდია ქართლ-კახეთის სამეფოს ინსტიტუტებზე იმდროინდელი ირანის გავლენა. მაგრამ, ამავე დროს, დაიწყო ევროპეიზაციის პროცესი, ევროპული ინსტიტუტების დამკვიდრებისა და რეფორმების განხორციელების მცდელობა. ეროვნულ ნიადაგზე მიმდინარე ეს პროცესი შეწყვიტა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ და ანექსიამ. თავის მხრივ, რუსეთის იმპერია თავად იდგა ევროპეიზაციის გზაზე და ეს პროცესიც მახინჯი ფორმით ხორციელდებოდა საქართველოში.

XIX საუკუნეში საქართველო აღმოჩნდა ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი, XX საუკუნეში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. დიდი ხნის განმავლობაში **საკუთარი სახელმწიფოებრიობის არქონა საზოგადოებაში სახელმწიფოსგან გაუცხოებას იწვევს, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მრავალი უარყოფითი პრობლემის სახით უბრუნდება ქვეყანას და ხელს უშლის სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეს.**

1918–1921 წლების პერიოდს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველომ მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოახერხა. როგორც ვხედავთ, ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია სამ ათეულ წელსაც არ შეადგენს. **ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის პროცესი –** ეს ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არაა გარკვეული, თუ რა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები იქნება საქართველოში და რა უფლებამოსილებით, როგორი იქნება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, მოსანესრიგებელია კონფლიქტები და ა. შ. ჩვენ დღეს გვიხდება იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებიც დიდი ხანია, გადანეციტა, მაგალითად, ევროპის მრავალმა ქვეყანამ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც იმ ქვეყნების რიცხვია მცირე, რომელთა წინაშეც საქართველოს მსგავსი ამოცანები დგას სახელმწიფოებრივი მშენებლობის თვალსაზრისით.

1. სახელმწიფოს ჩამოყალიბება საქართველოში

1.1. პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარება

საქართველოში პოლიტოგენეზის პროცესის მიმდინარეობის შესახებ საინტერესო კონცეფცია აქვს ჩამოყალიბებული ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, ნ. ბერძენიშვილს. სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება მან ვერ მოასწრო და ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ მონახაზი პოლიტოგენეზის პროცესისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული ნაშრომისა.

ნ. ბერძენიშვილის კონცეფციის თანახმად, ნეოლითის ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანები ტოვებენ მღვიმეებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდნენ თავშესაფრის როლს და სახლდებიან ღია, მაგრამ შემალღებულ და ძნელად მისადგომ ადგილებზე – იწყება „გორების ეპოქა“. ეს ცვლილება განაპირობა სამეურნეო საქმეების ახალი დარგების – მესაქონლეობისა და მემინდვრეობის – განვითარებამ. ამ პერიოდში სოციალური ტერმინი ადამიანთა საზოგადოების ერთობის აღსანიშნავად „გორი“ (გვარი) და „სახლი“ (ციხე) გვაქვს. ეს იმის მოწმობაა, რომ ეს ერთობლიობა საგვარეულო წყობაა.¹ მღვიმიდან გამოსვლის შემდეგ გვარი ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა – გორაზე, სადაც ჰქონდა სიმაგრე და იქ თავისი უმთავრესი სიმდიდრე – საქონელი ედგა. წარმოების განვითარებამ გორი მოშალა. გორის ახლოს თანდათანობით წარმოიშვა მცირე დასახლებები – დაბები. ეს მინაზე კერძო საკუთრების წარმოშობის ნინაპირობაა. გორი ერთ მტკიცე ერთეულად ცხოვრებას ნიშნავს, დაბა კი დაშლის გზაზე შემდგარი გორია.²

დაბა-სოფლები ჩნდება, მაგრამ ისინი თავდაპირველ გორთან კავშირს არ წყვეტენ. მათ აერთიანებთ თავდაცვის საკითხი, წყალი, საერთო სალოცავი. გაძლიერებული და გამრავლებული გვარის ადგილსამყოფელი ხევია. თავს ერთობლივად იცავს ხევი ან

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 34.

² იქვე, გვ. 36-37.

ხევთა კავშირი, რომელიც რელიგიურად დაკავშირებულია იმ ძველ გორასთან. შესაძლებელია, ეს გორა მთელი ხევის მთავარი სიმაგრეც იყოს, მაგრამ ეს სავალდებულო არაა და ხევის ციხე-სიმაგრე შეიძლება სხვაგანაც გაშენდეს, სადაც უფრო მოსახერხებელი იქნება.

ტერმინი „ციხე“ ძირეული ქართული სიტყვაა და ნიშნავს იმ პირველ ნაგებობას გორაზე, რომელიც ადამიანმა თავშესაფრად გაიკეთა. ციხე შეიძლება „თიხას“ უკავშირდებოდეს. ციხე თიხისაგან იყო „ზღუდე“, ციხე ხისაგან – „ჯიხა“, „ჯიხური“. დაბების წარმოქმნა და ციხის გამოყოფა საცხოვრებლისაგან საზოგადოების განვითარებაზე მიანიშნებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც გვარების ნაცვლად იქმნება გვართა კავშირები – ტომები. ჩნდება ციხე – ე.ი., განსაკუთრებული გამაგრებული პუნქტი. ციხესთან გარკვეულ დამოკიდებულებაში ექცევა მის გარშემო არსებული დაბები (გვაროვნული ერთეულები). თავიდან ციხე არაფრით ზღუდავს დაბებს. ციხე მხოლოდ თავდასაცავი პუნქტია და საკულტო ადგილი, სადაც არის ამ დაბების საერთო სალოცავი (რა თქმა უნდა, თითოეულ დაბას, გვარს თავისი კერძო სალოცავი აქვს).

საერთო სალოცავის მესვეური („მოურავი“), ბუნებრივია, ამ საერთო თავდასაცავის „მოურავიც“ უნდა იყოს. თანდათან ისახება გვარი („ფენა“, „კლასი“) განსაკუთრებული ფუნქციით, ისახება არისტოკრატია. მოგვიანებით „ამ ციხის მოურავ გვარს თანდათან გვერდში ამოუდგება ცალკე დაბებიდან გამოსულებიც“¹.

გორათა „შეკავშირება“, უფრო სწორად, სინამდვილეში, ურთიერთის დამორჩილება, დაქვემდებარება, გაერთიანებაა. ძლიერი გვარის (გორის) გამოყოფა ამ გვარის მეთაურის დანიინაურებაა. ასეთი გვარის ადგილსამყოფელი – ციხე-სიმაგრე – თანდათან პოლიტიკური ცენტრი ხდება, სადაც ამ გვარის მეთაური იმყოფება.

ასეთი ციხე, გვარის თავდაცვასთან ერთად, გვარის წევრებსა და სხვა სუსტ გვარებზე გაბატონების მომენტის შემცველიც ხდება. შემდგომში გვარები, საბოლოოდ, იშლებიან და სოციალური ფენები ყალიბდებიან. წარმოიქმნება ციხედიდები, დედაციხეები,

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 29.

უფლისციხეები. დედაციხის – მთავარი ციხის ცნება გულისხმობს სხვა ციხეების გარკვეულ დამოკიდებულებას მასთან.

შემდგომში ციხე ფეოდალის საკუთრება და მისი ადგილსამყოფელი ხდება. გარშემო მოსახლეობა ციხის ქვეშევრდომად იქცევა. გარკვეულ ტერიტორიაზე გარშემო ციხეები ისპობა და ერთი ციხე (ციხისთავით) რჩება. ციხეში მოხელე-ფეოდალი ჯდება.

ხევი სოციალურად ე.წ. „სამხედრო დემოკრატიის“ ხანაა. „ხევი“ იმთავითვე ბუნებრივად შემოსაზღვრული მიწა-წყალი იყო. ხეობაში შეიძლება შედიოდნენ კიდეც ხევეები, მაგრამ ხევეში არ შედიოდნენ ხეობები. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, არაა იმის მონაცემები, რომ ყოველ ხევს ხელისუფალი ჰყავდა და ყოველ ხევს თავისი ციხე ჰქონდა, სადაც ეს ხევისუფალი იჯდა.

ხევეების გაერთიანებას ისევ „ხევი“ უნდა სწოდებოდა, მაგრამ შემოეშველა მეორე ტერმინი – „ქვეყანა“, რომელმაც ახალი შინაარსი იტვირთა. ხევეების სისტემის შემდგომი განვითარება უკვე ქვეყანაა. ხევმა, როგორც დამოუკიდებელმა ერთეულმა, დაკარგა მნიშვნელობა უფრო ფართო გაერთიანებაში. რამდენიმე ხევი ერთ ქვეყანად იქცა. ამ დროს ცენტრი უკვე ქალაქია, ხოლო პოლიტიკური უფლება ერისთავის ხელში გადადის. ერისთავი უკვე სამხედრო დემოკრატიის ხანაშივე ჩნდება და შემდეგ ხანაში უფლებას მიიტაცებს – მეუფე ხდება.

განვითარების გარკვეულ საფეხურზე (სამხედრო დემოკრატიის ხანა) ხევისუფალს ემეტოქება „ერისთავი“. ხევისუფალი „ერისთავდება“, რამდენიმე გაერთიანებული ხევის – „ერის“ (სამხედრო ძალების) სათავეში მოექცევა და ახლად წარმოშობილი სახელმწიფო (სამხედრო ტერიტორიული) მოხელე ხდება. ასე რომ, ხევი საზოგადოებრივი განვითარების უძველესი ერთეულია, ხევისუფალი წინ უსწრებს ერისთავს.

სამხედრო დემოკრატიის დროს ერისთავი, შეიძლება, თავდაპირველად არჩევითიც კი იყო, მისი პოლიტიკური უფლება მცირე უნდა ყოფილიყო. შემდეგ, ახალ ვითარებაში ის თანდათან ძლიერდება და მეფის სახელს მიითვისებს (მეუფე ერისთავი?), მაგრამ ახალი შინაარსით. არჩევითობის მომენტი შეიძლება რჩება, მაგრამ შევიწროებული – ერთ სახლში...

ნ. ბერძენიშვილის სქემის თანახმად, გამოდის, რომ სახელმწიფოს წარმოქმნას წინ უსწრებდა საერისთავოების (ხევების გაერთიანებისა და ამ გაერთიანების სამხედრო მეთაურის – ერისთავის) წარმოქმნა. ესენი, თითოეული, უკვე სახელმწიფოს ჩანასახი იყო. ასეთ ვითარებაში დაწინაურებული სხვაზე ძლიერი საერისთავო სხვა ასეთივე საერისთავოების გამაერთიანებლის (დამპყრობლის) როლში გამოდის.

სახელმწიფო წყობილება ხევებში შემზადდა. მაგრამ ეს პროცესი ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს საერისთავოები სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და ისინი შემდეგ ერთმა რომელიმე საერისთავომ შეკრიბა. ეს ყოველივე ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. სამეფოს გაჩენა და საერისთავოების შექმნა ერთი დროის მოვლენებია. ხევების თითოეული გაერთიანება იჩენს სახელმწიფოდ გადაქცევის ტენდენციას. ყველაზე დაწინაურებული გაერთიანება სახელმწიფოდ ყალიბდება. ის იმორჩილებს სხვა ერთეულებს და ერისთავებს ეხმარება ჯერ კიდევ თემურ ხევთა გაერთიანებაზე გამარჯვებაში. ამიტომ ერისთავს სახელმწიფო სჭირდება, მაგრამ თავისი ქვეყნის „ტრადიციასაც“ უფრო ხილდება.

მცხეთა-ქართლის მეუფე მამასახლისის (მეფის) ხელისუფლება გავრცელდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც „ქართლი“ ეწოდა მთლიანად.

1.2. უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები

უძველესი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებებია დიაოხი და კოლხა, რომელთა შესახებ ცნობები მოგვეპოვება ძვ. წ.-ის XIII–VIII სს.-თა ასურულ და ურარტულ ლურსმნულ წარწერებში.

ძვ. წ.-ის XIII ს.-ის ასურეთი ანადგურებს მითანის სამეფოს და იწყებს მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიების ათვისებას. აქ მას უპირისპირდება მრავალი მცირე გაერთიანება, რომელთაც მჭიდრო კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან და მტერს გაერთიანებული ძალით ხვდებიან.

ძვ. წ.-ის XII–XI სს.-თა მიჯნაზე ასურეთი ჩრდილოეთის მიმართულებით ებრძვის „ნაირის ქვეყნებს“ – პოლიტიკური ერთეულებ-

ის კავშირს. მათ შორის ყველაზე ძლიერი „დიაოხი“, ან როგორც მას ასურელები უწოდებდნენ, „დაიაენი“ იყო.

პირველად დაიაენი ნახსენებია ძვ. წ.-ის 1112 წელს ტიგლათ-ფილესერ I-ის (1115–1077) წარწერაში, რომელმაც ილაშქრა და ბრძოლა გაუმართა „ნაირის ქვეყნების 60 მეფეს“. ამ მეფეთაგან ცალკე ასახელებს მხოლოდ ერთს – „სიენი, მეფე დაიაენის ქვეყნი-სა“. დაიაენი ნაირის ქვეყნების ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე-ობდა და სათავეში ედგა ნაირის ქვეყნების კოალიციას. დაიაენის გავლენა უფრო ჩრდილოეთისკენაც ვრცელდება.

ტიგლათფილესერი ერთ-ერთ წარწერაში თავს უწოდებს „ნა-ირის ქვეყნის“ დამპყრობელს თუმედან ვიდრე დაიაენიმდე, (აგ-რეთვე) კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე“. ძვ.წ.-ის XII–XI სს.-ში არსებობს მონაცემები კოლხეთის ბრძოლა-ზეც ასურეთის წინააღმდეგ. შემდგომში ასე შორს ასურეთის მე-ფეებს აღარ ულაშქრიათ.

საყურადღებოა „მეფეთა“ სიმრავლე. თუქულთი-ნინურტა I ლაპარაკობს ნაირისა და ზემოზღვისპირა 40 მეფეზე, ტიგლათფი-ლესერ I იხსენიებს ამ მხრიდან მოსულ 60 მეფეს. სავარაუდოა, რომ ამ დროს მყარი ტომთა კავშირიც არ ყოფილიყო, მაგრამ გან-ვითარება ამ მიმართულებით მიდიოდა. ძვ.წ.-ის VIII ს.-ის შუა ხა-ნებში, როდესაც კოლხასთან ბრძოლა უხდება ურარტუს ძლიერ სახელმწიფოს, იგი უკვე ერთიანი პოლიტიკური ერთეულია „მე-ფით“, „სამეფო ქალაქებით“, პროვინციის გამგებელი მეფისნაც-ვლებით და ა.შ. ეს ცვლილებები ძვ. წ.-ის XI–IX საუკუნეებშია მო-სალოდნელი, როდესაც კილხა (კოლხეთი) გადაიქცა მძლავრ და დიდ გაერთიანებად.

არგონავტების ძველბერძნულ თქმულებაში სწორედ ამ ძველი კოლხეთის სამეფოს დიდება და ძლიერებაა ასახული. ძვ.წ.-ის I ათ-ასწლეულის პირველი საუკუნეები ხელსაყრელი პერიოდი იყო დი-აოხისა და კოლხას განვითარებისათვის. ამიერკავკასიის სამხრე-თით აღარ არსებობდა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მათ დაპყ-რობის მცდელობებით შეაწუხებდა. მაგრამ ვითარება მალე შეიც-ვალა – ძვ. წ. IX ს.-ის ასურეთმა განაახლა ჩრდილოეთის ლაშქრო-ბები, შემდეგ კი კიდევ უფრო ახლოს ჩამოყალიბდა ურარტუს ძლიერი სახელმწიფო.

დიაოხი ცდილობს ასურეთის გამოყენებას ურარტუს წინააღმდეგ. ძვ.წ.-ის 845 წელს, როცა ასურეთის მეფე სალმანასარ III-მ დალაშქრა ურარტუ, დიაოხის მეფე ასია გამოცხადდა მასთან და მორჩილება გამოუცხადა. მაგრამ ურარტუმ შემდგომში ასურეთს საერთოდ გადაუკეტა ჩრდილოეთისკენ ლაშქრობის შესაძლებლობა. დიაოხი ძლიერი ურარტუს პირისპირ დარჩა, რომლის მეფეებიც, პირველ რიგში, დიაოხის განადგურებას ცდილობდნენ.

მეფე მენუა დიაოხის ქვეყანას „ძლევამოსილს“ უწოდებს. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მტრული ქვეყანა ურარტულ წარწერებში ასეთი განმადიდებელი ეპითეტით მოიხსენიება. უკანასკნელი ცნობა დიაოხზე ურარტულ წარწერებში არგიშთის მეფობის მე-19 წელს – ძვ.წ.-ის 768 წელს განეკუთვნება.

რა სახის გაერთიანება იყო დიაოხი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას სათანადო მასალის არქონა აძნელებს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ დიაოხი უკვე სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა, ანდა სახელმწიფოდ გადაქცევის ზღურბლზე იმყოფებოდა. დიაოხის სათავეში ყოველთვის ერთი პირი ჩანს, რომელსაც ასურულსა და ურარტულ წარწერებში „მეფედ“ იხსენიებენ. ანუ მათ შესაძლებლად მიაჩნიათ ამ ტიტულის გამოყენება მონინააღმდეგე ერთეულის სათავეში მყოფი პირის დასახასიათებლად. შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ხეთურ წყაროებში ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები მთიელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს სუვერენიტეტის მატარებლად ფიგურირებენ „ხალხი“ და „უხუცესები“.

1.3. ქართული წყაროები ქართლის სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

„ქართლის ცხოვრება“ ასახელებს ქართლის სამეფოს შექმნის კონკრეტულ თარიღს ძვ. წ.-ის 284 წელს, საიდანაც იწყება კიდევ ქართული წელთაღრიცხვა, ქართული ქორონიკონი. თუმცა ქართული წყაროები ქართლის სამეფოს შექმნის განსხვავებულ ვერსიებს გვაძლევენ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის დაპყრობის შემდეგ (ცნობა ლეგენდარულია) მცხეთაში მმართველად დატოვა არიან-ქართლის მეფის ძე აზო. ეს უკანასკნელი წავიდა მამის სამეფო არიან ქართლში, წამოიყვანა იქიდან რვა სახლი (ე.ი. გვარი), მამამძუძეთა (ალმზრდელთა) ათი სახლი და დაასახლა ისინი „ძველ მცხეთას“. „წმ. ნინოს ცხოვრების“ ახალი რედაქციის ავტორი არსენ ბერი (XII ს.) ამბობს, რომ აზომ არიან-ქართლიდან მოიყვანა ათასი სახლი „მდაბიოჲ უფლისაჲ“ და ათი სახლი „მთავართაგან“. აზომ მოიტანა იქიდან, აგრეთვე, ღმერთების – გაცისა და გას – კერპები.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის დროს მოხდა ქართველთა გადმოსახლება არიან-ქართლიდან. მანამდე აქ ცხოვრობდნენ მხეცისმაგვარი ბუნ-თურქები („თავდაპირველი თურქები“), ჰონები (ჰუნები) და სხვ. აზო იყო პირველი მეფე მცხეთაში. მისი სიკვდილის შემდეგ გამეფდა ფარნავაზი.

„ქართლის ცხოვრებაში“ სხვა ვერსიაა მოცემული. ქართველები – ლეგენდარული ქართლოსის შთამომავლები – ქართლში უძველესი ხანიდან სახლობენ და უარყოფილია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ვერსია არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ. „ქართლის ცხოვრება“ ამ კონცეფციას არ იღებს. აზო დამპყრობელია, რომელსაც „ასი ათასი რომაელი“ მოჰყავს, იგი საშინლად ავიწროებს ქართლოსიანებს. აზოს წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში უდგება ფარნავაზი – მცხეთის მამასახლის სამარას ძმისწული, დედით სპარსელი. როგორც სამარა, ისე მისი ძმა მაკედონელთან ბრძოლაში დაიღუპნენ.

ფარნავაზი ოსებსა და ლეკებს იმხრობს, მის მხარეზე გადადის აზოს მიერ მოყვანილი „რომაელების“ (ბერძნების) ლაშქრიდან ათასი რჩეული მეომარიც. აზოს „საბერძნეთი“ (პონტოს სამეფო) ეხმარება, ფარნავაზს – ასურისტანის მეფე ანტიოქოსი (ე.ი. სელევკიდების სამეფო). აზო ბრძოლაში იღუპება.

რა არის ამ ცნობაში ასახული? ქართლის სამეფო ჩამოყალიბდა ქართლის ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის გააფთრებულ ბრძოლაში. უკანასკნელ ეტაპზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მცხეთის ხელისუფალი და არიან-ქართლის ხე-

ლისუფალი, რომელსაც ზურგს, როგორც ჩანს, ბერძნები (პონტოს სამეფო) უმაგრებენ.

არიან-ქართლში, ბუნებრივია, სპარსული (ე.ი. არიანული) ქართლი უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობდა. „არიან-ქართლიდან“ ქართველთა გადმოსახლებაში შეიძლება მესხების გადმოსახლების ფაქტი აირეკლა.

ქართლის სამეფოს სანყისად კი ძველი ქართული ტრადიცია უცილობლად იმ მომენტს მიიჩნევს, როდესაც საკუთრივ მცხეთა გახდა გაერთიანებული ქართლის დედაქალაქი.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ფარნავაზმა მოაწყო სამეფო „სპარსთა სამეფოს მსგავსად“, დაჰყო რვა საერისთავოდ და ცენტრალური ოლქის (შიდა ქართლის) მმართველობა მთავარსარდალს (სპასპეტს) მიანდო. ფარნავაზი – ქართლის სამეფოს დინასტიის ფუძემდებელია. ქართლის სამეფოს საგვარეულო წევრები „ფარნავაზიანებად“ იწოდებიან.

2. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა XI–XV საუკუნეებში

დავით აღმაშენებელმა (1089–1125) საქართველო ძნელბედობისაგან იხსნა და აღმავლობის გზაზე დააყენა, რაც შემდეგი მეფეების დროსაც გაგრძელდა. საქართველო წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. ისეთი ვრცელი სახელმწიფოს მართვას, როგორც იყო საქართველოს სამეფო XII საუკუნეში, დიდი და რთული ადმინისტრაციული მექანიზმი სჭირდებოდა.

XII საუკუნეში საქართველოს მონარქია – „ყოველი საქართველო“ – გასცდა ქართული ეთნოსის განსახლების ფარგლებს და მოიცვა თითქმის მთელი კავკასია, როგორც მაშინ ამბობდნენ, – „ნიკოფსით დარუბანდამდე“. ეს მონარქია სხვადასხვა ტერიტორიულ ფარგლებში არსებობდა XI–XV საუკუნეებში. ეს იყო ცენტრალიზებული (ე. ი. უნიტარული) მონარქია.

ერთიანმა ქართულმა სახელმწიფომ დიდი როლი შეასრულა ერთიანი ქართველი ეროვნების (ხალხის) ჩამოყალიბებაში.¹ ერთიანი ქართული სამეფოს არსებობის პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა „საქართველოს“ ცნება.² ერთიანობის მკაფიოდ შემუშავებული შეგნება არ გამქრალა შემდეგშიც, საქართველოს ძნელბედობის ხანაშიც. ამის მკაფიო მაჩვენებელია ქართული კულტურის ერთიანობა, ქართული მნიგნობრობისა და ხელოვნების შეძლებისდაგვარად შენარჩუნება და განვითარება მძაფრი პოლიტიკური გათიშულობის დროსაც.³ საქართველოს ერთიანობის იდეის შენარჩუნებაზე მეტყველებს ახალი რეალობის ამსახველი ტერმინის – „საქართველოების“ – გაჩენაც. „საქართველოების“ ერთიანობის შეგრძნება კარგად ჩანს დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში.⁴

„დავითისა და თამარის საქართველოსთან“ აპელირება ხდება საქართველოს მთელი შემდგომი ისტორიის განმავლობაში. ეს იყო ქართული ეროვნული სიამაყის მნიშვნელოვანი დასაყრდენი, ეროვნული გამძლეობის საფუძველი. შემდგომ პერიოდში ქართული სამეფო-სამთავროები ცდილობდნენ, თავიანთი წყობა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შესაბამისად აეგოთ. დღესაც საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის შექმნის იდეა ვერ

¹ გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 128-129.

² საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ X საუკუნეში გიორგი მერჩულის პირით პირველად შემოდის და განისაზღვრება ცნება „საქართველო“, „ქართლი“: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ (ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1949, გვ. 97). საქართველო არის ის ტერიტორია, რომელზეც ღვთისმსახურება ქართულად სრულდება. „ფრიადი“ ნიშნავს „მრავალს“, ე. ი. მრავალი კუთხიდან არის შემდგარი დიდი „ქართლი“, ანუ საქართველო.

³ ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, სოხუმი, 1946, გვ. 34-36.

⁴ ე. ხოშტარია, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში, მრავალთავი, ტ. 6, თბ., 1978.

წარმოიშობოდა ჩვენს ქვეყანაში მეფობის ხანგრძლივი ისტორიის გარეშე.

2.1. მეფე

საქართველოს სახელმწიფოს განაგებდა მეფე – ერთპიროვნული გამგებელი, მონარქი. საქართველოს პირველი თვითმპყრობელი მეფე ფეოდალური სახელმწიფოს პირობებში დავით IV აღმაშენებელი იყო. დავით აღმაშენებელი თავისი მეფობის ბოლოს შემდეგ ტიტულს ატარებდა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“. დავით აღმაშენებელმა უარი თქვა ბიზანტიელი იმპერატორების მიერ ქართველი მეფეებისთვის მინიჭებულ ტიტულებზე. დავითის მეფობაში საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორცაა „მესიის მახვილი“. ეს ნიშნავდა, რომ საქართველოს მეფე ქრისტიანთა ინტერესების დამცველი იყო და ქრისტიანობის მტრებს უნდა ეშინოდეთ მისი.

მეფის ხელისუფლების გაძლიერებას სათანადო იდეოლოგიური დასაბუთებაც ჰქონდა. შეიქმნა **ბაგრატიონთა დინასტიის ღვთიური წარმომავლობის თეორია** – ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის, იესო ქრისტეს წინაპრის უშუალო მემკვიდრეებად გამოცხადდნენ. გარდა ქართული წყაროებისა, ეს თეორია ასახულია ბიზანტიურ და სომხურ წყაროებშიც.

თამარ მეფის დროს ბაგრატიონთა დავითიანობას დამატება ხოსროიანობაც – სპარსეთის მეფეთაგან წარმოშობაც და „ავღუსტიანობა“, რაც რომის იმპერიიდან მომდინარეობდა.¹

მეფის ხელში თავმოყრილი იყო უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ის განაგებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებს. მეფე ერეოდა საეკლესიო საქმეებშიც. დავით აღმაშენებლის რეფორმის შედეგად კი, როდესაც ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირი, – მწიგნობართუხუცესი უნდა ყოფილიყო ბერი, ჭყონდიდის

¹ საქართველოს ისტორია, ტ.1, თბ., თსუ, 2006, გვ.434-437.

მთავარეპისკოპოსი, ეკლესია, ფაქტობრივად, დაექვემდებარა სახელმწიფოს.

მეფე უმაღლესი მსაჯული იყო სახელმწიფოში, იგი სახელმწიფოს უმაღლესი მთავარსარდალი და სალაშქრო საქმეების გამგებელი იყო. მეფე განაგებდა სახელმწიფო ფინანსებსაც.

2.2. სამეფო დარბაზი

მეფის მოწვევით პერიოდულად იკრიბებოდა სამეფო დარბაზი – სათათბირო ორგანო, რომელიც წარმოადგენდა საერო და საეკლესიო დიდმოხელეების (ერისთავები, კათალიკოს-ეპისკოპოსები, სამეფო მონასტერთა წინამძღვრები და სხვ.) კრებას. დარბაზის მოწვევა მხოლოდ მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული. დარბაზის მნიშვნელობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. ძლიერი თვითმპყრობელი მეფის დროს დარბაზი მეფის მორჩილი იყო, სუსტი ხელისუფალის დროს მეფე იყო დარბაზის გადაწყვეტილებების მორჩილი.

თამარ მეფის დროს სცადეს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვაც. ეს იყო ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა (1185 წ.). ყუთლუ-არსლანის დასმა მოითხოვა „კარავის“ დადგმა ისანში, მეფის სასახლის მახლობლად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „კარავი“ მაშინდელი წყაროების მიხედვით „დარბაზის“ სინონიმი იყო.

„კარავს“ უნდა მისცემოდა საკანონმდებლო უფლებები. როგორც ვარაუდობენ, მასში მსხვილ ფეოდალებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქალაქის ზედაფენის წარმომადგენლებსაც. მის წევრებს უნდა გადაეწყვიტათ ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი: „მიცემისა და მოღებისა“, „წყალობისა და შერისხვისანი“ (სხვადასხვა თანამდებობის წყალობა და ჩამორთმევა, საჭიროების შემთხვევაში დამნაშავე თანამდებობის პირთა დასჯა, ე.ი. უზენაესი მართლმსაჯულების უფლება). საქართველოს მეფეს „კარავის“ მუშაობაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო და საქმეების განხილვაში არ უნდა ჩარეულიყო. მას მხოლოდ „კარავში“ გადაწყვეტილი საკითხი სისრულეში უნდა მოეყვანა, „სრულექმნა“.

დარბაზის ნაცვლად „კარავი“ შემთხვევით არაა ნახმარი; ყუთლუ-არსლანის პროგრამის მიხედვით, კარავი სრულიად ახალი დაწესებულებაა, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა დარბაზისაგან. დარბაზს მეფე იწვევდა, მისი სათათბირო ორგანო იყო, მაშინ, როდესაც კარავში მსხდომნი თავად უნდა ყოფილიყვნენ ქვეყნის გამგებელნი და მეფე კარვის მუშაობაში არ მიიღებდა მონაწილეობას; კარავში მსხდომნი იქნებოდნენ ყოველი მნიშვნელოვანი საქმის საბოლოოდ გადამწყვეტნი. მათ ხელში ექცეოდა ქვეყნის უმაღლესი გამგებლობა და უმაღლესი მართლმსაჯულება; კარავი უნდა ყოფილიყო არა სათათბირო და ერთდროული ორგანო, არამედ მუდმივი დაწესებულება ჩამოყალიბებული საკანონმდებლო უფლებებით. მეფეს მხოლოდ გადანყვევტილების შესრულების ფუნქცია რჩებოდა.

ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა მარცხით დამთავრდა და „კარვის“ დაარსების იდეაც ვერ განხორციელდა. საქართველოს მეფემ, მართალია, საკანონმდებლო უფლებები ხელიდან არ გაუშვა, მაგრამ როგორც მიიჩნევენ, დარბაზსაც გაეზარდა უფლებები სახელმწიფო საკითხების გადანყვევტაში.

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაში რიგი ავტორებისა ხედავენ საქართველოში პარლამენტის ჩამოყალიბების საწყისებს, კონსტიტუციურ მონარქიაზე გადასვლის მცდელობას.¹

2.3. მოხელები

მეფე სახელმწიფოს მოხელეთა საშუალებით მართავდა. მოხელები ორი კატეგორიის იყვნენ: **ხელმწიფის კარის** ანუ სახელმწიფოს ცენტრალური აპარატის მოხელები და **საქვეყნოდ გამრიგენი**, ანუ მხარეთა ადგილობრივი მმართველობის მოხელები. დავით აღმაშენებლის დროიდან ხელმწიფის კარის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა.

¹ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, გვ. 9-10; კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 42.

2.4. სამეფოს უმაღლესი მოხელეები

სამეფოს უმაღლესი მოხელეები იყვნენ მინისტრები, რომელთაც მე-12 საუკუნის მეორე ნახევრიდან, არაბულ-სპარსული ტერმინოლოგიით, „ვაზირებს“ უწოდებდნენ. თავდაპირველად 4 ვაზირი იყო, თამარ მეფემ შემოიღო მე-5 ვაზირის – საქართველოს ათაბაგის – ხელი, ხოლო თამარის ასულმა, რუსუდან დედოფალმა, გაავაზირა ძველი კარის მოხელე – მსახურთუხუცესი. თავისი საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახით ქართული **სავაზირო** შედგებოდა 6 ვაზირის ანუ მინისტრისაგან: მნიგნობართუხუცესი, ათაბაგი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

პირველი მინისტრი **„ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესად** და ვაზირთა ყოველთა უპირველესად“ იწოდებოდა. ამასთანავე, მას, ჩვეულებრივ, „მეფის მამას“ ეძახდნენ და ნამდვილადაც იგი მეფის უახლოესი მრჩეველი, თანამემნე და ნაცვალი იყო. საქართველოს პირველი ვაზირი უდიდესი უფლებებით აღჭურვილი მთავარი სახელმწიფო კონტროლიორი და, იმავდროულად, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე იყო. მას ექვემდებარებოდა **26 მნიგნობარი** (ანუ მდივანი), რომელთაგანაც **საწოლის მნიგნობარი** და **ზარდანშის მნიგნობარი** დიდი კარისკაცები იყვნენ და თავიანთ უფროსთან ერთად **უზენაესი სასამართლოს „სამეფულს“** შეადგენდნენ. მნიგნობართუხუცესს ყველა სახელმწიფო დანესებულებაზე მიუწვდებოდა ხელი. მე-13 საუკუნეში **ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესს** ათაბაგი დაუპირისპირდა და ხელმწიფის კარზე პირველობა ნაართვა.

მინისტრები მთავრობის მეთაურის გარეშე ორ ჯგუფად იყოფოდნენ, იმ პატივის მიხედვით, რომელიც მათ მეფის კარზე ჰქონდათ მინიჭებული. **„სამთა ვაზირთა ჯგუფს“** შეადგენდნენ: ათაბაგი, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, ხოლო **„ორთა ვაზირთა ჯგუფს“** მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

ყველა ვაზირს, ათაბაგის გარდა, ჰქონდა თავისი გარკვეული ფუნქცია და სათავეში ედგა უწყებას, რომლის სხვადასხვა დანესებულებაში მრავალი სხვადასხვა ხარისხის მოხელე მუშაობდა.

მანდატურთუხუცესი იყო სამეფო კარის, შინაგან საქმეთა და ფოსტის მინისტრი. მის ხელქვეითთაგან პირველი ადგილი ეჭირა **ამირჯიბს**, რომელიც მეფის დარბაზობის ცერემონიალს ხელმძღვანელობდა ხოლმე.

ამირსპასალარი სამხედრო მინისტრი იყო. მისი უწყების უდიდეს მოხელეებად ითვლებოდნენ: **ამირახორი** – მთელი სახელმწიფო მეცხენეობის მეურნეობის უფროსი და ვაზირის მოადგილე, **მეაბჯრეთუხუცესი** – ჯარის მატერიალური მომარაგების გამგე და **მეჯინიბეთუხუცესი**.

მეჭურჭლეთუხუცესი ფინანსთა მინისტრი იყო.

მსახურთუხუცესი იყო მეფისა და მისი ოჯახის საკუთარი ქონებისა და მეურნეობის მინისტრი. მანდატურთუხუცესისა და მსახურთუხუცესის ფუნქციათა გამიჯვნა იმას მოასწავებს, რომ მაშინ მეფის პირად, კერძო ქონებას უკვე ასხვავებდნენ სახელმწიფო საკუთრებისაგან.

ათაბაგი ტახტის მემკვიდრის აღმზრდელსა და მის უახლოეს მრჩეველს ეწოდებოდა.

ვაზირთა საბჭოს ანუ სავაზიროს სხდომებს მეფე თავმჯდომარეობდა და ყოველთვის მისი თანდასწრებით იმართებოდა. მათზე დასწრება, ვაზირთა გარდა, შეეძლოთ, ისიც სათათბირო ხმის უფლებით – მხოლოდ ამირახორს, ამირჯიბსა და სანოლის მნივნობარს.

სავაზირო მეფის ხელში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციის საქმეს ემსახურებოდა. იგი ქვეყნის მმართველობის საუნწყებო სისტემის შემოღებას გულისხმობდა და, ამდენად, ბიუროკრატიული სამოხელეო მმართველობის ჩანასახი იყო.¹

ვაზირთა საბჭოს სხდომებსა და სამეფო დარბაზობისას მკაცრად იცავდნენ „ჯდომისა და დგომის წესს“: თითოეული იკავებდა მისთვის წინასწარ განკუთვნილ ადგილს, მეფის ხელმარჯვნივ თუ

¹ საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 125.

ხელმარცხნივ. ამასთან, ზოგი იდგა, ზოგი იჯდა და თვით სკამ-სავარძლებიც განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან.¹

სავაზირო

ადგილი სავაზიროში	ვაზირი	ფუნქცია
პირველი ვაზირი	მნიგნობართ- უხუცესი- ჭყონდიდელი	ხელმძღვანელობს სავაზიროს, მეფის უახლოესი მრჩეველი, თანაშემწე და ნაცვალი, მთავარი სახელმწიფო კონტროლიორი და უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, ექვემდებარება 26 მნიგნობარი (მდივანი)
სამთა ვაზირთა ჯგუფი	ათაბაგი	სათავეში არ ედგა რაიმე კონკრეტულ უწყებას, იყო ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი და უახლოესი მრჩეველი. მე-13 საუკუნის დასაწყისში სავაზიროში პირველობა წაართვა მნიგნობართუხუცესს.
	მანდატურთ- უხუცესი	სამეფო კარის, შინაგან საქმეთა და ფოსტის მინისტრი
	ამირსპასალარი	სამხედრო მინისტრი
ორთა ვაზირთა ჯგუფი	მეჭურჭლეთ- უხუცესი	ფინანსთა მინისტრი
	მსახურთუხუ- ცესი	მეფისა და მისი ოჯახის საკუთარი ქონებისა და მეურნეობის მინისტრი

¹ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი 1, თბილისი, 1946, გვ. 217-218.

ვაზირთა საბჭოზე დასწრების უფლების მქონენი (სათათბირო ხმით)	ამირახორი	ამირსპასალარის მოადგილე, სახელმწიფო მეცხენეობის მეურნეობის უფროსი
	ამირეჯიბი	მანდატურთუხუცესის უპირველესი ხელქვეითი, მეფის დარბაზობის ცერემონიალის ხელმძღვანელი
	სანოლის მნიგნობარი	მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდ- ლის დაქვემდებარებაში, შედიოდა უზენაესი სასამართლოს სამეულში

2.5. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მმართველობა

ქვეყანა იყოფოდა **საერისთავოებად**, მათ ერისთავები განაგებდნენ. თამარ მეფის დროს ცხრას **ერისთავთერისთავი** ეწოდებოდა. თამარ მეფის დროს საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში აღსანიშნავია ე.წ. მონაპირეობის წესი, ანუ **მონაპირეობა**. მონაპირე იგივე ერისთავი იყო, ოღონდ ერისთავი ქვეყნის სასაზღვრო ზოლისა. მე-12 საუკუნის ბოლოს საქართველოს სამხრეთის საზღვრებზე ჰქონდა 6-7 ასეთი სანაპირო. მონაპირის მოვალეობა იყო ქვეყნის სამხედრო დაზვერვის განხორციელება.

ერისთავებს მოჰყვებოდნენ პროვინციის მრავალრიცხოვანი მოხელენი: **ხევისუფალი**, **ხევისბერი**, **მამასახლისი** და სხვ. ციხეებისა და გამაგრებული პროვინციული ქალაქების უფროსობა **ციხისთავებს** ჰქონდათ ჩაბარებული. დიდი ქალაქების მართვაში მეფის ნდობით აღჭურვილი პირი იყო **ამირთამირა**.

საქართველოს სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ **ყმადნაფიცი** ქვეყნები, რომლებიც მის ტერიტორიას უშუალოდ ემეზობლებოდნენ. XII საუკუნე – XIII საუკუნის დასაწყისი ის პერიოდი საქართველოს ისტორიაში, როდესაც ჩვენს ქვეყანას შეეძლო, თა-

ვისი ძლიერებიდან გამომდინარე, გარკვეული საერთაშორისო ნესრიგი შეექმნა. ამ პერიოდში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი საგარეოპოლიტიკური კონცეფცია – დავით აღმაშენებლის „უმეზობლობა“ და თამარის „სათნოების პოლიტიკა“. დავით აღმაშენებელი მეზობელ ტერიტორიებს უშუალოდ უერთებდა საქართველოს. დავით აღმაშენებელმა, არსებითად, სამხედრო სახელმწიფო შექმნა, რომელიც გამუდმებულ შეტევით ომებს აწარმოებდა. ამ კურსის განვითარებული ფორმა ხორციელდებოდა გიორგი III-ის დროს. ამ პოლიტიკაზე უარი თქვა თამარ მეფემ. მის დროს „ყოველი საქართველოს“ ირგვლივ შეიქმნა „ყმადნაფიც“, ანუ მეგობარ ვასალურ სახელმწიფოთა სარტყელი. თამარის ისტორიკოსი ბასილ ეზოსმოძღვარი ჩამოთვლის კიდევ იმ ქვეყნებს, რომელნიც ყმადნაფიცობის პირობით იყვნენ საქართველოსთან დაკავშირებული: „... და ამისა მონამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთანი, ლუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა, ტრაპიზონელთა, რომელნიც თავისუფლებათა ცხოვრებითა ამის მიერ იყვნენ და მტერთაგან უზრუნველობასა“.¹ ამ დროს იყვნენ დავით აღმაშენებლის პოლიტიკის მომხრენი, რომელთაც არ მოსწონდათ ეს სამეფოების აღდგენა-გამრავლების პოლიტიკა.² მალე გავიკვავა, რომ ურთიერთობის ეს ფორმა საქართველოსთვის არამოგებიანი აღმოჩნდა. ყმადნაფიცობა იყო საქართველოს ძლიერების არაწყარო, არამედ მხოლოდ მოწმობა (ნ. ბერძენიშვილი).

2.6. ერთიანი სამეფოს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მოშლა

საქართველოს ისტორია სულ სხვანაირად წარიმართებოდა, მას რომ მონღოლთა და თემურ-ლენგის შემოტევის მოგერიება მოეხერხებინა. საქართველოს ისტორია ბუნებრივი გზით რომ გაგრძელებულიყო და უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლას დიდი ტენილი არ გამოეწვია ქვეყნის ისტორიაში, შემდგომი განვითარება იქნებოდა იმ პოლიტიკურ სისტემაში განხორციელებული

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 147.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, გვ. 159.

ცვლილებები, რომლებიც XIII საუკუნის დასაწყისში იყო ჩამოყალიბებული. ერთი მიმართულება უკვე გამოკვეთილი იყო: სამეფო მონარქიის შეზღუდვა და იმ სისტემის განვითარება, რასაც კონსტიტუციურ მონარქიას ვუნოდებთ.

გარეშე მტრების შემოსევებით დაუძღვრებულმა საქართველომ ერთიანობა ვერ შეინარჩუნა, გაძლიერდა კუთხურობა და XV საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანა სამეფო-სამთავროებად დაიშალა. 1490 წელს ქართლის მეფე კონსტანტინეს მიერ მონვეულმა სამეფო დარბაზმა ეს რეალობა დააფიქსირა და დიდებულებმა მეფეს ურჩიეს, დროებით ხელი აეღო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაზე.¹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ დანაწილდა, მეფეები ხშირად ძველი ერთიანი მონარქიის ტიტულს ატარებდნენ და ამით აჩვენებდნენ, რომ არ ურიგდებოდნენ საქართველოს დაშლას. ასეთი ტიტული, მიუხედავად მისი არარეალურობისა, საქართველოს სამეფოს ერთიანობის იდეის მატარებელი იყო.²

საქართველოს ერთიანი მონარქიის დაშლის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემა. მოისპო სავაზირო³ და ერისთავის ინსტიტუტი⁴ – სახელმწიფო მოხელეები და სახელმწიფო ტერიტორიების გამგებლები, და წინა პლანზე გამოვიდნენ მეფის სასახლისა და სხვა „ხელმინაური“ მოხელეები – სახლთუხუცესი⁵, მოურავი და სხვ.

¹ იქვე.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973, გვ. 231.

³ XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის სამეფოსა და ოდიშში არსებობდა ვეზირთუხუცესი (მარტივად ვეზირი), რაც ძველი სავაზიროს თავისებური გადმონაშთი იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973, გვ. 233).

⁴ მართალია, ქსნის, არაგვის, რაჭის საერისთავოები მე-18 საუკუნის ბოლომდე შემორჩნენ, მაგრამ ისინი სათავადოებად გადაიქცნენ.

⁵ ცენტრალური აპარატის მოხელეთა შორის პირველი ადგილი სახლთუხუცესმა დაიკავა. მას სამეურნეო-საფინანსო სახის ფუნქციები ეკისრებოდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 233).

ამავე დროს, **საბოლოოდ დამკვიდრდა მოხელეობის მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპი.** „სახელო“ (თანამდებობა) მამიდან შვილზე გადადიოდა. ამ ვითარებამ, თავის მხრივ, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება გამოიწვია.¹

თეორიულად მეფის ხელისუფლება შეუზღუდავად ითვლებოდა. სამეფო კართან არსებული სამეფო საბჭო – „დარბაზი“, რომელსაც მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად იწვევდნენ, მხოლოდ სათათბირო უფლებით სარგებლობდა, მაგრამ, ფაქტობრივად, მეფის ხელისუფლება დიდებულ თავადთა ნებით იყო შეზღუდული.²

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შედეგად მოიშალა ძველი სამხედრო წყობილება, მაგრამ ახალი სამეფოებიც, ძველის მსგავსად, ოთხ-ოთხ სადროშოდ დანაწილდა. ქართლსა და იმერეთში სადროშოების სათავეში თავადები ჩააყენეს, კახეთში კი ეპისკოპოსები. სადროშოები წარმოადგენდნენ როგორც სამხედრო ერთეულს, ისე ადგილობრივ სამოქალაქო ადმინისტრაციულ ერთეულსაც.³

ადგილობრივი მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოხელე იყო **მოურავი**. მოურავი საგამგებლო ტერიტორიის მოსახლეობის ხარჯზე ცხოვრობდა. მოურავს ემორჩილებოდნენ ნაცვალი (მოურავის მოადგილე) და მამასახლისი. ნაცვლებად წვრილი აზნაურები ინიშნებოდნენ, მამასახლისებს კი მეფე ან თავადი ადგილობრივი გლეხებისაგან ნიშნავდა.

ქართლში როსტომ მეფის (1632–1656) დროს შემოიღეს **ყიზილბაშური თანამდებობები ვეზირის (მრჩეველი), მუსტოფის (მთავარი აღმწერელი, ფინანსების მოხელე) და მუნშის (მწერალი)** სახით. სამივე ეს თანამდებობა განასახიერებდა ირანის შაჰის სამეთვალყურეო აპარატს მეფის კარზე. გარდა ამისა, როსტომ მეფემ მრავალი თანამდებობის ქართული სახელი **ყიზილბაშურით** შეცვალა. მსახურთუხუცესს უწოდა ყორჩიბაში (ყორჩების – მე-

¹ საქართველოს ისტორია, ტ. 2, თბ., 2008, გვ. 241.

² იქვე, გვ. 242.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 238-239.

თოფეთა თავი), ეზოსმოძღვარს – ნაზირი, მესტუმრეთუხუცესს – მეჰმანდარი და სხვ.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა ქართლი ირანის ვასალი იყო, სამეფოს შიგნით ეროვნული ინსტიტუტები არ შერყეულა. ქართლში კვლავ ქართული კანონები მოქმედებდა.¹

3. ქართლ-კახეთის სამეფო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

აღმოსავლეთ საქართველომ გაერთიანება მოახერხა მეფე თეიმურაზ II-ისა (1733–1762) და ერეკლე II-ის (1744–1798) დროს. ისე ჩანდა, რომ საქართველო კვლავ აღმავლობის გზას დაადგა. მეფე ერეკლეს ემორჩილებოდნენ ერევნის, განჯის და ნახჭევნის სახანოები.

3.1. ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური წყობა

ქართლ-კახეთის სამეფოს სათავეში იდგა მეფე. მეფესთან არსებობდა სათათბირო ორგანო – საბჭო, რომელშიც დიდი საერო და სასულიერო ფეოდალები და მოხელეები შედიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეფე ერეკლეს დროს სამეფო ხელისუფლება გაძლიერდა, ერეკლე არცერთ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს ამ საბჭოს დაუკითხავად არ გადაწყვეტდა. საბჭო ორგვარი იყო – დიდი და მცირე. პირველში შედიოდნენ მეფის შვილები, კათალიკოსი და სხვა დიდებულები. მცირე საბჭო მეფის მიერ შერჩეულ პირთაგან შედგებოდა.²

მეფისა და სამეფო საბჭოს ბრძანება-გადაწყვეტილებებს ასრულებდნენ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და

¹ ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. 1, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიან ფეოდალურ პერიოდში, თბ., 1952, გვ. 124.

² ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი 1, თბ., 1946, გვ. 401.

ადგილებზე წარგზავნილი მოხელეები: სახლთუხუცესი (სამეფოს შემოსავალ-გასავლის მთავარი გამგებელი), სამეფო ხაზინის მოხელეები, მდივან-ბეგები (მოსამართლენი), ბოქაულთუხუცესები (საპოლიციო ხელისუფლება), სარდლები, მოურავები, ციხისთავები, მამასახლისები და სხვ.

მეფე ერეკლე ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას. გააუქმა ქსნისა და არაგვის საერისთავოები, მსხვილი ფეოდალური ერთეულები, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას ეურჩებოდნენ.

სამეფო ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამხედრო საქმეს. 1773 წელს სამეფო დარბაზმა შეიმუშავა წესდება „მორიგე ლაშქრის“ შესახებ, რომლის ძალითაც ლაშქრობის შემძლე ყოველი მამაკაცი წელიწადში ერთხელ უნდა გასულიყო ლაშქარში თავისი ხარჯით. თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ თავადებმა მოახერხეს ამ სისტემის მოშლა.

მე-18 საუკუნის 70-80-იანი წლებიდან მმართველობა გაიყო საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლისა და სამხედრო საქმეთა დარგებად.

3.2. ქართლ-კახეთის სამეფოს რეფორმირების გეგმა

კრწანისის მარცხის შემდეგ შექმნილი მძიმე მდგომარეობისა და შინა აშლილობის მიუხედავად, არ გამქრალა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის იმედი. ამ მხრივ საყურადღებოა იოანე ბაგრატიონის (1768–1830) „სჯულდება“, რომელიც 1799 წელს არის დაწერილი. იოანე ბაგრატიონი აღნიშნავდა იმ მიზეზებს, რის გამოც შეადგინა ეს პროექტი. მისი თქმით, „სხვადასხვა გვარმან ცვალებან კანონთამან, უთანხმოებან და უწესობან მართებლობისამან, მოიყვანეს თითქმის სრულიად საქართველოს ერნი განწირულებასა შინა“¹ და თუ რაიმე ზომები არ იქნებოდა მიღებული, „უბედურება იქმნების გაგრძელებული“. სწორედ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად დაინერა „სჯულდება“. იოანე ბატონიშვილი ცდი-

¹ იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, თბ., 1957, გვ. 3.

ლობდა, რეფორმების გატარებით გაექლიერებინა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება.

პირველი, რასაც იოანე ბაგრატიონი განიხილავდა, ეს სამხედრო სფეროში გასატარებელი რეფორმები იყო. მას გადაუდებლად მიაჩნდა რეგულარული არმიის შექმნა. თუმცა იმდროინდელი ქართლ-კახეთის შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, მისი გამოთვლით, ამ ჯარის შემადგენლობა 2 ათას კაცზე მეტი ვერ იქნებოდა.

„სჯულდება“ ეხება აგრეთვე მეფის ხელისუფლების ზოგიერთ ფუნქციას. პროექტით, მეფე ყველა საქმის კურსში უნდა ყოფილიყო: „თითქმის ყოველდღე მეფე უნდა ბრძანდებოდეს ქვეყნის საქმეში“. მეფესთან მისაღებად მოხელეებს უნესდებოდათ სპეციალური საათები, რომლის დროსაც მოახსენებდნენ თავის სფეროში არსებულ ვითარებაზე. მეფე „გასინჯავდა“ საქმეებს და მიიღებდა გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, მეფეს ერთგვარი ინსპექციის მოვალეობაც ეკისრებოდა: „მეფე ანუ სამსა, ანუ ოთხსა წელსა შინა რომ დაივლიდეს თვისსა სამეფოსა, არ იქნების ურიგო, ამისთვის ნახამს მათს მდგომარეობასა და თუ აკლია რაიმე, მისცემს განკარგულებასა“.

საინტერესო მოსაზრება ჩამოაყალიბა იოანე ბატონიშვილმა ტრადიციულად მეფესთან არსებულ სათათბირო ორგანოს – **დარბაზთან** დაკავშირებითაც, რომელსაც იგი სახელმწიფო საბჭოს უწოდებდა. პროექტის თანახმად, საბჭო უნდა შექმნილიყო ტერიტორიული პრინციპის მიხედვით 12 წევრის შემადგენლობით: 3 – ქართლიდან, 3 – კახეთიდან, 3 – ქალაქიდან და 3 – თათრებიდან.¹ ესენი უნდა ყოფილიყვნენ „ჭკვიანნი კაცნი“, რომლებიც საქვეყნო საქმეების გამო ყოველთვის უნდა იყვნენ „რჩევაში“.

მაშასადამე, სახელმწიფო საბჭო – სათათბირო ორგანო იქნებოდა მეფესთან. ამ ორგანოს მოვალეობა იყო „მძიმე საქმეების“ გარჩევა. მეფის ბრძანებით საბჭო გამოთქვამდა თავის აზრს, მეფეც „თვისსა განზრახულსა“ გაუზიარებდა საბჭოს, ყველაფერ ამ-

¹ იგულისხმება ქვემო ქართლში ირანიდან ჩამოსახლებული ტომები.

ას „ერთად შეამონებდნენ, განარკვევდნენ და მერეთ ისე დაამტკიცებდნენ იმა საქმესა“.

იოანე ბატონიშვილის აზრით, სახელმწიფო საბჭოში, ზემოთ აღნიშნული 12 წევრის გარდა, უნდა შესულიყო ერთ-ერთი მეფის ძეც. იგი თანდათანობით შეეჩვეოდა ქვეყნის მართვა-გამგეობას.

4. საქართველოს ერთიანობის იდეა

პოლიტიკური აზრის თვალსაზრისით, უაღრესად საგულისხმოა 1790 წლის სამეფო დარბაზის სხდომა, სადაც განიხილებოდა ქართლ-კახეთთან იმერეთის სამეფოს გაერთიანების საკითხი. კრება სამ დღეს მიმდინარეობდა და კამათის შემდეგ დარბაზმა გაერთიანებას დაუჭირა მხარი. ერეკლეს მემკვიდრე გიორგი აღნიშნავდა: „შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა... სამეფო ისრაელთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად...“.

სამწუხაროდ, ერეკლე II-მ დარბაზის რჩევა არ მიიღო და ჩათვალა, რომ იმერეთში მისი შვილიშვილის გამეფება საქართველოს ერთიანობის გამომხატველი იქნებოდა: „მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა... დესპანო! წარვედით და იმერეთის ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირისა თავით-თვისით იქნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა.“

გაერთიანების მცდელობის მარცხის მიუხედავად, სოლომონ ლიონიდის აქტიური ძალისხმევით, იმავე წელს თბილისში ერეკლე II-ს, სოლომონ II-ს, სვიმონ გურიელსა და გრიგოლ დადიანს შორის დაიდო „ივერიელთა მეფეთა და მთავართა შეერთების ტრაქტატი“ – ნებაყოფლობითი თავდაცვითი ხელშეკრულება, რომლითაც აღიარებული იყო, აგრეთვე, ერეკლე II-ის უზენაესობა.

ჩანართი

1790 წლის სამეფო დარბაზის სხდომა, სადაც განიხილებოდა ქართლ-კახეთთან იმერეთის სამეფოს გაერთიანების საკითხი

კრება სამ დღეს მიმდინარეობდა და კამათის შემდეგ დარბაზმა გაერთიანებას დაუჭირა მხარი.

ერეკლეს მემკვიდრე გიორგი: „შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა... სამეფო ისრავლთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად...“.

სამწუხაროდ, ერეკლე II-მ დარბაზის რჩევა არ მიიღო და ჩათვალა, რომ იმერეთში მისი შვილიშვილის გამეფება საქართველოს ერთიანობის გამომხატველი იქნებოდა: „მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა... დესპანსო! წარვედით და იმერეთის ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირისა თავით-თვისით იქნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა“.

5. საქართველოს ევროპეიზაციის იდეა

XVII-XVIII საუკუნეებში განათლებული ქართველის ცნობიერებაში „ევროპა“ დანინაურებულის, მოწინავეს, განვითარებულის სინონიმი იყო. ევროპას ასხვავებდნენ უკვე ჩამორჩენილი აღმოსავლეთის სახელმწიფოებისგან, რომელთა გავლენა ან ბატონობა „ქართველობას“ (საქრისტიანო ქვეყნის ხალხს) მომავლის გზას უხშობდა და განვითარებას აბრკოლებდა.

ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში დაახლოებით XVIII საუკუნის შუა ხანებიდან შესამჩნევია მეტად მნიშვნელოვანი გარდატეხა. მანამდე ქვეყანაში არსებული კრიზისული ვითარებისა და მანკიერებების დაძლევა ესახებოდათ როგორც ძველი, მტრებისა და ძნელბედობის შედეგად შელახული წყობილების და სოციალური ურთიერთობების აღდგენა. ქრისტიანული ქვეყნები ამ საქმეში

ბუნებრივ მოკავშირეებად განიხილებოდნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ევროპის ქვეყნები მიიჩნეოდნენ არა მხოლოდ შესაძლო მოკავშირეებად, არამედ მისაბაძ მაგალითად, საიდანაც შეიძლება გადმოედოთ მეცნიერული მიღწევები, ცხოვრების წესი და სახელმწიფო მოწყობა, თავიდან თუნდაც ცალკეული ინსტიტუტების სახით. ეს ყველაფერი კარგად აისახა ქართული სახელმწიფო იდეალების შეცვლაში.

5.1. ქართული სახელმწიფო იდეოლოგიები

ქართული მესიანიზმი

თამარ მეფის ზეობის პერიოდი საქართველოს ისტორიაში „ოქროს ხანის“ სახელითაა ცნობილი. იმდროინდელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ეფუძნებოდა ქართულ მესიანიზმს და ქართულ პატრიოტიზმს. ქართული მესიანიზმი საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, მაგრამ დასრულებული სახესწორედ XII საუკუნეში მიიღო. მესია მხსნელს ნიშნავს. მესიანური რწმენა განსაკუთრებული რწმენაა. ეს იდეა ერის თვითგანმტკიცებას, თვითრწმენასა და ძლიერებას უწყობს ხელს, რთულ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული იმედის საფუძველია. ქართული მესიანიზმის საკვანძო დებულებები მოკლედ შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინო: ქართული ენა – ქრისტეს ენაა; ქრისტეს კვართი საქართველოშია; საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა; ბაგრატიონები ქრისტეს ნათესავები და მისი ზეციური მხედრიონის წევრები არიან (მესიის მახვილი).

ამ იდეოლოგიის თანახმად, საქართველოს მეფე მოწოდებულია, უწინამძღვროს როგორც ქართველობას, ისე ყველა ქრისტიან ხალხს. საქართველოს მეფე წარმატებით ახორციელებს ისტორიის მიერ დაკისრებულ ამ საღვთო მისიას. ქრისტიანობისა და საქართველოს დაუძინებელი მტრები უკვე დამარცხებულია.¹ საქართველო იქცა უძლიერეს ქრისტიანულ სახელმწიფოდ. საქართ-

¹ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1987, გვ. 237.

ველოს ასეთი მდგომარეობა შემთხვევითი სამხედრო წარმატებებით და ილბლიანი პოლიტიკური ვითარებით არ არის განპირობებული. საქართველო ღვთის რჩეული ერია. თამარ მეფის თანამედროვე ისტორიკოსების აზრით, თამარ მეფის დროინდელი საქართველოს სახელმწიფო პლატონის იდეალური სახელმწიფოს განსახიერებაა.¹

შემდგომში, „სვე-სვიანი ბედის უკუქცევის“ გამო, ქართულ ისტორიულ ცნობიერებაში ეს პერიოდი საქართველოს ძლიერებისა და სრულყოფილების განსახიერებად იქცა. **საქართველოში სახელმწიფოებრივი იდეალი დიდი ხნის განმავლობაში წარსულში აღმოჩნდა.**

„თამარის საქართველოს“ აღდგენის მცდელობები

XIV-XV საუკუნეების დიდი მოღვაწეები, გიორგი V ბრწყინვალე და ალექსანდრე I დიდი, პრაქტიკულადაც ცდილობდნენ „თამარის საქართველოს“ აღდგენას.² იმდროინდელი წარმოდგენით, მხოლოდ წარსული დიდების აღდგენის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი საქართველოს შემდგომი წინსვლა.

გიორგი V ბრწყინვალის ზეობის ხანაში თითქოსდა მოხერხდა ამ მიზნის მიღწევა. მონღოლთა ბატონობისგან განთავისუფლების შემდეგ აღდგა ერთიანი ქვეყანა, რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგჯერ უწოდებენ „თამარის სახელმწიფოს ხელმეორე გამოცემას გიორგი ბრწყინვალის რედაქციით“.³

„თამარ მეფის დროინდელი საქართველოს აღდგენას“ ცდილობდა ალექსანდრე I, რომელსაც ქვეყნის აღმშენებლობაზე ზრუნვა თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ მოუხდა. დანესებული იყო სპეციალური გადასახადი „ ყოველთავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად“, რაც, მისივე

¹ იხ. მ. კარბელაშვილი, 2000, გვ. 124-125.

² ი. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, 1980, გვ. 231.

³ ლ. ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, ნიგნი I, 1994, გვ. 267.

თქმით, წარმატებით იქნა გადაჭრილი. თუმცა „ძველი საქართველოს“ აღდგენის შესახებ განცხადების გაკეთების საფუძველი უფრო გიორგი ბრწყინვალეს ჰქონდა.

თემურ-ლენგთან გადატანილი ბრძოლების შემდეგ საქართველოს ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრება სჭირდებოდა, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ქვეყანას არ მისცემია. საქართველოს სამხრეთიდან გაუმეზობლდა ორი აგრესიული სახელმწიფო – ოსმალეთი და სპარსეთი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში საქართველოს დაპყრობას ცდილობდნენ და დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყანას.

ბრძოლა „ქართული წესის“ შესანარჩუნებლად

საქართველოს ბედი ისე წარიმართა, რომ არათუ „ყოველი საქართველოს“ აღდგენა ვერ მოხერხდა, არამედ ქვეყანა სამეფო-სამთავროებად დაიშალა. მტრებისგან შევიწროებული და დასუსტებული ქვეყნისთვის „თამარის საქართველო“ უკვე წარსულში დარჩენილი იდეალი იყო, რომელიც ნოსტალგიის საგანია და არა პრაქტიკული პოლიტიკის მიზანი. ბრძოლა საჭირო გახდა უკვე ქართული თვითმყოფადობის, „ქართული წესის“ შესანარჩუნებლად.

XVI-XVII საუკუნეებში უკვე ძალზე შესამჩნევი იყო ქართული წეს-ჩვეულებების („ქართული წესის“) რღვევა უცხოელ დამპყრობთა გავლენით თუ ზემოქმედებით. თუ ასე გაგრძელდებოდა, საქართველო გადაგვარდებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის პროგრესულ მოაზროვნეთა მხრიდან მკაცრ შეფასებას იმსახურებდა როსტომ მეფის მოღვაწეობა „სპარსული წესის“ შემოტანის გამო.

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ყოველივე, რაც ქართველობას ცუდი ახასიათებს, მტერმა, დამპყრობლებმა მოახვიეს თავს, „გარედან მოტანილია“. ამიტომ მათგან განთავისუფლება საქართველოს გადარჩენისა და აღორძინების საფუძველია. ვახუშტის თქმით, სანამ ქართველები თავისუფალნი იყვნენ, მანამ „ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყნის...“

5.2. ევროპული პოლიტიკური იდეების გავლენა და „ევროპეიზაციის“ დასაწყისი

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან სულ უფრო ძლიერდება რეფორმების განხორციელების სურვილი, რომლის შედეგადაც საქართველოში უნდა გადმოეტანათ ევროპული სახელმწიფო წყობის, სამხედრო საქმისა და განათლების მიღწევები. **ძლიერდება მისწრაფება ქართული ცხოვრების ევროპეიზაციისაკენ. ფეოდალური დაჩიხულობიდან თავის დაღწევა და ევროპული გზით წასვლა კი სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი იყო.**¹

ერეკლე II-ის გარშემო შემოკრებილ პროგრესულ დასს კარგად ესმოდა, რომ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლებოდა და საჭირო იყო ქვეყნის ძირეული განახლების გზების ძიება. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ საქართველოში არსებული ფეოდალური მმართველობა ჩამორჩენილი იყო და ახალი დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.² ცდილობენ სახელმწიფო მმართველობის გადახალისებას, ცენტრალური მმართველობის განმტკიცებას. სახელმწიფო საბჭო (დარბაზი) ერეკლე II-ის დროს მუდმივმოქმედ სათათბირო ორგანოდ იქცა.³ გადაიდგა ნაბიჯები მუდმივი ჯარის შესაქმნელად („მორიგე ჯარი“) და ევროპულ ყაიდაზე გასაწვრთნელად. ერეკლე II ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას, ყოველ ღონეს ხმარობდა საქართველოში კაპიტალისტ-დამწყებთა ჩამოსაყვანად. დიდი ყურადღება ეთმობოდა მსხვილი სარეწაოების გახსნას, რომლებსაც იმდროინდელ წყაროებში „ფაბრიკებსა“ და „ქარხნებს“ უწოდებდნენ.⁴

¹ ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982, გვ. 18.

² იქვე.

³ ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1952, გვ. 152-153.

⁴ ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982, გვ. 24-25.

XVIII ს.-ის მეორე ნახევრის ქართულ პოლიტიკურ აზრზე უკვე უშუალო ზეგავლენას ახდენს ევროპული პოლიტიკური აზრი. ალექსანდრე ამილახვარის (1750-1802) ნაშრომი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ (1780 წ.) ევროპელ განმანათლებელთა გავლენით არის დანერილი. ალექსანდრე ამილახვარი პირველი ქართველი მოღვაწეა, რომლის პოლიტიკური შეხედულებები დასავლეთის აზროვნების ნიადაგს ემყარება.¹ განსაკუთრებით შესამჩნევია მასზე მონტესკიეს (1689–1755) ნაშრომის – „კანონთა გონის“ – გავლენა.

ფრანგი განმანათლებლების, განსაკუთრებით კი ვოლტერის გავლენას აშკარად ამჟღავნებდა დავით ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, მემკვიდრე, რომელსაც ოთახში ვოლტერის სურათი ეკიდა და თავის მასწავლებლად აღიარებდა. დავითმა თარგმნა მონტესკიეს „კანონთა გონი“.² დავით ბატონიშვილი პეტერბურგში გადასახლების წლებში საფრანგეთის რევოლუციის ქებაში იყო, იწონებდა საფრანგეთის ახალ წყობილებას და ადიდებდა ნაპოლეონს.

ევროპული იდეები საქართველოში უმეტესწილად რუსეთის გავლით შემოდიოდა. სწორედ ასეთი გზით XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ჩნდება პოლიტიკასთან დაკავშირებული მრავალი ტერმინი. მაგალითად, სიტყვა „პოლიტიკას“ იყენებენ და მის განმარტებას ცდილობენ იოანე ბატონიშვილი და ალექსანდრე ამილახვარი, სიტყვა „პარტია“ პირველად იხსენიება 1756 წლის დოკუმენტში, ჩნდება რევოლუციასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიაც, მაგალითად, სიტყვები: „მასონი“ (ფრანგმასონი ანუ ფარმაზონი), „ლუთერანი“ („ლუტრანი“, „ლოთრანგი“), „ბონაპარტელობა“ და სხვ.³

ევროპული იდეების ქართულ ნიადაგზე გადმოტანის შესახებ როცა ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოებაც, რომ ევროპა მთელი ეპოქით უსწრებდა საქართველოს. ფრან-

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 195.

² ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1933, გვ. 64-68.

³ ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960, გვ. 82.

გი განმანათლებლები აბსოლუტიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ხალხის სუვერენიტეტს იცავდნენ, ახალი აღმავალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების სახელით ისინი პროგრესისათვის იღვწოდნენ. ალექსანდრე ამილახვარი კი ამ იდეების ქართულ ნიადაგზე მომარჯვებით და მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მოთხოვნით მეფე ერეკლეს წინააღმდეგ აგრძელებდა ბრძოლას და მეფის უფლებებს თავადთა სასარგებლოდ კვეცავდა. **მსხვილ თავადებთან მიმართებით სწორედ მეფე ერეკლე განასახიერებდა საქართველოს წინსვლისა და პროგრესის გზას.**

6. საქართველო XIX საუკუნეში – საერთოეროვნული ცნობიერების ფორმირება

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და დამოუკიდებლობის დაკარგვა დიდი ტრაგედია იყო ქვეყნისათვის, მაგრამ, ამავე დროს, მართალია, მახინჯი ფორმით, მაგრამ კიდევ უფრო დაჩქარდა ქართული საზოგადოების ევროპეიზაცია.

1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიით დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის მსხვრევის პროცესი, რომელიც საუკუნის შუა ხანებამდე გაგრძელდა და ქართული სამეფო-სამთავროების სრული გაუქმებით დამთავრდა. ცარიზმმა საქართველო კოლონიად გადააქცია და შეუდგა ქართველთა გარუსების პოლიტიკის გატარებას.

კრახი განიცადა წინა პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრის ერთ-ერთმა ძირითადმა იდეამ – რუსეთთან, როგორც ძლიერ და ერთმორწმუნე ქვეყანასთან, კავშირით დაემარცხებინათ საქართველოს მეზობელი აგრესიული ქვეყნები – ირან-ოსმალეთი და უზრუნველყოთ საქართველოს გაერთიანება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესი.

უმთავრესი პრობლემა, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა წინაშე დადგა, **ქართული სახელმწიფოს აღდგენის** საკითხი იყო. რუსული მმართველობის დამყარებას აჯანყებების ტალღა მოჰყვა (1802, 1804 და 1812-

1813 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში, 1819-1820 წლებში იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში), შეუპოვრად იბრძოდნენ თურქეთში გადახვენილი იმერეთის მეფე სოლომონ II და სპარსეთში გადახვენილი ალექსანდრე ბატონიშვილი. **ამ ბრძოლის მიზანი იმის აღდგენა იყო, რაც გააუქმა რუსეთმა.**

ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება 1832 წლის შეთქმულებით. შეთქმულება გასცეს აჯანყებამდე ცოტა ხნით ადრე, აჯანყებისათვის მზადება კი რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა – XIX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებიდან. შეთქმულები გეგმავდნენ ხელსაყრელ დროს აჯანყების დაწყებას და რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას. აღარავინ აპირებდა ცალკე იმერეთის ან ქართლ-კახეთის სამეფოების აღდგენას. ამ გეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შეიქმნებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომლის სათავეშიც მეფე უნდა ყოფილიყო. შეთქმულთა საერთო გეგმის მიხედვით, საქართველოში მეფედ უნდა დაესვათ სპარსეთში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელთანაც მიმონერა ჰქონდათ, ხოლო მასთან ერთად შეიქმნებოდა თავისებური ორპალატიანი პარლამენტი, ე.ი. საქართველოში კონსტიტუციური მონარქია უნდა დამყარებულიყო. **შეთქმულთა ნაწილი კი საქართველოში რესპუბლიკური მართვა-გამგეობის დამყარების იდეას ემხრობოდა**

6.1. ერთიანი ეროვნული ცნობიერების ფორმირება

თურქეთისა და ირანის დამარცხების, ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმების, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა დამორჩილების შემდეგ რუსეთის ბატონობა კავკასიაში მტკიცე და შეურყეველი ჩანდა. დამპყრობლები ცდილობდნენ, საერთოდ გაექროთ „საქართველოს“ ცნება და ქვეყანა „თბილისისა“ და „ქუთაისის“ გუბერნიებად დაეყვეს. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის აღწერისას კი „ქართველებს“ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა ნაწილს უწოდებდნენ. მაგრამ სწორედ ამ დროს მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ქართველი ხალხის ცნობიერებაში, რომლის შემდეგაც ერთიანი ქართული სახელმწი-

ფოს აღდგენა მხოლოდ დროის საკითხი იყო. მიუხედავად ცარიზმის მიერ გატარებული სასტიკი ასიმილაციური პოლიტიკისა, წინა პერიოდში მკაფიოდ გამოვლენილი კუთხურობა და დაქსაქსულობა იცვლება ერთიანი ეროვნული ცნობიერებით, იმის შეგნებით, რომ საქართველო მთლიანი ქვეყანაა საერთო წარსულით, ერთი ბედითა და საერთო მომავლით.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი კახეთში ნანახი საფლავის ქვების წარწერების შედარებით მკაფიოდ წარმოაჩენს ქართულ ეროვნულ თვითშეგნებაში მომხდარ გარდატეხას: „მოვიტან ორი ლოდის წარწერის შინაარსს (შემოქმედიდან და მანვენიდან). თითოეული შეიცავს ცნობას ვაჟკაც-მეომრის დაღუპვის შესახებ თურქებთან ომში. ჭავჭავაძე დაღუპულია 1853 წელს გურიის ფრონტზე, საგინაშვილი კი დაღუპულია იმავე გურიის ფრონტზე, მაგრამ უფრო გვიან – 1877 წელს. პირველი გლოვობს თავის უცხოეთში დამარხულობას, მეორე ეპიტაფიაში კი ხაზგასმულია მეომრის დაღუპვა სამშობლოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში... და როგორ ნიშანდობლივ ეხმაურება ამ წარწერთა შინაარსი იმ ტეხილს, ქართველი საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებაში რომ ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ამ მონაკვეთში!“¹

ეს ცვლილება განპირობებული იყო ბევრი მიზეზით:

– თავისი როლი შეასრულა ქვეყნის ტერიტორიულმა გამთლიანებამ. მართალია, ეს დამპყრობელი იმპერიის შემადგენლობაში მოხდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შორის კავშირი გაადვილდა;

– ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების გაღრმავება კაპიტალიზმის განვითარების შედეგად;

– ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესის გაძლიერება, მიუხედავად იმისა, რომ ეს დამპყრობელი რუსეთის გავლით და მახინჯი ფორმით მიმდინარეობდა;

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 360.

– ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების საქმიანობა, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართული ეროვნული ცნობიერების გამთლიანების, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების, ქართული კულტურის დაცვისა და განვითარების, რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის მხილების საქმეში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პოლიტიკური აზროვნება მთლიანად ევროპული იდეებისა და მოძღვრებების ფარგლებში ტრიალებდა. საქართველოში გავრცელდა ევროპული იდეოლოგიები, განსაკუთრებით დიდი იყო სოციალისტური იდეების გავლენა.

ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაციამ შექმნა ის საფუძველი, რომელმაც შესაძლებელი გახადა **ევროპულ ნიადაგზე შემუშავებული იდეოლოგიებისა და მოძრაობების საქართველოში გადმოტანა, შემდეგ კი დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის მცდელობა.**

დანართი

1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მიერ დაწერილი პროკლამაციები

სოლომონ დოდაშვილის პროკლამაცია

ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა. აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა ან არს მამული ესე ჩვენი. ჩვენი ხმა და სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყულ იყო და დამხობილ მათგან. ხოლო ან ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთ შეინროებას ყოვლისა კაცისასა? რისათვის არს ესე ესრეთ? ნუ უკუე ჩვენ არა ვართ შვილ-

ნი მამა-პაპათა ჩვენთანნი?! ნუ უკუე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა, ნუ უკუე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მამა რაისათვის ვცოცხალვართ?

ფილადელფოს კიკნადის პროკლამაცია

თავად პროკლამაციის სრულ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია. ვიცით მისი შინაარსი. პროკლამაციაში ნათქვამი იყო: „ეხლა, მინამ რუსებს საქართველოში ჯერ ფეხი არ აქვთ გამაგრებული, ეხლა უნდა დავეცხათ და გავრეკოთ აქედამ, თორემ თუ ამათ აქ ფეხი გაიმაგრეს, მაშინ მათი გაძევება ჩვენი მომავალი თაობისათვის ძნელი იქნება. ამიტომ ჩვენც გასაკიცხნი ვიქნებით მათგან. ეხლა უნდა გათავდეს საქმე და ესენი გაძევებულ უნდა იქნან აუცილებლად საქართველოდამ“.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“

„მიგიხვდი, ჩემო მოხვევე, რა ნესტართა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ – სთქვი შენ და გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რალაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მინა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!...“ (ილია ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, ქართული პროზა, ტ. VIII, გვ. 29).

ინფორმაცია განსჯისათვის:

უნდა შემოვიღოთ თუ არა ქართული სამოხელეო ტერმინები?

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა: უნდა შემოვიღოთ (აღვადგინოთ) ქართული სამოხელეო ტერმინები. ხალხის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოსაყალიბებლად ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. სოფლის და დაბის

ხელმძღვანელს უნდა ეწოდებოდეს – მამასახლისი, ქალაქისას – მოურავი, პროვინციისას – ერისთავი. მინისტრის მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ გამგებელი. პრეზიდენტის ნაცვლად კი დავამკვიდროთ – ერისმთავარი.

„ქართული სამოხელეო ტერმინების აღდგენა დიდად შეუწყობს ხელს ქართველში სახელმწიფო ცნობიერების გაღვივებას, რაც ამჟამად მთვლემარე მდგომარეობაშია. ბუნებრივია, საუკუნეების მანძილზე სხვების ვასალი ვიყავით და სახელმწიფო ცნობიერება როგორ უნდა გვექონდეს? ამდენად, ქართული სამოხელეო ტერმინების გაცოცხლება-აღდგენას ზერელედ არ უნდა შევხედოთ... ნუ დავგავინწყდება, რომ ქართული სახელმწიფოს აღდგენა ქართული სახელმწიფო აზროვნების აღდგენასაც ნიშნავს. ამას კი ენა გამოხატავს.“ (აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 2005, გვ. 600).

კითხვები:

1. რატომ არის საქართველო ერთდროულად უძველესი და ახალგაზრდა სახელმწიფო?
2. რატომ ფერხდებოდა საქართველოს პოლიტიკური სისტემის ბუნებრივი განვითარება?
3. „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა, რა ჰკვებავდა ხალხსა, რა სახსრებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?“ (ილია ჭავჭავაძე);
4. რატომ ვერ შეძლეს საქართველოს მეფე-მთავრებმა ერთიანობისათვის მიეღწიათ და საერთო ძალით უფრო ქმედითი წინააღმდეგობა გაეწიათ გარეშე მტრებისთვის?
5. რას ითვალისწინებდა იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“?
6. როდის იწყება ქართული პოლიტიკური აზრის ევროპეიზაცია?
7. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული პოლიტიკური აზრის ევროპეიზაციას?
8. როგორ გამოიხატა ევროპის პოლიტიკური იდეების გავლენა?
9. როდის ჩამოყალიბდა საქართველოში ერთიანი ეროვნული ცნობიერება?

თემა III. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა

შესავალი

საქართველოს პოლიტიკური სისტემის ისტორიული განვითარების განხილვისას განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო საქართველოში პირველი თანამედროვე პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფოებრიობის არქონის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ჩამოყალიბდა;

2. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა, ღრმა კვალი დაამჩნია საქართველოს შემდგომ ისტორიას. საბჭოთა რეჟიმის არსებობის პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განსახიერება, საბჭოთა რეჟიმი კი ცდილობდა მისი ხსოვნის წაშლას;

3. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპყრო და ძალით შეიყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, იძულებული იყო, ანგარიში გაეწია ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, რომელსაც 1918 წელს ჩაეყარა საფუძველი;

4. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1990-იანი წლების დასაწყისში მოიხზრებოდა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. ამ თვალსაზრისს ემყარებოდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე (1991 წლის 31 მარტი) დასმული კითხვა („გინდათ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“), ისევე როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის აღდგენა.

შემდეგ თემებში, პოლიტიკური სისტემის ცალკეული ინსტიტუტების განხილვისას, ყოველთვის შევხებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამჯერად კი ზოგადად დავახასიათებთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მისი ჩამოყალიბების წანამძღვრებს, განვითარების მიმართულებებსა და დაცემის მიზეზებს.

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების წინაპირობები

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს ბევრისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ, ამავე დროს, ეს ნაბიჯი მომზადებული იყო ქვეყნის შიდა განვითარებით, ისევე როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის შეიქმნა, გარკვეულწილად, ხელსაყრელი საგარეო ვითარება.

1.1. დამოუკიდებლობის გამოცხადების საშინაო წანამძღვრები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება ჩვენს ქვეყანაში ერი-სახელმწიფოს ფორმირების მცდელობა იყო. ერი-სახელმწიფო ახალი დროის ევროპული მოვლენაა. მისი ფორმირება წარმოუდგენელია **საერთოეროვნული ცნობიერების** არსებობის გარეშე. საქართველოში ეს პროცესი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინტენსიურად წარიმართა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა რუსეთს ჰქონდა დაპყრობილი და მთელი სისასტიკით ატარებდა რუსიფიკაციის პოლიტიკას.

საქართველო ჯერ ქართველი ერის ცნობიერებაში გაერთიანდა, კუთხურობა დაიძლია, ხოლო როდის მოხდებოდა პოლიტიკური თვითმყოფადობის აღდგენა, ეს მხოლოდ დროისა და პოლიტიკური გათვლის საკითხი იყო.

საერთოეროვნული ცნობიერების არსებობის გარდა, აუცილებელი იყო **დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის** ქონა, რომ-

ლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს განვითარება ისე წარიმართა, რომ ხალხის მასები მიჰყვებოდნენ დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალებს, მათთვის მისაღები და გასაგები იყო დემოკრატიული პრინციპები და ნორმები, ამიტომაც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე გაკეთებული განაცხადი ხალხის მხრიდან მოწონებითა და მხარდაჭერით სარგებლობდა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებისათვის მნიშვნელოვანი იყო **პოლიტიკური პარტიებისა** და დემოკრატიულ პოლიტიკურ ფასეულობებზე ორიენტირებული **პოლიტიკური ელიტის** არსებობა. საქართველოში პოლიტიკური პარტიების ფორმირება მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და დამოუკიდებლობის აღდგენის წინ, ფაქტობრივად, არსებობდა სრულყოფილი პოლიტიკური სპექტრი, პოლიტიკური პარტიები თავიანთი პარტიული სტრუქტურებით, იდეოლოგიითა და მხარდამჭერებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი არსებობის ტრადიცია, ხსოვნა იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში „ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდა“. ისტორიულად ჩამოყალიბებული იყო საქართველოს ტერიტორია, ის სივრცე, სადაც შენდებოდა ერი-სახელმწიფო.

მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის მზაობაც დამოუკიდებლობის აღსადგენად. დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში ყველაზე გავლენიანი პარტია – სოციალ-დემოკრატია – ნიჰილისტურად იყო განწყობილი ეროვნული პრობლემებისადმი და საქართველოს დამოუკიდებლობაზე კი არა, ავტონომიაზეც არ ფიქრობდა. ამან დიდი ზიანი მიაყენა ქართულ ეროვნულ საქმეს. 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ, რომ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში საქართველოსთვის პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდნენ. 1917 წლის 19 ნოემბერს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია ეროვნული

საბჭო. ეს ორგანო საქართველოს ინტერესების დასაცავად იყო მონოდებული, მოგვიანებით მას მართლაც დაეკისრა საქართველოს პარლამენტის ფუნქციები.

ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ქართული პარტია – ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას არ აპირებდნენ და ერჩიათ, რომ საქართველო „დემოკრატიულ რუსეთთან კავშირში“ ყოფილიყო, მაგრამ დემოკრატიის მარცხმა რუსეთში და ბოლშევიკების გამარჯვებამ, ასევე თურქეთის შემოტევამ, მათ უბიძგა, სხვა ორიენტაცია გამოენახათ და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ.

1.2. დამოუკიდებლობის გამოცხადების

საგარეო წანამძღვრები

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მნიშვნელოვანი იყო არა მარტო საშინაო, არამედ გარკვეული საგარეო პირობების არსებობაც. საქართველოს რუსეთის ბატონობისგან თავის დაღწევა მხოლოდ ხელსაყრელი ვითარების არსებობის დროს, ანუ რუსეთის იმპერიის მნიშვნელოვანი სამხედრო მარცხის ან თავად რუსეთის იმპერიაში დაწყებული დიდი შიდაპოლიტიკური რყევების პირობებში შეეძლო, როდესაც რუსეთს აღარ ეცლებოდა, ან აღარ შეეძლებოდა ბატონობის შენარჩუნება საქართველოში.

1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლიო ომი რუსეთის იმპერიისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. მართალია, კავკასიის ფრონტზე ოსმალეთი დაამარცხა, მაგრამ მთავარ ფრონტზე – გერმანიასთან – მძიმე მარცხი განიცადა. ამას მოჰყვა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია და მეფის დამხობა. 1917 წლის შემოდგომიდან, ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, რუსეთი სამოქალაქო ომის პირობებში აღმოჩნდა. დაიწყო ამიერკავკასიის რუსეთისაგან ფაქტობრივი ჩამოშორების პროცესი.

1917 წლის 7 ნოემბერს ბოლშევიკებმა რუსეთში დროებითი მთავრობა დაამხეს და გამოაცხადეს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ამ ცვლილებას უარყოფითად შეხვდნენ სამხრეთ კავკასიაში – ბოლშევიკები აქ დიდი გავლენით არ სარ-

გებლობდნენ, დანარჩენი პოლიტიკური პარტიები კი გაემიჯნნენ რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას. 1917 წლის 14 ნოემბერს დაარსდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ბოლშევიკურ მთავრობას არ ემორჩილებოდა, მაგრამ ელოდებოდა რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას.

1918 წლის 5 იანვარს რუსეთის დამფუძნებელი კრება შეიკრიბა, ბოლშევიკები იქ უმცირესობაში იყვნენ და მეორე დღესვე დამფუძნებელი კრება გარეკეს. საპასუხოდ სამხრეთ კავკასიაში 1918 წლის 10 თებერვალს საკანონმდებლო ფუნქციებით აღჭურვილი ამიერკავკასიის სეიმი შეიქმნა. მასში შედიოდნენ სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული დელეგატები.

1918 წლის იანვარ-თებერვალში კავკასიის ფრონტი რუსეთის არმიამ მიატოვა, ჯარისკაცები შინ გაიქცნენ. ამიერკავკასიის მთავრობა ოსმალეთის სამხედრო ნაწილების შეჩერებას მოლაპარაკების გზით ცდილობდა. 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში ამიერკავკასიის დელეგაციასა და ოსმალეთის იმპერიას შორის სამშვიდობო კონფერენცია გაიმართა. ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია, აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით, ცდილობდა პირველი მსოფლიო ომის წინანდელი საზღვრების შენარჩუნებას, ოსმალეთი კი 1918 წლის 3 მარტს რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ გაფორმებული ბრესტის ზავის პირობებს იშველიებდა და მოითხოვდა ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქების გადაცემას. ამასთან, ხედავდა რა ამიერკავკასიის სეიმის სისუსტეს, კავკასიის მთლიანად დაპყრობასაც გეგმავდა.

1918 წლის მარტსა და აპრილში ოსმალეთის ჯარმა დაიკავა ყარსის ოლქი, ერევნის გუბერნიის დიდი ნაწილი, ბათუმის ოლქი, ოზურგეთისა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ნაწილი.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში საზავო მოლაპარაკებები განახლდა. ოსმალეთი ბრესტის ზავის პირობებით უკვე აღარ კმაყოფილდებოდა და მის მიერ დაკავებული ყველა ტერიტორიის დათმობას მოითხოვდა. ამიერკავკასიის დელეგაციის პო-

ზიცია ერთიანი არ იყო – აზერბაიჯანელები უარს ამბობდნენ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ოსმალეთის მთავარ მოკავშირეს – გერმანიას არ მოსწონდა კავკასიაში ოსმალეთის გაბატონების პერსპექტივა და მზად იყო, საქართველოსთვის დაეჭირა მხარი, თუკი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ამის შესახებ პირდაპირ უთხრეს ბათუმში მყოფ საქართველოს დელეგაციას. 1918 წლის 25 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს ატყობინებდა, რომ ოსმალეთის წინსვლის შეჩერება მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით იყო შესაძლებელი.

ამიერკავკასიის სეიმში შემავალი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკური პარტიები დიდხანს ვეღარ თანხმდებოდნენ და 1918 წლის 26 მაისს, დილით, ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და სეიმის თვითლიკვიდაცია გამოაცხადეს.

სეიმის არსებობას აზრი ჰქონდა დაკარგული. ამ დროისათვის თურქებს დაკავებული ჰქონდათ სომხეთის დიდი ნაწილი, აზერბაიჯანი კი კატეგორიულ უარს აცხადებდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაზე. საქართველო, ფაქტობრივად, მარტო იყო დარჩენილი, მისი ტერიტორიის ნაწილი ოსმალებს ჰქონდათ დაკავებული და თბილისში არ გამორიცხავდნენ, რომ თურქებს მთელი საქართველოს დაპყრობა მოენდომებინათ. დამოუკიდებლობის გამოცხადებით საქართველოს შესაძლებლობა ეძლეოდა თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედა და, თუნდაც, გერმანიის დახმარების გამოყენებაც ეცადა.

1918 წლის 26 მაისს სალამოს კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი სასახლის იმავე დარბაზში, სადაც ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა გამოცხადდა, ჩატარდა საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სხდომა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ნოე ჟორდანიამ გახსნა. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ „საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს აღდგება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი

მიზანია დღევანდელი ისტორიული ქარტეხილებისაგან დაიფაროს თავისი თავი“.

შესავალი სიტყვის შემდეგ სხდომის მონაწილეები საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს გაეცნენ და დაამტკიცეს. 1918 წლის 26 მაისს, 17 საათსა და 10 წუთზე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

2. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

დამოუკიდებლობის დეკლარაცია ქვეყნის ისტორიაში არ არის რიგითი მოვლენა, ამიტომ მის შესახებ უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი შედგება **ორი ნაწილისაგან**: ის იწყება შესავლით, რომელშიც მოკლედაა გადმოცემული დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული ვითარება; მას მოსდევს ძირითადი ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის ფუძემდებლური პრინციპები და ღირებულებები, რომელთაც ემყარება ახლად შექმნილი სახელმწიფო. თუმცა, სანამ დამოუკიდებლობის აქტის ამ ნაწილებს შევეხებოდეთ, მოკლედ განვიხილოთ მისი დაწერის ისტორია.

2.1. როგორ დაიწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე 1918 წლის 24 მაისის სხდომაზე იმსჯელა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავება. 25 მაისის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ მოითხოვა დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ჯერ ბოლომდე არ იყო შემუშავებული, გარდა ამისა, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას, მიაჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე აუცილებელი იყო ამიერკავკასიის სეიმის მონვევა, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლას და სეიმის თვითლიკვიდაციას დაადასტურებდა.

25 მაისის სხდომაზე წაიკითხეს კომისიის მიერ შედგენილი დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, რის შემდეგაც კამათი გაიმართა. დაადგინეს: „პროექტი შესწორებულ იქნეს კამათის დროს გამოთქმული აზრების თანახმად. შესწორება პროექტისა დაევალა ბ-ნ ჟორდანიას“.¹

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებასთან დაკავშირებით არსებობს ნოე ჟორდანიას, ზურაბ ავალიშვილისა და რაჟდენ არსენიძის მოგონებები. ნოე ჟორდანიას მოგონების თანახმად, მან შესწორება შეიტანა გიორგი გვაზავას მიერ წარმოდგენილ პროექტში,² რომელშიც „სწორ, ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების დებულებანი“, რაც მან ზედმეტად მიიჩნია და პროექტიდან ამოიღო ყველა კლასობრივი ხასიათის მუხლი და შესწორების შემდეგ დატოვა საერთოეროვნული მნიშვნელობის მუხლები, „ყველასთვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა“.³

ნოე ჟორდანიას მოგონებებს ავსებს რაჟდენ არსენიძის მოგონება, რომელიც საუბრობს კომისიის მიერ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის შემუშავებაზე.⁴ სავარაუდოდ, სწორედ ეს ტექსტი გააცნო გიორგი გვაზავამ ჟორდანიას.

განსხვავებულია ცნობილი ქართველი მოღვაწის, ზურაბ ავალიშვილის მოგონება, რომლის მიხედვითაც მან ბათუმში დაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროექტი და ნოე ჟორდანიამ 22 მაისს წაიღო თბილისში.⁵ ამის თაობაზე ნოე ჟორდანია არაფერს ამბობს.

¹ სცსსა, ფ. 1836, ანან. 1, საქ. №49, ფურც. 4.

² გიორგი გვაზავა დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებელი კომისიის წევრი იყო.

³ ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 89-90.

⁴ კ. ინასარიძე, პატარა „ოქროს ხანა“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921. რადიოდოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984, 76-77.

⁵ ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 84.

არსებობს მონაცემებიც, რომ დამოუკიდებლობის აქტის კიდევ ერთი ვარიანტი ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძესაც შეუდგენია.¹

მოგონებები დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებასთან დაკავშირებით

ნოე ყორღანიას მოგონება:

„საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვეყავით კომისია ჩემთან ერთად სამუშაოდ ამ საკითხში. მე ვთხოვე კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, ნავიკითხე, გავოცდი. სწორ, ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების დებულებანი: რვა საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვ. მე ასეთი მუხლები ჩავთვალე უადგილოთ; საჭირო იყო ერთი, ყველასათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქიდან ყველა კლასიკური ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ-პოლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წავუკითხე კომისიას. ამნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე ნავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ხარტიათ“.

რაჟდენ არსენიძის მოგონება:

„ნაშუადღევს დავინწყეთ მუშაობა. ვჩქარობთ, რადგან ხვალ ეროვნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავს იდვა ამ ისტორიული აქტის შესრულება. ვჩქარობთ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის დანიშნულების; უნდა აღინიშნოს ... უფლებები ახლად დაბადებული მოქალაქის; უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებს, რომელნიც ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობენ.

¹ ო. ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე. ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები, თბ., 1998, 25.

და ყოველივე ეს უნდა ითქვას მოკლედ, მოჭრით, მკაფიოდ. ამიტომ თითოეული სიტყვა ინვეს დავას, კამათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა და ჯახი თავდება მორიგებით; რაც მიღებულია – მიღებულია ყველასაგან. განხეთქილებასა და გულნაკლულობას აქ, ამ დაიდ გამამწყვეტ მომენტში, არ უნდა დაურჩეს ადგილი. ამას ვგრძნობთ ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახია. ... ვიბრძვით და ვჩქარობთ. ... შელამდა. ... ვერ დაგვისრულებია შრომა. ... ვიკრიბებით ნავახშმევს და ისევ ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყველა აზრს ჩავვირკიტებთ; შუალამეზე ვათავებთ პროექტის დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი გიორგი გვაზავა და პავლე სარჯველაძე მიეშურებიან საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომ ამალამვე დაამთავრონ ეს საშური, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა. ნაშუალამევს ბიურო იღებს ზოგიერთი შესწორებით საბოლოო რედაქციას და კვირას, 26 მაისს, იგი საჯაროდ ცხადდება სასახლის თეთრ დარბაზში“.

ზურაბ ავალიშვილის მოგონება:

„დავწერე სანიმუშო პროექტი საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებისა. დადგა დრო საქმის ჩამოყალიბებისა და მოქმედებისა. ჩხენკელმა, ჟორდანიამ, ნიკოლაძემ და სურგულაძემ მოიწონეს. ჟორდანიამ ეს პროექტი წაიღო თბილისში“.

2.2. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესავალი ნაწილი

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი იწყება იმ ვითარების აღწერით, თუ როგორ აღმოჩნდა საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და რატომ აღიდგინა დამოუკიდებლობა:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს

იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველოს გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმა დასტოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალის ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთი შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.“

როგორც ვხედავთ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი რუსეთს ბრალს არ სდებს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფაში და აღნიშნულია, რომ საქართველო „თავისი ნებით“ შეუერთდა რუსეთს, „გარეშე მტერთაგან დაცვის“ პირობით. სწორედ ამას ამტკიცებდა მეფის რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფია, მაგრამ ეს ისტორიულ სიმართლეს არ შეესაბამება.

რატომ არაფერია ნათქვამი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობასა და რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ? ეს შეიძლება ორი ძირითადი მიზეზით აიხსნას:

- რუსეთი ნასული იყო სამხრეთ კავკასიიდან და საქართველოს იმ მომენტში რუსეთისაგან საფრთხე არ ემოუქრებოდა. პირიქით, რაღაც პერიოდი რუსეთიდანაც მოელოდნენ დახმარებას ოსმალთა შემოტევის შესაჩერებლად;
- ქართველი სოციალ-დემოკრატებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იძულებითი ნაბიჯი იყო და, ამასთან, არ უნდოდათ რუსეთის განაწყენება.

რუსეთი ვეღარ იცავს საქართველოს გარეშე მტრებისაგან და საქართველო იძულებულია, თავის დასაცავად „საკუთარი სა-

ხელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას“, – ასეთია დამოუკიდებლობის აქტში დაფიქსირებული პოზიცია.

2.3. საქართველოს სახელმწიფოებრივი მონყოლის ამოსავალი პრინციპები

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რასაც უნდა დამყარებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო:

- სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი;
- დემოკრატიული რესპუბლიკა როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა;
- მუდმივი ნეიტრალიტეტი;
- კეთილმეზობლობა ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით მეზობლებთან;
- საქართველოს მოსახლეობისთვის სრული სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება;
- საქართველოს საზღვრებში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალი განვითარება.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტიდან:

„... საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა;

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა;

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა;

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან;

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა;

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს;

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.“

დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები უნდა გაშლილიყო და განსახიერებულიყო ქვეყნის კონსტიტუციაში, რომლის შესამუშავებლად მონვეულ იქნა დამფუძნებელი კრება (1919 წლის 12 მარტს) და მალევე შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით დამფუძნებელმა კრებამ შეასრულა თავისი მისია, მაგრამ საქართველოს ბედი ისე წარიმართა, რომ ვერ მოასწრო მიღებული კონსტიტუციით ცხოვრება. კონსტიტუცია, რომელიც სტამბური წესით ბათუმში დაიბეჭდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უცხოეთში წასვლის წინ დარჩა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოდ. მან მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრისა და, მასთან ერთად, ქართული სახელმწიფოს განვითარებაზე. **1921 წლის კონსტიტუცია დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის უნიკალური გამოცდილება. მასში აისახა იმდროინდელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკა, აგრეთვე ეპოქის მისწრაფებები და შეხედულებები.**

3. როგორი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

3.1. როგორ უყურებდნენ სოციალ-დემოკრატები სახელმწიფოს მშენებლობას

იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ძალებს შორის სოციალ-დემოკრატები დომინირებდნენ (1919 წელს არჩეულ დამფუძნებელ კრებაში 130 ადგილიდან ჯერ 109, შემდეგ კი დამატებითი არჩევნების ჩატარების შემდეგ 102 პარლამენტარი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო). პარტია, რომელიც ადრე ემიჯნებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეას, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სათავეში აღმოჩნდა. ამასთან, საქართველო მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, სადაც ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა. ისინი ცდილობდნენ, ეპოვათ „მესამე გზა“ – დასავლეთის „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შეზღუდულობასა“ და საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურ ტოტალიტარიზმს შორის. მათ უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ სოციალიზმი არადემოკრატიული რეჟიმის დამყარებას კი არ ნიშნავს, არამედ უფრო მეტი დემოკრატიულობის უზრუნველყოფას კაპიტალიზმთან შედარებით.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს ნაადრევად და შეუძლებლად მიაჩნდათ სოციალისტური გარდაქმნების განხორციელება საქართველოში. სოციალიზმისაკენ წინსვლა მათთვის მხოლოდ დემოკრატიის საფუძველზე იყო მისაღები, საქართველოს კონკრეტულ პირობებში უმთავრეს ამოცანად დემოკრატიული საზოგადოების შექმნა იყო მიჩნეული. ხელისუფლების სათავეში კი სოციალ-დემოკრატიის ყოფნის გამო, სახელმწიფოს შესაძლებლის მაქსიმუმში უნდა გაეკეთებინა მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

3.2. დემოკრატიული რესპუბლიკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მონყოფის პრაქტიკა და მმართველი პოლიტიკური ძალის მისწრაფებები აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში,

რომელიც ამკვიდრებდა დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას. კონსტიტუცია დემოკრატიულ რესპუბლიკას აცხადებდა პოლიტიკური წყობილების „მუდმივ და უცვლელ ფორმად“.

ხალხის სუვერენიტეტის რეალურად უზრუნველსაყოფად იმდროინდელი ქართველი სოციალ-დემოკრატების იდეალი უშუალოდ დემოკრატია იყო, მაგრამ, ამავე დროს, თანამედროვე სახელმწიფოს პირობებში მისი განხორციელება შეუძლებლად მიაჩნდათ. ამიტომ მკვიდრდებოდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის სისტემა, რომელიც ივსებოდა პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტების – საკანონმდებლო ინიციატივისა და რეფერენდუმის ჩართვით. მათ განიხილავდნენ როგორც ხალხის პირდაპირი მმართველობის ელემენტებს.

3.3. პარლამენტი

1921 წლის კონსტიტუციის საერთო დემოკრატიული სულისკვეთებიდან გამომდინარეობდა ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაციაც. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პარლამენტს. იგი მხოლოდ ხალხის ნებით იყო შეზღუდული და გარდა საკანონმდებლოსი, „აღმასრულებელი ორგანოს ნიშანსაც“ ატარებდა. პარლამენტის ფუნქციონირების ოპტიმალურ ვადად სამი წელი მიიჩნიეს – თვლიდნენ, რომ უფრო ხანგრძლივი ვადით არჩეული პარლამენტი „ხალხს მოსწყდებოდა“. უფრო ხშირი არჩევნები კი გამოიწვევდა აბსენტიზმს, ინდიფერენტიზმსა და დიდ ხარჯებს სახელმწიფოსთვის. პროპორციული საარჩევნო სისტემა, ყოველგვარი პროცენტული ბარიერის გარეშე, მიიჩნიეს ყველაზე დემოკრატიულად.

3.4. აღმასრულებელი ხელისუფლება

უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება – რესპუბლიკის მთავრობა – წარმოადგენდა კოლეგიას, რომელიც პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. მთავრობას სათავეში ედგა თავმჯდომარე, რომელიც, ამავე დროს, რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი იყო. 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, მთავ-

რობის თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით ირჩევდა პარლამენტი, ხოლო ერთი და იმავე პირის ზედიზედ არჩევა მხოლოდ ორჯერ იყო დასაშვები. ეს შეზღუდვა, ისევე, როგორც პრეზიდენტის თანამდებობის უარყოფა, იმდროინდელი სოციალისტების უმრავლესობის აზრით, აუცილებელი იყო მაქსიმალური დემოკრატიულობის უზრუნველსაყოფად.

3.5. სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობა

1921 წლის კონსტიტუციით, საქართველოში ყალიბდებოდა უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, ამავე დროს, უნიტარიზმის პრინციპს უთავსდებოდა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა და ავტონომიური მმართველობის დაშვება ზოგიერთი განაპირა კუთხისთვის (აფხაზეთი, ბათუმის მხარე, საინგილო). ადგილობრივ თვითმმართველობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის დემოკრატიული წყობილების დამკვიდრების საქმეში. მას მიიჩნევდნენ დემოკრატიის ქვაკუთხედად და დემოკრატიული წყობის დაცვის გარანტიად.

3.6. მოქალაქეთა უფლებები

ერთ-ერთი უმთავრესი იდეალი, რის მიღწევასაც ცდილობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფუძემდებლები, იყო სამართლებრივი, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, „უფლებრივი სახელმწიფოს“ ჩამოყალიბება. მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფასთან ერთად, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში, რომელშიც დაფიქსირებულია „მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“. ამავე დროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები ცდილობდნენ ეროვნული საკითხის „სანიშნო გადაწყვეტას“, ეროვნული უმცირესობებისათვის ისეთი უფლებების მინიჭებას, „რომლის მაგვარი არც ერთ კონსტიტუციაში არ მოიპოვება“.

4. „სხვა“ 1921 და მომდევნო წლები

4.1. როგორ განვითარდებოდა მოვლენები, საბჭოთა რუსეთის აგრესია რომ არ ყოფილიყო

საბჭოთა პერიოდში ცდილობდნენ იმ აზრის დანერგვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „არასიცოცხლისუნარიანი“ სახელმწიფო იყო. სინამდვილეში კი სწორედ საბჭოთა რეჟიმი იყო საქართველოში არასიცოცხლისუნარიანი და დასაყრდენს მოკლებული. ის მაშინვე დაემხო როგორც კი რუსეთის საოკუპაციო ჯარი დატოვებდა ქვეყანას.

რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მის არსებობას შინაგანი საფრთხე 1921 წელს არ ემუქრებოდა და გარედან თავდასხმა რომ არა, ის უპრობლემოდ გააგრძელებდა არსებობას და განვითარებას. საქართველო, დიდი ხნის შემდეგ პირველად, ერთიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ამასთან, მან დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მხრიდან იურიდიულ აღიარებასაც მიაღწია.

ძნელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას რუსეთის წითელი არმია რომ არ დასხმოდა თავს? ზოგიერთი რამის მეტ-ნაკლებად ზუსტი თქმა შესაძლებელია, მაგალითად, რაც 1921 წელს მოხდებოდა...

1921 წლის 27 იანვარს მოკავშირეებმა (ანტანტამ) იურიდიულად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ამბავი საქართველოში 30 იანვარს გაიგეს.

1921 წლის 7 თებერვალს საქართველოში დიდი ზემოთ აღინიშნა საქართველოს „დე-იურე“ ცნობა, ეგონათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას საგარეო საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მით უმეტეს, რომ რუსეთისა და თურქეთის ელჩები საქართველოს მეგობრობას ეფიცებოდნენ.

1921 წელს გრძელდებოდა კონსტიტუციის განხილვა. იმდროინდელ მმართველ პარტიას, სოციალ-დემოკრატიას, რომელსაც დამფუძნებელ კრებაში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდა,

კონსტიტუციის მიღება მოკლე ვადაში შეეძლო, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა კონსტიტუციურ საკითხებზე ფართო დისკუსიის გამართვა და ყველა ოპოზიციურ ძალას მიეცა საშუალება, თავისი მოსაზრებები დაწვრილებით წარმოედგინა. ამან, ბუნებრივია, კონსტიტუციის მიღება გააჭიანურა – საბჭოთა რუსეთის თავდასხმა რომ არა, კონსტიტუციის მიღებას, ალბათ, გაზაფხულზე დაამთავრებდნენ, შეიძლება ეს 12 მარტისთვის – დამფუძნებელი კრების გახსნის დღისათვისაც – დაემთხვათ.

შემოდგომაზე საქართველოში კონსტიტუციის საფუძველზე საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. 1921 წლის კონსტიტუციის 61-ე მუხლში ნათქვამი იყო: „პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე, ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში, იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას“.

1921 წლის ნოემბრის პირველი კვირა დღე 6 ნოემბერი იყო. საბჭოთა ოკუპაცია რომ არა, საქართველოს არჩეული პარლამენტი პირველად ამ დღეს შეიკრიბებოდა და ეს იქნებოდა მნიშვნელოვანი თარიღი საქართველოს უახლეს ისტორიაში. არადა, წითელი ოკუპაციის შედეგად ეს აღმოჩნდა ერთი უსახური, არაფრით გამორჩეული საბჭოური დღე, რომლის უმთავრესი თემაც იმდროინდელი საბჭოური პრესისთვის 7 ნოემბრის – ოქტომბრის რევოლუციის მორიგი წლისთავის აღნიშვნა იყო.

4.2. როგორი იქნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

1921 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მისი ჩატარება საქართველოს რომ დასცლოდა, დიდი ალბათობით, ისევ სოციალ-დემოკრატიული პარტია გაიმარჯვებდა. საპარლამენტო არჩევნებისათვის უკვე 1921 წლის დამდეგიდან ემზადებოდნენ. 1921 წლის იანვარში ჩამოყალიბდა საქართველოს დემოკრატიული პარტია, რომელშიც გაერთიანდა საქართველოს ყველა არასოციალისტური პარტია და ჯგუფი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გა-

მოეყო და ცალკე პარტიად ჩამოყალიბება დაიწყო მემარცხენე ფრთამ – „ახალი სხივის“ ჯგუფმა. არჩევნებისთვის ემზადებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები. სოციალ-დემოკრატები, სავარაუდოდ, უფრო ნაკლებ ადგილებს მიიღებდნენ პარლამენტში, ვიდრე დამფუძნებელ კრებაში ჰქონდათ, მაგრამ უმრავლესობა მაინც ეყოლებოდათ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მმართველობის დროს საქართველო დაადგა იმ გზას, რასაც თავად „დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ სვლას“ უწოდებდნენ. ამის გაკეთება საქართველოს არ დასცალდა, შემდეგ კი ევროპაში „დემოკრატიული სოციალიზმის“ სახელი მიიღო.

საქართველო დიდი ხნის შემდეგ კვლავ იყო დამოუკიდებელი და ერთიანი. ქვეყანას შეეძლო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარება და რომ არა საბჭოთა ოკუპაცია, სანიმუშო ქვეყანა იქნებოდა მეზობლებისთვის. საქართველო გადაურჩებოდა საბჭოურ რეპრესიებს და ექსპერიმენტებს, რომელთაც უდიდესი ზიანი მიაყენეს ქვეყანას. ეს არ იყო, უბრალოდ, დიდი მატერიალური და ადამიანური დანაკარგი. ეს იყო ერის სოციალური დეფორმაცია – ბოლშევიკებმა მთელი სოციალური ფენები გაანადგურეს: თავად-აზნაურობა, სამღვდელეობა, გლეხობის შეძლებული და მშრომელი ნაწილი, ძველი ინტელიგენცია, მუშების მონინავე ნაწილი, ყველა, ვისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ეროვნული თავისუფლება და დემოკრატია, ან დაიღუპა ან ემიგრაციაში წასვლა მოუხდა.

ბოლშევიკურმა „სოციალისტურმა აღმშენებლობამ“ დაამახინჯა საქართველოს ეკონომიკა, განავითარეს ისეთი დარგები, რაც საბჭოთა კავშირის ინტერესებს ემსახურებოდა და სერიოზული პრობლემები შეუქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კოლექტივიზაციამ მძიმედ დააზარალა სოფლის მეურნეობა, ასევე ფაქტობრივად განადგურდა სამოქალაქო საზოგადოება, მოისპო პოლიტიკური სპექტრი, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი, ალბათ, მაინც საზოგადოების ზნეობრივი დეფორმაცია იყო. საბჭოთა რეჟიმი, პირველ რიგში, ადამიანის ღირსებას ებრძოდა. უღირსი საქციელი გადარჩენისა და „კარგი ცხოვრებისაკენ“

მიმავალი გზა იყო. 1990-იანი წლებისათვის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის გაცილებით უფრო ცუდი საშინაო პირობები იყო, ვიდრე 1918–1921 წლებში.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა: შიდა და გარე ფაქტორები

5.1. გეოპოლიტიკური სიტუაცია კავკასიაში 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის წინ

1918–1920 წლებში კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა ემყარებოდა რუსეთისა და თურქეთის დასუსტებას. ეს ორი ქვეყანა დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში და რთული შიდა და გარე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. 1920 წლის გაზაფხულიდან გეოპოლიტიკური სიტუაცია კავკასიაში იცვლება. დიდი ბრიტანეთი და დასავლეთის სხვა ქვეყნები (საფრანგეთი, აშშ), ფაქტობრივად, აღარ ცდილობდნენ კავკასიაში პოზიციების შენარჩუნებას. ვითარების ბატონ-პატრონი საბჭოთა რუსეთი და თურქეთი ხდებოდნენ. ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის გამოყენებას ცდილობდა დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და თან ერთმანეთთან შეთანხმებით იყოფდნენ სამხრეთ კავკასიას.

1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა აზერბაიჯანის ოკუპაცია და გასაბჭოება, 1920 წლის შემოდგომაზე სომხეთი დამარცხდა თურქეთთან ომში, რის შემდეგაც ამ სახელმწიფოს დასავლეთი ნაწილი თურქეთის ხელში გადავიდა, აღმოსავლეთ ნაწილში კი, სომხეთის იმდროინდელი ხელისუფლების თანხმობით, საბჭოთა წყობილება დამყარდა.

1921 წლის დასაწყისში კავკასიაში ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. 1921 წლის 27 იანვარს ანტანტის ქვეყნებმა საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურე აღიარეს, მაგრამ ეს აღიარება არ იძლეოდა უსაფრთხოების გარანტიას. საქართველო უმძიმეს გეოპოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა.

მთავარი საფრთხე საქართველოს მაინც რუსეთისგან ემუქრებოდა. საბჭოთა რუსეთს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირობები რომ დაეცვა, არც თურქეთი წამოუყენებდა პრეტენზიებს საქართველოს და არც რუსეთის მიერ გასაბჭოებული სომხეთი და აზერბაიჯანი იაქტიურებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო, მოსკოვი მაშინვე აამოქმედებდა სამხედრო ძალას საქართველოს წინააღმდეგ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა.

საბჭოთა რუსეთი მაინც ფრთხილობდა და საქართველოს ოკუპაციას შენიღბულად ცდილობდა. საქართველოზე თავდასხმა დაიწყო აჯანყებით ლორეში, რომელზეც პრეტენზიას სომხეთი აცხადებდა. საქართველოს წინააღმდეგ ომს კი მოსკოვი ისე წარმოაჩინდა, თითქოს ეს იყო დახმარება საქართველოში აჯანყებული მშრომელებისათვის.

მიუხედავად მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაციისა, საქართველოს მაინც რჩებოდა შანსი – ლორეს აჯანყების ჩაქრობისა და თბილისზე შემოტევის მოგერიების შემთხვევაში, რუსეთს, შეიძლება, შეეჩერებინა დაწყებული აგრესია. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ელიტა სათანადოდ ვერ აფასებდა შექმნილ ვითარებას: დასავლეთის მიერ იურიდიული ცნობა, ისევე როგორც რუსეთისა და თურქეთის ხელისუფალთა მხრიდან გაკეთებული მეგობრული განცხადებები, უსაფრთხოების გარანტიად მიაჩნდა.

5.2. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომში საქართველოს დამარცხების მიზეზები

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოს ხელისუფლებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამას დაემატა სამხედრო ხასიათის შეცდომები, რამაც საბჭოთა რუსეთს წარმატება გაუადვილა. ამავ დროს, საქართველოს ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ შესაძლებელი იქნებოდა თურქეთის გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ, რაც ასევე შეცდომა იყო. ლენინის რუსეთი და ქემალის თურქეთი მოკავშირეები იყვნენ. 1921 წლის

17 მარტს მოსკოვში გაფორმებული შეთანხმებით, საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა დაადგინეს თავიანთი ახალი საზღვარი სამხრეთ კავკასიაში.

თურქეთის მცდელობა, საქართველოს ტერიტორიებიდან დამატებით მიეთვისებინა ბათუმი და ბათუმის ოლქი, მარცხით დამთავრდა ქართული ჯარის წინააღმდეგობის გამო. თურქეთმა მოპოვებული ტერიტორიები უშუალოდ შეიერთა, საბჭოთა რუსეთმა კი სამხრეთ კავკასიაში მარიონეტული საბჭოთა რესპუბლიკები შექმნა, რომლებიც შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეიყვანა.

თბილისის დატოვების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებმა ქუთაისში გადაინაცვლეს და დამფუძნებელი კრების სხდომაზე ამ ქალაქში გაიმართა – 1921 წლის 28 თებერვალს.¹ ამ სხდომის უმთავრესი დანიშნულება საზოგადოების გამხსნევა და მტერთან საბრძოლველად ეროვნული ენერჯის მობილიზება იყო. „თბილისის დატოვებით ომი არ დამთავრებულა, საჭიროა ძალების მობილიზება და ომის ბედის ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალება“, – სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ყველა გამომსვლელის სიტყვები.²

28 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო მიმართვა ქართველი ხალხისადმი და დასავლეთის ქვეყნების პარლამენტებისადმი. დამფუძნებელი კრების დავალებით, პრეზიდენტმა მისალმება გაუგზავნა ქართულ ჯარს. ასევე აირჩიეს თავდაცვის კოლეგია, რომელშიც შევიდნენ ფრაქციების თითო წარმომადგენელი.

¹ ამ სხდომის ანგარიში გაზეთმა „ერთობამ“ გამოაქვეყნა 1921 წლის 2 მარტს.

² „დღეს ყველა უნდა ვიქცეთ გმირებად“, „საჭიროა დიდი სიმტკიცე, ბრძოლის ენერჯის რაციონალიზაცია, შეგნება და რწმენა გამარჯვებისა“, „მტკიცე სურვილი გამარჯვებისა“, „ჩვენი დღევანდელი მტერი ისეთი თვისებისაა, რომ მასთან ზავი არ შეიძლება“, „მოდის რუსული იმპერიალიზმის ყველაზე უფრო საზიზღარი და საშინელი ფორმა“, „ეს თავდადებული ბრძოლა თავდები იქნება იმისი, რომ საქართველო უკვდავი იქნება“, – აი ზოგიერთი ფრაზა გამომსვლელთა სიტყვებიდან.

დამფუძნებელი კრების სხდომები დროებით შეწყდა, მისმა წევრებმა კი სხვადასხვა კუთხეს მიაშურეს თავდაცვისაკენ მიმართული ძალისხმევის გასაძლიერებლად. ამასთანავე, დამფუძნებელი კრების მომავალი სხდომების მოწვევა მიენდო პრეზიდიუმს – „როდესაც ის საჭიროდ დაინახავდა“.

სამწუხაროდ, თბილისის დატოვების შემდეგ საბრძოლო სულისკვეთების მობილიზება ვერ მოხერხდა, ისევე როგორც დასავლეთის მორალური თანაგრძნობა არ გადაზრდილა რეალურ მხარდაჭერაში. ომის მეორე ეტაპზე საქართველოს წინააღმდეგ რუსეთისა და თურქეთის ერთობლივი მოქმედება კი წარმატების არანაირ შანსს არ უტოვებდა ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი კრება ქალაქ ბათუმში შედგა 1921 წლის 17 მარტს. ამ სხდომის შესახებ გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე თავის ნაშრომში – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ (1917–1921 წწ.) – აღნიშნავს:

„ბათუმში დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაადგინა – გაგზავნოს საზღვარგარეთ საქართველოს ეროვნული მთავრობა ბნ ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მას ეძლეოდა უფლება შეედგინა კოალიციური მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: ორი წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული, ერთი – ეროვნულ-დემოკრატიული და ერთი – სოციალისტ-ფედერალისტური პარტიების. ბნ ნ. ჟორდანიას ეძლეოდა უფლება თვითონ დაენიშნა თავისი მოადგილე. მთავრობას მიეცა უფლება თან წაეყვანა მუშაობისათვის აუცილებელი სპეციალისტები და პიროვნებები.

მთავრობას დაევალა დაეცვა საქართველოს და ქართველი ერის ინტერესები მთელი დედამიწის მთავრობებისა და ერების წინაშე.

ამავე კრებაზე დამფუძნებელმა კრებამ მოუწოდა, ქართველი ერი და მისი ინტელიგენცია დარჩენილიყვნენ ხალხთან და მისი ბედ-იღბალი გაეზიარებინათ. მხოლოდ მათ, ვისთვისაც მოსალოდნელი იყო რეპრესიები ბოლშევიკების მხრივ მათი მუშაობისათვის დამოუკიდებლობის დროს, ეძლეოდათ უფლება წასულიყვნენ ემიგრაციაში.

ასეთი იყო უკანასკნელი დადგენილება თავისუფალი ქართველი ერის თავისუფლად არჩეული პარლამენტისა. ამიტომ, სანამდე ქართველი ერი არ იქნება თავისუფალი და მას არ ექნება შესაძლებლობა, მართლაც თავისუფლად აირჩიოს თავისი პარლამენტი, მანამდე ეს დადგენილება სავალდებულო რჩება ყველა ქართველისათვის და საქართველოს მოქალაქისათვის“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს და, მთლიანად ქართველ ხალხს, ალბათ, ბოლომდე ვერც წარმოედგინათ, თუ რა საშინელი რეპრესიები და განსაცდელი დაატყდებოდა ქვეყანას ბოლშევიკური ოკუპაციის პირობებში; ვერ წარმოედგინათ, თუ რა ხანგრძლივი იქნებოდა „ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის პერიოდი“.

ჩანართი

დამფუძნებელი კრების ოპოზიციური ფრაქციების დადგენილება 1921 წლის 17 მარტს

„ერთი და უკანასკნელი სხდომა საქართველოს ყოფილი დამფუძნებელი კრების ქ. ბათუმში, სადაც ყველა არამენშევიკურმა ფრაქციებმა მენშევიკურ მთავრობას გამოუტანეს უნდობლობა.

მოისმინა რა მთავრობის მოხსენება საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ

1. მთავრობა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ქვეყნის დაცვისათვის თუმცა იცოდა, რომ მტერი საქართველოზე თავდასხმას ამზადებდა და თვითონაც არა ერთხელ განუცხადებია, რომ რესპუბლიკის დასაცავად ყველა სათანადო ზომა მიღებული აქვს.

2. მთავრობამ ვერ შექმნა რესპუბლიკის დასაცავად საჭირო სამხედრო ძალა და მრავალ დაუდევრობისა და შეცდომის გამო სრულიად ვერ გამოიყენა თავდაცვისათვის ის ძალები, რომელიც მის განკარგულებაში იყო.

3. ომის წარმოების დროსაც მთავრობამ ვერ გამოიჩინა საჭირო სიმტკიცე და თვით შეიქმნა პანიკისა და არევ-დარევის წყაროდ.

დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ თუმცა ქართველმა ხალხმა ყოველივე მიიტანა სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე,

დღევანდელმა მთავრობამ მაინც ვერ შესძლო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა და უცხადებს მას უნდობლობას.

სოც-ფედ. ფრაქცია

სოც-რევ. ფრაქცია

დამოუკიდებელი სოც-დემ. ფრაქცია

დემოკრატიული ფრაქცია

გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 12 აპრილი 1921 წ.“

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის გზების ძიება

1921 წლის 17 მარტს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველო დატოვა და ემიგრაციაში გაემგზავრა, ვერავინ იტყოდა, რომ საბჭოთა ოკუპაცია შვიდ ათეულ წელს გაგრძელდებოდა. თავიდან იყო იმედი იმისა, რომ დასავლეთი წინ აღუდგებოდა საქართველოს მიმართ ჩადენილ უსამართლობას და საბჭოთა რუსეთს პასუხს მოსთხოვდა, რომ თავად ბოლშევიკური რეჟიმი დიდხანს ვერ გაძლებდა და შიდა პრობლემების გამო დაემხოვოდა. ასეთი იმედები, ალბათ, დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის დამატებით სტიმულს ქმნიდა.

თავიდან ეს ბრძოლა იყო პირდაპირი მნიშვნელობით ბრძოლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენად. ამ ბრძოლაში, პირობითად, ოთხი ძირითადი გზა გამოიკვეთა. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

6.1. გზა პირველი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა საბჭოთა რუსეთზე დასავლეთის ზენოლის გზით

თავიდან ემიგრაციაში წასულ საქართველოს მთავრობას ძალზე ეიმედებოდა დასავლეთისა. მთავრობა იმედოვნებდა, რომ საბჭოთა რუსეთს საერთაშორისო აღიარების მქონე პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას არ აპატიებდნენ. მაგრამ დასავლეთში საქართველოს გამო საბჭოთა რუსეთთან დაპირისპი-

რებას არ აპირებდნენ და ეს სულ მალე გახდა ცხადი. თუნდაც, 1922 წლის გენუის კონფერენციის მიხედვით, რომელმაც თავი აარიდა საქართველოს საკითხის განხილვას.

დასავლეთში ყველაზე დიდი მხარდაჭერა საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ საფრანგეთისგან, პოლონეთისგან და სოციალ-დემოკრატიული წრეებისგან მიიღო, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში და საბჭოთა რუსეთის წინაშეც აყენებდნენ საქართველოს დეოკუპაციის საკითხს.

6.2. გზა მეორე – განთავისუფლების მცდელობა საკუთარი ძალებით

საქართველოს საბჭოთა ოკუპაციას, რეჟიმის საშინელ რეპრესიებს, საქართველოში შეიარაღებული წინააღმდეგობა მოჰყვა. რამდენიმე ლოკალური აჯანყების შემდეგ, 1924 წლის აგვისტოში მოხდა დიდი აჯანყება ქვეყნის მასშტაბით. შეიძლება ითქვას, რომ ამ აჯანყებას წარმატების შანსი, ფაქტობრივად, არ ჰქონდა. ვერ მოხერხდა აჯანყების მხარდაჭერის უზრუნველყოფა კავკასიის მთიელების ან აზერბაიჯანის მხრიდან. არ მოელოდნენ აჯანყების სამხედრო მხარდაჭერას დასავლეთის მხრიდანაც. მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რომ ზეგავლენა მოეხდინათ თურქეთზე, რათა ის საქართველოს არ დასხმოდა რუსების განდევნის შემთხვევაში.

როგორც ნოე ჟორდანიას აღნიშნავდა, აჯანყება არ ფასდება იმის მიხედვით, გაიმარჯვა თუ დამარცხდა. აჯანყება ფასდება მიზნით და თავისუფლებისთვის დაღვრილი სისხლი არასოდეს ჩაივლის უშედეგოდ.

1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე უარი ითქვა. ცხადი იყო, რომ ძალთა უთანასწორობის გამო მარტო საქართველო საბჭოთა იმპერიისგან თავის დაღწევას ამ გზით ვერ შეძლებდა, რეპრესიების მასშტაბი კი საშინელი იქნებოდა.

6.3. გზა მესამე – საბჭოთა კავშირის დამარცხება დიდ ომში, რომლის შედეგადაც ის დაიშლებოდა ან არსებობას შეწყვეტდა

საბჭოთა კავშირის ასეთ დიდ ომში ჩაბმა საქართველოს საბჭოთა ოკუპაციიდან 20 წლის შემდეგ მოუხდა, 1941 წელს, როდესაც ნაცისტური გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს. 1941–1942 წლებში ისე ჩანდა, რომ საბჭოთა კავშირი განწირული იყო. 1941 წელს საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ სპეციალური ინსტრუქცია გააგზავნა საქართველოში, რომ გერმანული ჯარის საქართველოში შემოსვლის შემთხვევაში მას დახვედროდნენ როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები.

ქართული ემიგრაციის მეორე ნაწილი გერმანიის მხარეზე დადგა და მასზე ამყარებდა საქართველოს განთავისუფლების იმედს. ამაში თავის როლს ასრულებდა 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოსთვის გერმანიის მხარდაჭერის ხსოვნა. თუმცა ჰიტლერმა 1943 წელს საბოლოოდ უარი თქვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას და ქართული ემიგრაციის დიდ ნაწილს ნაცისტურ გერმანიაზე იმედი არასოდეს დაუმყარებია. მათი აზრით, უნდა ყოფილიყვნენ დემოკრატიული ქვეყნების ბანაკში. დასავლეთის დემოკრატიები კი საბჭოთა კავშირთან ერთად ებრძოდნენ ნაციზმს. ამაში იყო საქართველოს მდგომარეობის ტრაგიკულობა. ქართველმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ თვითონ დარჩა პიროვნულ და ეროვნულ თავისუფლებას მოკლებული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, როდესაც საბჭოთა კავშირი ზესახელმწიფოდ იქცა და თან ატომური იარაღით აღიჭურვა, უბრალოდ, წარმოუდგენელი ჩანდა სამხედრო გზით მისი დამარცხება.

6.4. გზა მეოთხე – საბჭოთა რეჟიმის შინაგანი კრახის შედეგად

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის არსებობა რუსეთის სამხედრო ძალის ყოფნაზე იყო დამოკიდებული. თუკი რუსეთის შიდა პრობლემების გამო ეს ძალა საქართველოს დატოვებდა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გარდუვალი იქნებოდა. საბჭოთა რეჟიმის დაცემის იმედი შიდა პრობლემების გამო დიდი იყო 1920-იან წლებში, 1945 წლის შემდეგ კი წარმოუდგენელი ჩანდა.

არადა, სწორედ ამ გზით მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. გარეგნულად უძლეველი ტოტალიტარული რეჟიმი განუზომელმა სამხედრო ხარჯებმა წელში გატეხა და სულ უფრო მზარდმა შიდა უკმაყოფილებამ დაამხო. საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო ამ ბრძოლაში. ზვიად გამსახურდიამ, კრემლისაგან უშედეგო მოლოდინის შემდეგ, რომ მოსკოვში აღიარებდნენ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის ფაქტს, ჩაატარა რეფერენდუმი და გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც გადაიდგა ნაბიჯები საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წევრები უკვე გარდაცვლილი იყვნენ. რაც არ უნდა უცნაური იყოს, საბჭოთა რეჟიმის დემონტაჟი ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების არსებობის დროს დაიწყო. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოს უზენაესმა საბჭომ თავისი დადგენილებებით უკანონოდ გამოაცხადა საბჭოთა რეჟიმი საქართველოში; უკანონოდ და ბათილად გამოცხადდა ყველა აქტი, რომლებიც აუქმებდა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით“.

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს სამართლებრივი თვალსაზრისით თუ

შევაფასებთ, ახალი საქართველო თავს მიიჩნევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ. თუმცა მსოფლიომ საქართველოს დამოუკიდებლობა სულ სხვა საფუძველზე ცნო – როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სუბიექტი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობა ცდილობდა, მიეღწია საქართველოს დეოკუპაციისთვის. ეს ამოცანა დღესაც არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი – საქართველოს ორი რეგიონი – აფხაზეთი და ცხინვალის რუსეთის მიერაა ოკუპირებული. რუსეთი წარსულშიც და დღესაც ჯიუტად უარყოფს საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიისა და ოკუპაციის ფაქტს.

100 წლის წინ საქართველომ, დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, სხვა არჩევანიც გააკეთა – გაემიჯნა ბოლშევიკური ტოტალიტარიზმისკენ მიმავალ რუსეთს და ევროპა მიიჩნია თავის სახლად. ასი წლის შემდეგ საქართველო დაახლოებით იმავე არჩევანის წინაშე დგას – დაამკვიდროს ევროპულ ფასეულობებზე დამყარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო, რუსეთის სასტიკი წინააღმდეგობის პირობებში, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ უკვე სამი ათეული წელია, რაც პერმანენტულ ჰიბრიდულ ომს ანარმოებს. თუმცა, ასი წლის წინანდელი ვითარებისგან განსხვავებით, 2018 წელს მსოფლიო სულ სხვა რეალობაში ცხოვრობს.

თემა IV. ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები (XIX–XX საუკუნეები)

შესავალი

პოლიტიკური სისტემის მშენებლობა და, მით უმეტეს, ფუნქციონირება დამოკიდებულია მისი შემქმნელი ადამიანების პოლიტიკურ შეხედულებებსა და პოლიტიკურ აზროვნებაზე, პოლიტიკურ კულტურასა და ეროვნულ ხასიათზე. ამიტომაც არის, რომ ერთი და იგივე ინსტიტუტი სხვადასხვა ხასიათს იღებს და განსხვავებულად ფუნქციონირებს სხვადასხვა ქვეყანაში.

ქართული პოლიტიკური აზროვნების დამახასიათებელი ნიშნების თაობაზე ბევრი რამ დანერგეს XIX-XX საუკუნეების ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა. მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები საინტერესოა და, რაც მთავარია, ბევრი რამ დღესაც არ კარგავს აქტუალობას. აღსანიშნავია, რომ ისინი, პირველ რიგში, გამოყოფდნენ ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელ ნეგატიურ ნიშნებს, ან იმ თვისებებს, რასაც უარყოფითი შედეგები შეიძლება მოეტანა.

ამ საკითხისადმი ინტერესის მიზეზი ისიც იყო, რომ XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ერთმანეთის გვერდით არსებობდა და ერთმანეთს მწვავედ უპირისპირდებოდა ფასეულობებითა და აზროვნების სტილით ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე პოლიტიკური მიმდინარეობა.

ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებებისა და დამახასიათებელი ნიშნების საკითხის განხილვის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ კიტა აბაშიძის (1870–1917) 1905 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „პოლიტიკური რომანტიზმი“, მას ეხმაურება და იქ გამოთქმულ მოსაზრებებს ავითარებს არჩილ ჯორჯაძე (1872–1913). პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მისი ნაშრომი „თავად-

აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება XIX საუკუნეში“ (1909), თუმცა არჩილ ჯორჯაძე ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების საკითხებს ასევე სხვა მრავალ ნაშრომში ეხება. ქართული პოლიტიკური აზრის საკითხებს ივანე ჯავახიშვილიც იკვლევდა (ნაშრომები: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები XVIII საუკუნეში“, „მოხსენება თანამედროვე მომენტზე“ – 1919 წელი). თუკი არჩილ ჯორჯაძე XIX საუკუნის ქართულ პოლიტიკურ აზრს იკვლევდა, ივანე ჯავახიშვილმა გააფართოვა ანალიზის ფარგლები – მოიცვა XVIII საუკუნე და XX საუკუნის პირველი მეოთხედიც. კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის, ივანე ჯავახიშვილის ეს ნაშრომები თითქოსდა ერთმანეთს ეხმიანება და ერთი პრობლემის გააზრებად აღიქმება. თუმცა მათ მიერ აღძრული საკითხები სხვადასხვა დროს განხილულია სხვა ავტორთა ნაშრომებშიც. საბჭოთა პერიოდში ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებების კვლევას, ფაქტობრივად, გაგრძელება არ მოჰყოლია და არც შეიძლება მოჰყოლოდა. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიასთან დაკავშირებით თუ რაიმე ინერებოდა, ყველაფერი განიხილებოდა ე.წ. „მარქსისტული მიდგომის“ პოზიციიდან. სინამდვილეში ეს განხილვა მიმდინარე პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით ხდებოდა და ემყარებოდა მარქსიზმის იმ ინტერპრეტაციას, რომელიც ყოველთვის იყო გაბატონებული საბჭოთა კავშირში.

როდესაც ქართული პოლიტიკური აზროვნების თავისებურებებს განიხილავდნენ, ყურადღებას ამახვილებდნენ მის ნაკლოვანებებზე – გასათვალისწინებლად და გამოსასწორებლად, თუმცა ხედავდნენ ქართული ხასიათისა და ქართული აზროვნების ძლიერ მხარეებსაც. დავით ვაჩნაძეს ქართული აზროვნების მთავარ თავისებურებად მიაჩნდა ჰუმანურობა და ეროვნულ-საზოგადოებრივი იდეალებისადმი სწრაფვა, მხეცური სიძულვილი და ფანატიზმი.¹

ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ასათიანი წერდა: „ჩვენი ეროვნული ნაკლი და სუსტი მხარეები მუდამ უნდა გვახსოვდეს

¹ დ. ვაჩნაძე, ქართული აზრი, ჟურნ. „მამული“ №4, 1951, გვ. 109-110.

და მუდამ უნდა ვზრუნავდეთ მათი გამოსწორებისათვის. მაგრამ ჩვენი ეროვნული ეს კარგი თვისებებიც მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს და მათი განვითარებისათვის უნდა ვიღვწოდეთ. ეს საჭიროა ყოველთვის და ყოველგან, კერძო თუ საქვეყნო საქმეში, მშვიდობიანი მოქმედებისა თუ ცხარე ბრძოლების დროს“.¹

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ქართული პოლიტიკური აზროვნების წარსულ ნაკლოვანებებსა და სუსტ მხარეებს.

1. ქართული პოლიტიკური აზრის ევროპეიზაციიდან მიმდინარე საფრთხეები

ქართული საზოგადოების ევროპეიზაციის პროცესი განაპირობებდა პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაციასაც. საქართველოში ვრცელდებოდა ევროპული პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები, ქართული საზოგადოების პოლიტიკურად აქტიური ნაწილი უკვე თავს მოიზარებდა იმ გლობალური პოლიტიკური პროცესების მონაწილედ, რაც მაშინდელ ევროპაში მიმდინარეობდა. ეს იყო უაღრესად პოზიტიური პროცესი, მაგრამ გარკვეული ნაკლოვანებებისა და საფრთხის შემცველიც იყო.

1.1. უცხო იდეოლოგიების მექანიკური გადმოტანით გამოწვეული საფრთხეები

1881 წლის მაისში დაწერილ „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე აანალიზებდა „აზრთა ორ მდინარებას“ – კონსერვატიზმსა და ლიბერალიზმს. ამ მიმდინარეობათა სახელწოდებები ევროპაში ჩამოყალიბდა, მაგრამ ნებისმიერი „სიცოცხლის ღირსი ერის“ ისტორიული განვითარება მხოლოდ ამ ორი აზრთა წყობის ურთიერთბრძოლით არის შესაძლებელი. მათ მარცხნივ და მარჯვნივ „ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ“, მაგრამ წამყვან როლს სწორედ ეს ორი „აზრის წყობა“ ქმნის.

¹ ალ. ასათიანი, რამ გვიხსნა და რა გვიხსნის?, ჟურნ. „სამშობლო“ №12, 1932, გვ. 13–24.

აქ ილია ჭავჭავაძე ორ საფრთხეს ხედავდა: პირველი საფრთხეა კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის არსის დამახინჯება – ეს ორი იდეოლოგია „ჭეშმარიტ“ სახეს მხოლოდ მაშინ ატარებს და თავის როლს ასრულებს, თუკი ერთი ყველა ძველის დამცველი არ იქნება, მეორე კი ყველა ძველის წინააღმდეგი და ყველა ახლის მომხრე. ასე დაემართა მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების რუსეთს, მისი წაბადვით კი იმდროინდელ საქართველოსაც:

„ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის, და თუ ხანდისხან სცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ იმისთანა ძველსაც გადაეფარება, რომელიც თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია, და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა – მინამ კარგად გულს არ დააფერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარისხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას, საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს-აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოვებლად“¹.

მეორე საფრთხეა სწორედ კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის სხვა ქვეყნიდან მექანიკური გადმოტანა. ამ ორი „აზრთა წყობის“ შინაარსი კონკრეტული ქვეყნის პირობებით განისაზღვრება და მისგან უნდა მომდინარეობდეს.

ილია ჭავჭავაძე დასცინოდა რუსეთის წაბადვით საქართველოში გაჩენილ „ცრუ ლიბერალიზმს“, რომლის არსიც რამდენიმე მოდური ფრაზით გამოიხატებოდა. საქართველოში ლიბერალიზ-

¹ ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, მაისი – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი V, საქართველოს მატყანე, თბ., 1955, გვ. 90-91.

მის უმთავრეს ამოცანად ილია ჭავჭავაძეს „დაცემული ვინაობის აღდგენა“ მიაჩნია. „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, – ყველასათვის ცხადზედ ცხადია“.¹

ილია ჭავჭავაძის თქმით, საქართველოს ამ მხრივ ბევრი რამის სწავლა შეეძლო იმ ევროპელი სლავი ხალხებისაგან, რომლებიც ანალოგიურ ამოცანას წყვეტდნენ და პირველ რიგში ჩეხებს ასახელებდა. ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა კონკრეტული პროგრამაც ქართული „დაცემული ვინაობის“ აღსადგენად.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გავრცელებული იყო იმდროინდელ ევროპაში არსებული ყველა იდეოლოგია, თუმცა ქართული საზოგადოების პოლიტიკურად აქტიური ნაწილი მიდრეკილი იყო უფრო მემარცხენე იდეოლოგიებისკენ. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

კონსერვატიზმი ქართულ საფუძველზე შეიძლება განვითარებულიყო, საქართველოს კი იმ დროისათვის თავისი სახელმწიფო არ ჰქონდა და თან რადიკალური რეფორმების განხორციელება სჭირდებოდა. კონსერვატიზმი ასოცირდებოდა წარსულის გაიდევალებასთან, ძველი წესების შენარჩუნების მცდელობასთან და ის მიმზიდველი არ ჩანდა პოლიტიკურად აქტიური ახალგაზრდობის დიდი ნაწილისთვის. მათთვის ლიბერალიზმიც ძალზე ზომიერად წარმოდგებოდა. მიმზიდველი იყო სოციალიზმი თავისი სხვადასხვა მიმდინარეობით. თითოეულ ამ მიმართულებას ახასიათებდა აზროვნების გარკვეული სტილი და თავისებურებანი.

1.2. „წამბაძველობით“ გამოწვეული საფრთხეები

XIX–XX საუკუნეების ქართველ მოღვაწეთაგან ბევრს აღუნიშნავს, რომ საჭიროა უცხო იდეებისა და თეორიების არა მქანკური გადმოტანა, არამედ ორგანული გათავისება. კონსტანტინე

¹ ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1881 წელი, მაისი – ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი V, საქართველოს მატთანე, თბ., 1955, გვ. 98.

გამსახურდია აღნიშნავდა, რომ „ყოველი ერის ინტელექტუალურად დამნიჭებული და დინჯი თაობა ნასესხებს იდეებს თავის ეროვნულ ტემპერამენტის მიხედვით გარდაქმნის, გადახარშავს და თავის ადგილობრივ სინამდვილეს მოახმარს. ამ პრინციპზე ემყარება მთელი ადამიანობის მოდემის კულტურული აღებ-მიცემობა და ყოველი დანიანურებული ერის კულტურ-პოლიტიკა“.¹

სხვა ნიადაგზე შექმნილმა თეორიებმა და იდეებმა, მექანიკურად გადმოტანის შემთხვევაში, სულ სხვა ხასიათი შეიძლება მიიღოს და ქვეყნისთვის საზიანოც აღმოჩნდეს. მაგალითად, ალექსანდრე ამილახვარი ევროპელ განმანათლებელთა იდეებზე დაყრდნობით მეფის ხელისუფლების შეზღუდვას და არჩევითობას მოითხოვდა. მაგრამ ალექსანდრე ამილახვრის უკან არა მესამე წოდება, არამედ მსხვილი ფეოდალების ინტერესი იდგა და მისი მოთხოვნებიც სულ სხვა ხასიათს იღებდა. არჩევითი მეფე კი არსებობდა რეჩ პოსპოლიტაში და ამის გამო ეს სახელმწიფო XVIII საუკუნის ბოლოს მეზობელი ქვეყნების მსხვერპლი გახდა.

არჩილ ჯორჯაძე (1872–1913) მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველებისთვის დამახასიათებელ ერთ მნიშვნელოვან თვისებად, რაც დიდ გავლენას ახდენდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაზე, **გლობალური იდეებით გატაცებას და წამბაძველობას** მიიჩნევდა. „ჩვენ ყოველთვის ის გვინდა, რაც საუკეთესოა, რაც დიდებულია სანახაობით და წარმტაცი გარეგნობით... განსაკუთრებით კი ის გვიყვარს, რომ აქ შინ, ჩვენს პატარა სამშობლოში, მსოფლიოს მნიშვნელობის ამბები ხდებოდეს“, – აღნიშნავდა არჩილ ჯორჯაძე (ჯორჯაძე ა., 1910, გვ. 257). თუკი რუსეთში ან ევროპაში რამე ხდებოდა, საქართველოშიც იგივე უნდა გაემეორებინათ, იმის მიუხედავად, რომ კონკრეტულ-ისტორიული რეალობა განსხვავებული იყო. ეს, პირველ რიგში, მემარცხენე სოციალისტურ პარტიებს ეხებოდათ, რომლებიც მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის იდეით იყვნენ გატაცებულნი.

¹ კონსტანტინე გამსახურდია, რეცენზია მწერალთა კავშირის საბჭოს გამოცემაზე – „პოეზიის დღე“, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, №58, 1921, 11 მაისი, გვ. 2-3.

ნამბაძველობა ორი სახით ვლინდებოდა – ერთი, როგორც უკვე ითქვა, იყო სურვილი, რომ საქართველოშიც გამეორებულიყო იგივე, რაც „მონინავე ქვეყნებში“ ხდებოდა, მეორე კი „მოდური“ იდეებით მასობრივი გატაცება – „ის თუ ამ იდეას ან პარტიას მისდევს, – მე რატომ უნდა ჩამოვრჩეო“.

საქართველოში XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სწრაფად გავრცელებული მარქსიზმი, კიტა აბაშიძის აზრით, ჩვენთვის მეტად ადრეული იყო. „ჩვენს ერს აქვს ბევრად უფრო უახლოესი საგნები თავისი ვინაობისა და არსებობის დაცვისა, რომლის მიღწევის შემდეგ შეიძლება მხოლოდ ახალი იდეალის დასახვა“.¹

რუსეთის 1905–1907 წლების რევოლუციის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე აფასებდა რა განვლილ პერიოდს, თვითკრიტიკულად აღნიშნავდა რევოლუციონერთა მისამართით: „საქართველო სოციოლოგიურ და სოციალისტურ პრობლემების გასარკვევი ლაბორატორია გვეგონა“, „რევოლიუციის ხანაში თვალეზზე რაღაც ბინდი გვეფარა და ... კოლექტივისტურ-კომუნისტური წესწყობილება სულ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გვეგულეობდა“.² ეს კი ხელს უშლიდა ქვეყანაში არსებული ვითარების რეალურ და ადეკვატურ შეფასებას.

არჩილ ჯორჯაძის დასკვნით, „ნამბაძველობა ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ჩვენი ხასიათისა. უკულტურო ხალხი ყოველთვის ნამბაძავია...“ „უკულტურობაში“ იგულისხმება ევროპეიზაციის პროცესში მყოფი საზოგადოება, რომელიც, უცხოური იდეებით გატაცებული, სათანადო ანგარიშს არ უწევდა მათ რეალურობას და საქართველოს ნიადაგზე გადმოტანის შესაძლებლობას.

არჩილ ჯორჯაძე საუბრობდა რა ნამბაძველობაზე, შენიშნავდა: „ჩვენი „საზოგადოების“ ერთი დიდი ნაწილის გასოციალდემოკრატიება განა იმავ ნამბაძველობის კანონის ძალით არ მოხდა!“³

¹ კიტა აბაშიძე, ჩვენი ახალგაზრდობა (ჩემს მეგობრებს), წიგნში: „კიტა აბაშიძე. ცხოვრება და ხელოვნება.“, თბ., 1971, გვ. 173.

² არჩილ ჯორჯაძე, დემოკრატიის გაერთიანება, არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი II, ტფ., 1911, გვ. 246-268.

³ არჩილ ჯორჯაძე, დემოკრატიის გაერთიანება – არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი II, ტფ., 1911, გვ. 259.

მისი აზრით, სოციალ-დემოკრატებმა გააგრძელეს 1870–1880-იან წლებში ქართველ ახალგაზრდების ერთ ნაწილში გაჩენილი მიმართულება – ეს ახალგაზრდობა „სამშობლოს გაურბოდა და თავის მოვალეობადა სთვლიდა რუსეთის საშუალებით კაცობრიობის მოძრაობაში ჩარეულიყო. რამდენად გულწრფელი იყო ამ ახალგაზრდობის მისწრაფება, იმდენად უნაყოფო იყო მისი მოქმედება და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ, ასცდა რა იგი სამშობლო ნიადაგს, კაცობრიობის სამსახური მოინდომა უშუამავლო ეროვნულ ჩარჩოების გარეშე“.¹

რატომ არ აკმაყოფილებდათ საქართველოში არსებული ვითარება? არჩილ ჯორჯაძის თქმით, „ჩვენი განათლებული ახალგაზრდა თავის სიჭაბუკეს უცხო ქვეყანაში ატარებდა. რამდენისამე წლის განმავლობაში იგი ეცლებოდა ჩვენს დაქვეითებულ ცხოვრებას და ატარებდა რუსეთის დიდ ცენტრებში, სადაც შედარებით ცხოვრება სდულდა, საცა ახალგაზრდა კაცი ადვილად ჰპოულობდა გონების საზრდოს და თავის გულის პასუხსაც აკმაყოფილებდა“.²

ამ ახალგაზრდობის უკმაყოფილებას იწვევდა ე.წ. „ვინრო პატრიოტიზმიც“, რომელიც „ფეხს იდგამდა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში“ ამგვარი პატრიოტიზმის თაობაზე არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა, რომ მისი „დამახასიათებელი თვისება იყო თავმონონება, წარსულ გმირთა და ცხოვრების თაყვანის ცემა, განურჩევლად იმისა, თუ რა იყო წარსულში სათაყვანებელი და რა გასაკიცხი“.³

ადგილობრივმა „ვინრო“ პატრიოტიზმმა და უცხოეთით გატაცებამ ახალგაზრდობის ამ ნაწილს სამშობლოსადმი გულგრილი დამოკიდებულება ჩამოუყალიბა. არჩილ ჯორჯაძის დახასიათებით, „ჩვენებურმა ვინრო პატრიოტობამ რეაქცია გამოიწვია. ეს რეაქცია გამოისახა კაცობრიობის ფართო, ფრთებ-შეუკვეცელ სამ-

¹ არჩილ ჯორჯაძე, პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი II, ტფ., 1911, გვ. 90-91.

² იქვე, გვ. 91.

³ იქვე.

სახურის სურვილში. ახალგაზრდა ქართველი ჰშორდება ეროვნულ ნიადაგს და ამ დაშორებით თანდათან სულიერ კავშირსაც ჰკარგავს იმ წრესთან, რომელშიაც იგი აღიზარდა. ამ სულიერ კავშირის განწყვეტასთან მის გულში სამშობლოსადმი გულგრილობამ და უსამართლობამ დაისადგურა. არც წარსულში, არც აწმყოში, არც მომავალში ის არა ხედავდა სანუგეგმოს, სანუკვარს, გამახალისებელს და გულის გამკეთებელს. ბარბაროსობა წარსულში, ბარბაროსობა აწმყოში და მომავალი ბურუსით მოცული – აი ის დასკვნა, რომლამდინაც მივიდა ერთი ნაწილი ჩვენის ძველი თაობისა თავის ახალგაზრდობაში.“¹

კაცობრიობის რევოლუციური გარდაქმნის იდეის გამოდევნებას შედეგად ის მოსდევდა, რომ დავინწყებულ იყო „ჩვენი ქვეყნის ინტერესი“. სოციალისტები კვლავ საუბრობდნენ კლასთა ბრძოლაზე, „ნაციონალიზმის საფრთხეებზე“ და ავინყებოდათ, რომ სინამდვილეში „ერის ყოფნა არყოფნის საკითხი“ იდგა.² არჩილ ჯორჯაძე ამოდ მოუწოდებდა დემოკრატიული ძალების გაერთიანებისკენ, ეროვნული ინტერესების დასაცავად საერთო მოქმედებისაკენ.

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ე. წ. „ნაციონალისტებსა“ და „კოსმოპოლიტებს“ შორის ბრძოლა უაღრესად მწვავე ხასიათს ატარებდა და აფერხებდა საქართველოსთვის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას. დიდი ხნის შემდეგ, იგონებდა რა წარსულს, მიხეილ წერეთელი აღნიშნავდა, რომ XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურად აქტიური ქართველობა ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ეროვნული იდეოლოგიის პოზიციაზე მდგომნი და ისინი, რომელთაც „ერი არ სწამდათ“. ეროვნული იდეოლოგია ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდებოდა, ერის უარყოფელნი კი მარქსიზმის სახელით მოქმედებდნენ. მიხეილ წერეთლის თქმით, „ბრძოლა ნაციონალისტთა და მარქსისტთა შორის სა-

¹ არჩილ ჯორჯაძე, პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი, წიგნი II, ტფ., 1911, გვ. 91-92.

² არჩილ ჯორჯაძე, დემოკრატიის გაერთიანება – არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი II, ტფ., 1911, გვ. 246-261.

ქართველოში მკაცრი, უსიამოვნო და მთელი ერისათვის მავნებელი გახდა“.¹

XX საუკუნის დასაწყისში ამაოდ უმტკიცებდნენ ქართველ მარქსისტებს, რომ საკუთარი ერის ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლა ე. წ. ინტერნაციონალიზმის გამოხატულება კი არ იყო, არამედ სხვა ერის შოვინიზმის სასარგებლოდ მუშაობა.

2. დამოუკიდებლობის ხანგრძლივი არქონის გავლენა პოლიტიკურ აზროვნებაზე

2.1. სახელმწიფოებრივი აზროვნების დაკარგვა

საკუთარი სახელმწიფოს დიდი ხნით არქონამ ქართველთა მრავალ თაობაში გააქრო სახელმწიფოებრივი აზროვნება, თავისი ქვეყნის დამოუკიდებლად აღქმა. როცა საკუთარი სამშობლოს ბედ-იღბლის მიმართ მოქალაქე გულგრილია, ეს გულცივი, „სულერთია დამოკიდებულება“ ვასალური აზროვნებისაგან მომდინარეობს. აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ საქართველოს მიერ განცდილი მარცხი XX საუკუნის 90-იან წლებში, ძირითადად, ვასალური აზროვნების ბრალი იყო. „ახლა უმთავრესი ამოცანა ვასალური აზროვნებისაგან განთავისუფლებაა. იგი ხელ-ფეხს გვიკრავს, სასონარკვეთილებაში გვაგდებს, გვაიძულებს, სხვის იმედად ვიყოთ, საკუთარს არ გვჯეროდეს. **თუ ვასალურ აზროვნებას თავს დავაღწევთ, მაშინ ჩვენს თავს დატყეხილი პრობლემების მოგვარება შესაძლებელი გახდება – მსხვილმანისაც და წვრილმანისაც**“, – წერდა 1997 წელს აკაკი ბაქრაძე.²

კონსტანტინე გამსახურდია (1893–1975) აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამ მძიმე დაღი დაასვა ქართულ ცნობიერებას და პოლიტიკურ აზროვნებას. „ქარ-

¹ ილია ჭავჭავაძის მოკვლა (1907–1957), ჟურნ. „ბედი ქართლისა“ №24-25, პარიზი, 1957, გვ. 1-11; კრებ. მიხეილ წერეთელი, საქართველო ილიას შემდეგ, თბ., 2016, გვ. 13.

² აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 2005, გვ. 692.

თველობა გადაეჩვია სახელმწიფოს ერთგულებას“, ქართველები გრძნობდნენ, რომ „რუსეთის გერები“ იყვნენ და სახელმწიფოსადმი მტრული დამოკიდებულება გაუჩნდათ. ეს კი „რყვნის პოლიტიკურად ერს. ავითარებს მასში ანტისახელმწიფოებრივ ტრადიციებს“.¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამი წელი საკმარისი არ აღმოჩნდა „ანტისახელმწიფოებრივი ტრადიციების“ დასაძლევად. მისი თქმით, „ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზაცია ეროვნულ სახელმწიფოს ასაშენებლად“, „ჩვენ ვერ შევქმენით ისეთი ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაცია“, რომელსაც შეეძლებოდა, წინ დასდგომოდა „მეზობელ ერის სახელმწიფოს იერიშებისათვის“.² სახელმწიფოს არქონა და გაუცხოება იწვევდა „გამოურკვევლობას, მელაძეობასა და ქვეყნის საქმეების შესახებ გულგრილობას“.

სახელმწიფოსგან გაუცხოება გაგრძელდა საბჭოთა პერიოდში. ტოტალიტარული სახელმწიფო უალრესად რეპრესიული, ხალხისადმი მტრული ორგანიზაცია იყო. პოსტსაბჭოთა პერიოდში ამას მოჰყვა, ერთი მხრივ, ხელისუფლებაში მოხვედრილი ადამიანების მიერ ხელისუფლების საკუთარი გამდიდრების მიზნით გამოყენება, მეორე მხრივ, ხალხი კვლავ გაუცხოებული და პასიური იყო სახელმწიფოს მიმართ.

2.2. სერვილიზმი და მონური ფსიქოლოგია

ცნობილი ქართველი მოღვაწის, კიტა აბაშიძის (1870–1917), თქმით, დამოუკიდებლობის ხანგრძლივად არქონას მოჰქონდა **სერვილიზმი და მონური ფსიქოლოგია**. რა არის სერვილიზმი? – ამ შემთხვევაში ესაა უცხოელთა მიმართ მონური ქედმოხრა, ფეხქვეშ გაგება, მლიქვნელობა და ლაქიობა. სერვილიზმის ფსიქოლოგიის მატარებელი ადამიანი: 1. ყოველთვის სხვისი მოი-

¹ კონსტანტინე გამსახურდია, სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, №70, 1921, 25 მაისი, გვ. 2-3.

² იქვე.

მედეა და სასწაულის მოლოდინშია; 2. მას ახასიათებს გარედან მითითებების მოლოდინი, მორჩილებისთვის მზაობა; 3. ელის, რომ გმირი გამოჩნდება და გაათავისუფლებს; 4. ჰგონია, რომ სხვა გააკეთებს მის გასაკეთებელ საქმეს.

კიტა აბაშიძის თქმით, „დამონებულსა და დაბეჩავებულს ადამიანს სჩვევია სულ იმაზე ფიქრი, რომ რაღაც სასწაული მოხდება და ვიღაც იხსნის მას მონობისაგან, რომ სადღაც, სიზმარეთის ქვეყანაში არის ვიღაც დევ-გმირი და იგი მის ჩაგვრას ბოლოს მოუღებს... ასეთი მონა თავის დღეში გარკვეულ გზას ვერ დაადგება. იგი ყოველთვის პოლიტიკური ავანტიურისტების ყურმოჭრილი ყმაა.“¹

საქართველოს სახელმწიფოს დასუსტებამ და შემდეგ სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ განაპირობა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში მოკავშირის ძიების იდეის გადაზრდა **მფარველის ძიების იდეაში**. მოკავშირე „ძალის სესხებაა“, დახმარების სანაცვლოდ მოკავშირე გართმევს იმის ნაწილს, რის დასაცავადაც მოგყავს, – სუვერენიტეტის ნაწილს. არ შეიძლება მოკავშირის გაიდება და მისგან მომდინარე საფრთხეების არდანახვა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების განმავლობაში. მფარველი გაიდებადელი მოკავშირეა. ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ეს არის ვინმე, რომელიც უანგაროდ დაგვეხმარება, ფეხზე დაგვაყენებს, პრობლემებს მოგვაგვარებინებს და მერე ჩვენ თავს ჩვენ თვითონ მივხედავთ და ამ უანგარო დამხმარესაც გამოვადგებით. ქართველი პოლიტიკოსები მე-18 საუკუნიდან ეძებდნენ მფარველს და ასეთი ქვეყანა ქრისტიანულ სამყაროში ეგულებოდათ. ქართველი პოლიტიკოსების ამგვარი განწყობით კარგად ისარგებლა რუსეთის იმპერიამ.

2.3. პოლიტიკური აზროვნების გაორება

უცხო ქვეყნიდან მომდინარე კულტურულ გავლენას, ევროპეიზაციას და რუსიფიკაციას მოსდევდა ქართველთა ნაწილის თავისებური გაორება. „გაორებულ“ ქართველებს უყვარდათ სა-

¹ გაზ. „მეგობარი“ №100, 1916 წ.

ქართველო, მაგრამ მათთვის საქართველო რალაც უფრო დიდის ნაწილი იყო – მაგალითად რუსეთის. XIX საუკუნეში გაჩნდნენ ქართველ-რუსები. ეს ახალი მოვლენა იყო, მაგრამ „გაორებული“ ქართველები ადრეც არსებობდნენ. მაგალითად, XVII–XVIII საუკუნეებში არსებობდნენ ქართველ-სპარსელები, ერთ-ერთი მათგანი ფარსადან გორგიჯანისძე იყო. მას უყვარდა საქართველო, საქართველოს ისტორიაც დაწერა, მაგრამ საქართველო ვერ წარმოედგინა სპარსეთის გარეშე.

გაორებული ქართველის უკიდურესი ფორმა სრული ეროვნული გადაგვარება იყო. მაგალითად, მე-19 საუკუნეში ბაგრატიონ-მუხრანსკი მოუწოდებდა ქართველებს სრული გარუსებისაკენ.

2.4. პოლიტიკური აზროვნების უკომპრომისობა

წარსულში ბევრი გამოყოფდა ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელ უკომპრომისობას. პოლიტიკური ბრძოლა და დაპირისპირება რადიკალურ ხასიათს ატარებდა. ეს არ იყო იდეებისა და პროგრამების შეჯიბრი, განსხვავებული პოლიტიკური ხედვა გადადიოდა პიროვნულ სიძულვილსა და დაპირისპირებაში. დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო პოლიტიკურ ძალთა თანამშრომლობა, საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

მიხაკო წერეთელი (1878–1965) შემდეგ აღნიშნავდა, რომ ამ ბრძოლამ დიდად დააზარალა საქართველო. მისივე თქმით, ის იდეები და თეორიები, რის გამოც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს ქართული პოლიტიკური დაჯგუფებები, უკვე აღარ გამოადგებოდა საქართველოს XX საუკუნის მეორე ნახევარში.

საბჭოთა პერიოდში კომუნისტურმა იდეოლოგიამ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში გააძლიერა რადიკალიზმი და შეურიგებლობა. პოლიტიკაში დამკვიდრდა „შავ-თეთრი“ ხედვა, დაინერგა პრინციპი: „თუ ჩემთან არ ხარ, ჩემი მტერი ხარ“. პოლიტიკური სპექტრი მკვეთრად გაღარიბდა. განსხვავებული აზრის მიმართ მტრული დამოკიდებულება პოლიტიკური კულტურის ნაწილი გახდა.

3. გულუბრყვილობა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში

არჩილ ჯორჯაძე და ივანე ჯავახიშვილი გამოყოფდნენ ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელ კიდევ ერთ თვისებას – გულუბრყვილობას. არჩილ ჯორჯაძე ამ თვისებას ხედავდა დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკურ აზროვნებაში, რომელიც განასახიერებდა ქართველი თავადაზნაურობის ნაწილის თვალსაზრისს. მათ გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ რუსეთის მეფე ერთგული სამსახურის სანაცვლოდ დაიცავდა საქართველოს ინტერესებს.

3.1. გულუბრყვილობა XVIII საუკუნის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში

ნაშრომში – „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნეში“ – ქართული პოლიტიკური აზროვნების მთავარ დამახასიათებელ ნიშნად ივანე ჯავახიშვილი კვლავ პოლიტიკურ გულუბრყვილობას გამოჰყოფდა. მისი თქმით, ქართველი პოლიტიკოსები კარგად ერკვეოდნენ აზიურ პოლიტიკაში, მაგრამ გულუბრყვილოები აღმოჩნდნენ ევროპულ პოლიტიკაში და ეს მკაფიოდ გამოჩნდა XVIII საუკუნეში. „ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს და ძლიერი ერის პოლიტიკაში ვერაგობას ადგილი არ ექნებოდა“, – აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.¹

საქართველოსთვის კატასტროფული შედეგების მომტანი აღმოჩნდა ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მიმართ გატარებული ამგვარი გულუბრყვილო პოლიტიკა. XVIII საუკუნეში ქართულმა სახელმწიფომ ორჯერ განიცადა კატასტროფა. „ქართულ პოლიტიკის გულუბრყვილობამ, უსუსურობამ მიიყვანა საქართველო ოკუპაციამდე.“ – აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.²

¹ მოხსენება თანამედროვე მომენტზე, 1917 წლის 27-28 აპრილი, საგაზეთო ანგარიში, თბ., 2014, გვ. 14.

² იქვე, გვ.19.

ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა მთავარი დასკვნა, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა ისტორიული მიმოხილვიდან: „თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად ანარმოებდა პოლიტიკას, მაშინ იყო მისი რენესანსიც. როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს, მაშინ მისი საქმეები აირეოდა, რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების განევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო.“

3.2. ეროვნულ-ქართულისა და რუსულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეთავსების მცდელობა XIX საუკუნეში

თავადაზნაურული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები ცდილობდნენ ეროვნულ-ქართულისა და რუსულსახელმწიფოებრივი ინტერესების შეთავსებას. „საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი და ოცნება, გარემოების მიხედვით, უკუაგდეს. მისი ადგილი დაიჭირა „ერთგულ-ქვეშევრდომობის“ გრძნობამ. ხოლო ამ გრძნობას თან სდევდა მეორე გრძნობა – „გულმოდგინეობა მამულისადმი“... „მამულიშვილობა“ „ერთგულ-ქვეშევრდომობას“ გადააბეს და ამ შეუღლებას მისცეს რაინდული ხასიათი. „მამულის“ ინტერესების დაცვისათვის არავითარ გარანტიას არ ითხოვდნენ“.¹

არჩილ ჯორჯაძის თქმით, ამ პოზიციას იზიარებდა არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ ქართველი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობაც 1832 წლის შეთქმულების შემდეგი ხანიდან თითქმის 1890 წლამდე. პოლიტიკური აზროვნების ასეთი დუალიზმი შეუთავსებელი პრინციპების შეთავსებას ცდილობდა, თუმცა „XIX საუკუნის ბოლოს უკვე ნათელი იყო, რომ ოფიციალური და გაბატონებული სახელმწიფოებრივი აზრი არ ინყნარებს ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტას“ და იგი პოლიტიკური აზროვნების გულუბრყვილობაზე მეტყველებდა.

¹ არჩილ ჯორჯაძე, თ.-აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში, არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი II, ტფ., 1911, გვ. 158.

დიმიტრი ყიფიანი შეებრძოლა „უგუნური რაინდობის“ პოლიტიკას, მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა და ღიად მოითხოვა ქართველობის დაცვის პირობები: „ქართველობა“ მოითხოვს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობას, ქართულ ენის უზრუნველყოფას სკოლებსა და ეკლესიაში. თუ ამას არ გვანებებთ, ჩვენი ქართველობა შეილახება და თუ შეილახება ქართველობა, შეილახება ჩვენი ერთგულების გრძნობაცაო.“¹

არჩილ ჯორჯაძის დახასიათებით, დიმიტრი ყიფიანი „ერთგულებას სერიოზულად უყურებდა. მის თვალში ეს იყო საშუალება ქართულ ეროვნების დაცვისა. და მან მოინდომა კიდევაც ეროვნების დაცვა ერთგულების საშუალებით და როდესაც ამგვარი მისი მოქმედება არ შეინწყნარეს, უკან არ დაიხია და „ფორმულის“ გადარჩენის გულისათვის „მამულს“ არ უღალატა და მსხვერპლადაც შეეწირა თავის სამშობლოს“.²

უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე მუხრან-ბატონის „რწმენის სიმბოლო“ 1890 წელს არ გამქრალა. რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნების იმედი შემდეგაც ფიგურირებდა ქართულ პოლიტიკურ აზრში. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ იაკობ გოგებაშვილის მიერ 1901 წელს გამოქვეყნებული სტატია „ქართული მიმართულება“. იაკობ გოგებაშვილი საუბრობს „ქართული პოლიტიკური სარწმუნოების“ სიმბოლოზე, რომელიც ოთხ ბურჯს ეყრდნობა. პირველი ბურჯი: იაკობ გოგებაშვილის თანახმად, „ქართველობა აღიარებს თავის მტკიცე ერთობას რუსეთთან და ერთგულებას ხელმწიფე იმპერატორისას, როგორც საქართველოს მეფისას. ეს ახალი მცნება არ არის ქართველთათვის. იგი დიდი ხნისაა. ჩაისახა იგი ქართველთა გულში ჯერ შუა საუკუნოებში, იზარდა, იზარდა და ბოლოს გათავდა რუსეთთან შეერთებით. ასე, რომ რუსეთთან ქართველების ერთობას, კავშირს ღრმა ისტორიული საძირკველი უძევს. იმედი რუსეთზე და მისს ხელმწიფეებზე თაობიდან თაობაზე გადადიოდა

¹ იქვე, გვ. 167.

² იქვე, გვ. 160.

რამდენისამე საუკუნის განმავლობაში და ჩვენს პოლიტიკურ ერთგულებას მემკვიდრეობითი ხასიათი მიეცა“.¹ სამაგიეროდ იაკობ გოგებაშვილის მიერ დასახელებული დანარჩენი სამი ბურჟი გულისხმობდა ქართული ტერიტორიისა და ენის დაცვას, ქართულ სკოლასა და ქართულ ეკლესიას. ძნელი სათქმელია, მართლა სჯეროდა იაკობ გოგებაშვილს პირველი ბურჟის თავსებადობისა დანარჩენ სამთან, თუ ეს პოლიტიკური ტაქტიკის საკითხი იყო, რათა ეროვნული ინტერესების დასაცავად მიმდინარე ბრძოლაში ბრალი არ დაედოთ სეპარატიზმში.

3.3. გულუბრყვილობა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) პერიოდში

ივანე ჯავახიშვილს განსაკუთრებით შემამოფოთებლად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში კვლავ თავი იჩინა „ძველმა საბედისწერო სენმა“ – გულუბრყვილობამ საგარეო პოლიტიკაში. „ქართველები პოლიტიკაში ისევ ისე გულუბრყვილონი დაფრჩით და ძველმა გამოცდილებამ ჩვენ არაფერი გვასწავლა“ – 1919 წლის გაზაფხულზე ასეთ შეფასებას აძლევდა ახალი თაობის ქართველ პოლიტიკოსთა აზროვნებას და მოქმედებას ივანე ჯავახიშვილი.²

ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა გამოვლინდა იმაში, რომ „რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა“, რადგანაც „ჩვენ მმართველ პარტიას გულწრფელად სურდა საქართველო ნაწილი ყოფილიყო დიდი რუსეთისა“. მაგრამ ივანე ჯავახიშვილს ეს არ მიაჩნია დიდ შეცდომად და აღნიშნავდა, რომ „პირველი ნაბიჯი საქართველოს გასათავისუფლებლად გადაიდგა თავის დრო-

¹ იაკობ გოგებაშვილი, ქართული მიმართულება, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი II, თბ., 1990, გვ. 311.

² ივ. ჯავახიშვილი, მოხსენება თანამედროვე მომენტზე, 1917 წლის 27-28 აპრილი, საგაზეთო ანგარიში, თბ., 2014, გვ. 19.

ზედ და ეს განთავისუფლება საქართველოს ძვირად არ დასჯდომია“.¹

ივ. ჯავახიშვილს „გულუბრყვილო პოლიტიკის“ გაგრძელებად მიაჩნია ქართველ პოლიტიკოსთა ნდობა ანტანტის წარმომადგენელთა განცხადებებისა და დაპირებებისადმი. პარიზის კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია მშვიდად შეხვდა იმ ფაქტს, რომ სომხეთის დელეგაცია მოკავშირეებმა ბათუმში ჩამოსვლისთანავე გააგზავნეს პარიზისაკენ, საქართველოს დელეგაციას კი ერთი კვირა აცდევინეს – თქვენთვის სპეციალურად ჩამოვა გემიო. „ზოგიერთ ჩვენ დელეგაციის წევრებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ მოკავშირენი გულწრფელნი იყვნენ გემის დაგვიანების მიზეზების ახსნაში. აქაც სჩანდა ჩვენი გულუბრყვილო პოლიტიკოსობა.“ – ირონიულად შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.

იმდროინდელი ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა, ზოგ შემთხვევაში, გამომდინარეობდა პარტიული იდეოლოგიიდან. სოციალისტური პარტიები დიდ იმედს ამყარებდნენ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის წარმატებაზე. იმედოვნებდნენ, რომ ევროპაში რევოლუციის წარმატების შემთხვევაში (და ეს გარდუვალად მიაჩნდათ), მათ საქმე ექნებოდათ არა ანტანტასთან, არამედ სულ სხვა ევროპასთან.

საქართველო-სომხეთის ომის დროს 1918 წლის დეკემბერში საქართველოს სოციალ-დემოკრატ ხელისუფალთ დიდხანს არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ სომხეთმა ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. მათი აზრით, ომი შეუძლებელი იყო „მოდმე ერებს შორის“, რომელთაც „ერთმანეთთან არასოდეს უომიათ“, ასევე, ორივე ქვეყანას მართავდნენ სოციალისტური პარტიები.

ივ. ჯავახიშვილი მოუწოდებდა ქართულ პოლიტიკაში გულუბრყვილობის დაძლევისაკენ. ქართული პოლიტიკისათვის არაფერი შეიცვლებოდა უკეთესობისაკენ, თუკი ერთმორწმუნეობით განპირობებულ გულუბრყვილობას ჩაანაცვლებდა გარკვეული იდეოლოგიით განპირობებული პოლიტიკური გულუბრყვილობა.

¹ იქვე.

ივანე ჯავახიშვილის ეს გაფრთხილება, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა მაშინ გათვალისწინებული.

3.4. ქართული პატრიოტიზმის ნაკლოვანებანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) დაცემის მიზეზების ახსნისას კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა, რომ ეროვნული სახელმწიფოს კატასტროფა „მუდამ შინაგან ძალთა რესურსების ამონურვითა და გახრწნით იწყებოდა“, „ისტორიაში არც ერთი ერი არ დაღუპულა ისე, რომ მისი დაღუპვის მიზეზები მარტო მისი ტემპერამენტის, მის შინაგან ძალთა განწყობილების გარეშე ყოფილიყოს საძებნელი“.¹

„შინაგან ძალთა განწყობის“ განხილვისას კი მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ქართული პატრიოტიზმის კრიტიკას, რომელსაც, გამსახურდიას აზრით, სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა და რამაც განაპირობა 1921 წლის ეროვნული კატასტროფა. კ. გამსახურდიას თქმით, ქართული პატრიოტიზმი „ყალბ ნიჟარად“ იყო დამყარებული და „მუდამ მრუდედ“ აჩვენებდა ქართველობას თავის სახეს. ქართული პატრიოტიზმისთვის დამახასიათებელი იყო:

- ტრაბახი წინაპართა გმირობაზე;
- არ მიუთითებდა ქართველობას ნაკლოვანებებზე; არ იმეტებდა „მწარე სიტყვებს“ ქართველი ერისთვის;
- წარუმატებლობის მიზეზებს მუდამ გარეთ, მეზობლებში ეძებდა და არასოდეს ქართულ სინამდვილეში.

¹ კონსტანტინე გამსახურდია, სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს, გაზ., „სოციალისტ-ფედერალისტი“ №70 1921, 25 მაისი, გვ. 2-3.

4. რეალიზმი და იდეალიზმი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში

4.1. დისკუსია პოლიტიკური რომანტიზმისა და პოლიტიკური რეალიზმის ურთიერთმიმართების შესახებ

ქართული პოლიტიკური აზროვნების კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნეოდა რეალობისგან მოწყვეტა – კარგი მიზნების დასახვა მათი მიღწევის გზების არქონის პირობებში. საკითხი – რა არის რეალური, რის მიღწევა შეიძლება დღეს – ძალზე აქტუალური და მწვავე ბრძოლის საგანი იყო. ამ თემაზე საუბარი კიტა აბაშიძემ დაიწყო ნაშრომში – „პოლიტიკური რომანტიზმი“. მან 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი პოლიტიკური რომანტიზმის წარმომადგენლებად მიიჩნია – კარგი მიზნებისთვის იბრძოდნენ, მაგრამ გამარჯვების პირობები არ იყო. თუმცა მას არც ის „პოლიტიკური რეალისტები“ მოსწონდა, რომლებიც ბრძოლაზე უარს ამბობდნენ და, ფაქტობრივად, ოკუპაციასთან შერიგების გზას დაადგნენ. ეს ადამიანები „პოლიტიკურ რეალიზმზე“ საუბრობდნენ, მაგრამ ეს იყო „ცრუ“ პოლიტიკური რეალიზმი, სამშობლოს ღალატის გამართლება. ჭეშმარიტი პოლიტიკური რეალიზმი ნიშნავდა არსებულ რეალობაში ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური გზის ძიებას და სამოქმედო პროგრამის დასახვას.

კიტა აბაშიძის აზრით, „ასი წლის მონობამ“ გადააჩვია ქართველი ხალხი საღ აზროვნებას, გონიერ პოლიტიკურ მსჯელობას. მისი თქმით, პოლიტიკური ავანტიურიზმი იქ იზრდება ერთიორად, სადაც საოცნებო იდეალების განხორციელების საშუალება არაა მოფიქრებული. კიტა აბაშიძის შეფასებით, საქართველოს პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს „მეზღაპრეობა“ ახასიათებდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კრიტიკისას კიტა აბაშიძე აღნიშნავდა: „შეიძლება ჩვენს ჯგუფებს ფართო, უსაზღვრო იდეალებიც ჰქონდეთ და თვით მისი სიფართოვე და უსაზღვროება იყოს მაჩვენებელი, რომ იგი სერიოზულად მოფიქრებული არ არის, დინჯად არ არის აწონილ-დაწონილი, რაც უნდა გულწრფელად იყოს იგი შეგნება შექმნილი“.

კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მიზეზებს ქართული პოლიტიკის მიერ დაშვებულ შეცდომებში ხედავდა. ამ შეცდომების მიზეზებს კი პოლიტიკური აზროვნების „გადაჭარბებულ იდეალიზმში“ ხედავდა. „პოლიტიკა უძვირფასესი იარაღია ერის ხელში. ჩვენ პოლიტიკოსებს როგორც შორეულ, ისე უახლოეს წარსულში სინამდვილეში ორიენტაციის ნიჭი აკლდათ. გადაჭარბებული იდეალიზმი ახასიათებდა ქართველი მეფეების, დესპანების და მინისტრების პოლიტიკას“ – აღნიშნავდა გამსახურდია. მისივე თქმით, „ჩვენს უახლოეს წარსულშიაც არა ერთხელ განდობიან მეგობრულად ქართველი დიპლომატები ჩვენს მტრებს. ჩვენს უახლოეს წარსულშიაც არა ერთხელ დაუკარგავს ჩვენს პოლიტიკას ის პოზიციები, რომელნიც ბრძოლით მოუპოვებია ჩვენს მხედრობას“.¹

4.2. 1924 წლის აჯანყების შეფასება პოლიტიკური იდეალიზმისა და პოლიტიკური რეალიზმის კონტექსტში

1924 წლის აჯანყებამ ხელახლა დააყენა ქართველი პოლიტიკოსების წინაშე „პოლიტიკური რომანტიზმისა“ და „პოლიტიკური რეალიზმის“ საკითხები. 1924 წლის აჯანყების დროს თვალში საცემი იყო ძალთა უთანასწორობა. 1832 წლის შეთქმულებისაგან განსხვავებით, 1924 წელს საქმე აჯანყებამდე მივიდა, მაგრამ აჯანყებულებმა თავიანთი გეგმების სრულად რეალიზება ვერ მოახერხეს, რომც მოეხერხებინათ, მარტო საქართველოს ძალებით, გარედან დახმარების გარეშე, შეუძლებელი იყო საქართველოს განთავისუფლება.

კიტა აბაშიძისა და არჩილ ჯორჯაძის ტერმინს თუ გამოვიყენებთ, 1924 წლის აჯანყება „პოლიტიკური რომანტიზმის“ გამოვლინება იყო. აჯანყება განწირული იყო დამარცხებისთვის და, მაშასადამე, მის ორგანიზატორებს არც უნდა მოეკიდათ ხელი იარაღისთვის, არც უნდა დასდგომოდნენ ამ გზას. ტერმინი „პოლიტიკური რომანტიზმი“ აღარ გახსენებიათ, დამარცხებულ აჯანყებას

¹ იქვე.

მისი მონინალმდეგენი „ავანტიურას“ უწოდებდნენ და მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ მათ, ვინც აჯანყება მოამზადა და ხელმძღვანელობდა. მაგალითად, გ. ვეშაპელი სტატიაში „ცნობის შემდეგ“ (1925 წლის იანვარი) წერდა: „ქართველობა ეთამაშა ამ აჯანყების იდეას ისე, როგორც ბავშვი თოფს; და ისევე, როგორც ბავშვებისათვის, მოულოდნელი იყო ის საშინელი ჭრილობა, რომელიც ამ თამაშმა შეგვამთხვია“¹

კვლავ გაიხსენეს 1832 წლის შეთქმულება. ისიდორე მანნკავას აზრით, 1832 წლის შეთქმულებას ჰქონდა გამარჯვების შანსი. პოლიტიკურ სცენაზე მოქმედი პირები მისთვის იყოფა არა პოლიტიკურ რომანტიკოსებად და რეალისტებად, არამედ „შერიგებულებად“ და „შეურიგებულებად“. ისიდორე მანნკავას აზრით, „1832 წ. შემდეგ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ორი გარკვეული ნაკადი ჩამოყალიბდა, ორი იდეური მიმართულება და ეროვნული მხედველობა. 1. რუსული მონარქიის ერთგულება და ქართული ვინაობის დაცვა; 2. რუსული ბატონობის უარყოფა და ქართულ ნიადაგზე გამაგრება. ეს ორი ხაზი მთელ მე-19 საუკუნეს წითელი ზოლივით მოყვება და გადმოდის მე-20 საუკუნეში, 1918 წლამდე“.²

1924 წლის აჯანყების შემდეგ „პოლიტიკური რომანტიზმის“ შეფასებაში მკაფიოდ გაჩნდა ახალი მიდგომა: სწორი მიზნის შემთხვევაში ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და, საბოლოო ჯამში, სასურველი მიზნის მოახლოებას ემსახურება. რაც შეეხება აჯანყებას, ის ბოლშევიკების რეპრესიებით იყო გამონწვეული და არა ვინმეს გარედან ნაბიძგებით.

1924 წლის აჯანყების შემდეგ მრავალფეროვანი იყო ცრუ „პოლიტიკური რეალიზმის“ მომხრეთა სპექტრიც, რომლებიც სხვადასხვა არგუმენტაციით საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას ადგებოდნენ. ნოე ჟორდანიას ამას „შეძრომის პოლი-

¹ გ. ვეშაპელი, ცნობის შემდეგ, კრებ.: გ. ვეშაპელი, ახალი საქართველო, ტფ., 1928, გვ. 22-23.

² მანნკავა ი., ქართული აზროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში, ნაწილი 1, პარიზი, 1936, გვ. 71.

ტიკას“ უნოდებდა. „საჭიროა თავი შეევაფაროთ, ბოლშევიკებს შეეუძვრეთ და მათი რისხვა ლმობიერებაზე გადავცვალოთ“¹, – ასეთი იყო ამ პოლიტიკის არსი. ნოე ჟორდანიას თქმით, გაძრომა-გამოდრომის პოლიტიკა, „შეძრომა სარფიანია შემძრომელთათვის, საზიანოა ხალხისათვის. რატომ? ცხადია, რატომ. შეძრომა შეუძლია თითო-ოროლა პირს, გუნდს, არასოდეს ხალხს“.²

ჟორდანიას სასაცილოდ მიაჩნდა „შეძრომის გზით“ ეროვნული მიზნების მიღწევაზე ფიქრი. ამ აზრის ნათელსაყოფად იშველიებდა საქართველოში გამართულ ბრძოლას ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტებთან“: „ჩვენში ყოფილა ორგვარი ბოლშევიზმი, ძველი, მახარაძის მეთაურობით, და ახალი, ორჯონიკიძე-ორახელაშვილის წინამძღოლობით. აი ამ ორ ჯგუფს შორის გამართულა ბრძოლა ნაციონალურ საკითხის გარშემო. პირველმა შემოუძღვა რუსის ჯარს და საქართველო დაიპყრო. მარა ამასთანავე მოუძღომებიათ „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტობის შენახვა“... მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა სიზმარი იქნებაო. მახარაძის ამქარი მოსკოვმა „საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტობის“ მოსასპობად გამოგზავნა, მათ კი ეს სიზმრათ გამოაცხადეს. მოსკოვმა სწრაფათ დაფერტხა ეს უტოპისტები და მათ ალაგს დანიშნა დერჟიმორდები, როგორც ლენინმა უნოდა ორჯონიკიძის ამქარს. ამათ მაშინვე აღმართეს სისხლიანი დროშა და შეუდგნენ ქართველი ერის მოსპობას, მასზე ნაძირალათა და არაქართველთა გაბატონებას. მოწინააღმდეგეთა ხოცვა-ჟლეტას – შაჰაბაზის პოლიტიკის განმეორებას. როგორც ხედავთ, მოსკოვს ვერ „შეუძვრა“ ცნობილი ბოლშევიკებიც, ერის ინტერესები ვერ დაიცვეს „უკლონისტებმაც“ კი. და ეს იმიტომ, რომ მოსკოვს არ აქვს შესაძვრენი კარები. აქ ყველა კარი დახშულია, გარდა ერთისა, ხოლო აქ კი შედიან მხოლოდ დერჟიმორდები“.³

ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში არსებული ორი მიმართულების საინტერესო დახასიათება აქვს მოცემული სიმონ გოგიბე-

¹ ნოე ჟორდანია, რა მოხდა, პარიზი, 1925, გვ. 23.

² იქვე, გვ. 24.

³ იქვე, გვ. 25–27.

რიძეს, საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლსა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიურ მონაწილეს. 1924 წლის აჯანყების შესახებ სიმონ გოგიბერიძემ 1935 წელს დაწერა წიგნი „ბრძოლა სამშობლოსათვის“. მან საქართველოს დაცვა და გადარჩენა სწორედ „პოლიტიკური რომანტიზმის“ პოზიციაზე მდგომ მამულიშვილთა დამსახურებად მიიჩნია. სიმონ გოგიბერიძის სიტყვებს, რომლებიც ამ წიგნის დასკვნით ნაწილშია მოცემული, კომენტარები არ სჭირდება: „ქართველი ერის ისტორია, ეს მუდმივი, შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის, თავისუფლებისათვის. ჩვენს წარსულში ხშირად გვექონია შავი დღეები, როცა ქართველი ერი მოსპობაზედ იყო მისული. და ამ დროს ერთი ნაწილი ქართველებისა, მტერთან შეგუების გზას ადგებოდა, ხან სპარსელობდა, ხან კი თურქობდა, ხან მონგოლი იყო, ხან რუსი და ყოველივე ამას უდიდეს გონიერ ხერხად სთვლიდა, თავი ერის მხსნელად მოჭქონდათ. ქართველი ერი რომ ამ პოლიტიკას გაჰყოლოდა, დღეს ჩვენ ყველაფერი ვიქნებოდით, გარდა ქართველებისა. საბედნიეროდ, იყო კიდეც სხვა ქართველობა „გიჟი“, „უანგარიშო“, „წინდაუხედავი“, მუდამ შეთქმული, მუდამ აჯანყებული, მოუსვენარი, მტრის რიცხვისგან თითქმის მუდამ ძლეული, მაგრამ მაინც გაუტყეხელი... აი, ამ ხალხს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ჩვენ კი არ მოვისპეთ, არამედ ჩვენი მტრების მოსპობას და დაგლახებას მოვესწარით“¹

სიმონ გოგიბერიძე აღნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის სწორედ ასეთი ადამიანები იბრძოდნენ. „1921–1924 წლებში საქართველოს ასეთი ხალხი უძლოდა წინ, ასეთმა ხალხმა დაჰკრა უძლიერეს მტერს, ასეთმა ხალხმა მორეცხა საქართველოს გუშინდელი სირცხვილი... და ჩაჰყარა სამუდამო საფუძველი, საკუთარი ძვლებით და სისხლით შედუღებული, სულიერად მკვდრეთით აღმდგარი ეროვნული საქართველოსი. აი, ამ საზომით უნდა მივუდგეთ ჩვენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას და მის მომწყობთ. ვინც ამ შეხედულებას იზიარებს, მან იცის, რომ

¹ სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გურამ კუტალაძემ, რედაქტორი მანანა ციციქიშვილი, თბ., 1991, გვ. 92-93.

ჩვენი მომავალი ბრწყინვალეა, რომ საქართველო მიიღებს იმას, რისი ღირსია ის, რომ „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“.¹

კითხვები:

- როდის დაიწყო ქართული პოლიტიკური აზროვნების დამახასიათებელი ნიშნების შესწავლა და რომელი ავტორების ნაშრომებს დაასახელებდით ამ საკითხთან დაკავშირებით?
- რა განაპირობებს „ნამბაძველობას“ პოლიტიკაში და რაში ხედავდნენ „ნამბაძველობით“ გამონვეულ საფრთხეებს?
- რა გავლენას ახდენდა დამოუკიდებლობის ხანგრძლივი არქონა პოლიტიკურ აზროვნებაზე?
- როგორ გამოიხატებოდა, არჩილ ჯორჯაძისა და ივანე ჯავახიშვილის აზრით, გულუბრყვილობა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში?
- რა ინვევს პოლიტიკური აზროვნების „გაორებას“ („დეუალიზმს“)?
- რაში გამოიხატებოდა ქართული პოლიტიკური აზროვნების უკომპრომისობა?
- როგორ გამოიხატებოდა რეალიზმი და იდეალიზმი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში?
- როგორ გამოიხატება, კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, ქართული პატრიოტიზმის ნაკლოვანებანი?
- რა გავლენას ახდენდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაზე „გლობალური იდეებით გატაცება“?
- თქვენი აზრით, წარსულში აღნიშნული რა ნაკლოვანებანი ახასიათებს ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას თანამედროვე პირობებში?

¹ იქვე, გვ. 93.

თემა V. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი საქართველოში და მისი დემონტაჟი

1. საბჭოთა რეჟიმის ზოგადი დახასიათება

1.1. სახელმწიფო სოციალიზმის იდეა

საბჭოთა რეჟიმი სახელმწიფო სოციალიზმის ფორმა იყო. სახელმწიფო სოციალიზმი როგორც იდეოლოგია, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა.¹ მისი წარმომადგენლები თავს სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლებად და ლიბერალური ტრადიციის გამგრძელებლებად მიიჩნევდნენ. მათი აზრით, თუკი შეიძლებოდა ზრუნვა ადამიანთა პოლიტიკური თანასწორობის მიღწევაზე, მაშინ შეიძლება ასევე ზრუნვა მათი ქონებრივი, სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობის მისაღწევად. საკითხის ამგვარად დაყენება ამოსავალი დებულება იყო სახელმწიფო სოციალიზმისათვის.

სოციალისტებს სჯეროდათ, რომ შეიძლებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტოტალური (ყოველსმომცველი) დაგეგმვა; შესაძლებლად მიაჩნდათ ახალი, სრულყოფილი სოციალური მექანიზმის შექმნა. ეს იდეა გაგრძელება და განვითარება იყო ლიბერალების მცდელობისა, გონიერ საწყისებზე გარდაექმნათ საზოგადოება.

მომავალი სოციალური გადატრიალების მთავარ იარაღად ამ მიმართულების სოციალისტები მიიჩნევდნენ სახელმწიფოს, რომელსაც უნდა გაეუქმებინა კერძო საკუთრება, თავის ხელში მოექცია მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები, პერიოდული კრიზისებით მოცული საბაზრო ეკონომიკა შეეცვალა გონივრული დაგეგმვით.

¹ მე-19 საუკუნეში სახელმწიფო სოციალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ფრანგები: ანრი სენ-სიმონი, ლუი ოგიუსტ ბლანკი, ლუი ბლანი, ეტიენ კაბე და გერმანელები: ვილჰელმ ვეიტლინგი, ფერდინანდ ლასალი, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი.

სახელმწიფოს უნდა აღეზარდა „ახალი ადამიანი“ – თავისუფალი ეგოიზმისაგან, დაემყარებინა სოციალური თანასწორობა.

სახელმწიფო სოციალიზმის თეორია და პრაქტიკა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნეში მჭიდროდ უკავშირდება გერმანელი მოაზროვნეების – კარლ მარქსისა (1818–1883) და ფრიდრიხ ენგელსის (1820–1895) სახელებს. მათი შეხედულებები, ხანდახან, სცდებოდა სახელმწიფო სოციალიზმის ფარგლებს, მაგრამ სწორედ მათ მოახდინეს გადამწყვეტი ზეგავლენა სახელმწიფო სოციალიზმის ჩამოყალიბებაზე მრავალ ქვეყანაში. მარქსიზმს თავის ოფიციალურ იდეოლოგიად მიიჩნევდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიები.

1.2. ბოლშევიზმი

სახელმწიფო სოციალიზმის რადიკალური ფორმა, რომელიც ისტორიაში შევიდა „ბოლშევიზმის“ სახელით, ჩამოყალიბდა რუსეთში მე-20 საუკუნის დასაწყისში.¹ ბოლშევიზმი წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიისაგან, მას უკავშირდებოდა იდეურად, მაგრამ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად და განაპირობა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემის ფორმირება.²

ბოლშევიზმის სინონიმია **ლენინიზმი**. ლენინი და ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ რადიკალიზმით, როგორც არსებული რეჟიმის მიმართ, ისე პოლიტიკური ოპონენტებისადმი; ისინი სხვა მიმდინარეობებთან თანამშრომლობაზე უარს ამბობდნენ და მოქმედებ-

¹ ბოლშევიზმის შესახებ ლენინი ამბობდა: „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“.

² უფრო მეტიც, ამ იდეოლოგიის შესაბამისად ჩამოყალიბდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ევროპის სოციალისტური ქვეყნების, მონღოლეთის, ჩრდილოეთ კორეის, ვიეტნამის, ლაოსის, კუბის კომუნისტური რეჟიმები. ჯერ კიდევ 1980-იანი წლების შუა ხანებში გამარჯვებული ბოლშევიზმის („მარქსიზმ-ლენინიზმის“) დროშის ქვეშ ცხოვრობდა დაახლოებით 1,3 მილიარდი ადამიანი.

დნენ პრინციპით: „ვინც ჩემთან არაა, ჩემი მტერია“. ბოლშევიკები მკაცრად სტრუქტურირებულ და დისციპლინირებულ პარტიას წარმოადგენდნენ.

ბოლშევიზმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი მორალის თავისებური გაგება იყო. პრინციპი – „მიზანი ამართლებს საშუალებას“ – ულაპარაკოდ ჰქონდათ გათავისებული. ლენინის თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გამოეყენებინათ ნებისმიერი სტრატეგია, ნებისმიერი ტყუილი მიემართათ უკანონო ქმედებებისაკენ, დაემაღლათ სიმართლე. ყველაზე ამორალური მოქმედება მიიჩნეოდა კანონიერად და აუცილებლად, თუკი ეს პროლეტარიატის ან სოციალიზმის ინტერესებს ემსახურებოდა. ეს მიდგომა ყველაზე კარგად ჩამოაყალიბა ლევ ტროცკიმ – „მათი მორალი და ჩვენი: მორალურია ყველაფერი ის, რაც ემსახურება რევოლუციას, ამორალურია ის, რაც ზიანს აყენებს რევოლუციას“.

ნოე ყორდანია ბოლშევიზმის შესახებ

„...ყველა რეჟიმთა შორის ბოლშევიზმი ყველაზე უფრო გაჟღენთილია სამხედრო სულით, აფრიალებული აქვს ომის დროში. საბჭოთა რეჟიმის გავრცელება ხიშტით ეს მისი თანდაყოლილი დოქტრინაა. მან ეს განახორციელა საქართველოში, კავკასიის სხვა რესპუბლიკებში, უკრაინაში და სს.“

გაზ. „ბრძოლის ხმა“, პარიზი, 1933, №31

1.3. საბჭოთა ნეობილება

მარქსისტული შეხედულების თანახმად, სოციალისტური რევოლუციის შემდეგ უნდა დამყარებულიყო პროლეტარიატის დიქტატურა – ხელისუფლება უნდა გადასულიყო გამარჯვებული პროლეტარიატის ხელში. ამ საკითხზე მარქსს ბევრი არაფერი დაუწერია, პროლეტარიატის დიქტატურის ფორმად კი მიიჩნია პარიზის კომუნა (1871 წ.).

რუსეთში ბოლშევიკების მიერ მთავრობის დამხობა და ხელისუფლებაში მოსვლა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატის

დიქტატურის დამყარებად გამოცხადდა. თუმცა, რეალურად, პროლეტარიატი არასოდეს ყოფილა ქვეყნის მმართველი. ეს იყო ბოლშევიკური პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ვინრო ჯგუფის დიქტატურა. ლენინმა პროლეტარიატის დიქტატურის, ანუ სახელმწიფოებრივი წყობილების, საფუძვლად **საბჭოები** გამოაცხადა, რომლებიც ზოგიერთ ადგილას მუშებმა შექმნეს რუსეთის პირველი რევოლუციის (1905–1907) დროს.

საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველი – საბჭოები იყო მუშებისა და გლეხების „თვითმმართველი მასობრივი ორგანიზაცია“, რომელიც უარყოფდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გამიჯვნას. საბჭოები გარეგნულად დემოკრატიული ორგანო იყო, მაგრამ არჩევნების დროს ერთი მუშის ხმა რამდენიმე გლეხის ხმას უდრიდა, ე. წ. ექსპლუატატორული კლასები კი ხმის უფლებას მოკლებული იყვნენ. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ დამკვიდრდა საყოველთაო საარჩევნო უფლება, როდესაც „მტრული კლასები“ ფიზიკურად ლიკვიდირებული იყო.

რაც შეეხება არჩევნებს, ის ფიქტიური ხასიათის იყო, რადგანაც ირჩევდნენ ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ კანდიდატებს. საბჭოები სხვადასხვა დონის იყო, იერარქიული პრინციპით – ადგილობრივი, სარაიონო, საოლქო, რესპუბლიკური. საბჭოები, პარლამენტისგან განსხვავებით, მუდმივმოქმედი ორგანო არ იყო და მოკლე დროით იკრიბებოდა სესიებზე. მუდმივმოქმედი ორგანო პრეზიდიუმი იყო, რომელსაც უმაღლესი საბჭო ირჩევდა. საბჭოები რაიმე არსებით როლს არ ასრულებდნენ ქვეყნის მართვაში.

ყველაფერს განაგებდა კომუნისტური პარტია. რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის მარტში, რსდმპ (ბ) VII ყრილობაზე ლენინმა თავის პარტიას სახელი შეუცვალა და სოციალ-დემოკრატიულის ნაცვლად რუსეთის კომუნისტური პარტია უწოდა, რომელსაც ფრჩხილებში დიდხანს ემატებოდა სიტყვა „ბოლშევიკების“. ეს იყო გამიჯვნა ევროპისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატებისაგან, მათი ზომიერებისა და კომპრომისებისადმი მიდრეკილების გამო.¹

¹ საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ დაერქვა საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების), 1952 წლის ოქტომბერში, პარტიის მე-19

კომუნისტური პარტია, რეალურად, **პარტია-სახელმწიფო** იყო. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების პარალელურად არსებობდა მკაცრად ცენტრალიზებული კომუნისტური პარტიის ტერიტორიული ორგანოები, რომელთა ხელშიც თავმოყრილი იყო რეალური ძალაუფლება. საბჭოთა კონსტიტუციაში არსებობდა მუხლი კომუნისტური პარტიის „ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის“ შესახებ, მაგრამ ის, რომ სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებს კომუნისტური პარტია ასრულებდა, ეს არსად იყო განვიწყობილი და საბჭოთა სისტემის „არაფორმალურ რეალობას“ წარმოადგენდა.

ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ბოლშევიკური პარტია კიდევ უფრო რადიკალური გახდა. 1919 წლის მარტში მიღებულ კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ „ნათელი მომავლისაკენ“ გზის გასაკაფავად სრულად უნდა აემოქმედებინათ პროლეტარული სახელმწიფოს მთელი ძალა. ეს გახდა საფუძველი ყველა სფეროს მართვის უკიდურესი ცენტრალიზებისათვის. სახელმწიფოს დაუქვემდებარეს სამოქალაქო საზოგადოების ყველა სტრუქტურა. არ არსებობდა დამოუკიდებელი სასამართლო, პრესა, პროფკავშირები და ა.შ.

კანონმდებლობის დონეზე ასევე არასოდეს ყოფილა დაფიქსირებული, მაგრამ საბჭოთა სისტემის განუყოფელი ნაწილი იყო ტერორი, რომელსაც სახელმწიფო იყენებდა თავისი პოლიტიკური მონინაალმდეგების წინააღმდეგ, მათ შორის პოტენციური მტრების წინააღმდეგაც, რომლებიც, რეჟიმის აზრით, შეიძლება ოდესმე მის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. ტერორი და რეპრესიები საშუალებას აძლევდა სისტემას, მორჩილებაში ჰყოლოდა როგორც მმართველობითი აპარატი, ისე მილიონობით რიგითი ადამიანი. თავიდან ტერორს ახორციელებდნენ „საგანგებო“ დამსჯელი ორგანოები, შემდეგ კი შეიქმნა რეპრესიებზე პასუხისმგებელი სპეციალური სახელმწიფო უწყებები.

ყრილობაზე, მის სახელწოდებაში სიტყვა „ბოლშევიკების“ გაქრა და მას ეწოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

საბჭოური მმართველობის სისტემა მოხერხებული ინსტრუმენტი იყო კომუნისტური პარტიის ხელში იმ პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც მისი იდეოლოგიიდან გამომდინარეობდა. ხელისუფლების სათავეში მოსული კომუნისტური მმართველობა შეიძლება ორი სიტყვით დავახასიათოთ – დიქტატურა და ტერორი.

1.4. საქართველოს „გასაბჭოება“

1921 წლის თებერვალ-მარტის ომი საქართველოსთვის უმძიმესი შედეგებით დამთავრდა. ქვეყნის ძირითადი ნაწილი საბჭოთა რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, სამხრეთ საქართველო ქემალის თურქეთმა მიიტაცა, რომელიც იმ დროს საბჭოთა რუსეთის მოკავშირე იყო. საქართველოს სასაზღვრო რაიონები სომხეთსა და აზერბაიჯანს გადაეცა, აფხაზეთი „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადეს, ცხინვალის რეგიონში კი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ შექმნეს.

საბჭოთა ლიდერების განცხადებით, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩებოდა და მის სუვერენიტეტს საფრთხე არ ემუქრებოდა. თუმცა ეს ტყუილი იყო. ნითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საქართველოს მმართველ ორგანოდ გამოცხადდა „რევკომი“ (რევოლუციური კომიტეტი), რომლის წევრებიც დამფუძნებელ კრებას ქვეყნის მოღალატეებად ჰყავდა გამოცხადებული. ხელისუფლების არჩეული კანონიერი ორგანოები საქართველოში გაუქმებულად გამოცხადდა და „პროლეტარიატის დიქტატურა“ დამყარდა. სასაცილო ის იყო, რომ პროლეტარიატის სახელით მოქმედ ხელისუფლებას ქართველი მუშების ძალზე ეშინოდა. 1922 წელს ჩატარდა პირველი საბჭოური არჩევნები – კომუნისტებისა და ჩეკისტების კონტროლით.

ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის გასაბჭოების შემდეგ სასწრაფოდ დაიწყო მუშაობა ამიერკავკასიის ფედერაციის შესაქმნელად.¹ მას შემდეგაც კი, რაც გადანყდა საბჭოთა კავშირის

¹ მოსკოვი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მართავდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეშვეობით.

შექმნა და უკრაინასა და ბელორუსიას „უფლება მიეცათ“, მასში უშუალოდ შესულიყვნენ, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისგან დაჟინებით მოითხოვდნენ ადგილობრივი ფედერაციის შექმნას და მხოლოდ ამ გზით უნდა შესულიყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. მოგვიანებით, როდესაც შუა აზიაში შექმნეს „მოკავშირე რესპუბლიკები“, ისინი ცალ-ცალკე გააფორმეს საბჭოთა კავშირის ნევრებად და არ უცდიათ „შუა აზიის ფედერაციის“ შექმნა.

რა მნიშვნელობა ჰქონდა და რატომ იყო აუცილებელი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მხოლოდ ამ გზით შესვლა საბჭოთა კავშირში?

ამაზე პასუხს გვაძლევს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე. მისი თქმით, „დაბრუნებულ რუსეთს ამიერკავკასიაში დახვდა სამი უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული ეროვნული რესპუბლიკა. და აი, რუსეთის იმპერიალიზმიც, გახელებული რუსული შოვინიზმით, ეკვეთა ინტერნაციონალიზმის ნიღბის ქვეშ ამ რესპუბლიკებს და კიდევ დაამხო ისინი“.¹

გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, რუსეთისთვის ყველაზე საშიში საქართველო იყო: „საკმარისია საქართველოს სახელმწიფოებრივი გამოქანდაკება და ამიერკავკასიის ორი დანარჩენი ერიც თავისთავად დაკრისტალდება სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმწიფოებად. მოშალეთ, ააფეთქეთ და ათქვიფეთ საქართველო და მთელი კავკასიაც ეროვნულად აქოთებული და აჭრელებული იქნება.“²

ამიერკავკასიის ფედერაცია ახალი რუსული კოლონალიზმის „შესანიშნავი“ გამოგონება იყო. საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია, სამი ეროვნული რესპუბლიკის ნაცვლად, „უმტიკინეულოდ“ ქმნიდა ერთ დიდ რუსულ გუბერნიას. ფედერაციაში ხომ სამუშაო ენად რუსული „ბუნებრივად“ ხდებოდა და ეს „თავისთავა-

სწორედ ეს ორგანო იყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ორგანიზატორი.

¹ გრიგოლ ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 231.

² იქვე.

დაც“ იგულისხმებოდა. ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსებით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ამიერკავკასიის რუსიფიკაციის გზაზე. ფაქტობრივად, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება.¹

როგორც უკვე ითქვა, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ მას მოჩვენებითი დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა და სათავეში თავისი რეგიონული ორგანიზაცია – საქართველოს კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ჩაუყენა. საქართველოს კომპარტიის იმდროინდელ ხელმძღვანელობაში ბევრი ძველი ბოლშევიკი იყო, რომლებიც წლების განმავლობაში იბრძოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და რაიმე განსაკუთრებული „ეროვნული“ გრძნობები არ ამოძრავებდათ. საკმარისია დავასახელოთ ფილიპე მახარაძე. მაგრამ ქართველი კომუნისტების ამ ჯგუფს არ ეგონა, რომ მოსკოვი და მისი სახელით მოქმედი „სამხარეო კომიტეტი“ „ასე ტლანქად და ასე პირწმინდათ გათელავდა ფეხქვეშ თვით საბჭოს“.

2. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ რუსეთის წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ საქართველოში შექმნილი საბჭოთა რეჟიმისათვის მიუღებელი იყო დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ეროვნულ და პიროვნების თავისუფლებას ამკვიდრებდა.

ერთიმეორის მიყოლებით იქმნებოდა საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები (1922, 1927, 1937 და 1978 წლებში), რომლებიც შესაბამისი პერიოდის რუსული თარგის მიხედვით იყო შედგენილი და სინამდვილეში ტოტალიტარული რეჟიმის ცრუ დემოკრატიულ ფასადს ქმნიდნენ. ეს კონსტიტუციები არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ინტერესებს.

¹ ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921–1923), თბ., 1999, გვ.170.

2.1. „პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელმწიფო

საქართველოს 1922 წელს მიღებული პირველი საბჭოთა კონსტიტუციით, რომელიც რუსეთის ფედერაციის 1918 წლის საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით იყო დაწერილი, საქართველოში ცხადდებოდა **პროლეტარიატის დიქტატურის** დამყარება. „ოქტომბრის დიდი რევოლუციის მცნებათა მიმდევარნი – საქართველოს მუშები, მშრომელი გლეხკაცობა და წითელი არმია – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, დამფუძნებელი კრებისა და ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოს სახელმწიფოებრივ ხელისუფლების გაუქმების შემდგომ, – თავის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამყარებენ პროლეტარიატის სუვერენიტეტსა და დიქტატურას, გადასცემენ რა ამასთანავე სრულ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას თავიანთ დეპუტატების საბჭოებს როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.“

მარქსიზმის თეორიის თანახმად, პროლეტარიატის დიქტატურა უნდა ყოფილიყო უმრავლესობის ბატონობა უმცირესობაზე – ბურჟუაზიაზე, რომლის დროსაც უნდა აშენებულიყო კომუნისტური საზოგადოება. კომუნიზმის დროს კი სახელმწიფო აღარ იარსებებდა. სინამდვილეში პროლეტარიატის დიქტატურა გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და მისი მმართველი ჯგუფის – პოლიტიბიუროს დიქტატურად, რასაც საერთო არაფერი ჰქონდა დემოკრატიასთან.

1937 წლის 13 თებერვალს საქართველოში მიიღეს ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რასაც საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ 1936 წლის 5 დეკემბერს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის თანახმად, საქართველო კვლავ „პროლეტარიატის დიქტატურის“ სახელმწიფოდ რჩებოდა, მაგრამ ახლა ცხადდებოდა, რომ, ძირითადად, აშენდა ახალი საზოგადოების პირველი ფაზა – სოციალიზმი.

საქართველოს 1937 წლის საბჭოთა კონსტიტუციაში ეს შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

2.2. ცრუ სუვერენიტეტი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ შექმნილმა მოსკოვის მარიონეტულმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ საქართველო „თავის ნებით“ უკავშირდება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს და, ამავე დროს, არის „სუვერენული სახელმწიფო“. კონსტიტუციაში დაფიქსირებული იყო საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებაც, მაგრამ მისი რეალიზების არანაირი მექანიზმი არათუ არ არსებობდა, არამედ უბრალო განცხადებაც კი ამის შესახებ „ანტისაბჭოურ საქმიანობად“ ითვლებოდა და უმკაცრესად ისჯებოდა.

საბჭოთა საქართველოს „ნებაყოფლობითი შესვლა“ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში 1922 წლის საბჭოთა კონსტიტუციაში შემდეგნაირად ცხადდებოდა:

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (1922 წელი)

4. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აცხადებს მტკიცე გადანყვევტილებას – შევიდეს მთლიან საერთაშორისო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში, როგორც კი ამისთვის შეიქმნება სათანადო პირობები, ამასთან ერთად იგი აღიარებს თავის სრულ სოლიდარობას ამჟამად არსებულ საბჭოთა რესპუბლიკებთან და თავის გადანყვევტილებას – იქონიოს მათთან: ა) მჭიდრო-მეგობრული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა სოციალიზმის საბოლოოდ გასამარჯვებლად და ბ) უახლოესი თანამშრომლობა კომუნისტურ აღმშენებლობაში საერთაშორისო მასშტაბით.

თავი II

5. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც არ იწყნარებს არავის სწორუფლებიან მფლობელობას თავის ტერიტორიაზე; სამაგიეროდ, არც თვითონ განავრცობს თავის უფლებებს თავის საზღვრებს გარეშე;

6. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა. ყველა ცენტრალურ სახელმწიფო დანებსებულებათა რეზიდენციად – ქ. ტფილისი.

საქართველოს საბჭოთა კავშირში „ნებაყოფლობით განევრია-ნებასა“ და საბჭოთა კავშირიდან „გასვლის უფლებაზე“ ლაპარაკი იყო საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციაში. აქვე საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებს გარეშე, საქართველოს სსრ ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულიად თავის უფლებებს“. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლში კი საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მმართველობაში გადასული იყო ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი.

საბჭოთა საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციაში „საქართველოს სუვერენიტეტი“ შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)**

მიღებული 1937 წლის 13 თებერვალს

თავი II

სახელმწიფოებრივი წყობილება

მუხლი 13. ეკონომიკური და პოლიტიკური ხაზით, ისე როგორც თავდაცვის ხაზით ურთიერთი დახმარების განხორციელების მიზნისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით გაერთიანდა თანასწორუფლებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან... საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში.

...

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებს გარეშე, საქართველოს სსრ ახორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულიად თავის უფლებებს.

...

მუხლი 15. საქართველოს სსრ ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლებას.

მუხლი 16. საქართველოს სსრ-ის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 17. სსრ კავშირის კანონებს ძალა აქვთ საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე.

მუხლი 18. საქართველოს სსრ-ის მოქალაქე არის სსრ კავშირის მოქალაქე. ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქე საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე სარგებლობს საქართველოს სსრ-ის მოქალაქის თანაბარი უფლებებით.

„საბჭოთა საქართველოს სუვერენიტეტი“ კიდევ უფრო მოჩვენებითი ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში ერთადერთი მმართველი პარტია არსებობდა – კომუნისტური პარტია, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია იყო და ვალდებული იყო, დამორჩილებოდა თავისი ცენტრალური ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

2.3. „სოციალისტური საერთო-სახალხო“ სახელმწიფო

საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციით, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავზე მიიღეს, გამოცხადდა, რომ საბჭოთა კავშირში აშენდა „**განვითარებული სოციალისტური საზოგადოება**“, როდესაც აღარ არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა და მის ნაცვლად შეიქმნა „**საერთო-სახალხო სახელმწიფო**“.

1978 წლის 15 აპრილს მიღებულ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში საქართველოს პოლიტიკური სისტემა შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

მუხლი 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების, მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

მუხლი 2. საქართველოდ სსრ რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს სსრ პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.

მუხლი 3. საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციისა და საქმიანობას საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი – ქვემოდან ზემოთ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს არჩევითობა, მათი ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე, ქვემდგომი ორგანოებისათვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა სავალდებულობა...

საგანგებოდ დაფიქსირებული იყო კომუნისტური პარტიის „ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი“:

მუხლი 6. საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში.

საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის პროექტში აღარ იყო დაფიქსირებული, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა ქართული იყო.¹ საბჭოთა რეჟიმი ამ კონსტიტუციური დებულების გაქრობას დემაგოგიურად „ენათა თანასწორობის აუცილებლობის“ პრინციპით ხსნიდა. თურმე რომელიმე ენის „სახელმწიფო ენად“ გამოცხადება „ძალადობის ელემენტს“ შეიცავდა. სახელმწიფო ენის სტატუსი კი, ფაქტობრივად, რუსულ ენას ჰქონდა მინიჭებული, რომელიც საბჭოთა კონსტიტუციაში „ერთაშორისი ურთიერთობის ენად“ იყო გამოცხადებული.

ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის დასაცავად დაიწყო საპროტესტო მოძრაობა, 1978 წლის 14 აპრილს რუსთაველზე საპროტესტო აქციაც გაიმართა. მოსკოვმა რეპრესიებს უკან დახევა არჩია და კონსტიტუციაში ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი შეუნარჩუნდა, თუმცა ეს ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ისევე როგორც კონსტიტუციის სხვა მრავალი დებულება.

2.4. სოციალური უფლებების დეკლარირება და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა

საბჭოთა კონსტიტუციებისთვის დამახასიათებელი იყო მშრომელთა სოციალური უფლებების დეკლარირება, ამავე დროს, ფაქტობრივად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა პოლიტიკური უფლებების კონსტიტუციური დაფიქსირება, რადგანაც იქვე იყო აღნიშნული, რომ „ანტისაბჭოური“ და „ანტისახალხო“, „სოციალიზმის ინტერესების“ საწინააღმდეგო საქმიანობა არ დაიშვებოდა და ამაში ბრალდებულნი დაისჯებოდნენ. მმართველ რეჟიმს ნებისმიერი კრიტიკული გამონათქვამის გამოცხადება შეეძლო „ანტისაბჭოურ მოქმედებად“.

საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციაში მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების დეკლარირება „სოციალიზმის ინტერესების ფარგლებში“ შემდეგნაირად ხდებოდა:

¹ საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციებში ქართული ენა სახელმწიფო ენად 1922 წლის კონსტიტუციის დროიდან იყო დაფიქსირებული.

მუხლი 131. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ესე იგი გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

მუხლი 138. მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებისათვის კანონით უზრუნველყოფილია:

- ა) სიტყვის თავისუფლება;
- ბ) ბეჭდვის თავისუფლება;
- გ) კრებებისა და მიტინგების თავისუფლება;
- დ) ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება.

მუხლი 139. მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და ხალხის მასების ორგანიზაციული აქტივობის განვითარების მიზნით, საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია უფლება გაერთიანებისა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში: პროფესიულ კავშირებში, კოოპერატიულ გაერთიანებებში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, სასპორტო და თავდაცვის ორგანიზაციებში, კულტურულ, ტექნიკურ და სამეცნიერო საზოგადოებებში, ხოლო ყველაზე უფრო აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის რიგებიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან ერთიანდებიან სრულიადსაკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა), რომელიც არის მშრომელთა მონინავე რაზმი მათს ბრძოლაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის და წარმოადგენს ხელმძღვანელ ბირთვს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა.

მუხლი 140. საქართველოს სსრ-ის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობა. არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნას, თუ არა სასამართლოს დადგენილებით ან პროკურორის სანქციით.

მუხლი 144. საქართველოს სსრ-ის თვითეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმინდათა-წმინდა და ხელუხლებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო.

ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, ხალხის მტრები არიან.

საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაში დეკლარირებული იყო მშრომელთა პოლიტიკური უფლებები, მაგრამ იქვე იყო დათქმული, რომ ეს უნდა მომხდარიყო „ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წესწყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით“:

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)**

მიღებულია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მიერ 1978 წლის 15 აპრილს

თავი 6

**საქართველოს სსრ მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი,
თავისუფლებანი და მოვალეობანი**

მუხლი 45. საქართველოს სსრ მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება...

მუხლი 47. საქართველოს სსრ ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გააკრიტიკოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დადგენილ ვადაში განიხილონ მოქალაქეთა წინადადებანი და განცხადებანი, გასცენ მათ პასუხი და მიიღონ საჭირო ზომები.

კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია, კრიტიკისათვის მდევნელი პირნი პასუხისგებაში მიეცევიან.

მუხლი 48. ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წესწყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება.

ამ პოლიტიკურ თავისუფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის საზოგადოებრივი შენობების, ქუჩებისა და მოედნების დათმობა, ინფორმაციის ფართო გავრცელება, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენების შესაძლებლობა.

მუხლი 49. კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ უფლება გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური აქტიურობის და თვითმოქმედების განვითარებას, მათი მრავალფეროვანი ინტერესების დაკმაყოფილებას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

3. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

3.1. საბჭოთა კავშირის კრიზისი და გზა დამოუკიდებლობისაკენ

საბჭოთა კავშირი თავისი არსით არადემოკრატიული, ტოტალიტარული სახელმწიფო იყო. მაგრამ, ამავე დროს, ეს ყოველივე ინიღბებოდა დემოკრატიის სიტყვიერი აღიარებით. XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა კავშირის იმდროინდელი ლიდერი, კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი შეეცადა რეჟიმის გარკვეულ ლიბერალიზაციას და ამით არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას. მაგრამ ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა საზოგადოების აქტიური ნაწილის მხრიდან დემოკრატიული თავისუფლებების რეალური უზრუნველყოფის მოთხოვნების წამოყენება.

ასეთ მოთხოვნებს შორის იყო ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკის (პირველ რიგში, ბალტიის რესპუბლიკების და საქართველოს) მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნის წამოყენება.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვება მოიაზრებოდა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. ამისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლებისა და მოსკოვისაგან მოითხოვდა, რომ ელიარებინათ:

– რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან გაფორმებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა და ფაქტობრივი ანექსია;

– საბჭოთა საქართველოს ძალით შეყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

„წარსულის გახსენებას“ მარტო საქართველოში როდი ცდილობდნენ. ასე იქცეოდა პოსტსოციალისტური ქვეყნების დიდი ნაწილი. ახალი სახელმწიფოებრივი წყობილება ლეგიტიმურობის ძიებაში ცდილობდა, დაყრდნობოდა ტრადიციას, რომელიც საზოგადოებისათვის თანხმობის საფუძველი ხდება ხოლმე.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებას და შემდეგ რუსეთის ფედერაციას არასოდეს უღიარებიათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი. ამის აღიარება რეალურად ნიშნავს საქართველოს წინააღმდეგ არა მარტო წარსულში ჩადენილი უსამართლობის ცნობას, არამედ საქართველოს მიმართ აგრესიულ პოლიტიკაზე უარის თქმას, ასეთი პოლიტიკა კი, არსებითად, დღემდე გრძელდება.

სამაგიეროდ, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში ადგილობრივი კომუნისტური ხელისუფლება იმდენად დისკრედიტებული იყო, რომ ვეღარ გაუძლო საზოგადოების მოთხოვნას და აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი, ისევე როგორც დაუშვა 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩატარება (იხ. დოსიე №1).

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში კომუნისტური პარტია დამარცხდა და იძულებული გახდა, ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოქმედი „მრავალი მაგიდა – საქართველოსთვის“ დაეთმო, რომელიც მაშინ ეროვნული მოძრაობის წამყვან ნაწილის წარმოადგენდა (იხ. დოსიე №2).

საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ცდილობდა იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებას. ამ მიზნით 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირში გაიმართა რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა. ეს რეფერენდუმი საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩატარებულა, სამაგიეროდ 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც ქვეყნის მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე – სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე (იხ. დოსიე №3). რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

დამოუკიდებლობის აღსადგენად საკმარისი იყო პასუხის გაცემა რეფერენდუმზე გამოტანილი კითხვის მხოლოდ პირველ ნაწილზე, მაგრამ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ხსენება ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918–1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

თუმცა 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს ქვეყნებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სახელმწიფოსი, ანუ როგორც საბჭოთა საქართველოს სამართალმემკვიდრე, შესაბამის საზღვრებში.

დოსიე № 1 – საბჭოთა ხელისუფლების ანტისაბჭოთა დადგენილებები

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო კომუნისტური რეჟიმის იდეურ-პოლიტიკური გაკოტრების, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის პირობებში იძულებული გახდა, 1990 წლის 9 მარტსა და 20 ივნისს მიეღო დადგენილებანი, რომლებიც, ფაქტობრივად, უკანონოდ აცხადებდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში.

1990 წლის 9 მარტს საქართველოში უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე მიღებულ დადგენილებაში „საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ აღიარებულ იქნა, რომ „1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით ფაქტობრივ ანექსიას“. ხაზი გაესვა, რომ უზენაესი საბჭო „გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს და ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას“.

საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ უკანონოდ და ბათილად გამოაცხადა 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის. საქართველოს მიმართ არაკანონიერად იქნა ცნობილი 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ და საჭიროდ მიიჩნიეს მოლაპარაკებების დაწყება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის თაობაზე.

1990 წლის 20 ივნისს უზენაესმა საბჭომ გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი ხელისუფლების ორგანოები – რევოლუციური კომიტეტები და შემდეგ საბჭოები, რომლებიც არ გამოხატავდნენ „ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს“. უკანონოდ და ბათილად გამოცხადდა ყველა აქტი, რომლებიც აუქმებდა „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სხვა სამართლებრივი დანესებულებებით“.

უზენაესი საბჭოს განცხადებით, მოლაპარაკება უნდა დაწყებულიყო საქართველოს სსრ-სა და რუსეთის სფსრ-ს შორის „პრინ-

ციპულად ახალი, სუვერენული სახელმწიფოსათვის შესაფერისი ურთიერთობების დამყარების მიზნით“, რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა 1921 წლის თებერვალ-მარტში რსფსრ-ის მთავრობის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის ფაქტის აღიარება და „მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგების სათანადო შეფასება რსფსრ უზენაესი საბჭოს მიერ“.

უზენაესმა საბჭომ ასევე აღიარა მრავალპარტიულობა და და-ნიშნა მრავალპარტიული არჩევნები. ეროვნული მოძრაობის წარ-მომადგენელი პოლიტიკური ძალების უმრავლესობის აზრით, უზ-ენაესი საბჭოს მიერ მიღებული ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტი-ლებების შედეგად შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული ძალა იურიდიულად დაკანონებულიყო არა როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს ფორმალური გამგრძელებელი, არამედ, გარკვეულწილად, 1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სა-მართალმემკვიდრე – ე. ი. როგორც რესპუბლიკის კანონიერი ხე-ლისუფლება.

დოსიე №2 – 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნები

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევიდან შვიდი ათე-ული წლის შემდეგ საქართველოში შესაძლებელი გახდა დემოკრა-ტიული მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობდა 14 პოლიტიკური პარტია და პარტიათა ბლოკი. არჩევნები ჩატარდა შერეული სისტემით.

უზენაეს საბჭოში 250 დეპუტატის ადგილისათვის (აქედან ნა-ხევარი პროპორციული და მეორე ნახევარი მაჟორიტარული სის-ტემით). საარჩევნო კამპანიაში ჩაება 2 044 კანდიდატი. ამომრჩე-ველთა საერთო რაოდენობა 3 444 ათასი კაცი იყო. მათგან არჩევ-ნებში მონაწილეობა მიიღო 67%-მა.

4%-იანი ბარიერი გადალახა და არჩევნების პროპორციული სისტემით უზენაეს საბჭოში მანდატები მოიპოვა მხოლოდ ორმა

პოლიტიკურმა ძალამ – ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ (81 ადგილი) და საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (44 დეპუტატი). მაჟორიტარული სისტემით ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო – 43 დეპუტატი, კომპარტია – 17 დეპუტატი, სახალხო ფრონტი – 11 დეპუტატი, „დემოკრატიული საქართველო“ – 2 დეპუტატი, შოთა რუსთაველის საზოგადოება – 1 დეპუტატი. ამრიგად, 1990 წელს არჩეულ უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი იყო 6 პოლიტიკური პარტია.

დოსიე №3 – 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90,3%-მა. კითხვაზე – „გინდათ თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“ – დადებითი პასუხი გაცა 3 266 265 ადამიანმა, ანუ რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9%-მა, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 89,3%-მა. წინააღმდეგი იყო 17 400 მოქალაქე, რაც რეფერენდუმის მონაწილეთა 0,53%, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 0,48% შეადგენდა.

განმარტება: რეფერენდუმი საყოველთაო სახალხო კენჭისყრის განსაკუთრებულ ტიპს ეწოდება, რომლის დროსაც ხდება რაიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ქვეყნის მოსახლეობის აზრის გამორკვევა. რეფერენდუმი – ესაა ამომრჩევლებისათვის მიმართვა რაიმე საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

3.2. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციები: შედარებითი ანალიზი

დამოუკიდებლობის დეკლარაცია ქვეყნის ისტორიაში არ არის რიგითი მოვლენა. მასში ჩამოყალიბებულია ის ფუძემდებლური პრინციპები და ღირებულებები, რომელთაც ემყარება ახლად შექმნილი სახელმწიფო. XX საუკუნეში საქართველომ ორჯერ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. პირველად 1918 წლის 26 მაისს, მეორ-

ედ – 1989 წლის 9 აპრილს. ქვემოთ მოგვყავს ორივე დოკუმენტის სრული ტექსტი. ყურადღებით გავეცნოთ მათ და გავაანალიზოთ გაკვეთილის ბოლოს მითითებული დავალებების მიხედვით.

1918 წლის 26 მაისი:

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება – არჩეული პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეების მიერ, – თავის პირველსავე სხდომაზე, 1918 წლის მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევს 5 საათსა და 10 წუთზე თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველოს გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმა დასტოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალის ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთი შემაერთებული კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპ-

ყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა;

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა;

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა;

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

1991 წლის 9 აპრილი:

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სა-

ხელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჭვებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიან-

ობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულიად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისის მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი

დავალება №1

მსოფლიო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს

- მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით დაახასიათეთ, რა ვითარება იყო მსოფლიოში 1918 წლის 26 მაისს და 1991 წლის 9 აპრილს;
- თქვენი აზრით, როდის იყო უფრო ხელსაყრელი დრო დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად?
- რა საფრთხეები ემუქრებოდა საქართველოს 1918 წლის 26 მაისს?
- რა საფრთხეები ემუქრებოდა საქართველოს 1991 წლის 9 აპრილს?

დავალება №2

რუსეთის როლის შეფასება საქართველოს ისტორიაში

- ერთმანეთს შეადარეთ რუსეთის როლის დახასიათება 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის დეკლარაციებში.
- საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში მოყვანილი ფაქტების მეშვეობით აჩვენეთ, რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის შესავალ ნაწილში რუსეთთან საქართველოს შეერთების დახასიათება.
- საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს გამოყენებით გაიხსენეთ რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პირობები.

დავალება №3

დამოუკიდებლობის აქტების ფასეულობითი პრიორიტეტები

შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და ერთმანეთს შეადარეთ 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტები მათში დეკლარირებული ძირითადი ფასეულობების მიხედვით:

ძირითადი ფასეულობები	1918 წლის 26 მაისის აქტი	1989 წლის 9 აპრილის აქტი
სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი		
სახელმწიფოებრივი წყობა		
ტერიტორიული მთლიანობა		
ნეიტრალიტეტი		
საერთაშორისო სამართლის პრინციპების აღიარება		
სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის პრინციპები		
მოქალაქეთა უფლებების დაცვა		
ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა		

4. ტოტალიტარული რეჟიმის დემონტაჟი საქართველოში

4.1. ტოტალიტარული რეჟიმის ნიშნები

ტერმინი „ტოტალიტარიზმი“ პოლიტიკურ ლექსიკონში 1925 წელს შემოიტანა იტალიელი ფაშისტების ლიდერმა მუსოლინიმ მის მიერვე იტალიაში შექმნილი რეჟიმის დასახასიათებლად. 1929 წელს გაზეთმა „ტაიმსმა“ გამოიყენა ეს ტერმინი საბჭოთა კავშირში არსებული რეჟიმის მიმართ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებული გახდა, ცნება „ტოტალიტარიზმით“ აღნიშნულიყო ფაშისტური, ნაცისტური და კომუნისტური რეჟიმები.

1956 წელს ამერიკელმა პოლიტოლოგებმა კ. ფრიდრიხმა და ზ. ბუეზინსკიმ ჩამოაყალიბეს ტოტალიტარული რეჟიმის ძირითადი ნიშნები:

1. **ოფიციალური იდეოლოგია**, რომელიც მთლიანად უარყოფს წინამორბედ წესრიგს და ადამიანებს რაზმავს ახალი საზო-

გადოების მშენებლობისათვის. ამ იდეოლოგიას აუცილებლად უნდა აღიარებდეს საზოგადოების ყველა წევრი. ტოტალიტარული იდეოლოგია საზოგადოებას უქმნის ილუზიას, რომ ისტორიის დამამთავრებელ სტადიაზე იმყოფება, როდესაც სრულყოფილი საზოგადოება უნდა შეიქმნას. ტოტალიტარულ რეჟიმებში საზოგადოების ყველა მხარე – მორალი, ეკონომიკური ეფექტურობა, სოციალური ურთიერთობები, პოლიტიკური ნორმები და ა. შ. ექვემდებარება იდეოლოგიას;

2. ერთიანი მასობრივი პარტიის მონოპოლია ხელისუფლებაზე, რომელიც აგებულია ოლიგარქიული ნიშნით და სათავეში უდგას ქარიზმატული ლიდერი. პარტია პრაქტიკულად „შთანთქავს“ სახელმწიფოს, ასრულებს მის ფუნქციებს;

3. ტერორისტული საპოლიციო კონტროლის სისტემა, რომელიც ხორციელდება არა მარტო „ხალხის მტრებზე“, არამედ მთელ საზოგადოებაზე. კონტროლდება ცალკეული პირები, მთელი კლასები, ეთნიკური ჯგუფები;

4. პარტიული კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. ნებისმიერი ინფორმაციის მკაცრი ცენზურა, მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალების კონტროლი;

5. გაბატონებულ პარტიას მონოპოლიზებული აქვს კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე;

6. ეკონომიკის ცენტრალიზებული კონტროლი და ეკონომიკური საქმიანობის ბიუროკრატიული მართვის სისტემა.

ჩამოთვლილ ნიშანთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი ორია: ოფიციალური იდეოლოგია და ერთიანი მასობრივი პარტიის მონოპოლია ხელისუფლებაზე. მართლაც, არც ერთი დიქტატორული რეჟიმი, გარდა ტოტალიტარულისა, არ ამკვიდრებდა საზოგადოებაში ერთიან ოფიციალურ იდეოლოგიას, არ ესწრაფოდა, თავის კონტროლქვემ მოექცია საზოგადოების მთელი სულიერი ცხოვრება. სწორედ პარტია, რომელიც ტოტალიტარიზმის დროს მთელ ხელისუფლებას ფლობს, უზრუნველყოფდა მასების მობილიზებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და რეჟიმის მხარდასაჭერად.

ტოტალიტარიზმის დროს იშლება ზღვარი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, რადგანაც ქრება საზოგადოებრივი ცხოვრების ავტონომიური სფეროები და ყველაფერი ხელისუფლების ტოტალური კონტროლის ქვეშ ექცევა. ტოტალიტარიზმი სხვა დიქტატურებისაგან განსხვავდება რეგლამენტაციისა და კონტროლის უმაღლესი ხარისხით.

4.2. ტოტალიტარიზმის დემონტაჟის დასაწყისი საქართველოში

საბჭოური რეჟიმის დემონტაჟისკენ რეალური ნაბიჯები გადაიდგა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც გამარჯვება მოიპოვა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოქმედმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ეს პროცესი გაგრძელდა მომდევნო წლებშიც.

ქვემოთ განვიხილავთ ტოტალიტარიზმის თითოეული ნიშნის დემონტაჟს საქართველოში:

1. ოფიციალური იდეოლოგია, რომელსაც ცხოვრების ყველა სფერო ემორჩილება

საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა ხალხი „ხელმძღვანელობს მეცნიერული კომუნიზმის იდეებით და ერთგულია თავისი რევოლუციური ტრადიციებისა“.¹ იგივე იყო აღნიშნული საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციაში.

„მარქსიზმ-ლენინიზმისა“ და „მეცნიერული კომუნიზმის“ ხსენება გაქრა ზვიად გამსახურდიას დროს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით. უარყოფილია ოფიციალური იდეოლოგიის არსებობა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ „დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ“.

¹ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, თბ., 1977, გვ. 5.

2. ხელისუფლებაზე მონოპოლია ერთიანი მასობრივი პარტიისა, რომელსაც ბელადი უდგას სათავეში

კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ საქართველოში სხვა პოლიტიკური პარტიები მკაცრი რეპრესიების ქვეშ მოექცნენ და არსებობა შეწყვიტეს. ერთპარტიულობა კონსტიტუციურად იყო დაფიქსირებული. საბჭოთა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის მე-6 მუხლად უცვლელად იყო გადმოტანილი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლი, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად კომუნისტურ პარტიას აცხადებდა:

საბჭოთა კავშირის 1977 წლის და, შესაბამისად, საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის მე-7 მუხლში საუბარი იყო პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც კომუნისტური პარტიის „ხელმძღვანელი და წარმმართველი“ როლის პირობებში მონაწილეობდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში:

საბჭოთა სისტემის დემონტაჟისკენ გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი საქართველოს კონსტიტუციის ამ მუხლის შეცვლა იყო. საქართველოს კონსტიტუციაში 1991 წლის რედაქციით მე-6 მუხლი უკვე მრავალპარტიულობას ამკვიდრებდა და ახალი რედაქციით აერთიანებდა 1978 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლებს. გაქრა კომპარტიისა და მისი „ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის“ ხსენება. ხაზგასმული იყო, რომ პოლიტიკური პარტიები და სხვა ორგანიზაციები თავიანთი არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით თანაბარ საფუძველზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში:

საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაში 1991 წლის რედაქციით მე-7 მუხლი უკვე ამკვიდრებდა პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კონსტიტუციურ საფუძველებს და კრძალავდა ისეთი პარტიებისა და ორგანიზაციების არსებობას, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კონსტიტუციური წესწყობილების ძალადობრივ შეცვლას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივებას:

საქართველოში ახალი პოლიტიკური სპექტრის ფორმირება დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან, როდესაც საბჭოთა რეჟიმის კრიზისის პერიოდში პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობები გაჩნდა. დემოკრატიზაციის საწყის ეტაპზე საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, მრავალი პარტია ჩამოყალიბდა. დღეისათვის რეგისტრირებული პარტიების რაოდენობა ორ ასეულს აღწევს. თუმცა, როგორც აღინიშნება, პარტიების უმრავლესობა მხოლოდ ქალაქებზე არსებობს და აქტიურად მომუშავე პარტიების რაოდენობა, ალბათ, ორ ასეულს არ აღემატება.

1978 წლის კონსტიტუცია	კონსტიტუციის 1991 წლის რედაქცია
<p>„მუხლი 6. საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება.</p> <p>მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიდ აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ყველა</p>	<p>„მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე პროფკავშირული, ახალგაზრდული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა ფორმებით თანაბარ საფუძველზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში.“</p>

<p>პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში.“</p>	
<p>მუხლი 7. პროფესიული კავშირები, სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირი, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში.“</p>	<p>„მუხლი 7. ყველა პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მასობრივი მოძრაობა, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში.“</p>

3. ტერორისტული პოლიტიკური კონტროლი

მთელ საზოგადოებაზე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა მხოლოდ რეპრესიებით იყო შესაძლებელი. მასობრივი რეპრესიების პიკი მოდის 1937 წელზე. სტალინის სიკვდილის შემდეგ მასობრივი რეპრესიები შეწყდა, მაგრამ ამით არ გამქრალა რეჟიმით უკმაყოფილოთა დევნა. ამის მაგალითია 1956 წლის 9 მარტი თბილისში. გორბაჩოვის „პერესტროიკის“ დროსაც კი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის მიერ მოხდა 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი მიტინგის დარბევა, რამაც კომუნისტური რეჟიმის სრული დისკრედიტაცია გამოიწვია საქართველოში.

4. პარტიის მონოპოლია მასობრივი ინფორმაციის

საშუალებებზე. მკაცრი ცენზურა

ტოტალიტარული რეჟიმის ეს ნიშანი კონსტიტუციურად შენიღბული იყო. საბჭოთა კონსტიტუცია აღიარებდა სიტყვის თავი-

სუფლებას, მაგრამ რეალურად ყველაფერს პარტია აკონტროლებდა და სიტყვის თავისუფლებას „ანტისაბჭოთა ხასიათი“ არ უნდა მიეღო. თუ რა იყო „ანტისაბჭოთა“, ამას თავად კომპარტია განსაზღვრავდა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 50-ე მუხლი იდენტური იყო საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის 48-ე მუხლისა. იქ ნათქვამი იყო, რომ „ხალხის ინტერესების შესაბამისად, სახელმწიფო წესწყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებულის, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება.“ იქვე ნათქვამი იყო, რომ მათ შეუძლიათ მასმედიის საშუალებების გამოყენება. ეს მუხლი არ შეცვლილა კონსტიტუციის 1991 წლის რედაქციაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ტოტალიტარიზმის მემკვიდრეობის სრული დემონტაჟი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში განხორციელდა. ამ კონსტიტუციის 24-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“ იქვე ხაზგასმულია, რომ „**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია**“. იმავე მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამია, რომ „სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.“

5. გაბატონებულ პარტიას მონოპოლიზებული აქვს კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე

შეიარაღებული ძალები კომუნისტური პარტიის კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 31-ე მუხლში ეწერა, რომ შეიარაღებული ძალების ამოცანაა „სოციალისტური სამშობლოს დაცვა“, ისევე, როგორც „სოციალისტურ მონაპოვართა“ დაცვა.

შეიარაღებული ძალები საბჭოთა კავშირის გამგებლობაში იყო და საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციაში პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ ეს სფერო საბჭოთა კავშირის კომპეტენციაშია (იხ. მუხლები: 28, 29, 30).

გამსახურდიას დროს საქართველოს კონსტიტუციაში ეს მუხლები ამოიღეს და მათ ახალი ფორმულირება მიეცა. მაგალითად, 30-ე მუხლში აღინიშნა, რომ „ეროვნული საჯარისო ფორმირებები მოვალენი არიან, დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის ინტერესები, მისი ტერიტორიული მთლიანობა,... უზრუნველყონ ნებისმიერი აგრესიის მოგერიება და სამოქალაქო მშვიდობა.“

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 26-ე მუხლში აღინიშნა, რომ „დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.“

6. ეკონომიკის ცენტრალიზებული კონტროლი

საბჭოთა კავშირში სახელმწიფო აკონტროლებდა ეკონომიკას. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-10 მუხლი იწყებოდა სიტყვებით: „სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმით.“ ზუსტად იგივე იყო ნათქვამი საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის მე-10 მუხლში. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-11 მუხლის ძალით სახელმწიფოს ეკუთვნოდა მთელი ბუნებრივი სიმდიდრეები და წარმოების ძირითადი საშუალებები. იგივე იყო ნათქვამი საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის მე-11 მუხლში. საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის მე-16 მუხლი კი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ეკონომიკის ხელმძღვანელობა ხორციელდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების საფუძველზე.“ იგივე იყო ნათქვამი საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის მე-16 მუხლში, ოღონდ ხაზგასმული იყო, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილია. „საქართველოს სსრ ეკონომიკა შემადგენელი ნაწილია ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისა, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს.“

ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში, როდესაც ცვლილებები შეჰქონდათ საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციაში, გაუქმდა მე-16 მუხლი, ანუ ის მუხლი, რომელიც ეკონომიკის განვითარებას სახელმწიფო გეგმების საფუძველზე გულისხმობდა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მე-11 მუხლიდან ამოღებულ იქნა ფრაზა, რომლითაც საქართველოს ეკონომიკას საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ნაწილად აცხადებდა. საინტერესო ცვლილება მოხდა მე-10 მუხლში, სადაც გაჩნდა „ინდივიდუალური საკუთრების“ ცნება და ხაზი გაესვა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ყველა ფორმა აღიარებულია თანასწორუფლებიანად და დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, თითოეული მათგანისათვის იქმნება განვითარების ხელშემწყობი პირობები.“

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში ცალკე აღარ არის აღნიშნული საკუთრების სხვადასხვა ფორმა. 21-ე მუხლში კი აღნიშნულია, რომ „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“ იმავე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ საკუთრების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და კანონის საფუძველზე.

დანართი

2010 წელს საქართველოში ოკუპაციისა და ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა გახსენების ოფიციალური დღეები დაწესდა

2010 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პაკეტი განიხილა, რომლის თანახმად, 25 თებერვალი – საბჭოთა ოკუპაციის, ხოლო 23 აგვისტო – ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოცხადდა.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში შემოიჭრნენ საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები. საომარი მოქმედებები 17-18 მარტამდე გრძელდებოდა, მაგრამ საბჭოთა პერიოდში სწორედ 25 თებერვალი იყო გამოცხადებული „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების“ საზეიმო თარიღად. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრენი 25 თებერვალს საპირისპირო კუთხით აღნიშნავდნენ ხოლმე. მაგრამ მხოლოდ 2010 წლიდან 25 თებერვალი გამოცხადდა ოკუპაციის დღედ.

დადგენილების მიხედვით, პარლამენტმა საქართველოს მთავრობას ყოველი წლის 25 თებერვალს ოკუპაციის მსხვერპლთა პატივის მიგებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება დაავალა. ამიერიდან 25 თებერვალს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფოს დროშებს დაუშვებენ და ოკუპაციის მსხვერპლთათვის პატივის მისაგებად წუთიერი დუმილი გამოცხადდება.

ოკუპაციის დღეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, კერძო დაწესებულებებმა და საწარმოებმა მასობრივი საზეიმო და საწინააღმდეგო ღონისძიებების გამართვისაგან თავი უნდა შეიკავონ.

მთავრობის მითითების თანახმად, უნდა მომზადებულიყო სპეციალური სახელმძღვანელო სკოლებისათვის, რომელშიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიაზე და ოკუპაციის შესახებ იქნებოდა საუბარი. რუსეთს ორჯერ ჰქონდა ოკუპირებული საქართველო – მეფის რუსეთის და საბჭოთა პერიოდებში. დღეისათვის რუსეთს საქართველოს ტერიტორიების მეხუთედი აქვს ოკუპირებული, ამდენად, რუსული ოკუპაციის თემა საქართველოსთვის კვლავ აქტუალურია.

რაც შეეხება მეორე თარიღს – გოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს, აქ საქართველომ მიიღო უკვე დადგენილი თარიღი. 2009 წელს ევროპარლამენტისა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გადანყვეტილებით, 23 აგვისტო გოტალიტარიზმის მსხვერპლთა დღედ გამოცხადდა. საქართველო ცივილიზებული მსოფლიოს გამოძახილს შეუერთდა. 1939 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა ე.წ. „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“, როდესაც სტალინისა და ჰიტლერის რეჟიმებმა გაიყვეს „გავლენის სფეროები“ აღმოსავლეთ ევროპაში.

რა თქმა უნდა, უნდა იყოს მსჯელობა არა ზოგადად ტოტალიტარიზმზე, არამედ, პირველ რიგში, კომუნისტურ რეჟიმზე, რომელმაც ბევრი უბედურება მოუტანა საქართველოს და არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანას. დადგენილების მიღებამდე ცოტა ხნის წინ გორში აიღეს სტალინის ძეგლი, რომელიც ცენტრალურ მოედანზე იყო აღმართული. მას წინ უსწრებდა ხანგრძლივი კამპანია, რომელსაც ძეგლის აღების მომხრენი აწარმოებდნენ.

კითხვები და დავალებები

- შეეძლო თუ არა საქართველოს, გამოსულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან?
- რატომ დასთანხმდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას?
- თქვენი აზრით, რატომ გახდა აუცილებელი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოსაცხადებლად რეფერენდუმის ჩატარება?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „გახსენებას“ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში?
- რის საფუძველზე შეიძლება ჩავთვალოთ თანამედროვე საქართველო 1918–1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ?
- რატომ არ თანხმდებოდა საბჭოთა კავშირის და შემდეგ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის ფაქტის აღიარებას?
- თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების ფაქტის აღიარების მოთხოვნის წამოყენებით?
- რის საფუძველზე ცნო საერთაშორისო საზოგადოებრიობამ საქართველოს დამოუკიდებლობა?

თემა VI. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სამი ათეული წელი ჯერ არ გასულა. მიუხედავად მოკლე პერიოდისა, ეს იყო მნიშვნელოვანი ცვლილებების დრო, როდესაც ქვეყანაში დაიწყო კომუნისტური ტოტალიტარიზმის დემონტაჟი და მის ნაცვლად დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ პოსტკომუნისტური განვითარება და საზოგადოების დემოკრატიული ტრანზიცია თითქმის სინონიმებად წარმოდგებოდა. მაგრამ გამოცდილებამ აჩვენა, რომ კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟი აპრიორულად სულაც არ განაპირობებდა საზოგადოების დემოკრატიისაკენ სვლას. ზოგ შემთხვევაში დემოკრატიული ტრანზიცია საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი პროცესი შეიძლება აღმოჩნდეს და ამ გზაზე ქვეყანას მოუხდეს სხვადასხვა სახის ავტორიტარული თუ ცრუდემოკრატიული რეჟიმების პირობებში ცხოვრება. ამ ვითარებაში ბევრს არაფერს ცვლის ოფიციალური განაცხადები დემოკრატიისა და დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესებისადმი ერთგულების თაობაზე.

1. პოსტსაბჭოთა საქართველო: მიღწევები და შეცდომები

1.1. ლიტვამ გააკეთა ის, რის გაკეთებაც საქართველოსაც უნდოდა

იმის გასაგებად, თუ რას მიაღწია საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ერთ-ერთი გზაა, შევადაროთ საქართველოს და რომელიმე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის განვლილი

გზა შემდგომ პერიოდში. რადგანაც საქართველო ესწრაფვის, გახდეს ევროპული ტიპის სახელმწიფო და ევროკავშირის წევრი, მართებული იქნება საქართველოს შედარება ბალტიის რესპუბლიკებთან, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროკავშირისა და ნატოს წევრები გახდნენ.

ვარდების რევოლუციის წინ, 2003 წლის სექტემბერში, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ლიტვის პრეზიდენტი **როლანდას პაკსასი**. მან სიამაყით აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის 12 წლის განმავლობაში ლიტვამ შეძლო უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიღწევა – გახდა ევროკავშირისა და ნატოს წევრი, ახლა კი შეუძლია ამ ორგანიზაციებში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაზე ზრუნვა. ლიტვის პრეზიდენტის განცხადებით, „საქართველოს შეუძლია ჩვენ მიერ განვლილი გზა შეამოკლოს, ჩვენი შეცდომები გაითვალისწინოს და უფრო იოლად განვივრიანდეს ამ ორგანიზაციებში.“

პაკსასის მიერ გულწრფელად ნათქვამი სიტყვები, ცოტა არ იყოს, ირონიულად ჟღერდა. „გზის შემოკლება“ და „სხვისი შეცდომების გათვალისწინება“ ისეთი რამაა, რაც საქართველოს ხელისუფალთ, როგორც წესი, ნაკლებად ეხერხებოდათ. ეს ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობასაც კარგად ეტყობოდა. წარმატებული პოსტსაბჭოთა ქვეყნის ლიდერის ამ სიტყვებს ისმენდა საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომლის მმართველობის ბოლო პერიოდშიც საქართველოს სულ უფრო ხშირად „არშემდგარ სახელმწიფოს“ უწოდებდნენ.

ბალტიელი სტუმრის ამ სიტყვებმა კიდევ ერთხელ უზიძგა ადგილობრივ მედიას, შეეფასებინა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვლილი გზა და ის ლიტვის ანალოგიური პერიოდის შედეგებისთვის შეედარებინა.

ლიტვა და საქართველო ტერიტორიული სიდიდითა და მოსახლეობით დაახლოებით ერთნაირი ქვეყნებია. ორივე ქვეყანა საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში იყო. მათ პირველებმა გამოაცხადეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. პაკსასის აღნიშნული ვიზიტის დროს დამოუკიდებლობის აღდგენიდან

დაახლოებით 12 წელი იყო გასული. ლიტვას, როგორც ვნახეთ, მილნეული ჰქონდა ის, რასაც დამოუკიდებლობის აღდგენის დროს მიზნად ისახავდა, საქართველოს კი გადაუჭრელი პრობლემების გამო, არაკეთილმოსურნეები „არშემდგარ სახელმწიფოდ“ სახავდნენ. განსხვავება ორი ქვეყნის მიერ განვლილ გზასა და მილნეულებში თვალში საცემი იყო. რამ განაპირობა ასეთი განსხვავებული შედეგები?

მაშინ ქართულ მედიაში ხელისუფლების მომხრე და ოპოზიციურ ძალებს შორის ცხარე დისკუსია გაიშალა იმის თაობაზე, იყო თუ არა ლიტვისა და საქართველოს სასტატო პოზიციები ერთნაირი და რამ განაპირობა ორი ქვეყნის განსხვავებული განვითარება – შიდა თუ გარე ფაქტორებმა. ხელისუფლების მხარდამჭერი ანალიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს გაცილებით უფრო რთულ საშინაო და საგარეო პირობებში უხდებოდა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. ლიტვასა და ბალტიის სხვა სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დასავლეთმა მაშინვე „კალთა გადააფარა“ და რუსეთს მათ წინააღმდეგ მოქმედებების შესაძლებლობები შეუზღუდა. სამხრეთ კავკასიაში კი XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში რუსეთს ყველაფრის გაკეთება შეეძლო. შედეგად მივიღეთ ე. წ. ეთნიკური კონფლიქტები, სეპარატისტული რეჟიმები და სახელმწიფო გადატრიალებები საქართველოსა და აზერბაიჯანში. ფაქტობრივად, პრეზიდენტი მაშინვე შეიცვალა სომხეთშიც, როდესაც ტერ-პეტროსიანი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაზე ალაპარაკდა დასავლური გარანტიებით და მოსკოვისათვის მიუღებელი გახდა.

ცხადია, ყველაფერს მარტო გარეშე ფაქტორს ვერ დავაბრალებთ. რუსეთმა კარგად გამოიყენა ის შეცდომები, რაც საქართველოში ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა დაუშვეს. რუსეთის აგენტებით გაძედილ პოლიტიკურ სპექტრს, მთლიანობაში, ძალზე დაბალი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა და ადვილად წავიდა სამოქალაქო ომამდე ვითარების გამწვავების მიმართულებით.

თავის როლს ასრულებდა ორი ქვეყნის – ლიტვისა და საქართველოს – მოსახლეობის განსხვავებული პოლიტიკური კულტურაც. როგორც პაკსასმა აღნიშნა, „საკუთარი სახელმწიფოს რწმე-

ნა“ ლიტვაში ძლიერი იყო. „შესაძლოა, ჩვენთვის ეს უფრო იოლი იყო იმის გამო, რომ უფროსი თაობის ადამიანთა უმეტესობას ჯერ კიდევ ახსოვს ლიტვის დამოუკიდებლობა 1918–1940 წლებში“, – განაცხადა ლიტვის პრეზიდენტმა. საქართველოს დამოუკიდებლობა სულ ორ-ნახევარ წელს გაგრძელდა, 1918–1921 წლებში. მას შემდეგ საბჭოთა რეპრესიებმა რამდენიმე თაობის განმავლობაში ერის საუკეთესო შვილები შეინირა.

შედეგად, XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, ეროვნული ხელისუფლება, როგორც თავს უწოდებდა ზვიად გამსახურდიას მთავრობა, ადვილად წალეკა კომუნისტურმა ნომენკლატურამ. სწორედ ამ ფენას ჰქონდა მტკიცე კავშირები, ქონება და სახელისუფლო გამოცდილება. მას აღმოაჩნდა საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ლიდერიც – ედუარდ შევარდნაძის სახით. მაგრამ ყოფილ კომუნისტურ ნომენკლატურას მხოლოდ **კორუფციაზე დამყარებული კლანური სახელმწიფოს** შექმნა შეეძლო. საბოლოოდ, დემოკრატია და რეფორმები მისთვის მხოლოდ დეკორაცია იყო. სწორედ ეს იყო საქართველოს პრობლემების თავი და თავი.

დასანანი, რომ პოსტსაბჭოთა ისტორიის პირველ ათწლეულში საქართველომ ხელიდან გაუშვა შანსი, გაცილებით უკეთეს ქვეყნად ჩამოყალიბებულიყო. შეიძლება ვინმემ თქვას – წარუმატებლობის სათავე თავად ხალხია და არა ხელისუფლება, ეს ხელისუფლება ხომ ხალხის არჩეულიაო. მაგრამ თავად ხელისუფლების წარმომადგენლების აღიარების თანახმად, საქართველოში არჩევნები ყოველთვის უღვთოდ ყალბდებოდა ხოლმე. ფაქტობრივად, ამაზე დასავლეთელი მეგობრებიც თვალს ხუჭავდნენ, „უკეთესი მომავლის“ იმედით. მაგრამ საქმე ამით უკეთესობისკენ ნამდვილად არ შეცვლილა.

1.2. დამოუკიდებლობის 15 წელი:

მიღწევები და შეცდომები

2006 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით, ასოციაციამ – „კანონი ხალხისათვის“ – ექსპერტთა გამოკითხვის გზით სცადა განესაზღვრა, თუ რა შეცდომები

იქნა დაშვებული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. თავდაპირველად შეცდომათა სია 26-პუნქტიანი იყო. საბოლოოდ, ეს რიცხვი 13-ამდე შეამცირეს. ეს ის შეცდომებია, რომლებზეც ორგანიზაციის მიერ შერჩეული ექსპერტთა აზრი არ გაყოფილა და ყველამ მიიჩნია ძირითად შეცდომებად.

შეცდომებზე ყურადღების გამახვილება, ერთი მხრივ, იმით აიხსნება, რომ განვლილი პერიოდი მეტად რთული აღმოჩნდა საქართველოსთვის. პატარა ქვეყნისთვის შეცდომა პოლიტიკაში დაუშვებელი „ფუფუნებაა“, რაც შეიძლება, ძალიან ძვირი დაუჯდეს. ასე იყო 1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს. „მაშინ საქართველომ დამოუკიდებლობა იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის მიერ დაშვებული შეცდომების გამო დაკარგა“ – ასეთია საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი. ამიტომ საზოგადოებაში არსებობს შიში პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების წინაშე.

აღსანიშნავია, რომ შეცდომების ნუსხა საზოგადოებას 2006 წლის 21 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების დღეს წარუდგინეს. „დამოუკიდებლობა და მისი თანმდევი კონსტიტუცია აღარასოდეს უნდა გახდეს აღსადგენი და ხელახლა ასამოქმედებელი. საქართველოს მშენებლობის პროცესი სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის იმდენად მყარ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს, რომ ხალხის თავისუფლება და კეთილდღეობა გარანტირებულად დაცული გახდეს“ – აღნიშნეს საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა.

უმთავრესი უბედურება, რითაც იწყება დამოუკიდებლობის პერიოდში დაშვებული შეცდომების ნუსხა, ექსპერტთა აზრით, 1991–1992 წლებში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება და 1992-1993 წლების სამოქალაქო ომია, რამაც მძიმე დაღი დაასვა საქართველოს შემდგომ განვითარებას. ქართველ ექსპერტთა აზრით, დამოუკიდებლობის პირველ წლებში გადატანილმა ამ ტრაგიკულმა ფურცლებმა შექმნეს მოვლენათა ჯაჭვი, რომელთა უარყოფითი შედეგების დაძლევაც ქვეყანას დღემდე ვერ მოუხერხებია.

რადგანაც საქმე ისტორიულ გზას ეხება, მოსალოდნელი იყო, რომ დასახელებოდა გარკვეული თარიღები და ამა თუ იმ დროს

გადადგმული არასწორი ნაბიჯები.¹ თუმცა, საბოლოოდ, დასახელებულ შეცდომათა ნუსხა „არაისტორიულ“ ხასიათს ატარებს და უფრო პრობლემათა ჩამონათვალია, რომელთა გადაუჭრელობაც დღევანდელ პირობებში ქვეყნის განვითარებას აფერხებს. ეს ჩამონათვალი, „უმთავრესი შეცდომების“ სახელწოდებით, შემდეგნაირად იქნა წარმოდგენილი:

- 1991–1992 წლებში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება და 1992–1993 წლების სამოქალაქო ომი;
- კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში;
- ხელისუფლების ცვლის არასაარჩევნო პრაქტიკა;
- რუსეთის სამშვიდობო ჯარების შემოყვანა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში;
- დემოკრატიისა და თვითმმართველობის განუვითარებლობა;
- სახელმწიფოს მისიისა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების განუსაზღვრელობა;
- სამოქალაქო თანხმობის მიუღწევლობა;
- ადამიანური რესურსების არასწორი გამოყენება;
- სოციალური და ჯანდაცვის საიმედო და უსაფრთხო ბაზების შეუქმნელობა;
- დემოგრაფიული პოლიტიკის არარსებობა;
- კანონის უზენაესობის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების უგულებელყოფა;
- ხელისუფლების შტოებს შორის განონასწორებისა და კონტროლის მექანიზმების მოშლა (2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებები);
- სტრატეგიული ობიექტების გასხვისება.

¹ კომისიის წევრების მიერ ასეთი შეცდომები დასახელებული იყო, მაგალითად: დაგომისის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე სამაჩაბლოში რუსი სამშვიდობოები შემოვიდნენ; სოჭის ხელშეკრულება და რუსი სამშვიდობოების ენგურთან ჩაყენება; 1994 წლის 1 მარტს საქართველოს დსთ-ში გაწევრება და ა. შ.

ზემოთ დასახელებული შეცდომებისა თუ გადასაწყვეტი ამოცანების უდიდესი ნაწილი ვარდების რევოლუციამდე იღებდა სათავეს და ახალი ხელისუფლება მონოდებული იყო, გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა დასახელებული მიმართულებებით. თუმცა ხელისუფლება „უმთავრესი შეცდომების“ წარმოდგენილ ნუსხას არ ეთანხმებოდა და ზოგიერთ შეცდომას, მაგალითად „სტრატეგიული ობიექტების გასხვისებას“ იმ ნაბიჯად მიიჩნევდა, რაც ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის უზრუნველყოფდა.

დამოუკიდებლობის 15 წელი: რას მივაღწიეთ

ასოციაცია „კანონი ხალხისათვის“ შერჩეულმა ექსპერტებმა შეცდომებთან ერთად, მიღწევების სიაც შეადგინა. განვლილი პერიოდის მთავარ მიღწევებად დასახელდა:

- სიკვდილით დასჯის გაუქმება;
- ტრანსკავკასიური პროექტები – აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ისტორიული ფუნქციის საქართველოსთვის დაბრუნება;
- საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება;
- თავისუფალი მედიის შექმნა;
- დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის გადადგმული ნაბიჯები;
- საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის გადადგმული ნაბიჯები;
- რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ შეთანხმების მიღწევა;
- ნატოში განევრებისთვის გადადგმული ნაბიჯები;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტორიტარული რეჟიმის შეცვლა.

ასოციაციის მიერ შეკრებილი ექსპერტების აზრი „ვარდების“ რევოლუციის შესახებ ორად გაიყო: ზოგი მას მიღწევად თვლიდა,

ზოგიც პირიქით – შეცდომად. იყო მოსაზრებაც, რომ „ვარდების“ რევოლუციის შეფასების საკითხი სამომავლოდ გადადებულიყო.¹ „ვარდების“ რევოლუციის მიღწევად შეფასების მონინალმდეგენი მიუთითებენ, რომ ხელისუფლების ცვლის არასაარჩევნო პრაქტიკა საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს შეცდომად იქნა მიჩნეული, ამიტომ ექსპერტთა იმავე ჯგუფმა ვარდების რევოლუცია მიღწევად არ უნდა ჩათვალოს. არ შეიძლება ხელისუფლებაში ვინმეს მოსვლა საქართველოს მთავარ მიღწევად ჩაითვალოს და, რაც მთავარია, ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლის ფაქტის ქვეყნის მიღწევად მიჩნევა ნაქეზებაა სხვა პოლიტიკური ძალებისა, რომლებმაც შესაძლოა, ასე მოინდომონ მთავრობის შეცვლა და პარლამენტში მოსვლა.

მიღწევების უმრავლესობა, რასაც ექსპერტები დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 15 წლის თავზე ასახელებდნენ, ატარებდა პროცესის ხასიათს – მაგალითად, მიღწევებად სახელდება ტრანსკავკასიური სატრანზიტო პროექტების განხორციელება, დასავლეთთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ შეთანხმების მიღწევა, საბაზრო ეკონომიკისკენ გადადგმული ნაბიჯები, თავისუფალი მედიის ფორმირება და ა.შ.

რაც შეეხება შეცდომებს, ანუ წარუმატებლობებს, აქ სია შთამბეჭდავად გამოიყურება და მეტყველებს იმაზე, თუ რამდენი ამოცანა იყო გადასაწყვეტი სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე: ხელისუფლების ცვლის არასაარჩევნო პრაქტიკა, დემოკრატიის და თვითმმართველობის განუვითარებლობა, სახელმწიფო

¹ მაგალითად, „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელ გიორგი ხუციშვილის აზრით, ვარდების რევოლუციის შესაფასებლად გარკვეული დროის გასვლა იყო საჭირო. ამას არ ეთანხმებოდა გიორგი გაჩეჩილაძე. მისი თქმით, „ვარდების რევოლუცია არ მოენონათ მხოლოდ სეპარატისტულ რეჟიმებს, დანარჩენი მსოფლიო კი ალტაცებას გამოხატავს. ამ დროს საქართველოში გამოჩნდა ინტელექტუალური ძალა, რომელსაც ამ მოვლენის მიღწევად ჩათვლა არ სურს და შესაფასებლად დროს ითხოვს. ეს ის ხალხია, რომელიც შევარდნაძის რეჟიმის დამხობით უკმაყოფილოა.“

მისიისა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების განუსაზღვრელობა, სამოქალაქო თანხმობის (ერთიანი ღირებულებების შესახებ შეთანხმების) მიუღწევლობა, ადამიანური რესურსების არასწორი გამოყენება, ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის არარსებობა, სოციალური (მათ შორის დასაქმების) და ჯანმრთელობის დაცვის სამართლიანი და საიმედო სისტემების არშექმნა, დემოგრაფიული პოლიტიკის არარსებობა, სამართლის უზენაესობისა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპების უგულვებლყოფა, ხელისუფლების განშტოებების აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების გაზრდა, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების შეზღუდვა და ა. შ.

2. პოსტსაბჭოური დემოკრატიზაციის თავისებურებანი

2.1. დემოკრატიული ტრანზიტის თეორიები და პოსტსაბჭოური სინამდვილე

საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების გააზრებას ჩვენშიც და დასავლეთშიც ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ დემოკრატიული ტრანზიტის სხვადასხვა კონცეფციის საფუძველზე. ამ თეორიის თანახმად, ყოფილი კომუნისტური ქვეყნები ესწრაფვიან დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას, რისთვისაც აუცილებელია რეფორმების განხორციელება.¹ მაგრამ თანდათანობით ცხადი ხდებოდა, რომ, მიუხედავად დასავლეთის მხარდაჭერისა და პოსტსაბჭოური ქვეყნების ხელისუფალთა მიერ დეკლარირებული დემოკრატიისკენ სწრაფვისა, რეალურად მიმდინარე პროცესები თავდაპირველ თეორიულ მოდელებს არ შეესაბამებოდა.²

¹ დემოკრატიზაცია: თეორია და პრაქტიკა, თბ., 1993; Democracy and democratization. Ed. by G. Parry and M. Moran. London, New York, 1994.

² Лукин А.В. Демократизация или кланизация? Эволюция взглядов западных исследователей на перемены в России – "Полис", 2000, №3, с.61-79.

დემოკრატიული ტრანზიტის არსებული თეორიები შექმნილი იყო ლათინური ამერიკისა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. საბჭოური სინამდვილე არათუ მისგან განსხვავდებოდა, არამედ აქ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებთანაც შედარებით მნიშვნელოვნად სპეციფიკური ვითარება იყო. კომუნისტური რეჟიმის 70-წლიანი არსებობის შედეგად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განადგურდა საბაზრო ეკოსისტემა და ინფრასტრუქტურა, ლიკვიდირებული იყო საქმიანი ქცევის კოდები, რაც *homo economicus*-ისთვის არის დამახასიათებელი და რომლის საფუძველზეც იგი „ნორმალურად რეაგირებს“ ბაზრის სტიმულებზე, ანუ ყოფილ საბჭოეთში ბაზრის ფუნქციონირების პირობები მთლიანად იყო განადგურებული.¹

როგორც დღეს აღნიშნავენ დასავლეთელი მკვლევრები, სწრაფი საბაზრო რეფორმები და „შოკური თერაპია“ მოუმზადებელ ნიდაგზე ხორციელდებოდა და, შესაბამისად, არ მოჰქონდა ის შედეგები, რასაც მისგან მოელოდნენ. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი მ. გოლდმანი, რომელიც რუსეთის ეკონომიკას იკვლევდა, აღნიშნავდა, რომ განსხვავებით პოლონეთისა და ლათინური ამერიკისაგან, სადაც შოკური თერაპია წარმატებით ჩატარდა, რუსეთში იგი ორ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო: ჯერ აღდგენილიყო ბაზრის ინსტიტუციური და სხვა პირობები, შემდეგ კი გატარებულიყო თავად საბაზრო რეფორმები.²

კულტურული ტრადიციებისა და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის არარსებობის პირობებში სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას გარდუვალად მოსდევდა ეკონომიკის ნგრევა. გარდა ამისა, კომუნისტური მმართველობის შვიდი ათწლეულის შემდეგ მნიშვნელოვანი სახსრები ჰქონდა მხოლოდ სხვადასხვა მაფიოზურ დაჯგუფებას, ქარხნებისა და მალაზიების „ჩრდილოვანი

¹ Лукин А.В. Демократизация или кланизация? Эволюция взглядов западных исследователей на перемены в России – "Полис", 2000, №3, с.61-79.

² Goldman M. The Pitfalls of Russian Privatization – Challenge, 1997, May-June, p.39.

ბიზნესის“ მონაწილე ხელმძღვანელებს, პარტიულ-სახელმწიფო და მმართველობითი ელიტის წარმომადგენლებს, რომელთაც მოახერხეს ყოფილი სახელმწიფო და პარტიული ფულის მითვისება. ბუნებრივია, ასეთ პირობებში პრივატიზაცია დიდად უწყობდა ხელს უკანონობასა და კრიმინალის ზრდას.

მ. გოლდმანი არ ეთანხმებოდა შოკური თერაპიის მომხრეებს იმაშიც, რომ სიტუაცია თავისთავად გამოსწორდება და პრივატიზებული საწარმოების უუნარო ხელმძღვანელებს აქციონერები გაათავისუფლებენ ან იძულებულნი გახდებიან, წასულიყვნენ ბაზრის ზეგავლენის შედეგად. მოვლენათა ამგვარად განვითარებისათვის აუცილებელია ქმედითი სამართლებრივი სისტემა, რომლის არარსებობაც იწვევს იმას, რომ „ქვეყანაში ჩამოყალიბებული ოლიგარქიების ევოლუცია უაღრესად ძნელად მიიმართება კონკურენტის დონის ამაღლების მიმართულებით.“

ყოფილ საბჭოეთში პრივატიზაციის სწრაფად ჩატარების მოთხოვნის წამოყენებისას დასავლეთი ხელმძღვანელობდა პრივატიზაციის აბსტრაქტული კონცეფციით, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის სწრაფი განვითარება უნდა მოჰყოლოდა, მხედველობაში არ მიიღებოდა არც საკითხის ეთიკური მხარე და არც პრივატიზაციის პროცესის ისტორიული გამოცდილება. ეს კი სრულიადაც არ იყო უმნიშვნელო.

ჯ. ჰოპკინსის უნივერსიტეტის აზიურ-კავკასიური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ჩ. ფერბენკსი აღნიშნავდა, რომ პრივატიზაცია ისტორიულად ყოველთვის იწვევდა ქაოსსა და სოციალურ კატაკლიზმებს. რუსეთში კი პრივატიზაციის თანმხლები გარდუვალი ქაოსი ემთხვეოდა დემოკრატიზაციას და ამიტომ პრივატიზაცია მთავარი მიზეზი აღმოჩნდა, რამაც დემოკრატიას ლეგიტიმურობა დააკარგვინა.¹

კანონზომიერება იყო ისიც, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ახალი მმართველი კლასი კომუნისტური ნომენკლატურიდან გამოვიდა. დაჩქარებული რეფორმების თაობაზე ქვეყნის გარედან თუ შიგნიდან განუწყვეტელი მოწოდებების შედეგად ახალმა ოლიგარ-

¹ Fairbanks Ch.H. The Feudalization of the State – Journal of Democracy, vol.10, 1999, №2 April, p. 50-52.

ქიამ თავის ხელში მოაქცია იმდენი ძალაუფლება და სიმდიდრე, რომ შეძლო ხელისუფლების დიდი ხნით შენარჩუნება.

2.2. კლანური სახელმწიფოს კონცეფცია

ფაქტობრივად, ილუზიური აღმოჩნდა დემოკრატიზაციის ის იმედები, რაც ტრანზიტოლოგიური თეორიებიდან გამომდინარეობდა. რუსეთში აშშ-ის საელჩოს ყოფილი თანამშრომელი ტ. გრეჰემი აღნიშნავდა, რომ რუსეთში 1993 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ ჩამოყალიბებულ რეჟიმს არ შეიძლება ეწოდოს არც დემოკრატიული, არც ავტორიტარული, არც რეფორმატორული და არც რეაქციული. რუსეთის ახალ პოლიტიკურ სტრუქტურას გრეჰემი ოლიგარქულ-კლანურს უწოდებდა. ამასთან, იგი ამ ცნებებს იყენებს არა ემოციური ან პოლიტიკური პოლემიკით განპირობებული განწყობიდან გამომდინარე, არამედ მეცნიერული კატეგორიების სახით.¹

გრეჰემი გამოყოფდა რუსული კლანების შემდეგ ნიშნებს: 1) დაჯგუფება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის გარშემო; 2) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გარანტირებული მისაწვდომობა; 3) კონტროლი შეიარაღებულ ფორმირებებზე (სახელმწიფო ან კერძოზე). გრეჰემის აზრით, რუსეთის კლანური სისტემა ემყარებოდა საერთო თვალსაზრისის სახელმწიფოს შესახებ და კონტროლს სახელმწიფო ხელისუფლების ძირითად ინსტიტუტებსა და ეკონომიკურ პოტენციალზე. ეს კონტროლი, პირველ რიგში, საჭიროა საკუთარი კლანის უპირატესობის შესანარჩუნებლად ან მოსაპოვებლად.

კლანებს ახასიათებთ დემოკრატიისადმი ინსტრუმენტული დამოკიდებულება: ისინი ესწრაფვიან მის შენარჩუნებას არა პრინციპული მოსაზრებებიდან გამომდინარე, არამედ ცდილობენ, შეძლებისდაგვარად გამოიყენონ მისი პროცედურები (პირველ რიგში, არჩევნები) საკუთარი ხელისუფლებისა და გავლენის განსამტკიცებლად.

¹ Грэхэм Т. Новый российский режим – Независимая газета, 1995, 23.11.

ტრადიციული ტრანზიტოლოგიური კონცეფციების თანახმად, ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმების დემონტაჟს უნდა მოჰყოლოდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. იგულისხმებოდა, რომ იგი „ცარიელ ადგილზე“ დაიწყებდა ჩამოყალიბებას, რადგანაც ტოტალიტარიზმის პირობებში სამოქალაქო საზოგადოების ადგილას „ვაკუუმი“ იყო შექმნილი. მაგრამ ტოტალიტარიზმის კონცეფციის ავტორებს მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ „სამოქალაქო საზოგადოების“ ადგილას არსებობდა არაოფიციალური ინსტიტუტები, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ არც დასავლურ და არც აღმოსავლურ ცნობილ მოდელებს.

არაოფორმალური, მაგრამ შინაგანად მკაფიოდ სტრუქტურირებული ელიტური დაჯგუფებების წარმომადგენლები წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან და შეიმუშავეს ურთიერთობათა რთული, ეფექტური და ფარული ქსელი. კომუნისტური რეჟიმების კრახის შემდეგ კი ამ ელიტური ჯგუფების წევრები უკვე საჯაროდ გამოვიდნენ და ერთდროულად ენერგიულად რამდენიმე მიმართულებით დაიწყეს საქმიანობა – ბიზნესის, სახელმწიფო მართვის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ჩათვლით.

დასახელებული ჯგუფები პრინციპულად განსხვავდებოდნენ დასავლეთელი პოლიტოლოგებისათვის ჩვეული „ზენოლის ჯგუფების“, „ფრაქციებისა“ და „კოალიციებისაგან“, რადგანაც ისინი მრავალ სფეროში მოღვაწეობდნენ და არ იფარგლებოდნენ მხოლოდ პოლიტიკით. შესაბამისად, მათი გავლენაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ისინი შუამავლის როლს ასრულებდნენ სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, აგრეთვე ბიუროკრატისა და კერძო ბიზნესს შორის. ამ ფენომენის ანალიზისათვის მოუმზადებელმა დასავლეთელმა პოლიტოლოგებმა ვერ შეძლეს, სწორად შეეფასებინათ მათი როლი. დასავლეთელი ეკონომისტები და პოლიტოლოგები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით გახსნილი პერსპექტივების განხილვისას ძირითადი აგენტის სახით განიხილავდნენ ინდივიდს. მაგრამ პოსტკომუნისტურ სინამდვილეში ასეთი აგენტის სახით უნდა განხილულიყო არა ინდივიდი, არამედ კლანი. სამოქმედო

გეგმას ირჩევდა არა ინდივიდი, არამედ კლანი, რომელშიც ინდივიდები იყვნენ გაერთიანებულნი. ამგვარი სტრატეგიული კავშირის ფარგლებში მოქმედება საშუალებას აძლევდა მის წევრ ინდივიდებს, გადარჩენილიყვნენ და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის მიეღწიათ გაურკვევლობის პირობებში.

კომუნისტური ხელისუფლების ნგრევისა და ტრადიციული ინსტიტუტების შესუსტების პირობებში კლანებმა ხელთ იგდეს ფართო უფლებამოსილებანი, რადგანაც არ აწყდებოდნენ თავისი საქმიანობის სერიოზულ შეზღუდვებს. ამ სიტუაციის სხვა შედეგი აღმოჩნდა ვითარება, როდესაც რესურსები და სახელისუფლო უფლებამოსილება ეკონომიკაში, პოლიტიკასა და სოციალურ სფეროში გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე მცირერიცხოვანი ჯგუფების ხელში მოექცა.

ამერიკელი ანთროპოლოგი ჟ. უედელი თავისი დაკვირვებების განზოგადების შედეგად და გრეჰემის ნაშრომებზე დაყრდნობით პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებს განსაზღვრავდა როგორც „სახელმწიფო-კლანებს“. მისი თქმით, **სახელმწიფო-კლანში** ცალკეული კლანები, რომელთაგან თითოეული მათგანი აკონტროლებდა საკუთრებასა და რესურსებს, იმდენად მჭიდროდ იდენტიფიცირდება კონკრეტულ სამინისტროებსა ან ინსტიტუციურ სემენტებთან, რომ მათი მიზნები და მოღვაწეობა ზოგჯერ იდენტურად გვეჩვენება.

სახელმწიფო-კლანში, კლანი და სახელმწიფო სუსტადაა ერთმანეთისგან გამიჯნული. ერთი და იგივე პირები შეადგენენ კლანსაც და შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლებასაც. კლანის წევრები ერთდროულად არიან მოსამართლეებიც, ნაფიცი მსაჯულებიც და კანონმდებლებიც. სახელმწიფო-კლანს ძალზე შეზღუდული პასუხისმგებლობა აქვს მათ წინაშე, რომლებიც მის შემადგენლობაში არ შედიან. ასეთი ადამიანების ბედისადმი იგი გულგრილია; სახელმწიფო-კლანში იმათი წარმომადგენლობის შესაძლებლობაც, რომელთაც კლანები აკონტროლებენ, ასევე ლიმიტირებულია. როგორც წესი, ერთი კლანის გავლენა შეიძლება შეაკავოს ან შეკვეცოს მხოლოდ კონკურენტმა კლანმა, რადგანაც სასამართლო ორგანოები ხშირად პოლიტიკური მოტივებით ხელ-

მძღვანელობენ. კლანი თავის წარმომადგენლებს განალაგებს სხვადასხვა ფორმალურ და არაფორმალურ თანამდებობაზე, სადაც მათთვის მისაწვდომი ხდება ის რესურსები, რაც აუცილებელია კლანის მიზნების მისაღწევად. ის ცვლის თავისი წევრების პოზიციას ისე, როგორც ხელსაყრელია კლანისათვის.

2.3. კორუმპირებულ-კლანური სისტემის ფორმირება საქართველოში

კლანური სახელმწიფოს კონცეფცია არა მარტო პოსტსაბჭოურ, არამედ ცენტრალური ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებზეც ვრცელდება. ანუ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები ყველა ამ ქვეყანაში ვლინდება. გამონაკლისი, ცხადია, ვერ იქნებოდა საქართველოც.

ვერ შევუდგებით 1990-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების დანვრილებით განხილვას. ვიტყვიტ მხოლოდ, რომ ბევრი რამ გაკეთდა ისეთი, რაც წესით არ უნდა მოხდეს ქვეყანაში, რომელსაც დამოუკიდებლობა და დემოკრატია სურს. კლანური სისტემის ფორმირებაც საქართველოში ინტენსიურად წარიმართა. ძნელია იმის თქმა, თუ როგორ მოხდა ეს – თავისთავად და სტიქიურად, თუ პირიქით, 1992 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ გათვალა, რომ „ძალაუფლების შენარჩუნების საუკეთესო ხერხი კორუმპირებული სახელმწიფო აპარატის შექმნა იქნებოდა“.

ასე იყო თუ ისე, კრედიტების მიღება და პრივატიზაციის პროცესში ჩართვა დიდი ცდუნება აღმოჩნდა პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოხელეებისათვის. ზოგმა კრედიტები გაიტანა და აღარ დააბრუნა, ზოგს ჩალის ფასად ერგო უზარმაზარი სანარმოები, ზოგმა ამა თუ იმ ბიზნესის „სახურავობა“ მოიპოვა, ზოგმაც განსაკუთრებით „იყოჩაღა“ და ყველაფერი ერთად მოახერხა.

ზოგიერთ ქვეყანას, როგორც ჩანს, კლანური სახელმწიფოს პირობებში საკმაოდ დიდხანს მოუწევს ცხოვრება. ასეთი ბედი, ალბათ, ელით ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. სხვები შედარებით სწრაფად მოახერხებენ დასავლური ტი-

პის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას და დემოკრატიული სისტემის რეალურ დამკვიდრებას.

საქართველოში ვითარების თავისებურება ის იყო, რომ, როგორც კლანური სისტემა, ისე მასთან დაპირისპირებული ძალები „რესურსების მწვავე ნაკლებობას“ განიცდიდნენ. დემოკრატიული ძალების სისუსტეზე თავისთავად მეტყველებდა ის გარემოება, რომ კლანური სისტემა რეალობა იყო. გარდა ამისა, კლანური სისტემის საქმიანობა ასოცირდებოდა „დემოკრატიათან“ და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების თვალში დემოკრატიული ღირებულებების გაუფასურებას ახდენდა.

არანაკლებ სუსტი იყო კორუმპირებულ-კლანური სისტემის პოზიციები. მისი მოღვაწეობის პირდაპირი შედეგი იყო ქვეყნის დანგრეული ეკონომიკა და დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის გაღატაკება, მწირი და მუდმივად შეუსრულებელი ბიუჯეტი, როდესაც ვერ ხერხდებოდა სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ელემენტარული ხარჯების დაფინანსება. კორუმპირებულ-კლანურ სისტემას არ ჰქონდა იდეოლოგია, რითაც იგი მიმზიდველი იქნებოდა მასებისათვის. ხელისუფალთა ხელში არ იყო რაიმე მნიშვნელოვანი რესურსი (მაგალითად, ნავთობის ან გაზის საბადოები), რომლის უპრობლემო მითვისებაც გაგრძელდებოდა კლანების მიერ და რომლის ნაწილიც პრობლემათა მოხსნა-შერბილებას მოხმარდებოდა. კორუმპირებულ-კლანურმა სისტემამ უკვე თითქმის მთლიანად აითვისა (მითვისა) ქვეყნის რესურსები და კლანებს შორის იწყება მწვავე ბრძოლა მოქმედების არეალების გადანაწილებისათვის. „კლანებს მორჩენილი ბიუჯეტი“ კი იმდენად მწირია, რომ მის საფუძველზე მხოლოდ პრობლემათა დაგროვება შეიძლება და არა მათი მოგვარება.

საქართველოს მაშინდელ შიდა პრობლემებს გეოპოლიტიკურ ქრილში თუ განვიხილავთ, არსებული კორუმპირებულ-კლანური სისტემა მიუღებელი იყო დასავლეთისთვის და თანამშრომლობის შემდგომი გაგრძელების პირობად ამ სისტემის დემონტაჟი სახელდებოდა. დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებისაგან დაჟინე-

ბით მოითხოვდა კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლის დანყებას.

კორუმპირებულ-კლანური სისტემის დანგრევის მცდელობა იყო ვარდების რევოლუცია, რასაც დასავლეთმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

3. საქართველო – ჰიბრიდული დემოკრატიის ქვეყანა

3.1. ჰიბრიდული რეჟიმის არსი და მისი სახეები

სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში საქართველო ჰიბრიდული რეჟიმების კატეგორიაშია მოქცეული. დემოკრატიის მიღწევისა და ევროინტეგრაციის სურვილიდან გამომდინარე, ჰიბრიდული რეჟიმის კატეგორიაში ყოფნა სამწუხარო ფაქტია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ დემოკრატიის მშენებლობის სიძნელეებს და იმას, რომ დემოკრატიისკენ წინსვლის თვალსაზრისით ვუსწრებთ ჩვენს მეზობლებს, მიღწევა შედარებით შთამბეჭდავი გახდება.

ჰიბრიდულ რეჟიმში ერთმანეთშია გადახლართული დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის ნიშნები. ჰიბრიდული რეჟიმები მოქცეულია ორ პოლუსს შორის – ერთია ლიბერალური დემოკრატია, მეორე კი „სუფთა ავტორიტარიზმი“. ჰიბრიდული რეჟიმები უაღრესად მრავალფეროვანია და შეიძლება, იხრებოდნენ და ახლოს იდგნენ ლიბერალურ დემოკრატიასთან, ანდა პირიქით, – ავტორიტარიზმთან.

ჰიბრიდულ რეჟიმებს ტრანზიტის პარადიგმიდან არ განიხილავენ. ჰიბრიდული რეჟიმი გარდამავალი ფორმა, დემოკრატიზაციის ფაზა კი არ არის, არამედ პოლიტიკური რეჟიმის განსაკუთრებული ტიპი, თავისი სპეციფიკური ნიშნებით და ფუნქციონირების განსაკუთრებული ლოგიკით.

ჰიბრიდული რეჟიმების კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნით ხდება. გავრცელებულია ელექტორალური ინდიკატორები. ამ მხრივ

გამოიყოფა ელექტორალური ავტორიტარიზმი¹ და შეჯიბრებითი (კონკურენტული) ავტორიტარიზმი.²

ლიბერალურ დემოკრატიასა და დახურულ ავტორიტარიზმს შორის ანდრეას შედღერი გამოყოფს პოლიტიკური რეჟიმების ორ ტიპს:

- ელექტორალურ დემოკრატიას;
- ელექტორალურ ავტორიტარიზმს.

ლარი დაიმონდის ტიპოლოგიით კი პოლიტიკური რეჟიმების ოთხი ტიპი გამოიყოფა:

- ელექტორალური დემოკრატია;
- ორბუნებოვანი, ანუ ამბივალენტური რეჟიმი;
- შეჯიბრებითი ავტორიტარიზმი;
- ჰეგემონისტური ელექტორალური ავტორიტარიზმი.

შედღერი ელექტორალურ დემოკრატიას დემოკრატის ზოგად კატეგორიაში აქცევს, ლიბერალურ დემოკრატისთან ერთად. ელექტორალური დემოკრატია აკმაყოფილებს დემოკრატის მინიმალური მიჯნას, რომელიც გულისხმობს თავისუფალი და პატიოსანი არჩევნების ჩატარებას. ელექტორალური დემოკრატია ცუდად ფუნქციონირებს და შეიძლება დემოკრატის მინიმალური სტანდარტიც ვერ დააკმაყოფილოს.

ლიბერალური და ელექტორალური დემოკრატის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

საერთო ნიშნები	ღია არჩევნებში პრინციპული ოპოზიციის მონაწილეობისთვის არჩევნები ტარდება კონკურენტულ საფუძველზე პატიოსნად (დაცულია დემოკრატის მათორიტარული ბუნება)
----------------	--

¹ Schedler, A., The Menu of Manipulation // *Journal of Democracy*, 2002, Vol. 13. №2; Diamond, L. Thinking About Hybrid Regimes // *Jurnal of Demokracry*, 2002, Vol. 13. No 2.

² Levitsky, S., Way, L. The Rise of Competitive Authoritarianism // *Journal of Democracy*, 2002, Vol. 13. No 2.

განმასხვავებელი ნიშნები	არჩევნების ფარგლებს გარეთ ელექტორალური დემოკრატიის პირობებში არ არის: დამოუკიდებელი სასამართლო, სიტყვის თავისუფლებისა და უმცირესობების უფლებების სრული დაცვა.
-------------------------	---

განსხვავებით ელექტორალური დემოკრატიისაგან, ელექტორალური ავტორიტარიზმი ქმნის დემოკრატიის ინსტიტუციურ ფასადს, რომელიც მოიცავს: რეგულარულ მრავალპარტიულ არჩევნებს (აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურისა და საკანონმდებლო ორგანოს წევრების), რომლის მიზანია არა დემოკრატიული პრაქტიკებისა და ინსტიტუტების დამკვიდრება, არამედ თავისი ავტორიტარული ბუნების შენიღბვა და განახლება.

ელექტორალური ავტორიტარიზმის დროს არჩევნები რეგულარულად ტარდება ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ ესაა არათავისუფალი და არასამართლიანი არჩევნები. მას ახასიათებს:

- პოზიციების „დარეზერვება“ გადანყვეტილების მიმღებ საკვანძო პირებისთვის;
- ოპოზიციური პარტიების მარგინალიზება (აკრძალვა, კანდიდატების არჩევნებიდან მოხსნა საარჩევნო კანონმდებლობის დახმარებით, ოპოზიციური პარტიების საარჩევნო კამპანიის შეზღუდვა მასმედიასა და საჯარო ადგილებში, ხშირად ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით, პოლიტიკური მკვლევლობები);
- ელექტორატის შემადგენლობის რეგულირება (რეგისტრაციის მეთოდებისა და იდენტიფიცირების მოთხოვნების მეშვეობით);
- ამომრჩეველთა დაშინება და ხმების ყიდვა, ფალსიფიკაცია ხმების დათვლის დროს;
- არჩეული თანამდებობის პირებისთვის სახელისუფლო უფლებამოსილებათა მოხსნა.

ელექტორალურ კლასიფიკაციაში დახურულ ავტორიტარიზმთან ყველაზე ახლოს დგას ჰეგემონისტური ავტორიტარიზმი.

ასეთი რეჟიმები:

- ატარებენ არჩევნებს უკონკურენტო საფუძველზე;
- ფართოდ ირღვევა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები;
- მმართველ პარტიას აქვს ელექტორალური უპირატესობის მაქსიმუმი;
- ოპოზიციისთვის მთლიანად დახურულია სახელმწიფო მასმედია;
- ოპოზიციას ეკრძალება პოლიტიკური საჯარო აქციების ჩატარება;
- ოპოზიციის წარმომადგენლებს დევნიან და აპატიმრებენ.

შედეგად ვიღებთ ფაქტობრივ ერთპარტიულობას.

კონკურენტულ ავტორიტარულ რეჟიმში ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტები განიხილება ხელისუფლების მიღებისა და განხორციელების ძირითად საშუალებად. მაგრამ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ოპოზიციურ კანდიდატებზე, მასმედიაზე, საარჩევნო კომისიებზე ზენოლისთვის შეუძლებელს ხდის ასეთი რეჟიმების განხილვას დემოკრატიულ ფარგლებში.

კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმები არ იყენებენ არჩევნების დროს მასობრივ ფალსიფიკაციას, რადგან ეს გავლენას ახდენს არჩევნების ლეგიტიმურობაზე. სამაგიეროდ, ფორმალური და არაფორმალური „თამაშის წესები“ იცვლება ხელისუფლებაში მყოფი ძალის სასარგებლოდ და მათი მეშვეობით მკაცრად ექცევიან თავიანთ პოლიტიკურ ოპონენტებს. ოპოზიციის იმ წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც პოლიტიკურ საფრთხედ მიიჩნევა, გამოიყენება ძალადობრივი მეთოდები.

არჩევნები არის უსამართლო, მაგრამ არჩევნების დროს არსებობს რეალური შეჯიბრი. უსამართლობის მასშტაბის გაზრდის შემთხვევაში, კონკურენტული ავტორიტარული რეჟიმი შეიძლება ტრანსფორმირდეს ელექტორალურ ავტორიტარულ რეჟიმად. შეიძლება საპირისპირო პროცესიც – ოპოზიციის კონსოლიდაციისა და მობილიზაციის შედეგად მოხდეს ელექტორალური ავტორიტარიზმის დამარცხება.

განსხვავება ლიბერალიზმს, ელექტორალურ ავტორიტარიზმსა და კონკურენტულ ავტორიტარიზმს შორის

რეჟიმის ხასიათი	არჩევნების ხასიათი
ლიბერალური დემოკრატია და ელექტორალური დემოკრატია	თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნები
ელექტორალური ავტორიტარიზმი	არათავისუფალი და არასამართლიანი არჩევნები
კონკურენტული (შეჯიბრებითი) ავტორიტარიზმი	არჩევნების დროს არის რეალური, მაგრამ არასამართლიანი კონკურენტულობა

საქართველოს თანამედროვე რეალობა ყველაზე მეტად შეიძლება გააზრებულ იქნეს კონკურენტული ავტორიტარიზმის თეორიის მეშვეობით.

3.2. საქართველო დემოკრატიის განვითარების საერთაშორისო რეიტინგებში

2018 წლის დასაწყისში დემოკრატიის რეიტინგი გავლენიანმა ბრიტანულმა გამოცემა „*The Economist*“-მა გამოაქვეყნა. დემოკრატიის დონე საარჩევნო პროცესის, მთავრობის ფუნქციონირების, პოლიტიკაში მონაწილეობისა და პოლიტიკური კულტურის მიხედვით არის განსაზღვრული. რეიტინგში 2016 წელს საქართველო 82-ე ადგილზე იყო, 2017 წელს კი 79-ე ადგილზე (167 ქვეყანას შორის) გადაინაცვლა. 5.93 ქულით საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება.¹

¹ რეიტინგში პირველ ადგილს 9,87 ქულით ნორვეგია იკავებს, შემდეგ მოდის ისლანდია და შვედეთი; ბოლო, 167-ე ადგილზე ჩრდილოეთ კორეაა 1,08 ქულით; რუსეთი 135-ე ადგილზეა, რუანდასა (134-ე ადგილი) და ზიმბაბვეს (136-ე ადგილი) შორის. დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყანაა, 05 თებერვალი, 2018, <http://forbes.ge/news/3397/saqarTvelo-hybriduli-reJimis-qveyanaa>

„*The Economist*“ ჰიბრიდულ რეჟიმს შემდეგნაირად განმარტავს: არჩევნები ტარდება ხარვეზებით, ხშირად არჩევნები არ არის თავისუფალი და სამართლიანი, ხდება ოპოზიციურ პარტიებსა და კანდიდატებზე მთავრობის ზეწოლა, სერიოზული სისუსტეებია პოლიტიკურ კულტურაში, მთავრობის მუშაობაში, არის კორუფცია და სუსტია კანონის უზენაესობა, სამოქალაქო საზოგადოება სუსტია, ზენოლაა ჟურნალისტებზე და სასამართლო არ არის დამოუკიდებელი.

საქართველოს ყველაზე დაბალი ქულა – 4,29 მთავრობის ფუნქციონირებაში აქვს, ყველაზე მაღალი – 8,67 ქულა კი საარჩევნო პროცესსა და პლურალიზმში.

საერთაშორისო ორგანიზაცია *Freedom House*-ი 2018 წლის გამონვევების შესახებ ანგარიშის თანახმად, საქართველო კვლავ „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების რიგში მოხვდა. 2017 წელთან შედარებით საქართველოს რეიტინგი პრაქტიკულად არ შეცვლილა. პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების ნაწილში საქართველო „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების სიაში ხვდება, ხოლო ინტერნეტის თავისუფლების ნაწილში – „თავისუფალი“ ქვეყნების სიაში.

როგორც *Freedom House*-ი წერს, 2017 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა, რაც, მილიარდერი ლიდერის რესურსების მხარდაჭერით, კიდევ უფრო გაართულებს ოპოზიციისთვის არჩევნებზე კონკურენციის ეფექტურად განევის შესაძლებლობას, რაც პარტიის მმართველობას მომავალი წლების განმავლობაში კიდევ გაამყარებს.¹

Freedom House-ის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს დემოკრატიის მაჩვენებელი შემცირდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 7 შესაძლო ქულიდან 4,61 იყო (სადაც 1 ქულა საუკეთესო მაჩვენებელია, 7 კი ყველაზე ცუდი), ახალი ანგარიშის თანახმად კი ეს მაჩვენებელი 4,68-მდე გაიზარდა.

¹ *Freedom House*-ის ანგარიშში საქართველო კვლავ „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყანაა, <https://news.ge/freedom-house-2018/>.

Freedom House-ის ანგარიშის მიხედვით, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც მაჩვენებლის გაუარესება გამოიწვია, ქართულ მედიაში 2017 წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესები, მათ შორის „საზოგადოებრივი მაუწყებლის აშკარა პოლიტიზებული სარედაქციო პოლიტიკა“, რუსთავი 2-ზე ზენოლა და პროსახელისუფლებო მედიაორგანიზაციების გაერთიანება სახელდება.¹

ანგარიშში ასევე საუბარია არაფორმალურ ძალაუფლებაზე.

ორგანიზაციის შეფასებებმა ნეგატიური რეაქცია გამოიწვია საქართველოს ხელისუფლებაში. *Freedom House*-ის შეფასება არის უკიდურესად არაობიექტური, ეყრდნობა აბსოლუტურად დაუზღაურებელ ინფორმაციას – ამის შესახებ იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, *Freedom House*-ი კარგად უნდა დაფიქრდეს, როდესაც ასეთ არაობიექტურ ინფორმაციას და შეფასებებს ავრცელებს საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხარისხთან დაკავშირებით. პრემიერი შეუერთდა ირაკლი კობახიძის შეფასებებს ამ საკითხზე.

„2012 წლის შემდეგ, როდესაც „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ხელისუფლებაში მოვიდა, მართალია, მას შემდეგ რამდენიმე პრემიერი შეიცვალა, მაგრამ მთავარი ტენდენცია, რომელიც ქვეყანაში დამკვიდრდა, არის დემოკრატიის სრულიად სხვა ხარისხში აყვანა, მათ შორისაა: ერთ-ერთი ყველაზე აქტიური არასამთავრობო სექტორი, მედიათავისუფლების სრულიად სხვა დონე, ადამიანის უფლებების მიმართულებაში თვისობრივად განსხვავებული სიტუაცია...“

მარტო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში 2010-2011 წლებში, წელიწადში 350-იდან 400-ამდე საჩივარი შედიოდა, ხოლო, 2017 წლის მონაცემებით, ეს რიცხვი 70-ს ქვემოთ არის, რაც, ჩემი აზრით, უდიდესი პროგრესია. რა თქმა უნდა, ეს არ არის თვითკმაყოფილების საბაზი და ჩვენ კიდევ დიდი გზა

¹ <http://netgazeti.ge/news/266983/>

გვაქვს გასავლელი იმისათვის, რომ მართლაც ევროპული დემოკრატია შევქმნათ,“ – აღნიშნა პრემიერმა.¹

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, *Freedom house*-ის ანგარიში გააკრიტიკა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის ავტორებს უჭირთ ხელისუფლების გაკრიტიკება, დასკვნებში ამკარად იკვეთება მათი მიკერძოება საქართველოს მოქმედი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ.

„ყველას მოგეხსენებათ, რამდენად ფუნდამენტური წინსვლა განიცადა ჩვენმა ქვეყანამ 2012 წლის შემდეგ. 2012 წლამდე არსებული მოცემულობა იყო გაყალბებული არჩევნები, ადამიანების უფლებების დარღვევა, სასამართლოს დაქვემდებარება იუსტიციის სამინისტროს და ხელისუფლების თავნებობა. 2012 წლის შემდეგ კი ეს შეიცვალა. კვლევის თანახმად, საერთოდ არ შეცვლილა 2012 წელთან შედარებით მედიის თავისუფლება. ამ ყველაფრის შემდეგ 2012 წლისა და დღევანდელი მდგომარეობის იდენტობა მედიის თავისუფლების სფეროში ანგარიშის ტენდენციურობაზე მეტყველებს. იგივე შეიძლება ითქვას სასამართლოს დამოუკიდებლობაზეც. ასევე, გაკვირვებას იწვევს უცვლელი რეიტინგი სამოქალაქო საზოგადოების ნაწილშიც. შეშფოთებას იწვევს მოსაზრება, რომ სააკაშვილის დაკავება გაართულებს ურთიერთობას ევროპასთან,“ – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, ანგარიშის ავტორები ვერ მალავენ უარყოფით დამოკიდებულებას ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ *Freedom House*-ის ანგარიშში არაფორმალურ მმართველობასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის მიმართ გამოთქმული კრიტიკა დაუსაბუთებელია.

„საუბარი არაფორმალურ მმართველობაზე იმ პირობებში, როდესაც ანგარიშის ავტორები ამგვარი მმართველობის ნიშნების დაკონკრეტებასაც კი ვერ ახერხებენ, ბუნებრივია, საფუძველს არის მოკლებული. ბიძინა ივანიშვილის მიმართ სუბიექტური

¹ *Freedom House* არაობიექტურ შეფასებებს ავრცელებს – პრემიერი -12-04-2018-<http://fortuna.ge/freedom-house-araobieqtur-shefasebebs-avrcelebs-premier/>

დამოკიდებულების ყველაზე ნათელი გამოვლინებაა კრიტიკა „პანორამა თბილისთან“ დაკავშირებით, რომელიც ასევე მოკლედ ბულია დასაბუთებას.“ – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.¹

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს და მოსაზრებებს, მაგრამ ევროკავშირს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე საკუთარი მოსაზრებები აქვს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, იანომ ჰერმანმა საერთაშორისო ორგანიზაცია *Freedom House*-ის ანგარიშთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განუცხადა.

იანომ ჰერმანის თქმით, ევროკავშირს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე საკუთარი მოსაზრებები ორგანიზაციის ანგარიშებში აქვს დაფიქსირებული.

„მესმის, რომ ეს „ფრიდომ ჰაუსის“ განსაკუთრებული ანგარიშია, რომელიც ეხება გარდამავალ პერიოდში მყოფ ქვეყნებს. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშებსა და მოსაზრებებს, მათ შორის „ფრიდომ ჰაუსის“. მე ჯერ არ მქონდა საშუალება, რომ ანგარიშს სრულად გავცნობოდი, ამიტომ ვერ შევაფასებ. რაც პრესაში წავიკითხე, არის შენიშვნები, რომლებიც ეხება მედიის თავისუფლებას და სასამართლო სისტემას. ევროკავშირს საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები აქვს და თქვენ მას კარგად იცნობთ ჩვენი ანგარიშებიდან. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არის დიალოგი და უახლოეს მომავალში გვექნება შეხვედრა, სადაც განვიხილავთ ადამიანის უფლებებსა და სასამართლოს თავისუფლებას.“ – განაცხადა იანომ ჰერმანმა.

ამასთან, ჟურნალისტის კითხვაზე, იზიარებს თუ არა „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშში გამოთქმულ შეშფოთებას მედიის თავისუფლებასა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით, ევროკავშირის ელჩმა აღნიშნა:

¹ ირაკლი კობახიძე *Freedom house*-ის ანგარიშს აკრიტიკებს. იხ.: 12-04-2018-<http://fortuna.ge/irakli-kobakhidze-freedom-house-is-angarishs-akritikebs/>

„ვერ ვიტყვოდი, რომ *Freedom House*-ის შეშფოთებას ვიზიარებთ, თუმცა მედია და სასამართლო სისტემა ის სფეროებია, რომლებსაც ჩვენ ყურადღებას ვუთმობთ“, – განაცხადა იანოშ ჰერმანმა.

საერთაშორისო ორგანიზაცია *Freedom House*-ის შეფასებით, 2017 წელს საქართველოში მედიის დამოუკიდებლობის კუთხით ვითარება გაუარესებულია. ამის შესახებ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების შესახებ ორგანიზაციის 2017 წლის ანგარიშშია ნათქვამი. ანგარიშში საქართველოში მედიის დამოუკიდებლობის 2017 წლის მაჩვენებელი 2009 წლის შეფასებას უტოლდება.¹

3.3. დემოკრატიის გააზრება საქართველოს საზოგადოების მიერ თანამედროვე ეტაპზე

საერთაშორისო რეიტინგებში საქართველო წლების განმავლობაში მოქცეულია ე.წ. „ჰიბრიდული რეჟიმების“ რიგში. როგორია თავად ქართული საზოგადოების დამოკიდებულება დემოკრატიისადმი და როგორ აფასებს ქვეყნის დემოკრატიულ მიღწევებს? ამ საკითხის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევების მიხედვით.

2010–2014 წლებში ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ეთანხმება მოსაზრებას, რომ „საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია“. თუმცა საზოგადოების დამოკიდებულება დემოკრატიული მიღწევებისადმი კრიტიკულია. წლების განმავლობაში გამოკითხულთა მხოლოდ 1% ფიქრობს, რომ „საქართველო უკვე დემოკრატიულია და გაუმჯობესებას არ საჭიროებს“. გამოკითხულთა უმრავლესობა, რომლის აზრითაც, საქართველოში დემოკრატია არსებობს, ამავე დროს, მიიჩნევს, რომ დემოკრატია ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია.

¹ იანოშ ჰერმანი: ვერ ვიტყვოდი, რომ *Freedom House*-ის შეშფოთებას ვიზიარებთ, იხ.: 12.04.2018, <http://www.presa.ge/new/?m=politics& AID=64922>

მნიშვნელოვანია დემოკრატიის პერსპექტივებისადმი სკეპტიკურად განწყობილთა რიცხვიც. 2012–2015 წლებში 1-იდან 3%-ამდე გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თვლიდნენ, რომ „საქართველო არ არის და არც არასოდეს იქნება დემოკრატიული“; 11–13%-ის ფარგლებში მერყეობს გამოკითხულთა კატეგორია, რომელთა აზრითაც, „საქართველო შეიძლება მომავალში გახდეს დემოკრატიული, მაგრამ ამჟამად ამ მიმართულებით არ ვითარდება“; 13-იდან 18%-ამდე გაიზარდა მათი რიცხვიც, რომელთა აზრითაც „საქართველო მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის არის დემოკრატიული“. გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედის შეფასებით, საქართველო ჯერ არ არის დემოკრატიული, მაგრამ ქვეყანა ამ მიმართულებით ვითარდება.

რაც შეეხება დემოკრატიის არსს, უმრავლესობისათვის ის პოზიტიური შინაარსის მატარებელია. გამოკითხულთა მხოლოდ 1%-ის აზრით, დემოკრატია ასოცირდება „არასტაბილურობასთან“. გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის დემოკრატია, პირველ რიგში, არის სამი რამ:

- სიტყვის თავისუფლება / განსხვავებული აზრის მოსმენა;
- თანასწორობა კანონის წინაშე / სამართლიანობის დაცვა;
- ადამიანის უფლებების დაცვა.

თუმცა, გაცილებით ნაკლები მიიჩნევს, რომ დემოკრატია თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს უკავშირდება. გამოკითხულთა ნაწილისათვის დემოკრატია უკავშირდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადანყვეტას – სამუშაო ადგილების არსებობას და სხვადასხვა პროდუქტის შეძენის შესაძლებლობას.

გამოკითხულთა დაახლოებით 70% მნიშვნელოვნად მიიჩნევს უმცირესობათა უფლებების დაცვას. უმცირესობებად, პირველ რიგში, მიიჩნევენ რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და იძულებით გადაადგილებულ პირებს. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვას.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული იმ დაბრკოლებების შესახებ, რაც ხელს უშლის თავი-

სუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს საქართველოში ჰიბრიდული რეჟიმის არსებობას.

დანართი

როგორ შეიცვალა მიღწევებისა და შეცდომების ნუსხა დამოუკიდებლობის აღდგენიდან სამი ათეული წლის შემდეგ?

დამოუკიდებლობის აღდგენის მე-20 წლისთავზე იმავე ორგანიზაციამ სცადა ამ გამოკითხვის გამეორება, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. უმთავრესი მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ ექსპერტთა ნაწილი მსგავს გამოკითხვას უკვე ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებად თვლიდა და გამოკითხვაში მონაწილეობაზეც უარი თქვა.

დღეისათვის შეიძლება გადავხედოთ მიღწევების ნუსხას და ვნახოთ, თუ რა წინსვლა აქვს საქართველოს იმ მიღწევებში, რომელთაც ტენდენციის სახე ჰქონდათ. შეეცადეთ შემდეგი ცხრილის შევსებას:

საქართველოს მიღწევები – 2006 წელი	საქართველოს მიღწევები – 2018 წელი
ტრანსკავკასიური პროექტები – აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ისტორიული ფუნქციის საქართველოსთვის დაბრუნება;	
საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება;	
თავისუფალი მედიის შექმნა;	

დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის გადადგმული ნაბიჯები;	
საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის გადადგმული ნაბიჯები;	
რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ შეთანხმების მიღწევა;	
ნატოში გაწევრებისთვის გადადგმული ნაბიჯები;	

თემა VII. საქართველოს კონსტიტუციური განვითარება

შესავალი: რა არის კონსტიტუცია

კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს და გამოირჩევა მიღებისა და შეცვლის სპეციალური წესით. კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს ხასიათს, მის ძირითად ინსტიტუტებს, მათი ფორმირების წესებსა და უფლებამოსილებას. კონსტიტუცია უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ამიტომ რომელიმე ქვეყნის პოლიტიკური სისტემის შესწავლის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი კონსტიტუციის შესწავლას.

კონსტიტუცია, თავისი წარმომავლობით, დემოკრატიული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, კონსტიტუციის მიღება ნიშნავდა მნიშვნელოვან ნაბიჯს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მიმართულებით, მაგრამ შემდგომ კონსტიტუციების მიღება დაიწყეს არადემოკრატიულმა ქვეყნებმაც, რომელთა მმართველებსაც ამით სურდათ, თავი დემოკრატიულად და ხალხის ნების გამომხატველად წარმოეჩინათ. შესაბამისად, ფართოდაა გავრცელებული ე.წ. **ცრუკონსტიტუციონალიზმის** ფენომენი. ესაა ტოტალიტარიზმის ან ავტორიტარიზმის ფორმა, რომელიც სიტყვით ახდენს დემოკრატიული უფლებებისა და პრინციპების დეკლარირებას, რეალურად კი არ არსულებს მათ.

საქართველოს ბედი ისე წარიმართა, რომ მას დიდხანს მოუწია როგორც კონსტიტუციონალიზმის, ისე ცრუკონსტიტუციონალიზმის პირობებში ცხოვრება.

კონსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს **ორგვარი დამოკიდებულება კონსტიტუციისადმი:**

– არიან ქვეყნები, სადაც მინიმალური ცვლილებები შეაქვთ კონსტიტუციაში, ამის თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ის კონსტიტუცია,

– სხვა ქვეყნების ისტორია კი ისე წარიმართა, რომ მათ უხდებოდათ კონსტიტუციების ცვლა და მოქმედ კონსტიტუციებში ხშირი ცვლილებების შეტანა. ასეთ ქვეყნებში, როგორც წესი, ხშირად ხდება რევოლუციები და გადატრიალებები. ამგვარი განვითარება დამახასიათებელი იყო, მაგალითად, საფრანგეთისათვის, სადაც 17-ჯერ შეიცვალა კონსტიტუცია.

საქართველო იმ ქვეყნებს შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელთა ისტორიული განვითარება კონსტიტუციების ხშირ ცვლილებებს განაპირობებს.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია იყო 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. საქართველოში საბჭოთა რეჟიმის არსებობის პერიოდში მიიღეს 4 კონსტიტუცია (1922, 1927, 1937 და 1978 წლებში), რომლებიც ცრუკონსტიტუციონალიზმის მაგალითებს წარმოადგენდნენ.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელშიც სამჯერ – 2004 წლის 6 თებერვალს, 2010 წლის ივნისში და 2017 წელს შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რის გამოც შეიძლება ვილაპარაკოთ 1995 წლის კონსტიტუციის **ახალი რედაქციების** მიღებაზე. გარდა ამისა, ვარდების რევოლუციის შემდეგ კონსტიტუციაში ხშირად შედის სხვადასხვა ცვლილება. კონსტიტუციაში ხშირი ცვლილებების შეტანას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ მმართველ პარტიას, როგორც წესი, პარლამენტში ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელსაც შეუძლია, დამოუკიდებლად შეიტანოს ცვლილებები კონსტიტუციაში და არ სჭირდება შეთანხმება ოპოზიციურ პარტიებთან.

ბევრი იზიარებს იმ აზრს, რომ საქართველომ უნდა მიიღოს ახალი კონსტიტუცია.

1921 წლის კონსტიტუციით საქართველო იყო საპარლამენტო რესპუბლიკა; 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ, 1990

ნლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, საქართველო იყო საბჭოთა რესპუბლიკა; დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო გადაიქცა საპრეზიდენტო რესპუბლიკად; 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად კი საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტო რესპუბლიკის მიმართულებით. კონსტიტუციის 2017 წლის რედაქცია კი საპარლამენტო რესპუბლიკის რეალობას ასახავს.

1. საქართველოს პოსტსაბჭოური კონსტიტუციური განვითარება

1.1. „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის“ პოსტკომუნისტური ბედი

1990 წლის 28 ოქტომბერს ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები და ხელისუფლების სათავეში მოვიდა ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ბლოკის წინასაარჩევნო პროგრამის თანახმად, 1990 წლის 14 ნოემბერს გამოცხადდა **გარდამავალი პერიოდი**, რომლის დროსაც უნდა მომხდარიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის თანდათანობით აღდგენა. გარდამავალი პერიოდი დამთავრებულად ჩაითვლებოდა მაშინ, როდესაც „საქართველოს სცნობენ სხვა სახელმწიფოები, საქართველოს რესპუბლიკა გახდება გაეროს წევრი სახელმწიფო და საოკუპაციო ჯარები დატოვებენ ჩვენს სამშობლოს“.

გარდამავალი პერიოდის კონცეფციის შესაბამისად, 28 ოქტომბერს არჩეულმა უზენაესმა საბჭომ თავის საკონსტიტუციო მოღვაწეობას საფუძვლად დაუდო საქართველოს სსრ-ის მე-9 მონვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მე-8 სესიის მიერ 1978 წლის 15 აპრილს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც საბჭოთა კავშირის 1977 წლის ბრეჟნევისეული „განვითარებული სოციალიზმის“ კონსტიტუციის ასლი იყო.

1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა უზენაესმა საბჭომ 1978 წლის კონსტიტუციაში სხვადასხვა დროს შეიტანა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გარდამავალი პერიოდის გამოცხადებით ნაკარნახევი ცვლილებები. სულ უზენაესი საბჭოს თითქმის ერთწლიანი მოღვაწეობის შედეგად 1978 წლის კონსტიტუციის 185 მუხლიდან ამოიღეს 32 მუხლი, საფუძვლიანად გადამუშავდა თითქმის ყველა პარაგრაფი და თავი, მთლიანად ამოიღეს მე-9 და მე-19 თავები და ჩაემატა მე-13 და 21-ე თავები (სულ 16 ახალი მუხლი). არსებითად, კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა ყველაფერი, რაც საბჭოთა სოციალიზმის სახეს ქმნიდა.

1.2. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი

საქართველოს კონსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოს სახელმწიფო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე უნდა ყოფილიყო.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს მიღებული დადგენილებით საკონსტიტუციო კომისიას დაევალა, დაეჩქარებინა საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება **1921 წლის 21 თებერვალს** მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე.

ერთი მხრივ, 1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობის პრინციპი გულისხმობდა 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედებას, მაგრამ, ამავე დროს, მისი უცვლელად აღდგენა შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული არსებულ რეალურ მდგომარეობასთან. სწორედ ამით იყო განპირო-

ბებული გადაწყვეტილება 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების თაობაზე.

ძნელი სათქმელია, თუ რა სახეს მიიღებდა უზენაესი საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული კონსტიტუცია. მან მხოლოდ ერთი სხდომის ჩატარება მოასწრო. სამწუხაროდ, მოვლენათა განვითარებამ „არაკონსტიტუციური ხასიათი“ მიიღო.

1.3. სამხედრო საბჭო და 1921 წლის კონსტიტუცია

1991 წლის დეკემბერი – 1992 წლის იანვრის სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსულმა სამხედრო საბჭომ 1992 წლის 2 იანვარს გაუქმებულად გამოაცხადა იმ დროისათვის მოქმედი კონსტიტუცია.

სულ მალე სამხედრო საბჭო, რომელიც ლეგიტიმურობის მწვავე კრიზისს განიცდიდა, ჩაეჭიდა ეროვნული მოძრაობის იმ ნაწილის პოზიციას, რომელიც აცხადებდა, რომ კანონიერი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილი ხელისუფლება. გამოდიოდა, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭო, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლილ, მაგრამ წარმოშობით მაინც საბჭოურ კონსტიტუციას ეყრდნობოდა, არ წარმოადგენდა ლეგიტიმურ ხელისუფლებას და, ამდენად, მისი დამხობა, კანონიერების თვალსაზრისით, „დიდი ცოდვა“ არ იყო.

1992 წლის 21 თებერვალს სამხედრო საბჭომ მიიღო დეკლარაცია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის უზენაესობისა და ამოქმედების შესახებ, ოღონდ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო თანამედროვე რეალობანი. ეს გადაწყვეტილება შემდგომში სახელმწიფო საბჭომაც დაადასტურა.

1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა პროპაგანდისტულ-იდეოლოგიური აქტი იყო, მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და ქალაქდზე დარჩა. მით უმეტეს, რომ ამ კონსტიტუციის ნორმები შეუთავსებელი იყო არსებულ სახელმწიფო სტრუქტურებთან.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის დეკლარაციული აღდგენის გამოყენება სცადეს აფხაზმა სეპარატისტებმა. მათი

განცხადებით, თითქოს ამით შეიქმნა ე. წ. „საკონსტიტუციო ვაკუუმი“ აფხაზეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობაში. სინამდვილეში, 1921 წლის კონსტიტუციით, აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ავტონომიური ერთეული იყო.

1.4. 1992 წელს არჩეული პარლამენტი და 1921 წლის კონსტიტუცია

1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების სტრუქტურასა და უფლებამოსილებას. თავად კონსტიტუცია უნდა შემუშავებულიყო „1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მემკვიდრეობითობის საფუძველზე“ („უწყებანი“, 1992 წლის 14 ნოემბერი).

მთლიანობაში, კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ არ შეესაბამებოდა 1921 წლის კონსტიტუციას. ამ გარემოებამ საფუძველი მისცა ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ნაწილს, არაკონსტიტუციურად მიეჩნია არსებული ხელისუფლება.

1921 წლის კონსტიტუციის მიღების მორიგ წლისთავზე, 1993 წლის 21 თებერვალს შედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენცია, რომლისთვისაც მომზადებული იყო რეზოლუცია „საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობისა და მოქმედების შესახებ“ (საბოლოოდ, კონფერენციამ ის მხოლოდ მოისმინა და არ მიუღია). მასში ნათქვამი იყო: „ვინაიდან 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები ჩატარდა საქართველოს კონსტიტუციის პრინციპების უხეში დარღვევით და საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მიღებით მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის იგნორირება, საქართველოს პარლამენტი და რესპუბლიკის დღევანდელი ხელისუფლება წარმოადგენს ასევე არაკონსტიტუციურ ორგანოს“. რეზოლუცია მოუნოდებდა პარლამენტს, გაეუქმებინა ანტიკონსტიტუციური კანონი ხელისუფლების შესახებ, მიეღო დადგენილება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის უზენაეს-

ობისა და მოქმედების ცნობის შესახებ და მის საფუძველზე მოენყო საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ამ ვითარებაში შევარდნაძის ხელისუფლებამ დამსწრები ნაბიჯი გადადგა: 1993 წლის 16 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, შეიქმნა 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. მის დებულებაში აღინიშნა, რომ ახალი რედაქციის შემუშავება უნდა მომხდარიყო საქართველოს ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით „საქართველოს სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შექმნისა და განვითარებისათვის, დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესის შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით“.

თეორიულად, 1921 წლის კონსტიტუცია შეიძლება გამხდარიყო იმ დროს არსებულ პოლიტიკურ ძალთა თანხმობის საფუძველი. ამაზე, მაგალითად, მიუთითებდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი, რომელსაც 1921 წლის კონსტიტუციის მთავარ უპირატესობად ის მიაჩნდა, რომ ამ დოკუმენტის წინაშე ყველა რეალური პოლიტიკური ძალა თანაბარუფლებიანი იყო („ფაქტი, აზრი, კომენტარი“, 1993 წლის 23 თებერვალი).

მაგრამ, ფაქტობრივად, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის საკითხი პოლიტიკური ბრძოლის საგანი უფრო იყო, ვიდრე საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევის საშუალება. თუმცა, გადანყვეტილებამ 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების თაობაზე, იმ კონკრეტულ სიტუაციაში, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვასაც.

2. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია

2.1. საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება

საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება და მიღება 1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულ საქართველოს პარლამენტს მოუხდა. 1993 წლის 16 თებერვალს შექმნილი 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებული სახელმწიფო საკონ-

სტიტუციო კომისიის (118 წევრი, თავმჯდომარე ე. შევარდნაძე) მუშაობა გაჭიანურდა და ვერ მოხერხდა თავდაპირველი გრაფიკის მიხედვით კონსტიტუციის პროექტის შემუშავება და გამოქვეყნება. 1993 წლის შემოდგომიდან დაწყებული კი საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციის პროექტის თავიანთი ვარიანტები წარუდგინა სხვადასხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და საინიციატივო ჯგუფმა (სულ 12 პროექტი).

წარმოდგენილი პროექტებიდან 10-ში გათვალისწინებული იყო სახელმწიფოს ინდივიდუალური მეთაური. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პროექტში მას ეწოდებოდა „ერისმთავარი“, სახალხო პარტიის პროექტში „საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი“, დანარჩენ პროექტებში „პრეზიდენტი“, „რესპუბლიკის პრეზიდენტი“ ან „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი“. ორი პროექტი (საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ზ. ოკუფავასი) ითვალისწინებდა კოლექტიურ სახელმწიფოს მეთაურს – უმაღლეს საბჭოს.

მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით, 5 პროექტში გათვალისწინებული იყო შერეული ფორმა, რომელიც პირობითად „ფრანგულ სისტემას“ უახლოვდებოდა. ამ პროექტებში პრეზიდენტს მინიჭებული ჰქონდა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი უფლებამოსილებანი. ორ პროექტში (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, „ხმა ერისა“) ჩამოყალიბებული სისტემა საპრეზიდენტოს უახლოვდებოდა, რადგანაც ერთი პიროვნება ერთდროულად სახელმწიფოს მეთაურიც უნდა ყოფილიყო და მთავრობის მეთაურიც. ორ პროექტში (საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ზ. ოკუფავასი) იგულისხმებოდა საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა. ერთ პროექტში (ბანკი „აისი“) ლაპარაკი იყო საბჭოთა რესპუბლიკაზე, რომელსაც ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ემატებოდა. ორი პროექტი (რესპუბლიკური პარტიისა და ალ. შუშანაშვილის) ითვალისწინებდა საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნას.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ხალხის მიერ ორ ტურად გათვალისწინებული იყო 6 პროექტში; საყოველთაო არჩევნები პირველ ტურში და პარლამენტის მიერ მეორეში შემოთავაზებული იყო ერთ პროექტში; კიდევ ერთი პროექტი აფიქ-

სირებდა პრეზიდენტის არაპირდაპირ არჩევას ხალხის მიერ; 3 პროექტში პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევდა.

საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი პროექტების ეს მოკლე მიმოხილვა იმის ილუსტრაციაა, თუ რა განწყობილება და მოსაზრებები არსებობდა XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზებასა და პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით.

უცხოელი ექსპერტების დახმარებით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა კონსტიტუციის ორი პროექტი: ა) საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეგიდით შემუშავებული, რომელიც ითვალისწინებდა იტალიის ან გერმანიის მსგავს კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნას და ბ) საკონსტიტუციო კომისიის სამდივნოში შექმნილი პროექტი, რომელიც ახლოს იდგა ე.წ. ფრანგული ტიპის შერეული მართვა-გამგეობის შექმნის იდეასთან. ეს ორი მიმართულება დომინირებდა სარედაქციო კომისიაში. 1994 წლის ბოლოსთვის მოხერხდა ერთიანი, შეთანხმებული პროექტის შექმნა, რომელმაც „ჩიკაგოს ვარიანტის“ სახელწოდება მიიღო. პროექტზე შემდგომი მუშაობის შედეგად გაფართოვდა პრეზიდენტის უფლებამოსილება და სახელმწიფოს ხელისუფლების მოწყობის „ფრანგული ვარიანტი“ შეიცვალა „ამერიკულით“. შედეგად, 1995 წლის 29 მაისს საკონსტიტუციო კომისიას წარედგინა პროექტი, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა სახელმწიფოს მეთაურის პროექტი. მასში გაზრდილი იყო პრეზიდენტის ხელისუფლება პარლამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ხარჯზე.

სახელმწიფო მეთაურის პროექტის მიხედვით, საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყო. ედუარდ შევარდნაძის სიტყვით, „ემბრიონულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის, მკვეთრად გამომხატული, სოციალურად დეტერმინირებული პარტიული სისტემის არარსებობისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების, საპარლამენტო დემოკრატიისა და პოლიტიკური კულტურის არასაკმარისი დონის პირობებში, ქვეყნის ურთულესი საერთაშორისო მდგომარეობის ვითარებაში, როდესაც მას საბოლოოდ არა აქვს ნაპოვნი ადგილი გეოპოლიტიკურ სივრცეში – აი, ამ პირობებში

საპარლამენტო რესპუბლიკა მიუღებელი არის ჩვენი ქვეყნისათვის... მისი კანონიზირება გამოიწვევდა გაუთავებელ საპარლამენტო და სამთავრობო კრიზისებს, რაც დამლუპველი აღმოჩნდებოდა სულ რაღაც ორიოდ წლის წინ ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი საქართველოსთვის“.

ე. შევარდნაძის კონსტიტუციის პროექტის ოპონენტებისათვის კრიტიკის მთავარი ობიექტი გახდა პრეზიდენტის დიდი უფლებამოსილება. მაგალითად, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარის ნ. ნათაძის დახასიათებით, შევარდნაძის კონსტიტუცია „პროვინციული კომუნიზმის ნიმუში“ იყო და მიზნად ისახავდა „შევარდნაძის უკანონოდ გადამეტებული ხელისუფლების ლეგიტიმაციას“. ნათაძის თქმით, შევარდნაძეს სურდა „საპრეზიდენტო დიქტატურის“ გათრევა და იმედოვნებდა, რომ ეს არ მოხდებოდა, მაგრამ საკონსტიტუციო კომისიამ სწორედ სახელმწიფოს მეთაურის სახელით შეტანილი პროექტი მიიჩნია საფუძვლად და მხარი დაუჭირა პარლამენტში მის განხილვას.

პარლამენტში კონსტიტუციის განხილვის დროს უაღრესად მწვავედ იდგა პრეზიდენტის უფლებამოსილებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი. ამასთან, ოპოზიციის ნაწილი მზად იყო, ნასულიყო გარკვეულ კომპრომისზე პრეზიდენტობის საკითხში, მაგრამ გამორიცხავდა რაიმე დათმობებს სამხარეო-ფედერაციული მოწყობის საკითხში.

ე. შევარდნაძე მხარს უჭერდა ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტის არსებობას. მოქალაქეთა კავშირის II ყრილობაზე მან დახატა ის იდეალი, რომლის მიღწევაც სურდა: „განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტი, რომელსაც ექნება საშუალება, საჭიროების შემთხვევაში არ მიიღოს პარლამენტის გადაწყვეტილება – ასეთია ხელისუფლების მოდელი, რომელიც გამოიყვანს ქვეყანას კრიზისიდან“.

ოპოზიცია მიუღებლად მიიჩნევდა „სუპერსაპრეზიდენტო ინსტიტუტს“, როდესაც „თითქმის ყველა ის უფლება, რაც 1921 წლის კონსტიტუციით პარლამენტს ჰქონდა, პროექტით პრეზიდენტს ეკუთვნის“, ამასთან, „პრეზიდენტის გადაყენების მექანიზმი მხოლოდ სიმბოლურია“. ერთ-ერთი ოპოზიციური ძალის – „მერაბ

კოსტავას საზოგადოების“ აზრით, „კომუნისტური ტოტალიტარული 70-წლიანი რეჟიმის შემდგომ პერიოდში საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღება აუცილებლად იწვევს ერთი პირის ხელში მთელი ძალაუფლების უზურპაციას, დემოკრატიული ინსტიტუტების დათრგუნვას“.

საბოლოო ჯამში, პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით მოხერხდა კომპრომისის მიღწევა, რაც იმანაც გააადვილა, რომ ბევრი პარტია თვითონ იყო სხვადასხვა სახის საპრეზიდენტო მოდელის მომხრე. კამათი პრემიერ-მინისტრის სტატუსისა და მინისტრთა კაბინეტის ფორმირების თაობაზე კი იმით დამთავრდა, რომ პრეზიდენტს დაეკისრა პრემიერ-მინისტრის ფუნქციის შესრულება. საბოლოოდ ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების მონყობის ორიგინალური მოდელი, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად სიმარტივე და სიააფე იქნა მიჩნეული.

როგორც უკვე ითქვა, საკონსტიტუციო კომისიას დაევალა 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება. მემკვიდრეობითობის პრინციპისადმი ერთგულება არაერთგზის აღნიშნულა ხაზგასმით. მაგალითად, 1994 წლის 26 მაისის წინ სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე მიუთითებდა: „ხშირად ვამბობთ, რომ საქართველოს თანამედროვე რესპუბლიკა 1918 წლის 26 მაისის პირველი ქართული რესპუბლიკის მემკვიდრეა და ეს დებულება სწორია. ეს პოლიტიკური ფორმულა, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება 1921 წლის კონსტიტუციის იდეებისადმი, მისი არსისადმი ჩვენს ერთგულებაში“.¹

თუმცა კონსტიტუციის პროექტი, რომლის განხილვასაც შემდგომში შეუდგა პარლამენტი, ნაკლებად იყო შეზღუდული მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვით. მაგალითად, უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად, განაცხადი იყო გაკეთებული ფედერაციის შექმნაზე, ხოლო საპარლამენტო რესპუბლიკის ნაცვლად საპრეზიდენტო მკვიდრდებოდა.²

¹ „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წლის 26 მაისი.

² საინტერესო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ 90-იან წლებში საქართველომ, გარკვეულწილად, განახორციელა ზოგიერთი ის მოდელი, რის შესახებ

ამასთან დაკავშირებით ე. შევარდნაძე აღნიშნავდა: „თავისთავად პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება არავითარ საფრთხეს არ უქმნის... 1921 წლის კონსტიტუციის დედააზრს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წ. 1 ივნისი). მაგრამ ასეთი არგუმენტი დამაჯერებელი არ იყო ოპოზიციისათვის: „1921 წლის კონსტიტუციის რეალურ შინაარსთან... ამ პროექტს იმდენივე საერთო აქვს, რამდენიც ცხვრის გუდას – ცოცხალ ცხვართან“ – წერდა ოპოზიციური გაზეთი „მარჯი“¹.

ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილიც არ ყოფილა 1921 წლის კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების თავგადადებული დამცველი.

საქართველოს პარლამენტმა ცხარე დებატების შედეგად 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

2.2. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია და მემკვიდრეობითობის პრინციპი

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 9 თავისა და 109 მუხლისაგან. პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ კონსტიტუცია ეყრდნობა „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს“.

რამდენად ეყრდნობოდნენ 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს 1921 წლის კონსტიტუციას როგორ შესაბამისობა-

ბაც მსჯელობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს: 1992–1995 წლებში პარლამენტის თავმჯდომარეს შეუთავსეს „სახელმწიფოს მეთაურის“ ანუ პრეზიდენტის სტატუსი, რომელიც, ამავე დროს, საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით აირჩიეს. 1995 წლის კონსტიტუციით კი პრეზიდენტს შეუთავსეს პრემიერ-მინისტრის ფუნქციები, განსხვავებით 1921 წლის კონსტიტუციისაგან, რომელიც მთავრობის თავმჯდომარეს (პრემიერ-მინისტრს) აკისრებდა პრეზიდენტის ზოგიერთ ფუნქციას. ეს საკონსტიტუციო ექსპერიმენტები, ისევე როგორც 1918-1921 წლებში, ქართული დემოკრატიის ორიგინალური მოდელების ძიების სურვილს ემყარებოდა.

¹ „მარჯი“, №8, 1995.

შია ერთმანეთთან ორი კონსტიტუციის ფასეულობითი ორიენტირები და ფუძემდებლური პრინციპები?

1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში ჩამოყალიბებულია ექვსი ფუძემდებლური მიზანი, რომლებიც თანამედროვე ქართული საზოგადოების მთავარ ფასეულობით პრიორიტეტებად ცხადდება და მათი დაცვა სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანად არის მიჩნეული:

- დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება;
- ეკონომიკური თავისუფლება;
- სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო;
- ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება;
- სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანაარსებობა.

პრეამბულაში ჩამოყალიბებული მიზნები საფუძვლად უდევს კონსტიტუციურ ნორმებს და განსაზღვრავს კონსტიტუციის საერთო სულისკვეთებას.

თუ შევადარებთ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს, რომელთაც ემყარებოდა 1921 წლის კონსტიტუცია, შევნიშნავთ, რომ ფასეულობითი პრიორიტეტები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცვლილებებს მის ფორმულირებებში, ფაქტობრივად, უცვლელადაა შენარჩუნებული. 1995 წლის კონსტიტუციაში აღარ ფიგურირებს ნეიტრალიტეტი (თუმცა იგი არც 1921 წლის კონსტიტუციის ტექსტში არ გვხვდება). 1995 წლის კონსტიტუციას განსხვავებული ხედვა აქვს სოციალური სახელმწიფოსი. რაც შეეხება „ეკონომიკურ თავისუფლებას“, ეს პრინციპი არ ეწინააღმდეგება 1921 წლის კონსტიტუციას, გარდა 115-ე მუხლისა, რომელიც საბოლოო მიზნის სახით წარმოების სოციალისტურ განსაზოგადოებას ასახელებდა.

1995 წლის კონსტიტუციის პირველი თავი, ისევე როგორც 1921 წლის კონსტიტუციაში, „ზოგადი დებულებების“ სახითაა წარმოდგენილი. ახალი კონსტიტუციის მიხედვითაც „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“ (მუხლი 12), ოღონდ დემოკრატიული

რესპუბლიკის კონცეფცია პრინციპულად სხვაგვარადაა გადწყვეტილი.

ისევე როგორც 1921 წლის კონსტიტუციაში, 1995 წლის კონსტიტუციაშიც უმთავრეს ამოცანად „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი საზღვრების ხელშეუხებლობის“ უზრუნველყოფა (მუხლი 2) მიიჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლის კონსტიტუციის პერიოდთან შედარებით ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას საქართველოს წინაშე.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციის მსგავსად სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ ხალხს აცხადებს და კონსტიტუციის უზენაესობას ამკვიდრებს.

1995 წლის კონსტიტუციის ზოგად დებულებებში დაფიქსირებული რიგი მუხლებისა კი პრინციპულად ახალია 1921 წლის კონსტიტუციასთან შედარებით. ამ მხრივ აღსანიშნავია:

– დებულება, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“ (მუხლი 5). 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლებს მიუღებლად მიაჩნდათ „ხელმწიფება დანაწევრებული დემოკრატია“ და პარლამენტის „სრულხელისუფლებიანობას“ ამკვიდრებდნენ;

– სახელმწიფოს მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება საქართველოს ისტორიაში, რაც წარმოუდგენელი იყო 1921 წლის კონსტიტუციაში, მისი ფუძემდებლების უმრავლესობის ათეისტური პოზიციისა და სოციალისტურ-რევოლუციური მისწრაფებებიდან გამომდინარე;

– საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქართულთან ერთად, აფხაზური ენაცაა დაფიქსირებული.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, ისევე როგორც 1921 წლის კონსტიტუციაში, ზოგად დებულებებს უშუალოდ მოსდევს „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“. 1995 წლის კონსტიტუციაში მას ეთმობა მე-2 თავი (მუხლი 12–47). 1921 წლის კონსტიტუციაში კი ეს პრობლემატიკა გაშლილია მე-2 („მოქალაქეობა“), მე-3 („მოქალა-

ქის უფლებანი“), მე-12 („სწავლა-განათლება და სკოლა“) და მე-13 („სოციალ-ეკონომიკური უფლებანი“) თავებად.

1921 წლის კონსტიტუციაში ე. წ. სოციალ-ეკონომიკური უფლებების გამოცალკევება „პოლიტიკური უფლებებისაგან“ ადვილი ასახსნელია: იმ დროისათვის ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, რომელსაც 1921 წლის კონსტიტუციისაგან ტოტალიტარიზმის მძიმე ეპოქა აშორებს, განსაკუთრებით ხაზგასმული და განვითარებულია 1921 წლის კონსტიტუციის უმთავრესი ორიენტირი, რომლის თანახმადაც ქვეყნის ძირითადი კანონის უმთავრესი დანიშნულება ადამიანის, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მომდევნო ხუთი თავი განსაზღვრავს სახელმწიფო მოწყობის პრინციპებსა და სისტემას, ხელისუფლების შტოების უფლებამოსილებასა და ურთიერთქმედებას. მესამე-მეშვიდე თავების სახით თანმიმდევრულად წარმოდგენილია „საქართველოს პარლამენტი“, „საქართველოს პრეზიდენტი“, „სასამართლო ხელისუფლება“, „სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი“, „სახელმწიფო თავდაცვა“, რომელთა გადმოცემასაც ეთმობა 53 მუხლი. 1921 წლის კონსტიტუციასაც ანალოგიური სტრუქტურა აქვს. მასში მეოთხე-მეცხრე თავებად გამოყოფილია „პარლამენტი“, „ალმასრულებელი ხელისუფლება“, „სასამართლო“, „სახელმწიფო ფინანსები“, „სახელმწიფო კონტროლი“, „სახელმწიფო თავდაცვა“. სულ 52 მუხლი.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ ჩამოაყალიბა ხელისუფლების სრულიად ახლებური სტრუქტურა და, რაც მთავარია, ქართულ კონსტიტუციონალიზმში დაამკვიდრა ხელისუფლების ახალი ორგანოები – პრეზიდენტის ინსტიტუტი და საკონსტიტუციო სასამართლო. 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები, პრინციპული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უარყოფდნენ ამ ორგანოებს. საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნაში მათ დაინახეს საფრთხე პარლამენტზე უზენაესი ორგანოს შექმნისა, რაც შეეხება პრეზიდენტს, ეს ინსტიტუტიც მიუღებლად ჩათვალეს „დემოკრატიულ მაქსიმალიზმზე“ ორიენტირებული ქართული სახელმწიფოსათვის. თუმცა პრეზიდენტის გარკვეული ფუნქციები შეუთავსეს მთავრობის თავმჯდომარეს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული პარლამენტი და მისი უფლებამოსილება მნიშვნელოვნად განსხვავებულია იმ პარლამენტისაგან, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობდა 1921 წლის კონსტიტუცია.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში არ შესულა დებულება, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად“ (მუხლი 148).

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში 1995 წლის კონსტიტუციაში ცვლილებები ნაკლებად შეჰქონდათ. მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო რეფორმის გატარება შევარდნაძემ 2001 წელს სცადა. საქმე ეხებოდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობის და მინისტრთა კაბინეტის შექმნას. შევარდნაძემ დაასახელა პრემიერ-მინისტრობის სავარაუდო კანდიდატიც – ზურაბ ჟვანია, მაგრამ პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი არ დაუჭირა.

2.3. 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებები

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წლის 6 თებერვალს, საქართველოს 1999 წლის მონვევის „გახანგრძლივებული“ პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი, რომელთა საფუძველზეც შეიძლება ვილაპარაკოთ 1995 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესახებ.

„ქვეყანა დიქტატურისკენ მიდის“, „საქართველომ ფრანგული მოდელი კი არა, რაღაც საშუალო მიიღო რუსულსა და თურქმენულს შორის“, „გამარჯვებულები ალაფს ინანილებენ“, – ასეთი შეფასებები მრავლად გაისმოდა არასამთავრობო სექტორის და მედიის მხრიდან, როდესაც ძველი მონვევის პარლამენტი დაჩქარებული ტემპით იღებდა საკონსტიტუციო ცვლილებას.

როგორც აღინიშნებოდა, **საქართველო მმართველობის ე.წ. „ამერიკული მოდელიდან“ „ფრანგულ მოდელზე“ გადავიდა.** ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ის სახე მიიღო, რაც ამ რევოლუციის ლიდერებს სურდათ. ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ქვეყანაში შეიქმნა ძლიერი

ქმედუნარიანი ხელისუფლება, რომელიც რეფორმებს განახორციელებს, მონინაალმდეგენი კი აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო „ნაბიჯი დიქტატურისკენ“.

საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად გადაიქცა, თუმცა პრეზიდენტის უფლებამოსილება ამ შემთხვევაში საპრეზიდენტო რესპუბლიკებს არ ჩამოუვარდებოდა. ქვეყანაში რჩებოდა ძლიერი პრეზიდენტი, რომელიც აკონტროლებდა მთავრობას და მისი დათხოვნა შეეძლო, ასევე პრეზიდენტმა მიიღო პარლამენტის დათხოვნის უფლებაც.

საკონსტიტუციო რეფორმის მთავარ სიახლედ პრემიერ-მინისტრის თანამდებობისა და მინისტრთა კაბინეტის შემოღება იყო. სწორედ ეს იყო მთავარი მოტივი ხელისუფლების მხრიდან, როდესაც კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ დაიწყო ლაპარაკი.

პრეზიდენტისთვის ამ უფლების მიცემის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია და მისი დათხოვნის შემთხვევაში ქვეყანა საერთოდ საკანონმდებლო ორგანოს გარეშე დარჩებოდა.

ბევრი რამ გაურკვეველი იყო პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ურთიერთობაში. მაგალითად, ორივეს კომპეტენციაში იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვა. როდესაც „დიქტატურის საფრთხეზე“ ლაპარაკობენ, დემოკრატიული სექტორი იმაზეც მიახიზნებდა, რომ „ხელისუფლებაში კარგი ადამიანები არიან“ და ასეთი სურვილი არ გაუჩნდებათ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქვეყანაში არსებული ინსტიტუტების ფუნქციონირების ხასიათი პიროვნებებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

საკონსტიტუციო რეფორმის ენთუზიასტები აცხადებდნენ, რომ ქვეყანას ეყოლებოდა ძლიერი პრეზიდენტი, ძლიერი პარლამენტი და ძლიერი მთავრობა, მაგრამ კრიტიკულ პოზიციაზე მდგარ ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ პრეზიდენტისთვის პარლამენტის დათხოვნის უფლების მინიჭებით რეალურად მკვეთრად სუსტდება პარლამენტი და იგი მორჩილ ორგანოდ იქცევა.

მთავრობის მუშაობაზე პასუხისმგებლობას პრემიერ-მინისტრი იღებს. პრემიერს მინისტრების ერთი მესამედის მოხსნის უფლება ერთპიროვნულად აქვს, მაგრამ თუკი მეტი მინისტრის მოხსნა სურს, მან ეს გადაწყვეტილება პარლამენტთან უნდა შეათანხმოს. თუმცა, პრემიერს არ შეეძლო ძალოვანი მინისტრების მოხსნა. ამის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს ჰქონდა.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სლოვაკეთში, ბრატისლავაში 2005 წლის 18-19 მარტს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით – „გაფართოებული ევროპისაკენ: ახალი დღის წესრიგი“ მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა იმის თაობაზეც, რომ ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა მომავალში შეიძლება კიდევ ერთხელ ძირეულად შეცვლილიყო.

საკაშვილის თქმით, ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება საქართველოს მიმდინარე პირობების გათვალისწინებით სჭირდებოდა, სამომავლოდ კი საქართველოც შეიძლება ევროპულ მოდელზე, ანუ საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასულიყო.

2.4. საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის რედაქცია

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმა, პირველ რიგში, პრეზიდენტის კონსტიტუციურ სტატუსს შეეხო. დარჩა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტი. კონსტიტუციის ახალი რედაქციის თანახმად, მივიღეთ ე.წ. „მთვლემარე პრეზიდენტი“, რომლის უფლებამოსილებაც ფართოა კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებში. პრეზიდენტის უფლებამოსილების დიდი ნაწილი კი გადავიდა პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის ხელში. მთავრობა ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს კონსტიტუციურ განვითარებას თუ გადავხედავთ, ერთ-ერთი უმთავრესი განსხვავება 1921 წლის კონსტიტუციისაგან პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრებაა. 1995 წლის კონსტიტუციით, საქართველო ამერიკული ყაიდის ძლიერ საპრეზიდენტო რესპუბლიკად იქცა. 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო რეფორმამ კიდევ უფრო გააძლიერა პრეზიდენტის უფლებამოსილება, მიუხედავად

იმისა, რომ ფორმით ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა ყალიბდებოდა. 2010 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმა კი საწინააღმდეგო მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო – კონსტიტუციის ახალი რედაქცია, ფაქტობრივად, საპარლამენტო მოდელზე, ან უფრო ზუსტად, შერეული მმართველობის იმგვარ მოდელზე გადასვლას ითვალისწინებდა, რომელიც უფრო საპარლამენტო რესპუბლიკისავენ იხრებოდა. ამ აზრით ის ეხმიანებოდა 1921 წლის კონსტიტუციას, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებულ მმართველობის მოდელს ამკვიდრებდა.

2010 წელს საქართველოში გატარებული საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც სრული სახით 2012-2013 წლებში ამოქმედდა, ცდილობდა, დაებალანსებინა ხელისუფლების შტოები და გაეზარდა პარლამენტის უფლებამოსილება, რაც, გარკვეულწილად, შებლუდული იყო 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად.

თუ მანამდე პრეზიდენტი არის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმმართველი და განმახორციელებელი, ცვლილებების შემდეგ იგი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის, სახელისუფლო ორგანოთა შორის არბიტრის, უმაღლესი მთავარსარდლისა და საგარეო ურთიერთობებში სახელმწიფოს წარმომადგენლის ფუნქციებით იქნება აღჭურვილი. შესაბამისად, მოხდა პრეზიდენტის ინსტიტუტის დისტანცირება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, რაც 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, რომელიც 2013 წლიდან ამოქმედდა, განისაზღვრა აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ სახელისუფლო შტოდ ჩამოყალიბების კონსტიტუციური გარანტიები. მთავრობა გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც „ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას“. მთავრობა გათავისუფლდა პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან და იგი მხოლოდ პარლამენტის წინაშე იყო ანგარიშვალდებული.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით, მკაფიოდ გამოიკვეთა პრემიერ-მინისტრის, როგორც მთავრობის თავმჯდომარის,

კონსტიტუციური სტატუსი, რომელიც გათავისუფლდა პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. პრემიერ-მინისტრი გახდა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის, ან საპარლამენტო კოალიციის მიერ წამოყენებული კანდიდატურა. მთავრობის წევრების დანიშვნის დროს პრემიერ-მინისტრი დამოუკიდებელი ფიგურა გახდა და მას აღარ სჭირდებოდა პრეზიდენტის თანხმობა. დამკვიდრდა მთავრობის ფორმირების ე.წ. „საპარლამენტო გზა“, როდესაც მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ცალსახად პარლამენტის ნებაზე იყო დამოკიდებული.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მნიშვნელოვანი სიახლე ახალი თავის დამატება იყო, რომელშიც ჩამოყალიბებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები, რაც დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯად განიხილება.

კონსტიტუციაში ცვლილებები ყველაზე ნაკლებად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილს შეეხო. მეორე თავის მხოლოდ რამდენიმე მუხლი შეიცვალა ან დაზუსტდა.¹

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით ვერ გადაწყდა ყველა ის საკითხი, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების დღის წესრიგში იდგა (პირველ რიგში, ტერიტორიული მოწყობის საკითხი), მაგრამ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა რთული პროცესია და ეს კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა საქართველოსთვის.

კონსტიტუციის 2010 წლის რედაქცია იყო სუპერსაპრემიერო მოდელი: პრემიერის განუზომლად დიდი უფლებებით, კიდევ უფრო სუსტი პარლამენტით და პრეზიდენტით, რომელსაც ჩამოერთვა ყველა აღმასრულებელი უფლება და დაემსგავსა საპარლამენტო მოდელის პრეზიდენტს.

¹ კერძოდ, პიროვნების ხელშეუხებლობა (მ.18), საკუთრების უფლება (მ.21), გადაადგილების თავისუფლება (მ.22), თანამდებობაზე არჩევის (მ.29), შრომის (მ.30), უსაფრთხო გარემოს (მ.37) და ზარალის ანაზღაურების უფლება (მ.42).

2013 წელს ახლად არჩეულმა პარლამენტმა კონსტიტუციაში რამდენიმე ცვლილების შეტანით შეზღუდა პრემიერ-მინისტრის უფლებები. ეს მოდელი დაუახლოვდა საპარლამენტო მოდელს.

2017 წელს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომლითაც განისაზღვრა ქვეყნის მართვის საპარლამენტო მოდელი.

2.5. საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქცია

კონსტიტუციის 2010 წლის რედაქციის გადასინჯვა მალევე სცადა 2012 წელს არჩეულმა პარლამენტმა, რომელშიც უმრავლესობას „ქართული ოცნება“ შეადგენდა.

საკონსტიტუციო კომისია 2013 წლის 3 ნოემბერს შეიქმნა და მის ხელმძღვანელად პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დამტკიცდა.¹ დავით უსუფაშვილის განცხადებით, უნდა შექმნილიყო ახალი საკონსტიტუციო მოდელი, რომელიც „არავისზე არ იქნებოდა მორგებული“. მისივე აზრით, ეს მოდელი მომავალი (2016 წლის) საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედდებოდა. საკონსტიტუციო კომისიამ კი დაიწყო მუშაობა, მაგრამ მაშინ „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავდა და სხვა პარტიების, პირველ რიგში კი „ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერის გარეშე, მას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა არ შეეძლო.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც „ქართული ოცნება“ უკვე საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობდა. შეიქმნა ახალი საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც 10-თვია-

¹ 2013 წლის 27 დეკემბერს პრეზიდენტ მარგველაშვილის ბრძანებულებით, კომისიის შემადგენლობა დამტკიცდა. მასში შედიოდნენ საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიები და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები. კომისიაში 58 წევრი იყო და 5 სამუშაო ჯგუფად იყო გაყოფილი, იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებებით ცდილობენ კონსტიტუციის მოდელის გაუმჯობესებას.

ნი მუშაობის შემდეგ კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტი წარმოადგინა.

2017 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე 117 ხმით 2-ის წინააღმდეგ საკონსტიტუციო ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო. ორმა ოპოზიციურმა პარტიამ – ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ევროპულმა საქართველომ – კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

9 ოქტომბერს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ცვლილებებს **ვეტო დაადო**. ქართული ოცნების საპარლამენტო უმრავლესობამ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ გაიზიარა და 117 ხმით პროექტის პირვანდელი ვერსია **დაამტკიცა**.

2017 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, ახალი რედაქციით მიღებულ კონსტიტუციას ხელი მოაწერა. „ჩემთვის უაღრესად ძნელია ამ კონსტიტუციაზე ხელის მოწერა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის შიდა და გარე გამოწვევებიდან გამომდინარე, ყველა ნაბიჯი უნდა გადავდგათ, რომ თავიდან აცილებული იყოს შესაძლო დესტაბილიზაციის მიზეზები. მე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და კონსტიტუციის გარანტი, ხელს ვანერ ამ დოკუმენტს“, – განაცხადა 19 ოქტომბერს სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დანებების დღიდანვე „ნათელი იყო, რომ მმართველი გუნდი ერთპარტიული კონსტიტუციის მისაღებად ემზადებოდა“. „სწორედ ამიტომ ვიყავი პირველი, როდესაც ერთპარტიული კონსტიტუციის მიღების პერსპექტივაზე ვსაუბრობდი და, შესაბამისად, ვდგამდი ნაბიჯებს. მე და ჩემი გუნდი მთელი წლის განმავლობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ვაფიქსირებდით ერთ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ კონსტიტუცია ყველასია და ვცდილობდით, რომ ქვეყანას მიეღო თანხმობაზე დაფუძნებული დოკუმენტი“ – განაცხადა პრეზიდენტმა, თუმცა, მისი თქმით, „პარლამენტმა მიიღო ერთპარტიული კონსტიტუცია“.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით ფუნდამენტურად შეიცვალა ქვეყნის მართვის მოდელი, შესაბამისად სახელისუფლებო შტოებს შორის ძალთა ბალანსი, ასევე არჩევნების სისტემა. შინაარსის გარდა, ცვლილებებია ფორმაშიც. მაგალითად, ძველ კონსტიტუციაში თუ 109 მუხლი იყო, ახალში 78 მუხლია; ძველში თუ მხოლოდ თავები იყო დასათაურებული, ახალში თითოეულ მუხლს თავისი სათაური აქვს.

ახალი კონსტიტუციით, ძირითადი ცვლილებები პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევის წესებს ეხება. კერძოდ, 2024 წლიდან პრეზიდენტს არა პირდაპირი არჩევნებით, არამედ საარჩევნო კოლეგიის მეშვეობით აირჩევენ. 2024 წლიდან უქმდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემაც და პარლამენტი მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩეული 150 წევრით დაკომპლექტდება.

ქვემოთ მოცემული საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ძირითადი პუნქტები:

პრეზიდენტი

- პრეზიდენტი კვლავ რჩება სახელმწიფოს მეთაურად, მთავარსარდლად და წარმომადგენლად საგარეო ურთიერთობებში; თუმცა მას აღარ ევალება, რომ „კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირება“;
- პრეზიდენტმა დაკარგა უფლება, რომ „მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვა მოითხოვოს და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში“;
- 2024 წლიდან პრეზიდენტი აღარ აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით, არამედ მას საარჩევნო კოლეგია აირჩევს 300 ხმოსნის შემადგენლობით, რომელთა შორის არიან დეპუტატები, ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების წარმომადგენლები;
- პრეზიდენტი წინასწარი დებატების გარეშე აირჩევა პარლამენტის სასახლეში ხუთი წლის ვადით (ექვსი წლის ვადით 2018–2024 წლებში). ერთსა და იმავე პირს ორი ვადით შეუძლია პრეზიდენტის მოვალეობების შესრულება;

- საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან (ნაცვლად მანამდე არსებული 35 წლისა), რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც. თუმცა კანდიდატს აღარ მოეთხოვება არჩევნებამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრება.

პარლამენტი

2020 წლის არჩევნები

- საპარლამენტო არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით გაიმართება, სადაც ამომრჩევლები 73 დეპუტატს მაჟორიტარული სისტემით, ხოლო დარჩენილ 77 დეპუტატს პროპორციული სისტემით აირჩევენ;
- საარჩევნო ბარიერი არსებული 5%-იდან 3%-ამდე შემცირდება და პარტიები საარჩევნო ბლოკების შექმნას შეძლებენ (რაც მომდევნო საკონსტიტუციო ცვლილებებით იქნება მიღებული).

2024 წლიდან

- პარლამენტი მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადავა;
- საარჩევნო ბლოკების შექმნა აღარ იქნება შესაძლებელი და 5%-იანი ბარიერი ძალაში დარჩება;
- ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ დასახელებულ დეპუტატებს მხოლოდ ერთი საპარლამენტო ფრაქციის ჩამოყალიბება შეუძლიათ;
- კანდიდატის ასაკი არსებული 21 წლიდან 25 წლამდე იზრდება.

პრემიერ-მინისტრი/მთავრობა

- პრემიერ-მინისტრი მთავრობის საქმიანობებს განსაზღვრავს და თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს;

- პრემიერ-მინისტრი მთავრობის საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სხვა დებულებები

- გარდამავალი დებულებების 78-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად;
- ქუთაისი აღარ იქნება პარლამენტის განთავსების ადგილი;
- ქორწინება განისაზღვრა როგორც კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის ოჯახის შექმნის მიზნით;
- პროკურატურა აღარ დაექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს, ის დამოუკიდებელი ორგანო გახდება და პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. ამ ორგანოს პარლამენტის მიერ ექვსი წლის ვადით არჩეული მთავარი პროკურორი უხელმძღვანელებს;
- სახალხო დამცველი ექვსი წლის ვადით აირჩევა. ომბუდსმენად ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

ახალ კონსტიტუციაზე ბევრი დავის მიუხედავად, მასში სახელისუფლო შტოებს შორის ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცულია. საპარლამენტო მოდელის ქვეყნებში ძლიერი აღმასრულებელი ორგანო მთავრობაა, ძლიერი ფიგურა კი პრემიერ-მინისტრი. გაძლიერებულია პარლამენტიც. პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა უფრო დახვეწილია და ვადები შემჭიდროებული. შეცვლილია ასევე პარლამენტის მიერ ბიუჯეტის მიღების წესი. კერძოდ, თუ ადრე პარლამენტს ბიუჯეტის არმიღების შემთხვევაში დათხოვნის პერსპექტივა ემუქრებოდა, ამიერიდან, თუ პარლამენტი სახელმწიფო ბიუ-

ჯეტს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 3 თვეში არ მიიღებს, ხარჯები წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით დაიხარჯება. პრეზიდენტი ამ ორ შტოს შორის არბიტრისა და დამბალანსებლის ფუნქციას შეასრულებს.

ჰიმნის, დროშისა და გერბის შეცვლა გართულდა – სახელმწიფო ენას დაიცავს ორგანული კანონი; ჰიმნის, დროშისა და გერბის გადასინჯვას მხოლოდ საკონსტიტუციო უმრავლესობა შეძლებს; არჩევნებით არჩეული ორგანოს უფლებამოსილების ვადის შემცირება ან გაზრდა აიკრძალა; პოლიტიკური პარტიები მონაწილეობას მიიღებენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში; საქართველო გახდა სოციალური სახელმწიფო; საქართველო იზრუნებს ემიგრანტებთან კავშირის შენარჩუნებაზე; აღიარებს, უზრუნველყოფს და იზრუნებს ეკონომიკურ თავისუფლებასა და ღია ეკონომიკის განვითარებაზე.

3. ხელისუფლების დანაწილება და ბალანსი – დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი

3.1. ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსის პრინციპის მნიშვნელობა

დემოკრატიული სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ ხალხს აღიარებს, მაგრამ ხალხს თავისი მმართველობის უშუალოდ განხორციელება მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეუძლია. როგორ უნდა მოხერხდეს, რომ ხელისუფლება საზოგადოების საკეთილდღეოდ იქნეს გამოყენებული და არავინ მიითვისოს იგი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, ანდა ხალხის მოტყუების გზით?

კაცობრიობის ისტორიაში მრავალი ცნობილი მოაზროვნე თვლიდა, რომ ხელისუფლება კარგი მმართველისათვის უნდა მიენდოთ. როდესაც ასეთი პიროვნება ჩაიბარებს ხელისუფლებას, სახელმწიფოში ყველაფერი კარგად იქნება. თუმცა, ზემოთ აღნიშნულ კითხვაზე დიამეტრულად საპირისპირო პასუხიც არსებობდა – კარგი მმართველის იმედად დარჩენა არ შეიძლება, რადგანაც არავინაა დაზღვეული შეცდომისაგან ან ხელისუფლების ბორო-

ტად გამოყენების ცდუნებისაგან. საჭიროა, მმართველები საზოგადოების კონტროლქვეშ იყვნენ და ამის მიღწევის გზა ხელისუფლების დანაწილებაა.

რომელიმე ქვეყნის ან მთავრობის მიერ ლიბერალური და დემოკრატიული რეფორმების კუთხით განხორციელებული საქმიანობის შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად არის დანაწილებული ხელისუფლება და უფლებამოსილებები ამა თუ იმ ქვეყანაში და როგორი რეჟიმი შეიძლება ეწოდოს მას

ხელისუფლების დანაწილების თეორია მომდინარეობს „შერეული მმართველობის“ იდეიდან, რომელიც ჯერ კიდევ არისტოტელემ და ციცერონმა შეიმუშავეს. ციცერონი განასხვავებდა მმართველობის სამ უბრალო ფორმას: სამეფო ხელისუფლებას, ოპტიმატების (არისტოკრატიის) ხელისუფლებას და ხალხის ხელისუფლებას (დემოკრატიას), ხაზს უსვამდა, რომ თითოეულს თავისი უპირატესობა აქვს, ამიტომ ეს ღირსებანი უნდა წარმოდგენილ იქნეს სახელმწიფოს შერეულ ფორმაში, რომელსაც ის არისტოტელეს მსგავსად საუკეთესოდ მიიჩნევდა.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ჩამოყალიბდა ახალ დროში ევროპულ პოლიტიკურ აზრში (ჯონ ლოკი, შარლ ლუი მონტესკიე). ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებისას ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოები. თითოეული შტო დანარჩენისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული გადაკვეთა და კონტროლის უფლებაც უნდა ჰქონდეს. ხელისუფლების ამგვარი დანაწილების შედეგად მკვეთრად მცირდება ვინმეს ან გარკვეული ძალების მიერ ხელისუფლების მითვისების შესაძლებლობები. ამას „ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსის“ თეორია ეწოდება. ეს პრინციპი პირველად განხორციელდა აშშ-ის კონსტიტუციაში 1787 წელს, შემდეგ კი საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მიღებულ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში, რომელშიც ნათქვამია: „საზოგადოებები, რომლებშიც უზრუნველყოფილი არ არის უფლებათა გარანტიები და დადგენილი არ არის ხელისუფლებათა დანაწილება, არაკონსტიტუციურია“.

ხელისუფლების დანაწილების თეორიის თანახმად:

1. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, კონსტიტუციის თანახმად, სხვადასხვა ორგანო და სხვადასხვა ადამიანი ახორციელებს;

2. ყველა ხელისუფლება თანასწორია;

3. არცერთ ხელისუფლებას არ შეუძლია, ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც კონსტიტუციას მინიჭებული აქვს ხელისუფლების სხვა შტოსთვის;

4. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია პოლიტიკური ზემოქმედებისაგან. მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან, არ იცვლებიან, ხელშეუხებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

ხელისუფლების დაყოფა საშუალებას იძლევა:

– მკაფიოდ განისაზღვროს ხელისუფლების თითოეული შტოს ფუნქციები, კომპეტენცია და პასუხისმგებლობა, მიღწეულ იქნეს მოქმედების ერთიანობა სახელმწიფო მმართველობაში;

– თავიდან იქნეს აცილებული ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, დიქტატურის დამყარება;

– ჰარმონიულად შეუთავსდეს ერთმანეთს საზოგადოების ცხოვრების ისეთი ურთიერთსაპირისპირო ასპექტები, როგორებიცაა: ხელისუფლება და თავისუფლება, კანონი და სამართალი, სახელმწიფო და საზოგადოება, ისე, რომ დაცულ იქნეს პიროვნების უფლებები.

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში გამოიყოფა ხელისუფლების სამი შტო:

- საკანონმდებლო ხელისუფლება
- აღმასრულებელი ხელისუფლება
- სასამართლო ხელისუფლება

თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას მათ არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეიჭრან სხვა ხელისუფლებათა სფეროში. ამის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში მოქმედებს ურთიერთშეკავებისა და განონასწორების სისტემა.

დღეს ბევრი ლაპარაკობს ხელისუფლების მეოთხე შტოს შესახებ, რომლის როლშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამოდის. მასმედიას, თუკი მისი თავისუფლება უზრუნველყოფილია, მართლაც შეუძლია ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი კონტროლის როლის შესრულება.

ხელისუფლების ზემოთ დასახელებული სამი შტო გამოიყოფა ხელისუფლების ჰორიზონტალური გაყოფის შედეგად. თუმცა ხელისუფლების დანაწილება ასევე ხორციელდება ვერტიკალურადაც – სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის სუბიექტებს შორის. ამგვარად, გამოიყოფა ხელისუფლების ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები.

ხელისუფლების დანაწილება – სახელისუფლო უფლებამოსილებათა განაწილება ხელისუფლების შტოებს შორის.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი – Principle of Division of Powers – დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც პირველად ფრანგმა ფილოსოფოსმა, პოლიტიკურმა მოაზროვნემ, სოციოლოგმა შარლ ლუი მონტესკიემ (1689–1755) ჩამოაყალიბა. მისი სამართლებრივი თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლება 3 შტოსგან უნდა შედგებოდეს: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებისაგან, რომლებიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ და ანგარიშვალდებულნი არიან როგორც ერთმანეთის, ისე ხალხის წინაშე. ამგვარი სისტემა კონტროლის ადეკვატურ მექანიზმებს უზრუნველყოფს და ალკვეთს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.

3.2. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

საქართველოს პირველ კონსტიტუციაში, მისი ფუძემდებლების დემოკრატიული მაქსიმალიზმიდან გამომდინარე, უარყოფილი იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ანუ როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, „ხელმწიფება დანაწევრებული დემოკრატია“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა აზრით, რადგანაც პარლამენტი ხალხის წარმომადგენლებისაგან შედგე-

ბოდა და ყველაზე დემოკრატიული ინსტიტუტი იყო, სრული ხელისუფლებაც მის ხელში უნდა ყოფილიყო თავმოყრილი. მხოლოდ პარლამენტი განიხილებოდა დემოკრატიული წყობილების დაცვის გარანტიად. გარდა ამისა, „ხელმწიფების განაწილება“ – საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებათა დამოუკიდებლობა, 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, დაარღვევდა „სახელმწიფოს ერთიანობას. ეს იქნებოდა მუდმივი ბრძოლა სხვადასხვა სახელმწიფო ხელისუფლებათა შორის“.

3.3. საბჭოთა პერიოდი – ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უარყოფა

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის არსებობის პირობებში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი უარყოფილი იყო და განიხილებოდა ბურჟუაზიული სახელმწიფო მექანიზმისათვის დამახასიათებელ მანკიერ მოვლენად.

საბჭოთა დოქტრინის შესაბამისად, ხელისუფლება განიხილებოდა როგორც ერთი მთლიანი. ხელისუფლების განხორციელების პროცესში აღიარებული იყო ფუნქციების განაწილება სახელმწიფო მექანიზმის სხვადასხვა ორგანოს შორის.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი შეუთავსებელი იყო კომუნისტური პარტიის „ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის“ აღიარებასთან.

სოციალისტური რესპუბლიკა – რესპუბლიკური მმართველობის ამ სახეს შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები აქვს:

- სრულხელისუფლებიანობა და ზემდგრალობა საბჭოებისა (წარმომადგენლობითი ორგანოები);
- ყველა დანარჩენი სახელმწიფო ორგანო ყალიბდება შესაბამისი დონის საბჭოების მიერ, რომლებიც დაქვემდებარებული და პასუხისმგებელი არიან მათ წინაშე;
- ხელისუფლების დანაწილების პრინციპი თეორიულადაც კი არ არის აღიარებული, მას უპირისპირდება პრინციპი მშრო-

მელი ხალხის ერთიანი ხელისუფლებისა, გამოხატული საბჭოებში;

- საბჭოებში გაერთიანებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციები. სასამართლოების დამოუკიდებლობა ზოგიერთ შემთხვევაში აღიარებულია, თუმცა წმინდა და დეკლარაციულად.

3.4. 1992 წლის 6 ნოემბრის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

1992 წლის 6 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც იმ პერიოდში კონსტიტუციის მაგივრობას ნევდა. თუმცა მასში არაფერი იყო ნათქვამი კონსტიტუციის ისეთ ორგანულ ნაწილებზე, როგორებიცაა ძირითადი უფლებები და სასამართლო ხელისუფლება.

1992 წლის 6 ნოემბრის კანონში ხელისუფლების დანაწილება უცნაურად იყო გადაწყვეტილი, რომელსაც ანალოგი მსოფლიოში არ მოეძებნება. პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც საყოველთაო სახალხო კენჭისყრით აირჩიეს, იმავდროულად სახელმწიფოს მეთაურიც იყო.

3.5. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-5 მუხლში საგანგებოდაა მითითებული, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“.

1995 წლის კონსტიტუციით საქართველო იყო საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომლის ფარგლებშიც პრეზიდენტის მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის არსებობის უზრუნველყოფა. საქართველომ მიიღო „ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პარლამენტი“. პრეზიდენტს არ ჰქონდა პარლამენტის დათხოვნის უფლება, პარლამენტს შეეძლო პრეზიდენტის იმ-

პიჩმენტის მოწყობა (თუკი არღვევს კონსტიტუციას, ჩაიდინა ლა-
ლატი ან სისხლის სამართლის დანაშაული), მაგრამ ეს საკმაოდ
რთული განსახორციელებელი იყო.

პრეზიდენტს შეეძლო, ვეტო დაედო პარლამენტის მიერ მიღე-
ბული კანონპროექტისათვის, პარლამენტს შეეძლო პრეზიდენტის
ვეტოს დაძლევა კვალიფიციური უმრავლესობით.

პარლამენტის, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგა-
ნოს, დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი გარანტიაა:

- საკითხის თავისუფალი საპარლამენტო განხილვა;
- პარლამენტარის შეკითხვის უფლება;
- პარლამენტარის ხელშეუხებლობა.

კონტროლისა და განონასწორების სისტემის შესაბამისად,
მოქმედებს პარლამენტის წევრისათვის შეუთავსებლობის პრინცი-
პი: „პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამ-
დებობა სახელმწიფო სამსახურში, ან ეწოდეს სამეწარმეო საქმი-
ანობას, შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი“
(53.1 მუხლი).

პარლამენტი კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას,
რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულებაა ბიუჯეტის
განხილვა, დამტკიცება და მისი შესრულების შესახებ ანგარიშის
მოსმენა-დამტკიცება.

თუმცა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონსტიტუ-
ციური აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი რეალური განხორ-
ციელების მექანიზმის შექმნას და, მით უმეტეს, ამ პრინციპის
ცხოვრებაში გატარებას.

საქართველოსთვის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებ-
ლობის გზაზე დამდგარი სხვა სახელმწიფოების მსგავსად, სერი-
ოზული პრობლემაა ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის
მიღწევა. აქ დგება ორი ძირითადი პრობლემა:

- კონსტიტუციურად მკვიდრდებოდა ძლიერი საპრეზიდენტო
ხელისუფლება, რომელთანაც შედარებით პარლამენტი სუსტად
გამოიყურებოდა. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტს, როგორც წესი,
პარლამენტში ჰყავდა თავისი მომხრე უმრავლესობა, რომელიც

უპრობლემოდ ამტკიცებდა პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ წარდგენილ სხვადასხვა ინიციატივას.

– კონსტიტუციურად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა აღიარებულია, მაგრამ დემოკრატიზაციის საწყისი პერიოდის გამოცდილება აჩვენებს, რომ სასამართლოს ძალზე უჭირს ხელისუფლების სხვა შტოებისაგან დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამგვარი ვითარების დაძლევა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის კონსტიტუციური პრინციპის განუხრელად დაცვის, სხვა დამატებითი გარანტიებისა და საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლების გზითაა შესაძლებელი.

3.6. 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებები და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლის 6 თებერვალს, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებიდან უმთავრესი იყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობისა და მინისტრთა კაბინეტის შემოღება. ამ ცვლილებების შედეგად საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად გადაიქცა, თუმცა პრეზიდენტის უფლებამოსილება ამ შემთხვევაში საპრეზიდენტო რესპუბლიკას არ ჩამოუვარდებოდა. ქვეყანაში დარჩა ძლიერი პრეზიდენტი, რომელიც აკონტროლებს მთავრობას და მისი დათხოვნა შეუძლია.

პრეზიდენტმა ასევე მიიღო პარლამენტის დათხოვნის უფლება. ამის გაკეთება მას შეეძლო, თუკი პარლამენტი ბიუჯეტს არ დაამტკიცებდა და ანდა მთავრობის გადაყენებას მოითხოვდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია და პრეზიდენტისთვის მისი დათხოვნის უფლების მინიჭებით მკვეთრად დასუსტდა პარლამენტი.

ვენეციის კომისიამ საქართველოს ხელისუფლებას მიუთითა, რომ განხორციელებული ცვლილებები არ შეესაბამებოდა ევროპულ სტანდარტებს და საჭირო იყო შესწორებების შეტანა, თუკი საქართველოს დასავლეთთან დაახლოება სურდა. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რაზეც შენიშვნა გამოთქვა ვენეციის კომისიამ,

ეხებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ვენეციის კომისია მიიჩნევდა, რომ პრეზიდენტს გადამეტებული უფლებები ეძლეოდა და ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ვენეციის კომისიამ ისიც აღნიშნა, რომ ძლიერი პარლამენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალი დემოკრატიის ქვეყნებისათვის.

3.7. 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

2009 წელს დაწყებული საკონსტიტუციო რეფორმის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად გამოცხადდა „ევროპული ტიპის კონსტიტუციის“ მიღება და ხელისუფლების შტოების დაბალანსება. საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საქართველო, ფაქტობრივად, საპარლამენტო რესპუბლიკა ხდება. პრეზიდენტი იქნება ძლიერი არბიტრი, მაგრამ მისი ადრინდელი უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი გადადის პრემიერ-მინისტრზე. პრემიერ-მინისტრის პოსტზე კანდიდატურას საპარლამენტო უმრავლესობა წარადგენს. თავის მხრივ, ეს უმრავლესობა შეიძლება არჩევნებში გამარჯვებული ერთი პარტია იყოს, ანდა რამდენიმე პარტიის კოალიცია.

საკონსტიტუციო ცვლილებების ოპონენტები აღნიშნავდნენ, რომ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა კი არა, „პრემიერ-მინისტრის რესპუბლიკად“ გადაიქცევა, რადგანაც უფლებამოსილება პრეზიდენტიდან პარლამენტს კი არა, სწორედ პრემიერ-მინისტრს გადაეცემა, რომელსაც პარლამენტი, ერთხელ არჩევის შემდეგ, ადვილად ველარ გადააყენებს და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ ძალად იქცევა. ოპონენტთა აზრით, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი აღდგენილი არ არის და პარლამენტი კვლავ დასუსტებული რჩება.

ხელისუფლების დანაწილების მნიშვნელოვანი პრინციპია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილების შედეგად მოსამართლეები უვადოდ ინიშნებიან, რაც ზრდის მათ დამოუკიდებლობას, ამავე დროს, წესდე-

ბა 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა, რაც, ამ ცვლილების მოწინააღმდეგეთა აზრით, მოსამართლეთა ხელისუფლების მხრიდან გაკონტროლების შესაძლებლობას ტოვებს.

3.8. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ერთი პოლიტიკური ძალის დომინირების პირობებში

ხელისუფლების კლასიკური დანაწილებისა და დაბალანსების პრინციპის განხორციელება არ არის საკმარისი განონანსორებული სისტემის ჩამოსაყალიბებლად. როდესაც ერთი პოლიტიკური ძალა დომინირებს, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში იზრდება უმრავლესობის პრინციპის ბოროტად გამოყენების საფრთხე. ასეთი ვითარება იყო საქართველოში თითქმის მთელი პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში. მმართველი პარტიების ერთ-ერთი ფუნდამენტური შეცდომა იყო მოქმედების პრინციპი – ჩვენ ვართ უმრავლესობა და არ ვართ შეზღუდული ჩვენი გადაწყვეტილებების მიღებაში.

მმართველი პარტია „შეზრდილია“ სახელმწიფოსთან. ასეთი ვითარება დამახასიათებელი იყო საბჭოთა სისტემისათვის და მისგან განთავისუფლება ყველაზე ძნელი აღმოჩნდა.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად საუბრობენ დაბალანსებაზე არა იმდენად ხელისუფლების შტოებს შორის, არამედ პოლიტიკურ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის. თანამედროვე კონსტიტუციები ითვალისწინებენ უმცირესობის უფლებების დაცვის მრავალფეროვან საშუალებებს. უმრავლესობისა და უმცირესობის ურთიერთობის ისედაც მწვავე თემა კიდევ უფრო გააქტიურდება საქართველოში ახალი კონსტიტუციური მოდელის ამოქმედების შემდეგ. საქმე ისაა, რომ ერთი პოლიტიკური ძალა იქნება დომინანტი, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

კითხვები და დავალებები

- რა მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს დემოკრატიული საზოგადოებისათვის?
- რატომაა უარყოფილი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და რა უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაში დემოკრატიის დაცვის გარანტია?
- ხორციელდებოდა თუ არა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი საბჭოთა პერიოდში?
- რა პრობლემები დგება დემოკრატიის დამკვიდრების საწყის პერიოდში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალურად უზრუნველსაყოფად?
- როგორ შეიცვალა სახელისუფლო შტოებს შორის ბალანსი 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად?
- როგორ არის წარმოდგენილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად?

II ნაწილი

თემა VIII. საქართველოს სახელმწიფოს ზოგადი დახასიათება

ფასეულობები, რომელთაც ემყარება საქართველოს სახელმწიფო

1. კონსტიტუციის პრეამბულა როგორც სახელმწიფოს ფუძემდებლური ფასეულობების დეკლარირება

1.1. კონსტიტუციის პრეამბულის დანიშნულება

ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა და მისი შემქმნელი საზოგადოება, როგორც წესი, ახდენს თავისი უმთავრესი ფასეულობებისა და პრინციპების დეკლარირებას, რომელთაც ემყარება, ან რომელთა რეალიზებაც მიზნად აქვს დასახული.

როგორც წესი, ფუძემდებლური ფასეულობებისა და პრინციპების დეკლარირება ხდება კონსტიტუციის პრეამბულაში.

პრეამბულა¹ არის კონსტიტუციის შესავალი ნაწილი, რომელსაც ძირითადი ტექსტისგან განსხვავებით:

- აქვს უფრო ზოგადი შინაარსი;
- ატარებს იდეოლოგიურ და დამფუძნებელ ხასიათს;
- განმარტავს კონსტიტუციის მიღების მიზნებსა და ძირითად ორიენტირებს;
- აყალიბებს კონსტიტუციური წყობის უმთავრეს ნიშნებს.

ჩვეულებრივ, კონსტიტუციის პრეამბულაში მოცემულია ხოლმე სახელმწიფოს მიერ განვლილი ისტორიული გზის მოკლე აღწერა, დახასიათებულია სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების მიზნები.

¹ ლათ. preambulus-იდან – წინმავალი, წინამორბედი.

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის შესწავლა და მისი შედარება საქართველოს წინა კონსტიტუციების პრეამბულებთან დაგვანახვებს სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ფასეულობების ევოლუციას და დაგვებმარება, უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ იმ ფასეულობებისა და პრინციპების თაობაზე, რომელთაც ემყარება საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო.

1.2. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულა

საქართველოს დღეს მოქმედ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციას წინ უძღვის შემდეგი პრეამბულა:

„საქართველოს მოქალაქენი,

რომელთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო,

უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი,

განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.

ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს,

საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას“.

1.3. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულის სტრუქტურა

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ნაწილი:

პირველი ნაწილი – განასახიერებს ხალხის სუვერენიტეტს:

„საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა... აცხადებენ ამ კონსტიტუციას“

მეორე ნაწილი – მოიცავს იმ პრინციპების ჩამონათვალს, რომელთა დამკვიდრებასაც ესწრაფვიან კონსტიტუციის მიღების დროს:

- დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება;
- ეკონომიკური თავისუფლება;
- სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო;
- ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცება.

მესამე ნაწილი – სახელმწიფოს ისტორიულ საფუძველზე მითითება:

ეყრდნობიან რა

- ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და
- საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს.

1.4. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულა 2010 წლის რედაქციის მიხედვით

2010 წელს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის დროს ორი ცვლილება შევიდა 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაშიც:

– ფრაზა: კონსტიტუცია ეყრდნობა „**საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს**“ შეიცვალა უფრო ზოგადი დებულებით: „**საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით**“.

– მეორე ცვლილების მიხედვით, კონსტიტუცია „**ღვთისა და ერის წინაშე**“ ცხადდება, რითაც ხაზი გაესვა კონსტიტუციის მიღების მნიშვნელობას.

შედეგად, კონსტიტუციის პრეამბულა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.“

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმ, №62, 05.11.2010 წ., მუხ.379.

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციაში ცვლილებები კონსტიტუციის პრეამბულას არ შეხებია.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულა

1995 წლის ტექსტი	2010 წლის რედაქცია
„საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო,	„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო,
უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი,	უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი,

განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.	განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა,
ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს,	ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით
საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.“	ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.“

დოსიე: როგორია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები მიიჩნევდნენ, რომ კონსტიტუციის ამოსავალი პრინციპები ჩამოყალიბებულ იქნა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში.

დამოუკიდებლობის აქტი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია ისტორიული – რა ვითარებაში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მეორეა საკუთრივ კონსტიტუციური, ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომელთაც ემყარება საქართველოს დამოუკიდებლობა:

- „– საქართველოს ხალხი სუვერენულია, საქართველო სრულფუნქციონირებელი დამოუკიდებელი სახელმწიფოა;
- დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა დემოკრატიული რესპუბლიკა;
- საქართველო საერთაშორისო ომიანობის დროს მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა;
- საერთაშორისო ცხოვრებაში საქართველო კეთილგანწყობილია ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით კი მეზობელ სახელმწიფოებთან;

– საქართველო შინ აწესებს სრულ სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებას განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, რწმენისა და მდგომარეობისა;

– საქართველო თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალ განვითარებას.“

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას პრეამბულის სახით დაერთო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი. თუმცა დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებული პრინციპებიდან კონსტიტუციის ტექსტში აღარ შესულა მუხლი, რომელიც საქართველოს ნეიტრალურ სახელმწიფოდ აცხადებდა.

კონსტიტუციის პროექტის მე-6 მუხლი აცხადებდა:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალი სახელმწიფოა.“

1.5. კონსტიტუციის პრეამბულაში საქართველოს საგარეო ორიენტაციის ასახვის საკითხი

2012 წლის მონვევის პარლამენტში ოპოზიციაში გადასულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოითხოვა, კონსტიტუციაში დაფიქსირებულიყო საქართველოს დასავლური კურსის უცვლელიობა. დისკუსია ამ საკითხზე 2013 წლის იანვარ-თებერვალში გაიშალა. თავიდან „ქართული ოცნება“ წინააღმდეგი იყო და საკმარისად მიანჩნდა ამ საკითხზე ინტერფრაქციული დოკუმენტის შემუშავება (რაც მიიღეს კიდევც), მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ შემდეგ განაცხადა, რომ საგარეო ორიენტაციის კონსტიტუციაში ასახვის წინააღმდეგი არ არის.

2013 წლის 11 თებერვალს პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყნის საგარეო კურსის უცვლელიობის საკითხი შეიძლება კონსტიტუციის პრეამბულაში ასახულიყო.

„პრეამბულაში შეიძლება ჩაინეროს ქართველი ერის ისტორიული ევროპული არჩევანი და ევროპული კულტურის მიმართ დამოკიდებულება. საკითხის ასეთი დაყენება უმცირესობის მხრიდან დიდ სიახლეს არ წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ ახლა დეტალებში

შესვლას არ ვაპირებთ. ასევე არ განვიხილავთ, ქვეყანას სჭირდება თუ არა. თუ დავინახავთ ამით საქმე არ ფუჭდება, კონსტიტუცია არ კნინდება და მსოფლიოში ზოგადად მიღებული პრაქტიკა, ჩანანერის გაკეთება შეიძლება,“ – განაცხადა უსუფაშვილმა.¹

2013 წლის 18 თებერვალს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა, ევროპასთან ინტეგრაციისა და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს კანონპროექტი, რომელიც საქართველოს საგარეო კურსის უცვლელობას ეხებოდა. კანონპროექტის ავტორი უმცირესობის წევრი გიორგი ბარამიძე იყო.

კანონპროექტის მიხედვით, საქართველო განუზრვლად გააგრძელებდა სწრაფვას ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში განევრებისთვის. გარდა ამისა, უცვლელი რჩებოდა ქვეყნის ევროკავშირში განევრების პოლიტიკა. ამასთან, საქართველო არასოდეს განევრდებოდა ისეთ ორგანიზაციებში, სადაც ოკუპანტი რუსეთის ფედერაცია დომინანტი ქვეყანაა.

კანონპროექტით იკრძალებოდა რუსეთის სამხედრო შენაერთების საქართველოში განლაგება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა ან საქართველოს ტერიტორიის გადაკვეთა.

კანონპროექტის მიხედვით, ასევე კანონით უნდა აკრძალულიყო საქართველოში იმ ქვეყნის სამხედრო ბაზის განლაგება, რომელსაც ქვეყნის ნებისმიერი ტერიტორია ოკუპირებული აქვს.

ამავე პროექტის მიხედვით, საქართველო ინარჩუნებდა ოკუპირებული ტერიტორიების არალიარების პოლიტიკას და ესწრაფოდა დეოკუპაციის პროცესის დაჩქარებას.

¹ <http://news.ge/ge/news/story/45568-qveynis-sagareo-kursi-sheidzleba-konstitutsiis-preambulashi-aisakhos-> უსუფაშვილის თქმით, პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა 10 თებერვალს თავის განცხადებაში იმაზეც მიანიშნა, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შემთხვევაში, თუ დასაბუთებული და საერთაშორისო ექსპერტების მოწონებული იდეა იქნება, კონსტიტუციის პრეამბულაში ასახვა შესაძლებელი იქნება.

აქვე უნდა ჩაწერილიყო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არასდროს უნდა აღიაროს აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამავდროულად, საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.

<http://news.ge/ge/news/story/46221-parlamenti-sagareo-kursis-utsvlelobis-shesakheb-umtsiresobis-kanonproeqtze-imsjelebs>

„თავისუფლების ინსტიტუტის“ პროექტი

ამ პერიოდში „თავისუფლების ინსტიტუტმა“ საკუთარ FB-გვერდზე გამოაქვეყნა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი – **„საბჭოთა კავშირის მემკვიდრე ორგანიზაციებში განწევრების დაუშვებლობის შესახებ“**. ავტორების განცხადებით, ბოლო დროს გაჩენილი საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის საგანგაშო სიგნალები დღის წესრიგში აყენებდა სახელმწიფოს დასავლური კურსის შენარჩუნების მყარი კონსტიტუციური გარანტიების შექმნის საჭიროებას.

„ამასთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიისთვის გამოგვაქვს შესაბამისი კონსტიტუციური შესწორების პროექტი. პროექტი ეყრდნობა ლიტვის ანალოგიურ კონსტიტუციური კანონის გამოცდილებას და ითვალისწინებს ნატოსა და ევროპულ ერთა თანამეგობრობაში განწევრებისაკენ სწრაფვის კონსტიტუციურ დაკანონებას, სსრკ-ის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოთ შორის გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში საქართველოს განწევრების აკრძალვას, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე ოკუპანტი სახელმწიფოს სამხედრო ბაზების განლაგებისა და ჩვენი ტერიტორიის გავლით ამ სახელმწიფოს იარაღის გადაზიდვის დაუშვებლობას“ – აცხადებდა „თავისუფლების ინსტიტუტი“.

გთავაზობთ ცვლილებების პროექტს:

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, NN31-33, მუხ. 668) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, გავხდეთ ჩრდილო ატლანტიკური თავდაცვითი და ევროპულ ერთა თანამეგობრობის ღირსეული წევრი, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.“

<http://news.ge/ge/news/story/44600-kanonproeqti-sabchotakavshiris-memkvidre-organizatsiebshi-gatsevrianebis-daushveblobisshesakheb>

ვენეციის კომისიის წევრმა, ცნობილმა კონსტიტუციონალისტმა ჯანი ბუკიკომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია კონსტიტუციაში საგარეო კურსის დაფიქსირება.

ბუკიკო: „საგარეო კურსის კონსტიტუციით განსაზღვრა არასწორია“. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის კონსტიტუციაში ასახვის თაობაზე „ვენეციის კომისიის“ წარმომადგენელს, ბუკიკოსაც ჰკითხეს. მისი პასუხი უარყოფითი იყო. მე არ მიმაჩნია, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართულება კონსტიტუციაში უნდა იყოს ასახული, ამის შესახებ განაცხადა ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკომ.

ბუკიკიოს თქმით, მან საგარეო პოლიტიკური კურსის შესაძლო ცვლილების შესახებ სხვადასხვა განცხადება მოისმინა, თუმცა მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან შეხვედრის შემდეგ ის დარწმუნებულია, რომ საქართველოს ევროპული კურსი გაგრძელდება.

„ორი დღის განმავლობაში საქართველოში არაერთი შეხვედრა მქონდა და შეხვედრის ყველა მონაწილე საქართველოს ევროპულ არჩევანს იზიარებს. მთავარი კი ის არის, რომ მოსახლეობის 70 % ამ მიმართულების მომხრეა. მე, როგორც ევროპელს, ეს მსიამოვნებს,“ – აღნიშნა ბუკიკიომ.

31 იანვარი 2013 – <http://news.ge/ge/news/story/44500-bukikio-sagareo-kursis-konstitutsiit-gansazghvra-arastsori>

საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციაში გარდამავალ დებულებებში შევიდა 78-ე მუხლი – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, რომელშიც ნათქვამია:

„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“

ამით კონსტიტუციურად დადასტურებულია საქართველოს დასავლური საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია.

1.6. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების აღნიშვნის მნიშვნელობა

გერმანელი ექსპერტი ვოლფგანგ გაული, რომელიც მონაწილეობდა 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებაში, თავის ნაშრომში აღნიშნავს:

„იქიდან გამომდინარე, რომ დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არა აქვს დასავლეთის კონსტიტუციური სახელმწიფოების მსგავსი ტრადიცია, მისასაღმებელია საქართველოს კონსტიტუციაში სამარ-

თლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაწვრილებით ასახვა. კონსტიტუციის პრეამბულაში გამოხატულია სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის ნება“.

„სამწუხაროდ, საქართველოს კონსტიტუციაში არ აისახა სახელმწიფოს სამართლითა და კანონით შეზღუდვის პრინციპი. ჯერ კიდევ ლესივი მოითხოვდა თავისი მემორანდუმით, რომ კონსტიტუციაში ასახულიყო დებულება სახელმწიფო ხელისუფლების მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში განხორციელების შესახებ. სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ძალაუფლება შეზღუდულია კონსტიტუციურად გამოცემული კანონებით და სახელმწიფოს ხელისუფლება შეზღუდულია კანონებით და სახელმწიფოს ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით...“

მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება შეიძლება შეამონმოს საკონსტიტუციო სასამართლომ, სამწუხარო და გაუგებარია ის, რომ სახელმწიფოს შებოჭვა სამართლითა და კანონით საბოლოო განხილვისას ისევ ამოიღეს კონსტიტუციის ტექსტიდან.“

(ვ. გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993–1995), თბ., 2002, გვ. 103–104).

2. საქართველოს კონსტიტუციების პრეამბულების ისტორიიდან

2.1. როგორი პრეამბულა შეიძლება ჰქონოდა

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას

მსოფლიო კონსტიტუციონალიზმი იცნობს ორი ძირითადი ტიპის პრეამბულას:

- ა. კლასობრივ-იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულს;
- ბ. ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე დამყარებულს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს ემყარება. აღსანიშნავია, რომ სა-

ქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს იმდროინდელი მმართველი პარტიის გარკვეული ჯგუფის მხრიდან იყო მცდელობა, კონსტიტუციისათვის დაემატებინათ კლასობრივი-იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელი პრეამბულა.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით, კონსტიტუციას, პრეამბულის სახით, გარდა დამოუკიდებლობის აქტისა, უნდა ჰქონოდა შესავალი, რომელშიც განმარტებული იქნებოდა კონსტიტუციის იდეა და მიზნები. ამავე დროს, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მიაჩნდა, რომ კონსტიტუციის იდეა და მიზნები გამოიკვეთა კონსტიტუციის მთლიანად განხილვისა და მიღების შემდეგ.

მართლაც, 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიურომ გაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალი. მასში მართლაც მკაფიოდ ჩანს კონსტიტუციის შემქმნელთა ფასეულობითი პრიორიტეტები, ძირითადი იდეები და მიზნები.

აი ეს ტექსტიც:

„შ ე ს ა ვ ა ლ ი

დამფუძნებელი კრება, გამომხატველი საქართველოს მუშათა და მშრომელი გლეხკაცობის პოლიტიკური და სოციალური მისწრაფებების, ქმნის დემოკრატიულ კონსტიტუციას, როგორც საუკეთესო პირობას მუშათა კლასის და მასთან ერთად მთელი ხალხის საბოლოო განთავისუფლების და ყველა ქვეყნის მშრომელთა შორის სოლიდარობის განმტკიცებისა“.

როგორც ჩანს, დამფუძნებელმა კრებამ თავი შეიკავა კონსტიტუციისათვის ამ შესავლის გაკეთებისაგან, ყოველ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლის წინ ბათუმში ცალკე წიგნად დაბეჭდილ საქართველოს კონსტიტუციაში იგი არ შედის.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში აქტიურად მოქმედმა პარტიამ სოციალისტ-რევოლუციონერებმა შეიმუშავეს და დამფუძნებელ კრებას წარუდგინეს კონსტიტუციის თავიანთი პროექტი.

ესერთა კონსტიტუციის პროექტი შედგება შესავლის, 18 თავის და 132 მუხლისაგან. იგი ეყრდნობოდა დებულებას, რომ „უკვე დადგა კაპიტალიზმის აღსასრული“. ამავე დროს, მიუთითებდნენ, რომ „ყოველი ერი სოციალიზმის სამეფოში უნდა შევიდეს თავისი ინდივიდუალობით და საკუთარი გზით“.

შესავალში აღნიშნული იყო, რომ „დაამსხვრია რა მონობის ბორკილები, საქართველოს მშრომელი ხალხი ამყარებს ახალ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას, რომლის მიზანი არის პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფა და ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის საზოგადოებრივ ფორმებში განსახიერება“.

2.2. საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის და მისი 1991 წლის რედაქციის პრეამბულების შედარებითი ანალიზი

საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალმა საქართველომ“ საქმიანობა დაიწყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, რომელშიც შეტანილ იქნა რადიკალური ცვლილებები. მთლიანად შეიცვალა კონსტიტუციის პრეამბულა.

ორივე პრეამბულაში გადმოცემულია საქართველოს XX საუკუნის ორი ვერსია. 1978 წლის პრეამბულაში წარმოდგენილია საბჭოური, გაყალბებული ვერსია, რომელიც 1991 წელს შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ჭეშმარიტი ფაქტების გადმოცემით.

ა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის 15 აპრილს მიღებული კონსტიტუციის პრეამბულა

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელეს ძირეული სოციალ-

ურ-ეკონომიკური გარდაქმნები, დაიცვეს სოციალიზმის მონაპოვარნი და ააშენეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება – მშრომელ ადამიანთა ჭეშმარიტი თავისუფლების საზოგადოება, სადაც შექმნილია მძლავრი საწარმოო ძალები, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა და მაღლდება კულტურა, მტკიცდება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი.

დიდმა ოქტომბერმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ბედის განსაზღვრაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა რუსეთის ძმური დახმარებით 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

საქართველოს ნებაყოფლობითმა გაერთიანებამ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთიან ოჯახად განაპირობა ქართველი ხალხის განვითარება და აღმავლობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თანასწორუფლებიანი რესპუბლიკაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივ ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობისათვის.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი, ხელმძღვანელობს რა მეცნიერული კომუნიზმის იდეებით, თვლის რა თავს მთელი საბჭოთა ხალხის განუყოფელ ნაწილად, იცავს რა საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ 1927 წლის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას და შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციისა (ძირითადი კანონისა), რომელმაც დაამკვიდრა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილების და პოლიტიკის საფუძვლები, განსაზღვრა მოქალაქეთა უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპები და მიზნები, იღებს და საქვეყნოდ აცხადებს ამ კონსტიტუციას.“

ბ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულა, 1991 წელი

„საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰკუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა, 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი ხნის რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ცნო და დაადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924, 1936–1938, 1949–1951, 1956 წლებში), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაში უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

3. ევროკავშირი პარტნიორი ქვეყნებისაგან საერთო ფასეულობების დაცვას მოითხოვს

საქართველოს სწრაფვა ევროკავშირისაკენ რეალიზდება იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო მიიღებს და სრულად დაიცავს ევროკავშირის მიერ დეკლარირებულ ფუნდამენტურ ფასეულობებს. ეს ფასეულობები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიაში“.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ წევრად ცნობის შესახებ. ამავდროულად, საბჭოს გადაწყვეტილებით, ძალაში შევიდა ევროკომისიის დოკუმენტი, რომელიც „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ამოქმედების სტრატეგიას ასახავს.

3.1. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა საზიარო ფასეულობების შესახებ

საზიარო ფასეულობებისადმი ერთგულება

ევროკავშირის შექმნა ემყარებოდა ადამიანის ღირსების, თავისუფლების, დემოკრატიის, თანასწორობის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის ფასეულობებს. ეს ფასეულობები საერთოა წევრი სახელმწიფოებისათვის საზოგადოებებში, სადაც დამკვიდრებულია პლურალიზმი, ტოლერანტო-

ბა, სამართლიანობა, სოლიდარობა და გამორიცხულია დისკრიმინაცია. ევროკავშირის მიზანია მშვიდობაზე, საკუთარ ფასეულობებსა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა. თავის ურთიერთობაში გარე სამყაროსთან ევროკავშირი ამ ფასეულობათა ხორცშესხმას ისახავს მიზნად.

ევროკავშირთან დადებული მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების მეშვეობით კავშირის მეზობლებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება, პატივი სცენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს...

პარტნიორმა ქვეყნებმა, როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი კონვენციების ხელისმომწერმა მხარეებმა, იკისრეს ვალდებულება, პატივი სცენ ძირითად შრომით სტანდარტებს და ხელი შეუწყონ უმთავრესი სოციალური უფლებების დამკვიდრებას; მათ იკისრეს, აგრეთვე, განვითარების სტაბილური ხასიათის უზრუნველყოფა, როგორც ეს განისაზღვრა იოჰანესბურგის მსოფლიო სამიტზე.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია საერთო ფასეულობების ხორცშესხმის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა. მეზობელი ქვეყნების მიერ ვალდებულებათა პრაქტიკული შესრულების მასშტაბი განსხვავდება და არსებობს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პოტენციალი. პარტნიორებთან ევროკავშირის ურთიერთობის არსებითი ელემენტია ამ ვალდებულებათა ეფექტიანად განხორციელება.

ევროკავშირის მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მეშვეობით პარტნიორებთან კავშირების განვითარების დონე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად ასრულებს ესა თუ ის ქვეყანა საერთო ფასეულობებს. სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული იქნება რიგი პრიორიტეტებისა, რომლებიც მიმართულია ამ ფასეულობებისადმი ერთგულების განსამტკიცებლად. ეს პრიორიტეტებია დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრება, სასამართლო სისტემის რეფორმირება და კორუფციისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის: მასმედისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების, უმცირესობათა და

ბავშვთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, პროფესიულ კავშირთა უფლებებისა და სხვა უმთავრესი შრომითი სტანდარტების პატივისცემა, ბრძოლა წამების წინააღმდეგ და ადამიანის მიმართ ცუდად მოპყრობის აღმოფხვრა; სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და თანამშრომლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან; გარდა ამისა, პარტნიორ ქვეყნებს მოეთხოვებათ ერთგულება ევროკავშირის საგარეო მოღვაწეობის ზოგიერთი არსებითი ასპექტის მიმართ, კერძოდ, ეს არის ბრძოლა ტერორიზმსა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან, საერთაშორისო კანონმდებლობის სავალდებულო შესრულება და კონფლიქტების მოგვარებისკენ მიმართული ძალისხმევა.

(ევროპის სამეზობლო პოლიტიკა. სტრატეგია, 2004, გვ. 14-15).

3.2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია საქართველოს ეროვნული ღირებულებების შესახებ

სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა: საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საზღვრებში, რომელიც პატივს სცემს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და მათგანაც იმავს მოითხოვს. საქართველოსთვის მიუღებელია მისი სუვერენიტეტის შეზღუდვის, მათ შორის, თავისუფალი საგარეო-პოლიტიკური არჩევანის იძულებით შეცვლის და საშინაო საქმეებში სხვა ქვეყნების ჩარევის ცდები.

თავისუფლება: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტითა და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები საქართველოს მიერ აღიარებული და გარანტირებულია მისი კონსტიტუციით. საქართველო უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისა და ჯგუფის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პატივს სცემს მათი თავისუფალი არჩევანის უფ-

ლებას, უზრუნველყოფს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას და ქმნის ხელსაყრელ გარემოს თითოეული მოქალაქის შესაძლებლობების რეალიზებისთვის. საქართველო აღიარებს, რომ ეკონომიკური თავისუფლება პიროვნების ყველა სხვა უფლებისა თუ თავისუფლების წინაპირობაა.

დემოკრატია და კანონის უზენაესობა: საქართველო დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების ერთგულია და მათ საფუძველზე ამკვიდრებს მმართველობის დემოკრატიულ სისტემას, რომელშიც ძალაუფლება კანონით არის შეზღუდული და განაწილებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის. საქართველო უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, პლურალიზმს და უმცირესობათა, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, უფლებების დაცვას და ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას.

უსაფრთხოება: საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში ქვეყნის, მისი მოქალაქეებისა და ინსტიტუტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ. მის უზრუნველსაყოფად საქართველო ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და პრინციპებით და მიაჩნია, რომ უსაფრთხოება განუყოფელია როგორც ქვეყანაში მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო სისტემაში, რადგან ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება ვერ განმტკიცდება მეორის უსაფრთხოების შეზღუდვის ხარჯზე.

კეთილდღეობა: საქართველო აღიარებს, რომ კეთილდღეობისკენ სწრაფვა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და მისი მაქსიმალური რეალიზაცია მხოლოდ თავისუფალ გარემოშია შესაძლებელი. თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საქართველო აყალიბებს ქვეყნის მდგრადი განვითარების ისეთ მოდელს, რომელიც ეფუძნება თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნას, რაც გამოიხატება მცირე მთავრობის პრინციპით, პასუხისმგებლობიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკით,

დაბალი გადასახადებით და მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის გატარებით.

მშვიდობა: საქართველოს მიზანია ყველა სახელმწიფოსთან საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება. სადავო საკითხების გადაწყვეტისას საქართველო ხელმძღვანელობს მშვიდობიანი, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დამყარებული მეთოდებით. თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი, განვითარებული და მშვიდობიანი საქართველო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში.

(http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12)

4. საქართველოს სახელმწიფოს დახასიათება: შედარებითი ანალიზი

საქართველოს სახელმწიფოს მოკლე, არსობრივი დახასიათება მოცემულია კონსტიტუციის პირველსავე მუხლში. ამ დახასიათებათა შედარება კი საინტერესო დასკვნების გაკეთების საფუძველს იძლევა საზოგადოების ფასეულობითი პრიორიტეტების თვალსაზრისით.

საქართველოს 1921 წლის და 1995 წლების კონსტიტუციები ხაზს უსვამენ საქართველოს სუვერენიტეტს, რომ ის არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. 1978 წლის საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციაში ასევე საუბარია საქართველოს სუვერენიტეტზე, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ საქართველო „ნებაყოფლობით“ შედის საბჭოთა კავშირში და სუვერენული ქვეყნისთვის დამახასიათებელი უფლებამოსილება გადაცემულია „საკავშირო ცენტრისთვის“.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა და მმართველობის ეს ფორმა „მუდმივი და უცვლელია“. 1921 წელს საბჭოურ ოკუპაციას მოჰყვა საქართველოს „საბჭოთა რესპუბლიკად“ გამოც-

ხადება. მხოლოდ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს კონსტიტუციაში დაბრუნდა ჩანანერი იმის თაობაზე, რომ საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო და მას დაემატა მითითება სამართლებრივი სახელმწიფოს თაობაზე.

1995 წლის კონსტიტუციაში კვლავ დაბრუნდა მუხლი იმის თაობაზე, რომ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. თუმცა აღარ არის მითითება, რომ ეს მმართველობის მუდმივი და უცვლელი ფორმაა.

4.1. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

4.2. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია

მუხლი 1.

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“.

4.3. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია 1991 წელი

მუხლი 1.

საქართველოს რესპუბლიკა არის დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის ერთობლივ ნებას და უზრუნველყოფს მისი ყველა მოქალაქის ინტერესების დაცვას განურჩევლად მათი ეროვნული და სარწმუნოებრივი კუთვნილებისა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია.

დანართი: საქართველო საბჭოთა პერიოდში

4.4. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია

მუხლი 1.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

მუხლი 68.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცების, უშიშროებისა და თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ერების თავისუფალი თვითგამორკვევის შედეგად, ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან: (რესპუბლიკების ჩამონათვალი) გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად – ერთიან საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ.

ამის საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებებს, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს სსრ დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე.

მუხლი 69.

საქართველოს სს რესპუბლიკა ინარჩუნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას.“

4.5. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ

მუხლი 70.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოა, რომელიც შეიქმნა სოციალისტური ფედერალიზმის პრინციპის საფუძველზე, ერების თავისუფალი თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად.

სსრ კავშირი განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფო ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნისტური ერთობლივი მშენებლობის მიზნით.

მუხლი 71.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანებული არიან: (15 რესპუბლიკის ჩამონათვალი)

მუხლი 72.

ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება

მუხლი 73.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას, მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით, განეკუთვნება:

1) სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღება, მოკავშირე რესპუბლიკათა შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნის დამტკიცება;

2) სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დადგენა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება;

3) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის ზოგადი საწყისების დანესება;

4) სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დანესება;

5) ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება; ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობა; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ზოგად ღონისძიებათა განსაზღვრა; სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემუშავება და დამტკიცება, მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცება;

6) სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება; მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება; ფული-სა და კრედიტის სისტემის ერთიანი ხელმძღვანელობა; დადგენა გადასახადებისა და შემოსავლისა, რომლებიც ხმარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნას; ფასებისა და შრომის ანაზღაურების დარგში პოლიტიკის განსაზღვრა;

7) სახალხო მეურნეობის დარგების, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელობა; საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების საერთო ხელმძღვანელობა;

8) ზავისა და ომის საკითხები, სსრ კავშირის სუვერენიტეტის, სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიის დაცვა, თავდაცვის

ორგანიზაცია, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა;

9) სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა;

10) სსრ კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში; სსრ კავშირის ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობის ზოგადი ნების დადგენა და კოორდინაცია; საგარეო ვაჭრობა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სხვა სახეობანი სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე;

11) კონტროლი სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვისადმი და სსრ კავშირის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამისობის უზრუნველყოფა;

13) საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხთა გადანყვეტა.

მუხლი 74.

სსრ კავშირის კანონებს თანაბარი ძალა აქვთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საერთო-საკავშირო კანონისაგან მოკავშირე რესპუბლიკის კანონის განსხვავების შემთხვევაში მოქმედებს სსრ კავშირის კანონი.

მუხლი 76.

მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირად.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებს გარეთ მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე.

მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას და ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს.

მუხლი 77.

მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობს სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადანყვეტაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმ-

ში, სსრ კავშირის მთავრობასა და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში.

მოკავშირე რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებას, ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადანყვეტილებებს.

მოკავშირე რესპუბლიკა მის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

მუხლი 80.

მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუდოს მათ ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

მუხლი 81.

მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი.

5. ხალხი როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყარო

ხალხის სუვერენიტეტი აუცილებელი ამოსავალი პრინციპია ნებისმიერი დემოკრატიული კონსტიტუციისათვის. სახალხო სუვერენიტეტი ხელისუფლების პირველწყაროდ ხალხს აცხადებს. ისტორიულად სახალხო სუვერენიტეტის იდეა წარმოიშვა მე-17-მე-18 საუკუნეებში, აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, და უპირისპირდებოდა მონარქების პრეტენზიას შეუზღუდავ ხელისუფლებაზე.

ხალხის ხელისუფლება ნიშნავს, რომ ხალხი უშუალოდ ან წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს ხელისუფლებას. ხალ-

ხი ხელისუფლების ერთადერთი წყაროა, რომელიც თავის პირობებით გადასცემს ხელისუფლების განხორციელებას თავის წარმომადგენლებს.

ხალხის სუვერენიტეტის უშუალო გამოვლენის ფორმებია:

- რეფერენდუმი და პლემბისციტი;
- საკანონმდებლო ინიციატივა.

ხალხის სუვერენიტეტის გამოვლინებაა არჩევნების გზით ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ფორმირება. ესაა წარმომადგენლობითი დემოკრატია. ხალხის სუვერენიტეტის კონსტიტუციური პრინციპი ყველას აგონებს, თუ ვისი სახელით უნდა გამოიყენონ ხელისუფლება.

ხალხის სუვერენიტეტს განუყოფლად უკავშირდება ადამიანი-სა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, რაც დანვრილებითაა განერილი კონსტიტუციაში.

აღსანიშნავია, რომ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც ხელისუფლების მოქმედებით ხალხის უკმაყოფილება იზრდება, შეიძლება წარმოიშვას მასობრივი პროტესტი. ასეთი პერიოდი პოლიტიკური სისტემისთვის მძიმე განსაცდელია, საიდანაც არსებულმა ხელისუფლებამ შეიძლება თავი დააღწიოს რეპრესიებითა და დათმობებით. რეპრესიები მხოლოდ დროებითი გამოსავალია, ხოლო დათმობებმა შეიძლება რეფორმების ხასიათი მიიღოს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სახალხო პროტესტის შედეგად ხელისუფლება შეიცვალოს. ასეთ რადიკალურ ცვლილებას რევოლუცია ეწოდება. ტირანიის წინააღმდეგ აჯანყების უფლება სახალხო სუვერენიტეტის შემადგენელი უფლებაა. თუმცა ამ უფლებასთან აპელირება შეიძლება გარკვეულმა ჯგუფმაც მოახდინოს, თავისი ინტერესების სახალხო ინტერესად წარმოჩენის სურვილით.

ხალხის სუვერენიტეტის გამოხატულებაა კონსტიტუციაში დაფიქსირებული დებულება: „არავის არა აქვს უფლება, მითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“. დემოკრატიის იდეის პოპულარულობის პირობებში ვერავინ განაცხადებს, რომ ეწინააღმდეგება ხალხის სუვერენიტეტის პრინციპს. ხალხის სუვერენიტეტის დარღვევა ან ამის მცდელობა ფარულ ხასიათს ატარებს ხოლმე.

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება, რამაც 2013 წლის იანვარში საპრეზიდენტო უფლებამოსილების 5-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა 2013 წლის ოქტომბრამდე გაუხანგრძლივა, ოპოზიციის ნაწილის მიერ გამოცხადდა კონსტიტუციის მუხლი 5.3-ის დარღვევად, რომელიც ხელისუფლების უკანონოდ მითვისებას და მოპოვებას კრძალავს.

5.1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს, შესახებ

მუხლი 5.

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება, მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

ისტორიიდან

5.2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს, შესახებ

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები-სათვის უდავო იყო, რომ ჭეშმარიტი პოლიტიკური დემოკრატიის საფუძველს ხალხის სუვერენიტეტი ქმნის, როდესაც „ყოველი უფლობის ანუ ხელმწიფების წყარო ხალხია“, როცა „ყოველი ძალა-უფლება ხალხიდან მომდინარეობს“ და „ყველა დიდ სახელმწიფოებრივ საკითხში უკანასკნელი გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის ხალხს“.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 52-ე მუხლი მიუთითებდა, რომ „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს“, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა იმას, რომ ხალხის სუვერენობის აღიარება მხოლოდ დეკლარაციული არ ყოფილიყო და რიგით მოქალაქეებს ნამდვილად მიეღოთ მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 52.
„ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.“

ხალხის სუვერენიტეტის პრინციპის ურყევობიდან გამომდინარე, 1921 წლის კონსტიტუცია აცხადებდა, რომ „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.“

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 1.
„საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.
მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.“

5.3. საქართველოს 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუცია და მისი 1991 წლის რედაქცია ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს, შესახებ

ხალხის სუვერენიტეტს უპირობოდ აღიარებდა საბჭოთა კონსტიტუცია, მაგრამ ეს მნიშვნელოვანწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემა მის ხელთ არსებული მრავალი ბერკეტით აკონტროლებდა „ხალხის ნების“ გამოხატვას.

ერთ-ერთი ასეთი ბერკეტი იყო „დემოკრატიული ცენტრალიზმი“, რომელიც კონსტიტუციაში იყო ჩადებული და ხელისუფ-

ლების მიერ საზოგადოების კონტროლის უზრუნველყოფას ემსახურებოდა.

საბჭოთა სისტემის დემონტაჟთან ერთად, საბჭოთა კონსტიტუციის მე-3 მუხლი დემოკრატიული ცენტრალიზმის შესახებ ამოღებულ იქნა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია	საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (1991 წელი)
<p>მუხლი 2.</p> <p>საქართველოს სს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.</p> <p>ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს სსრ პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.</p> <p>ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.</p> <p>მუხლი 3.</p> <p>საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი – ქვემოდან ზემოთ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს არჩევითობა, მათი ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე,</p>	<p>მუხლი 2.</p> <p>საქართველოს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.</p> <p>ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოებისა და უზენაესი საბჭოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.</p> <p>ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოებისა და უზენაესი საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.</p> <p>მუხლი 3. (ამოღებულია)</p>

<p>ქვემდგომი ორგანოებისათვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა სავალდებულობა. დემოკრატიული ცენტრალიზმი ერთიან ხელმძღვანელობას უხამებს ადგილობრივ ინიციატივასა და შემოქმედებითს აქტიურობას, თითოეული სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის.</p>	
--	--

5.4. რეფერენდუმები და პლებისციტები საქართველოში

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის მეშვეობითაც.

„საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ“ გვაუწყებს, რომ რეფერენდუმი ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და ნების პირდაპირი გამოვლენის მიზნით, ფარული კენჭისყრით. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც რეფერენდუმის გამართვის დღისათვის შეუსრულდა 18 წელი, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

რეფერენდუმს საქართველოში ნიშნავს საქართველოს პარლამენტი, არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი მისი მოწყობის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში. საქართველოში რეფერენდუმი მზადდება და იმართება ქართულ ენაზე.

რეფერენდუმის შედეგი ხელისუფლებისთვის სავალდებულოა და ის ერთი თვის განმავლობაში უნდა აისახოს კონსტიტუციაში.

რაც შეეხება პლებისციტს, ისიც ხალხის აზრის გამოკითხვაა, მაგრამ მისი შედეგი სავალდებულო არ არის ხელისუფლებისათვის, თუმცა ხელისუფლებას ნებისმიერ შემთხვევაში გაუჭირდება ხალხის ნების იგნორირება.

საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია რეფერენდუმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. რეფერენდუმის ჩატარება რომელიმე რეგიონში ან ქვეყნის ნაწილში უკანონოდაა მიჩნეული. იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ეს პრობლემატურს ხდის რეფერენდუმის ჩატარებას. ერთადერთი რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, არის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი.

საქართველოში ჩატარებულია რამდენიმე რეფერენდუმი:

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილებით დანიშნა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე. ის უპირისპირდებოდა 1991 წლის 17 მარტს დანიშნულ საკავშირო რეფერენდუმს, რომელიც საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. მისი ჩატარება საქართველოში აიკრძალა.



1991 წლის 31 მარტს საქართველოს მოსახლეობამ თავისი ნება გამოხატა და საყოველთაო რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას. რეფერენდუმის საფუძველზე 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე ერთადერთი შეკითხვა იყო დასმული – „ეთანხმებით თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“.

1991 წლის 5 აპრილს გამოქვეყნდა 31 მარტს გამართული რეფერენდუმის შემაჯამებელი შედეგები, რომლის მიხედვით: ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 3 657 477.

რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი – 3 302 572, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90, 3%-ს;

კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი – 3 326 100, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 89.3%-ს;

სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის – „დიახ“ – მომხრეთა რიცხვი – 3 295 493, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 98, 9%-ს;

სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის – „არა“ – მომხრეთა რიცხვი – 17 400, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 0, 53%-ს.

ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა – 13. 690, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 0, 41%-ს.

2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმი საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების შესახებ

რეფერენდუმი დანიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, კონსტიტუციის თანახმად, ამომრჩეველთა ხელმონერების საფუძველზე. რეფერენდუმის კითხვა იყო, სურდათ თუ არა საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს პარლამენტის წევრების რაოდენობის შემცირება 235-იდან 150-ამდე. რეფერენდუმის მონაწილეთა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა შეკითხვას.

ვარდების რევოლუციის შემდეგ რეფერენდუმის შედეგები ძალაში დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ გაუქმებულად ჩაითვა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები. რეფერენდუმის შედეგები არ ასახულა 2004 წლის რიგგარეშე საპარ-

ლამენტო არჩევნებზე. შედეგები ძალაში შევიდა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

2011 წელს საქართველოს ხელისუფლებამ წამოაყენა ინიციატივა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა რეფერენდუმით მიღებულ გადაწყვეტილებას. ინიციატივა გულისხმობდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობის 150-იდან 190-ამდე გაზრდას, ამასთან, ხელისუფლება აცხადებდა, რომ ამას ოპოზიციის თხოვნით აკეთებდა. ხელისუფლება ეჭვქვეშ აყენებდა 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმის კანონიერებას – რადგანაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არ ჩატარდა, ეს მხოლოდ პლებისციტი იყო. პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდა ხალხის ნების საწინააღმდეგოდ გააკრიტიკეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა. საბოლოოდ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უარი თქვა პარლამენტართა რაოდენობის გაზრდის მცდელობაზე.

საქართველოს ნატოში გაწევრების პლებისციტი (2008)

2008 წლის 5 იანვარს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად დაინიშნა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თარიღის დასადგენი პლებისციტი (2008) და საქართველოს ნატოში გაწევრების პლებისციტი (2008).

საქართველოს ნატოში გაწევრების თაობაზე კითხვა განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: „უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?“

პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

- დიახ – 1 355 328 (77,0%)
- არა – 404 943 (23%)
- სულ – 1 760 271 (100%)

საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თარიღის დასადგენი პლებისციტი (2008)

2007 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში საქართველოს ოპოზიციური პარტიების გაერთიანების, გაერთიანებული ოპოზიციის

მიერ გამართულ აქციებზე ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარება 2008 წლის გაზაფხულზე. მოთხოვნას არ ეთანხმებოდა საქართველოს ხელისუფლება. გამართული აქციები 2007 წლის 7 ნოემბერს დემონსტრაციების აღკვეთით და საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომით დასრულდა. 2008 წლის 5 იანვარს დაინიშნული საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად დაინიშნა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თარიღის დასადგენი და საქართველოს ნატოში გაწევრების პლებისციტი (2008).

საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თარიღის დასადგენი პლებისციტის კითხვა განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის გაზაფხულზე?“

პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

- დიახ – 1 410 269 (79,17%)
- არა – 358 328 (20,82%)
- სულ – 1 768 597 (100%)

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პლებისციტს სავალდებულო ძალა არ აქვს, მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ მისი იგნორირება ვერ მოახდინა – 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა 21 მაისს.

დავალება:

- გაიხსენეთ ის თეორიები, რომელთაც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროდ ხალხი გამოაცხადეს.
- შესაძლებელია თუ არა, ხალხმა უშუალოდ მართოს ქვეყანა და უარი თქვას წარმომადგენლების არჩევაზე?
- რას ნიშნავს ხელისუფლების მითვისება და უკანონოდ მოპოვება?
- ყოფილა თუ არა საქართველოს უახლოეს ისტორიაში ასეთი შემთხვევები?
- რით შეუძლია ხალხს, წინ აღუდგეს ვინმეს მიერ ხელისუფლების მითვისებას ან უკანონოდ მოპოვებას?

თემა IX. საქართველოს ტერიტორიული მონყობა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი

შესავალი

სახელმწიფოს ტერიტორიულ მონყობაში იგულისხმება მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა ცალკეულ ერთეულებად. სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია ახასიათებს მის შინაგან დაყოფას, სახელმწიფოს ტერიტორიული ნაწილების სამართლებრივ მდგომარეობას, მათ ერთმანეთთან ურთიერთობას და მიმართებას ზემდგომ სახელისუფლო ორგანოებთან.¹

სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობა გამომდინარეობს, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი იდეალისაგან, რომელიც აქვს ამა თუ იმ ერს და, მეორე მხრივ, არსებული რეალობიდან, რომელიც ქმნის გარკვეულ შეზღუდვებს ამ იდეალის რეალიზებისაკენ გადადგმულ გზაზე. ქართველი ხალხის იდეალი საუკუნეების განმავლობაში დამოუკიდებელი, ერთიანი და მტკიცე სახელმწიფოებრიობის ქონა იყო.

¹ რომელია მართებული: საქართველოს ტერიტორიული მონყობა თუ საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა? ორივე გამოიყენება ცალცალკე და ერთად, ვინაიდან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონყობაა მუნიციპალიტეტები, ხოლო მხარეები – მხოლოდ ტერიტორიული. ჩვენთან არსებობს მხოლოდ ადმინისტრაციული დე ფაქტო ერთეული (მაგ.: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ან ადმინისტრაცია სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე). იდეალურ მდგომარეობაში ორივე ერთადაა გამოსაყენებელი – ადმინისტრაციული-ტერიტორიული (ასეა საქართველოს კანონმდებლობაში მიღებული).

ტერიტორიული მოწყობის ფორმის მიხედვით განასხვავებენ უნიტარულ და ფედერაციულ სახელმწიფოებს. ძირითადი განსხვავება ამ ორ ფორმას შორის გამოიხატება იმით, რომ:

- უნიტარული სახელმწიფო შედგება მხოლოდ ადმინისტრაციული ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებისგან;
- ფედერაციული სახელმწიფოს ერთეულები სახელმწიფოს მსგავსი წარმონაქმნებია, სუვერენიტეტის გარეშე.

დღეისათვის მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების უმრავლესობა უნიტარულია, ფედერაციას წარმოადგენს დაახლოებით 20-ამდე სახელმწიფო.

კონფედერაცია. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის შედარებით იშვიათ ფორმაა კონფედერაცია, რომლის დროსაც სახელმწიფოს ნაწილები ფაქტობრივ სუვერენიტეტს ინარჩუნებენ. კონფედერაცია იყო აშშ 1781–1789 წლებში, შვეიცარია 1815–1848 წლებში, შვედეთი და ნორვეგია 1905 წლამდე და ა. შ.

როგორ არის მოწყობილი უნიტარული სახელმწიფო. ტერმინი „უნიტარული“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან და ქართულად „ერთს“, ერთიანს ნიშნავს. უნიტარული სახელმწიფო ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფოა, სადაც ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლება ხორციელდება და რომელიც ერთადერთი უმაღლესი ხელისუფლებაა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

უნიტარულ სახელმწიფოში მის შემადგენელ ნაწილებს, ტერიტორიულ ერთეულებს არ აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. ქვეყანაში მოქმედებს ერთი საერთო კონსტიტუცია და კანონმდებლობა.

უნიტარულ სახელმწიფოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ რაიმე პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თითოეული ერთეული, როგორც წესი, ერთნაირი სამართლებრივი სტატუსით სარგებლობს.

რას ნიშნავს ავტონომია უნიტარულ სახელმწიფოში. სახელმწიფოს უნიტარული მოწყობის დროს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს ერთნაირი სამართლებრივი სტატუსი

აქვთ, მაგრამ ეროვნული, ეთნიკური, ისტორიული და სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, შეიძლება ზოგიერთ ერთეულს უფრო ფართო თვითმმართველობის უფლება მიენიჭოს. ასეთ ერთეულებს ტერიტორიული ავტონომიები ეწოდება. ამის მიხედვით განასხვავებენ დეცენტრალიზებულ და ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოებს.

უნიტარული სახელმწიფოს, ფედერაციისა და კონფედერაციის შედარება

	უნიტარული სახელმწიფო	ფედერაცია	კონფედერაცია
ვინ იღებს გადაწყვეტილებებს	განმსაზღვრელ გადაწყვეტილებებს იღებს ქვეყანაში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.	განმსაზღვრელი გადაწყვეტილებები სფეროში, რომელიც მხოლოდ ფედერაციის კომპეტენციაში შედის, მიიღება ფედერალური ორგანოების მიერ, ხოლო ერთობლივი გაძღოლის სფეროში – ფედერაციის სუბიექტების გათვალისწინებით.	განმსაზღვრელ გადაწყვეტილებებს იღებს ქვეყანაში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

ტერიტორიული მონყობა	ერთიანი ტერიტორია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრებს ადგენს და ცვლის ცენტრი რეგიონების ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თავისებურებების მიხედვით.	ფედერაციის ტერიტორიას ქმნის მისი სუბიექტების ტერიტორია, ფედერაციის შიდა საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მისი სუბიექტების თანხმობით და კანონის მიერ დადგენილი წესით.	ერთიანი ტერიტორია არ არსებობს.
პოლიტიკური ხელისუფლების ქონა	ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ პოლიტიკური ხელისუფლება.	ფედერაციის სუბიექტებს აქვთ შეზღუდული პოლიტიკური დამოუკიდებლობა.	ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ პოლიტიკური ხელისუფლება.
პარლამენტის სტრუქტურა	ორპალატიანი ან ერთპალატიანი პარლამენტი, პალატები ყალიბდება საერთო-ეროვნული წარმომადგენლობის საფუძველზე.	ორპალატიანი პარლამენტი, ერთი პალატა – ფედერაციის სუბიექტების წარმომადგენლობა, მეორე – საერთოეროვნული წარმომადგენლობა.	ორპალატიანი ან ერთპალატიანი პარლამენტი, პალატები ყალიბდება საერთო-ეროვნული წარმომადგენლობის საფუძველზე.

კონსტიტუცია	ერთიანი კონსტიტუცია	ფედერაციის კონსტიტუცია და ფედერაციის სუბიექტების კონსტიტუციები	ერთიანი კონსტიტუცია
სასამართლოს სისტემა	ერთიანი სამართლებრივი და სასამართლო სისტემა	ფედერალური კანონმდებლობის უმაღლესობა და ფედერაციის სუბიექტების უფლება, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ საკანონმდებლო აქტები	ერთიანი სამართლებრივი და სასამართლო სისტემის არარსებობა
მოქალაქეობა	ერთიანი მოქალაქეობა	ფედერალური მოქალაქეობა და ფედერაციის სუბიექტების მოქალაქეობა	ერთიანი მოქალაქეობა
სახელმწიფოდან გასვლის საკითხი	უნიტარული სახელმწიფოს არცერთ ნაწილს სახელმწიფოდან გასვლის	ფედერაციის სუბიექტებს, როგორცნესი, არ გააჩნიათ იურიდიული და	კონფედერაციული ხელშეკრულება შეიძლება განყვეტილი იქნეს

	უფლება არ აქვს.	ფაქტობრივი უფლება, განყვიტონ ფედერალური ხელშეკრულება და გამოვიდნენ ფედერაციის შემადგენლობიდან.	მონაწილე სახელმწიფოების მიერ, მათ შორის ცალმხრივი წესითაც.
საგარეო უფლებამოსილება	სახელმწიფო სრული მოცულობით ახორციელებს საერთაშორისო საქმიანობას.	ფედერაციის სუბიექტის საერთაშორისო კონტაქტები შეზღუდულია: შეიძლება ჰქონდეთ საზღვარგარეთული წარმომადგენლობა, მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, განახორციელონ მეცნიერული და კულტურული გაცვლა.	სახელმწიფო სრული მოცულობით ახორციელებს საერთაშორისო საქმიანობას.

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის პირველსავე მუხლში ხაზგასმულია, რომ „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“. სიტყვა „განუყოფლობაში“ იგულისხმება ქვეყნის ერთიანობა, მისი უნიტარული ხასიათი.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის დროს საქართველოსთვის მიუღებლად მიიჩნიეს ფედერალიზმი რამდენიმე მიზეზის გამო:

ჯერ ერთი, საქართველო ტერიტორიულად პატარა იყო;

მეორე, ფედერალურ მოწყობას გამოორიცხავდა ისტორიულ-კულტურული ტრადიცია;

მესამე, თვლიდნენ, რომ ფედერალიზმი მიუღებელი იყო ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო. მიაჩნდათ, რომ საქართველოს პირობებში ფედერალიზმი შეიძლება გადაქცეულიყო კუთხურ პარტიკულარიზმად.

ჩანართი:

საქართველოს უნიტარულ სახელმწიფოებრივ მოწყობას მხარი დაუჭირეს სოციალისტ-ფედერალისტებმაც. 1919 წლის ივლისში ამ პარტიის წარმომადგენელი ი. ბარათაშვილი საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე აღნიშნავდა: „მე დღეს ვუჭერ მხარს უნიტარულ სახელმწიფოს, თუმცა ფედერალისტი ვარ“. მისი სიტყვებით, ეს აუცილებელი იყო, „ვიდრე ქართველი ერი არ ჩამოყალიბებულა და არ იგრძნობს თავის თავს“.

1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ავტონომიის მინიჭების საკითხი განიხილებოდა ე. წ. განაპირა მხარეებისათვის, რომელთა ინტეგრაციაც ერთიან სახელმწიფოში გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ქვეყნის უნიტარულ მოწყობას შეუთავსდა ავტონომიის პრინციპი აფხაზეთის, ბათუმის მხარისა და ზაქათალის ოლქისათვის.

იმდროინდელი საკონსტიტუციო კომისიის განმარტება:

„ფედერალიზმის საშუალებით ერთმანეთს უკავშირდებიან სრულად თანასწორი უფლებებით აღჭურვილი ერთეულები, სახელმწიფოები. თვით ამ ერთეულის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, შევიდეს ფედერაციულ კავშირში თუ არა.“

ავტონომია გულისხმობს, რომ საქმე გვაქვს ერთ მთლიან სახელმწიფოსთან და არა მრავალ სახელმწიფოსთან. ამ ავტონომიური უფლებების მინიჭების წყაროა მთლიანად საქართველოს ერი, ხალხი“.

ტერიტორიული ერთეულების თვალსაზრისით, საქართველო იყოფოდა მაზრებად. მაზრები რუსული მმართველობის პერიოდში იყო შექმნილი, მაგრამ მათი საზღვრები ძირითადად ემთხვეოდა საქართველოს ისტორიულ პროვინციებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა **დეცენტრალიზებული უნიტარული რესპუბლიკა** იყო. გარდა ავტონომიების არსებობისა, ფართო უფლებამოსილება ეძლეოდა თვითმმართველობებს, რომლებიც მმართველობის ადგილობრივ ორგანოებად განიხილებოდა.

დანართი

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია

მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

თავი 11.

ავტონომიური მმართველობა

მუხლი 107.

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

მუხლი 108.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

2. საბჭოთა საქართველოს ტერიტორიული მოწყობა

საბჭოთა პერიოდში საქართველო დაიყო რაიონებად, ასევე მის შემადგენლობაში შეიქმნა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2.1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა

საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის პერიოდში, 1921 წლის 4 მარტს გამოცხადდა აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკა. 1921 წლის 28 დეკემბერს თბილისში ხელი მოეწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით აფხაზეთი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში „შევიდა“.

1922 წლის საქართველოს პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა დაკავშირებულია საქართველოსთან მათ შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო 1927 წლის კონსტიტუციაში აღინიშნა, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა „განსაკუთრებული ხელშეკრულების“ გზით შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით – ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში.

1931 წელს აფხაზეთის საბჭოების მე-6 ყრილობის დადგენილებით, აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შევიდა.

აფხაზეთის, როგორც საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსი დადასტურდა საბჭოთა კავშირის 1936 და 1977 წლების კონსტიტუციებში, საბჭოთა საქართველოს 1937 და 1978 წლების კონსტიტუციებში, ასევე 1937 და 1978 წლებში მიღებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებში.

აფხაზეთის ასსრ-ის ფართობი იყო 8,7 ათასი კმ² (საქართველოს ტერიტორიისა – 12,5 %), მოსახლეობა 509,1 ათასი ადამიანი (1981), დედაქალაქი – ქ. სოხუმი.

აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური სურათი

1926 წლის აღწერის შედეგად აფხაზეთში 201 016 სული აღირიცხა, აქედან: 71 954 სული – ქართველი, 51 458 – აფხაზი, 25 677 – სომეხი, 12 533 – რუსი და 14 045 – ბერძენი, დანარჩენი – სხვა ეროვნებები.

1989 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობა 525 061 ადამიანს შეადგენდა, მათ შორის: ქართველები – 45,75%-ს, აფხაზები – 17,8%-ს, სომეხები – 14,6%-ს, რუსები – 14,3%-ს, ბერძენები – 2,8%-ს, უკრაინელები – 2,2%-ს და სხვ.

როგორი იყო ეთნიკური დინამიკა? 1886 წელს აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც გაანგარიშებულ იქნა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით შედგენილი საოჯახო სიების საფუძველზე, 68 773 ადამიანს შეადგენდა. აქედან მოსახლეობის ნახევარს – 34 806 ადამიანს (50,6 პროცენტს) – ქართველები შეადგენდნენ, აფხაზების რაოდენობა იყო 28 320 ადამიანი (41,2 პროცენტი), ხოლო ბერძენებისა – 2149 ადამიანი (3,1 პროცენტი). შემდეგში აფხაზეთის მოსახლეობა სწრაფად იზრდება სომხებისა და რუსების ხარჯზე, რომლებიც, ძირითადად, შემოდიან სხვადასხვა ქვეყნიდან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში – 1886–1989 წლებში – აფხაზეთში აფხაზების რაოდენობა 28,3 ათასიდან 93,3 ათასამდე გაიზარდა, ანუ 3,3-ჯერ; ქართველებისა – 34,8 ათასიდან 239,8 ათასამდე, ანუ 6,8-ჯერ; სომხებისა 1,1 ათასიდან 76,5 ათასამდე, ანუ 70-ჯერ, ხოლო რუსების რაოდენობა 1,2 ათასიდან 74,9 ათასამდე გაიზარდა, ანუ 62,4-ჯერ.

აფხაზეთში ქართველების რაოდენობის ზრდა ამ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ძირითადად, მოხდა ბუნებრივი მატების შედეგად (ქართველთა დაბადების მაჩვენებელი 103 წლის განმავლობაში ყოველწლიურად შესამჩნევად სჭარბობდა გარდაცვალების მაჩვენებელს). რაც შეეხება რუსებსა და სომხებს, რა თქმა უნდა, ერთი საუკუნის განმავლობაში შეუძლებელი იყო მათი რაოდენობის 62-ჯერ და 70-ჯერ გაზრდა – რუსები-

სა და სომხების დიდი უმრავლესობა დაბადებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ.¹

2.2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს თურქეთი შეეცადა ბათუმის მიტაცებას, მაგრამ საქართველოს ჯარმა 18–20 მარტის ბრძოლების შედეგად განდევნა თურქები ბათუმიდან.

ბათუმის თურქების მიერ დაპყრობა არც საბჭოთა რუსეთს აწყობდა, ამიტომ ეს ტერიტორია საბჭოთა საქართველოს შეუნარჩუნა თურქეთთან მოლაპარაკებების დროს. 1922 წელს გაფორმებული ყარსის ხელშეკრულების ძალით თურქეთი საქართველოს „უთმობდა“ სუვერენიტეტს ბათუმზე იმ პირობით, რომ ამ მხარეს ავტონომია მიენიჭებოდა.

1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით, საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა აჭარის ავტონომია, თუმცა აჭარამ, როგორც ავტონომიურმა რესპუბლიკამ, თავისი პირველი კონსტიტუცია მხოლოდ 1937 წელს მიიღო. ბოლო საბჭოთა კონსტიტუცია აჭარაში 1978 წლის 26 მაისს მიიღეს.

ფართობი შეადგენდა 2900 კვ. კმ-ს, მოსახლეობა – დაახლოებით 334 ათასს.

2.3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით 1922 წლის 22 აპრილს გამოცხადდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა. ეს გადაწყვეტილება დაადასტურა ოკუპირებული საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამაც დეკრეტით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“.

სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე თვითნებურად მოექცა ქართველებით დასახლებული რაიონები, ოლქის შექმნა კი სერიოზულ პრობლემად გადაიქცა საქართველოსთვის.

¹ ანზორ თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა, <http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2013&art=9568>

ფართობი იყო 3,8 ათასი კმ² (საქართველოს ტერიტორიის 5,4%); მოსახლეობა – 97,4 ათასი ადამიანი (1981); ცენტრი – ქ. ცხინვალი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (1989 წელი)

მთელი მოსახლეობა – 98 527

ოსი – 65 232 (66,2%)

ქართველი – 28 544 (29,9%)

რუსი – 2 128 (2,1%)

სომეხი – 984 (1,0%)

სხვა ეროვნებანი – 639 (1,7%)

საბჭოთა საქართველოს ტერიტორიული მონყობა 1980-იან წლებში

საბჭოთა მმართველობის არსებობის ბოლოსთვის – 1989 წელს საქართველოში იყო ორი ავტონომიური რესპუბლიკა, ერთი ავტონომიური ოლქი, 69 რაიონი. აქედან ოთხი ქალაქი: ქიათურა, ტყიბული, წყალტუბო და გაგრა საბჭოებზე დამოკიდებულ ტერიტორიებად ითვლებოდა და რაიონის სტატუსი ოფიციალურად არ ჰქონდა. ცალკე ერთეულად ითვლებოდა ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, გორი, ფოთი, ზუგდიდი და ტყვარჩელი. 4488 სოფელი (ამ სოფლებიდან 174 დაუსახლებელი იყო) გაერთიანებული იყო 942 სასოფლო საბჭოში.

3. საქართველოს ტერიტორიული მონყობის საკითხი პოსტსაბჭოთა პერიოდში

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ტერიტორიული მონყობის საკითხის გადაწყვეტა გაართულა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული რეჟიმების ჩამოყალიბებამ, რაშიც გადამწყვეტი როლი გარეშე ძალების – ჯერ სსრკ ხელისუფლების, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერამ შეასრულა.

3.1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება

1990 წელს სამხრეთ ოსეთის ოლქის საბჭოურმა მმართველობამ მოსკოვიდან მითითებით გამოაცხადა ოლქის „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად“ გარდაქმნა, იმავე წლის 9 დეკემბერს კი ჩაატარეს სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფოს“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

1990 წლის 11 დეკემბერს, როგორც ოსურ სეპარატიზმზე საპასუხო ზომა, იმდროინდელმა უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მიღებულ იქნა კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“.

3.2. მოვლენათა განვითარება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

მოსკოვი ყოველნაირად ხელს უწყობდა სეპარატიზმის გაღვივებას აფხაზეთში.

მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა:

1988 წლის ნოემბერი – შეიქმნა აფხაზეთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“, რომელიც უკიდურესად ანტიქართული განწყობილებით გამოირჩეოდა.

1989 წლის 18 მარტი – „აიდგილარას“ ინიციატივით მიღებულ იქნა ე.წ. „ლიხნის მიმართვა“, რომელიც აფხაზეთის საქარველოდან გამოყოფას მოითხოვდა.

1989 წლის ივლისი – ე.წ. „ლიხნის მიმართვა“ მოჰყვა ტრაგედია სოხუმში, როდესაც სეპარატისტები თავს დაესხნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს, რამაც ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია.

1989 წლიდან დაიწყო აფხაზეთში ქართველთა მომავალი ეთნიკური წმენდის მოსამზადებელი პერიოდი. საბჭოთა კავშირის უშიშროების საკავშირო სამსახურის მიერ შექმნილი „კავკასიის ხალხთა კონფედერაცია“ აფხაზეთს აცხადებს მის ნაწილად, ხოლო ე. სოხუმს – კონფედერაციის დედაქალაქად.

1990 წლის დეკემბერი – აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბლოკ „სოუზის“ ერთ-ერთი ლიდერი ვ. არძინბა, რომელიც თავისი ანტიქართული პოზიციით იყო ცნობილი.

რუსული სეპარატისტული აგრესიის შესაკავებლად ქართული მხარე მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა: **1991 წლის 9 ივლისს** მიღებულ იქნა აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი. ამ კანონის მიხედვით, აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაეთმო უმცირესობას:

- მოსახლეობის **47 %** (ქართველები) პარლამენტში წარმოდგენილ იქნა **26** დეპუტატით;
- **17 %** (აფხაზები) – **28** დეპუტატით;
- დანარჩენი (სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობა) – **11** დეპუტატით;

ამავე კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე – ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დანიშნებოდა ქართველი. ამ დათმობების მიუხედავად, აფხაზეთის ასსრ-ის ხელმძღვანელობა უამრავ არაკანონიერ ქმედებას ახორციელებდა, იღებდა ანტიკონსტიტუციურ სამართლებრივ აქტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე იურიდიული ძალის არმქონედ და გაუქმებულად გამოცხადდა საქართველოს კანონები. სეპარატისტული „კანონშემოქმედებით“ საქმიანობის უკანასკნელი გამოვლინება იყო **1992 წლის 23 ივლისს** აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, შეწყდა აფხაზეთის ასსრ-ის **1978 წლის** კონსტიტუციის მოქმედება და აღდგენილ იქნა აფხაზეთის სსრ **1925 წლის** კონსტიტუცია.

1991 წლის ოქტომბერი – 1992 წლის პირველი ნახევარი – აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, სეპარატისტულად განწყობილი დეპუტატების მეშვეობით უბრალო უმრავლესობით იღებს მთელ რიგს ანტიკონსტიტუციური დადგენილებებისას, მათ შორის გადა-

წყვეტილებას ე.წ. აფხაზური „გვარდიის“ შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციასთან.

1992 წლის 25 ივლისი – საქართველოს სახელმწიფო საბჭომ სპეციალური დადგენილებით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 20 გადაწყვეტილება უკანონოდ გამოაცხადა.

1992 წლის პირველი ნახევარი – უსაფრთხოების თვალსაზრისით შეიქმნა მეტად სავალალო სიტუაცია აფხაზეთში არსებული სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემებთან დაკავშირებით.

1992 წლის 14 აგვისტო: აფხაზეთში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების შემდეგ, საქართველოს შინაგანი ჯარებისა და სამხედროების შეზღუდული კონტინგენტი გადაადგილდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. სეპარატისტულმა ბანდფორმირებებმა ქართულ შენაერთებს ცეცხლი გაუხსნეს. პირველი შეტაკებები მოხდა ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში; სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ქართული შენაერთები სოხუმის შემოგარენში დაბანაკდნენ; ვ. არძინბას ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე სეპარატისტულმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მობილიზაცია გამოაცხადა და შეიარაღებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა დაიკავეს სოხუმის სტრატეგიული პუნქტები; ასე დაიწყო **1992 წლის 1992–1993 წლის** საომარი მოქმედებები აფხაზეთში.

18 აგვისტო: ვ. არძინბას სეპარატისტულმა ხელისუფლებამ დატოვა სოხუმი; ქართული შენაერთები შევიდნენ სოხუმში; კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ, რომელიც შექმნილი იყო რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, მიიღო გადაწყვეტილება, „ბოევიკები“ გააგზავნოს აფხაზეთში.

1992 წლის 19 აგვისტო: სეპარატისტებმა დატოვეს გაგრა და იქ ქართული შენაერთები განლაგდნენ.

1992 წლის 3 სექტემბერი: მოსკოვში რუსეთის შუამავლობით ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორების შესახებ.

1992 წლის 5–30 სექტემბერი: ქართულმა მხარემ შეასრულა შეთანხმება და მის საფუძველზე გაგრის ზონიდან გაიყვანა შეიარაღებული შენაერთები.

1992 წლის ოქტომბერი: სეპარატისტულმა შენაერთებმა დაარღვიეს შეთანხმება და მთიელ ხალხთა კონფედერაციის „ბოევიკებთან“ ერთად, რომლებსაც სამხედრო ტექნიკითა და სამხედრო-საზღვაო ფლოტით მხარს უჭერდა რუსეთი, აღებულ იქნა გაგრა.

1992 წლის ნოემბერი – 1993 წლის მაისი: რუსეთის სამხედრო რესურსების დახმარებით აფხაზი სეპარატისტები აკონტროლებენ გაგრისა და ტყვარჩელის ზონებს, გუდაუთის რაიონს. რუსეთის შეიარაღებული ძალების სპეცდანიშნულების რაზმების მეშვეობით, აფხაზი სეპარატისტები და დაქირავებული „ბოევიკები“ რეგულარულად ახორციელებენ მასირებულ შეტევებს აფხაზეთის დანარჩენ რაიონებზე. 1993 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც პირველად დაადასტურა რუსეთი აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის ხელშეწყობაში. შესაბამისი მიმართვა გაეგზავნა გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელშიც რუსეთის ქმედებები შეფასდა როგორც აგრესია, რაც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასა და მისი დამოუკიდებლობის ხელყოფას.

1993 წლის 27 ივლისი: ქ. სოჭში რუსეთის შუამავლობით დაიდო შეთანხმება „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მასზე კონტროლის მექანიზმის შემუშავების შესახებ“.

1993 წლის 1–20 აგვისტო: ქართულმა მხარემ მთლიანად შეასრულა შეთანხმება: მდ. გუმისთის მონაკვეთზე დატოვა მხოლოდ ორი სამეთვალყურეო პუნქტი, დაიწყო ბატალიონების დაშლა, ფოთის მიმართულებით გაიყვანა მძიმე ტექნიკა.

1993 წლის 1–15 სექტემბერი: აფხაზეთში, განსაკუთრებით სოხუმში, მასობრივად ბრუნდება დევნილი მოსახლეობა. იწყება სასწავლო წელი. ქალაქში მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

1993 წლის 16 სექტემბერი: სეპარატისტებმა დაარღვიეს სოჭის შეთანხმება და რუსეთის სამხედრო ნაწილების დახმარე-

ბით დაინყეს მასობრივი შტურმი პრაქტიკულად განიარაღებულ სოხუმზე. იერიში, ძირითადად, ხორციელდებოდა სოხუმის მშვიდობიან მოსახლეობაზე.

1993 წლის 27 სექტემბერი: რუსეთის შეიარაღებული ძალების, ჩრდილო კავკასიის კონფედერანტებისა და დაქირავებული „ბოვეიკების“ მეშვეობით, აფხაზი სეპარატისტების მიერ აღებულ იქნა ქ. სოხუმი.

1993 წლის 30 სექტემბერი: რუსეთის სამხედრო რესურსებისა და დაქირავებული რაზმების ხელშეწყობით, სეპარატისტებმა მოახდინეს აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია.

1993 წლის 27 სექტემბერი – ოქტომბერი: დაიწყო ქართული მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა; აფხაზეთი თითქმის დაიცალა ქართული მოსახლეობისაგან, რის შედეგად 350 ათასზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა; განხორციელდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, რაც დადასტურებულ იქნა ეუთო-ს 1994 წლის ბუდაპეშტის, 1996 წლის ლისაბონისა და 1999 წლის სტამბოლის სამიტების რეზოლუციებში.

3.3. დისკუსია ქვეყნის ტერიტორიულ მონყობასთან დაკავშირებით 1995 წლის კონსტიტუციის მიღების წინ

1995 წლის კონსტიტუციის შემუშავების პერიოდში საკონსტიტუციო კომისიას სხვადასხვა ორგანიზაციამ წარუდგინა კონსტიტუციის 12 პროექტი. მათგან 5 საქართველოს უნიტარულ რესპუბლიკად აცხადებდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსით. 7 პროექტი ითვალისწინებდა სამხარეო დაყოფას, აქედან ერთი (სახალხო პარტია) საქართველოს ფედერაციულ რესპუბლიკად აცხადებდა.

1995 წლის კონსტიტუციის შემუშავების წინა პერიოდში სახელმწიფო მეთაურის (ე.ი. შევარდნაძის) სახელით წარმოდგენილ იქნა პროექტი, რომლის თანახმად, საქართველო ფედერაციული რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო. მის სუბიექტებად იგულისხმებოდნენ: აფხაზეთი, აჭარა, ცხინვალის თვითმმართველი ოლქი და მხა-

რეები, რომლებიც პროექტში განსაზღვრული არ იყო. აფხაზეთისა და აჭარის კონსტიტუციებს შეიმუშავებდნენ და საქართველოს პარლამენტის მიერ მოწონების შემდეგ დამატაცივებდნენ აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები. ცხინვალის ოლქის თვითმმართველობის ფარგლები უნდა განსაზღვრულიყო საქართველოს რესპუბლიკის ორგანულ კანონში ოლქის შესახებ და ამ ოლქის წარმომადგენლობით ორგანოს მიერ მიღებულ წესდებაში.

დამახასიათებელია შევარდნაძის მიდგომა, რომელიც ფედერალიზმზე საუბრობდა როგორც იძულებით გადასადგმელ ნაბიჯზე: „ძალიან დიდი და, სიმართლე გითხრათ, მძიმე ანალიზის შემდეგ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ სრულიად საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაში გათვალისწინებული უნდა იყოს ფედერალური საფუძვლები.“ შევარდნაძის განცხადებით, აფხაზეთის პრობლემა რომ არ არსებულებოდა, „შეიძლება არც გაჩენილიყო ფედერალიზმის იდეა“.¹

ოპოზიციის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ თავისთავად ფედერაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფოს მოწყობის საუკეთესო ფორმად, საქართველოსთვის კი ფედერალიზმი წარმოდგებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესის წინააღმდეგ მიმართულ აქტად. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გ. ნანეიშვილმა პარლამენტის სხდომაზე ამ იდეას „ფედერალიზმის შხამი“ უწოდა, აკაკი ბაქრაძის თქმით კი, „საქართველოს ფედერალური დანაკუნებით ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას ვკლავთ“.²

ოპოზიცია აღნიშნავდა, რომ საქართველოს ფედერაციული მოწყობა კი არ გაანეიტრალებდა სეპარატისტულ ტენდენციებს, არამედ პირიქით, დამატებით პრობლემებს შექმნიდა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას არეგულირებს 1995 წლის კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3

¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წ., 1 ივლისი.

² გაზ. „კავკასიონი“, 1995 წ., 30 მაისი.

პუნქტი. ამ კონსტიტუციური ნორმის თანახმად: „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“.

ამ ჩანაწერით კონსტიტუციურმა კანონმდებელმა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა დროებით ღიად დატოვა. როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, ამით ხელისუფლება უფრო თავისუფალი იქნებოდა, სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმებთან მოლაპარაკების გზით განესაზღვრა ამ რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში. მაგრამ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია.

3.4. საქართველოს ტერიტორიული მოწყობა თანამედროვე ეტაპზე

ფორმულირება – საქართველოს ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ – უცვლელადაა გამეორებული საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციაში (მუხლი 7 – „ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები“, პუნქტი 3).

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოგვარების გზად გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს ესახებათ ქვეყნის ფედერაციული მოწყობა, ზოგიერთები კონფედერაციული მოწყობის იდეასაც აყენებენ, მაგრამ ტერიტორიული მოწყობის ამგვარ ფორმებს ბევრი მონინალმდევე ჰყავს, რომელთა აზრითაც ქვეყნის ფედერალიზაცია და, მითუმეტეს, კონფედერაცია მცდარი, საქართველოს დაშლისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დღეს უკვე ღიადაა რუსეთის მიერ ოკუპირებული, ამასთან, ცხადია, მოსკოვს არ უნდა ოკუპაციის ფაქტის აღიარება და ამ ტერიტორიებს „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად წარმოადგენს, მათი ვითომდა ლიდერები კი აცხადებენ, რომ თავიანთ „დამოუკიდებლობას“ ისინი „არ დათმობენ“.

კონსტიტუციით განსაზღვრულია საკითხთა ის წრე, რომლებიც მიეკუთვნება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას (2017 წლის კონსტიტუციის პროექტით, მუხლი 7, პუნქტი 1) .

ტერიტორიული მოწყობის ფაქტობრივი გადაწყვეტა კი დღეისათვის შემდეგნაირად გამოიყურება: საქართველო დაყოფილია მუნიციპალიტეტებად, რომელთა საზღვრები ემთხვევა ძველ სარაიონო დაყოფას.¹ მუნიციპალიტეტები ერთიანდებიან მხარეებად, რომლებშიც დანიშნულია პრეზიდენტის რწმუნებულები. ადგილობრივ დონეზე შექმნილია თვითმმართველი ერთეულები – მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი ქალაქები.

ასევე კონსტიტუციურად აღიარებულია აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების არსებობა. ორივეს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა და სიმბოლოები.

საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციაში აღნიშნულია: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“. (მუხლი 7, პუნქტი 2)

ავტონომიური რესპუბლიკა – სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელსაც გააჩნია ტერიტორია, კონსტიტუცია და კანონმდებლობა, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, სასამართლო და სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტიკა. ამავდროულად იგი არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

¹ 2005 წლის 15 დეკემბერს მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რომელიც ამოქმედდა 2006 წლის ოქტომბერში, საქართველოში რაიონული დაყოფა აღარ არსებობს. ნაცვლად ამისა, შემოღებულია მუნიციპალიტეტები. ასევე გაუქმებულია სოფლის საკრებულოსა და გამგებლის ინსტიტუტი.

3.5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით, რომელიც აჭარას ავტონომიურ რესპუბლიკად აცხადებს:

აჭარაში ასლან აბაშიძის მმართველობის შეცვლის შემდეგ მოხსნილია პრობლემები ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობის თვალსაზრისით. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომელიც 2004 წლის 1 ივლისს იქნა მიღებული, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აცხადებს საქართველოსგან განუყოფელ ტერიტორიულ ერთეულად.

დანართი

საქართველოს კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ (2004 წლის 1 ივლისი)

მუხლი 2.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ახორციელებს ამ კანონით განსაზღვრულ და ამ კანონით დადგენილი წესით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6.

3. დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილების დელეგირება.

მუხლი 10.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 18 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 12 დეპუტატისაგან.

მუხლი 12.

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის თანხმობით დაითხოვოს აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას ანდა იგი ვერ ახორციელებს ამ კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, თუ მან ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა.

მუხლი 15.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

3.6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით, რომელიც აფხაზეთს ავტონომიურ რესპუბლიკად აცხადებს:

კონსტიტუცია (ამჟამად ძალაშია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის 6 ივნისის კონსტიტუციის 2000 წლის 8 დეკემბერს მიღებული ახალი რედაქციით) აფხაზეთს აცხადებს საქართველოს შემადგენლობაში მყოფ ავტონომიურ ერთეულად.

აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო – აფხაზეთის მთავრობა.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე არის აფხაზეთის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო.

აფხაზეთის კონსტიტუცია არ შეიცავს ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული, ექსკლუზიური კომპეტენციების ჩამონათვალს.

დანართი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის 6 ივნისის კონსტიტუცია 2000 წლის 8 დეკემბრის ცვლილებებით

მუხლი 1.

1. აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეული, რომლის პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 3.

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია.

2. აფხაზეთის კონსტიტუცია შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას. აფხაზეთის ყველა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებს.

მუხლი 70.

1. აფხაზეთის სახელმწიფო ენებია ქართული და აფხაზური.

2. აფხაზეთის ხელისუფლება ზრუნავს ქართული და აფხაზური ენების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

მუხლი 71.

აფხაზეთის ტერიტორიაზე სავალდებულოა საქართველოს კანონების შესრულება.

მუხლი 93.

1. აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 95.

1. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო თავის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის სამ მოადგილეს. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მუხლი 111.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭო – აფხაზეთის მთავრობა – აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა.

3.7. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული

2007 წლის 13 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“. მის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით და საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნა დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. ეს იყო დეკონცენტრირებული სახელმწიფო მმართველობის ფორმა.

დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ადმინისტრაციის უფლებამოსილებათა ფარგლები და საქმიანობის წესი განი-

საზღვრა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. ამ ადმინისტრაციის ძირითადი ფუნქციები უკავშირდებოდა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას.

2008 წლის აგვისტოს ომმა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხი სულ სხვა სიბრტყეში გადაიტანა და დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ხსენებაც ქართულ პოლიტიკაში გაქრა.

3.8. სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტი

1993 წლიდან საქართველოში შემოღებულია სამხარეო რწმუნებულის ინსტიტუტი. დღეისათვის საქართველოს 9 ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში – მცხეთა-მთიანეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში მოქმედებენ სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები. კონსტიტუციის 2004 წლის 6 თებერვლის რედაქციით მათ პრემიერმინისტრთან კონსულტაციის შემდეგ თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი. კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის მიხედვით, ეს უფლებამოსილება მთავრობაზეა გადასული: „მთავრობა უფლებამოსილია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში დანიშნოს სახელმწიფო რწმუნებულები“ (მუხლი 54-7).

სახელმწიფო რწმუნებულის ძირითადი ფუნქციებია:

- ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს კანონებისა და ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი და კოორდინაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება;
- მთავრობის დავალებით საქართველოს სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია.

სახელმწიფო რწმუნებული თავის საქმიანობას ახორციელებს ადმინისტრაციის მეშვეობით, რომლის საჯარო მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო რწმუნებული.

საქართველოში სამხარეო რწმუნებულის ინსტიტუტის არსებობა შეგვიძლია განვიხილოთ ნაბიჯად დეკონცენტრირებული სამხარეო მმართველობის შემოღებისკენ.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველო შეიძლება განისაზღვროს როგორც დეცენტრალიზებული ასიმეტრიული უნიტარული სახელმწიფო.

მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაცია დამახასიათებელია როგორც უნიტარული, ისე ფედერაციული სახელმწიფოებისთვის. დეცენტრალიზაცია გულისხმობს ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლებისაგან სტრუქტურულად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეულების არსებობას.

ასიმეტრიული ტერიტორიული მოწყობის დროს ერთი და იმავე დონის ტერიტორიული ერთეულების სტატუსი და უფლებამოსილებები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

თანამედროვე საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

მხარე/ავტონომიური რესპუბლიკა	ფართობი (კმ2)	მოსახლეობა	ადმ. ცენტრი
თბილისი	1 277	1 240 000	თბილისი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	8 700	517 500	სოხუმი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	2 900	376 000	ბათუმი
გურიის მხარე	2 033	143 400	ოზურგეთი
იმერეთის მხარე	6 552	700 000	ქუთაისი
კახეთის მხარე	11 310	407 200	თელავი
მცხეთა-მთიანეთის მხარე	6 785	125 400	მცხეთა

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე	4 954	51 000	ამბროლაური
სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარე	7 441	466 100	ზუგდიდი
სამცხე-ჯავახეთის მხარე	6 413	207 600	ახალციხე
ქვემო ქართლის მხარე	6 528	497 500	რუსთავი

http://www.cegstar.ge/index.php?sec_id=84&lang_id=GEO

4. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი

4.1. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ

მუხლი 5.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრის შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

4.2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ

მუხლი 70

საქართველოს სსრ ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. საქართველოს სს რესპუბლიკასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირმა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიული მთლიანობის შესახებ

მუხლი 75.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორია ერთიანია და შეიცავს მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებს.

სსრ კავშირის სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ მის ტერიტორიაზე.

მუხლი 78.

მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირმა.

4.3. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ

მუხლი 1.

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით...

მუხლი 2.

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციით და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საქართველოს სა-

ხელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოს-თან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (1991 წელი) ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ მუხლი 1....

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია.

5. კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარა სოხუმისა და ცხინვალის რეჟიმები. ამ მოვლენას მოსკოვისა და მისი მარionეტების მხრიდან უხვად გამოყენებული მაღალფარდოვანი სიტყვები რომ ჩამოვაცვილოთ, დაგვრჩება ის, რის შენიღბვასაც რუსეთი ცდილობს – საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის დაკანონების მცდელობა, ამ ტერიტორიების რუსეთთან მიერთების „პერსპექტივით“.

შეიძლება ითქვას, რომ, მოსკოვის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მსოფლიომ რუსეთის მიერ შექმნილი „დამოუკიდებელი“ ქვეყნები არ მიიღო და აღიარების პოლიტიკიდან ბევრი არაფერი გამოვიდა. მსოფლიოსათვის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებული ტერიტორიებია და რუსეთს მოუნოდებენ დეოკუპაციისაკენ, კონკრეტულად კი 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულებას. მოსკოვი ამის გაკეთებას არ აპირებს, მით უმეტეს, რომ მსოფლიოში არც არავინ აპირებს მასზე ზეგავლენის მოხდენას. ეს აძლევს მოსკოვს იმის იმედს, რომ დროთა განმავლობაში მსოფლიო შეურიგდება მის მიერ ომის შედეგად შექმნილ „ახალ რეალობას“.

ზოგი თვლის, რომ „კოსოვოს პრეცედენტის“ კავკასიაში გამოყენებით მოსკოვმა სამომავლოდ სერიოზული პრობლემები მიიღო. ტერიტორიული ნგრევა თანამედროვე მსოფლიოში თუ ვინმეს ემ-

უქრება, ერთ-ერთი პირველი ამ სიაში თავად რუსეთია. მოსკოვი ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერჯერობით სამხედრო-ძალისმიერი მეთოდებით ახერხებს სიტუაციის გაკონტროლებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამომავლოდაც ასე იქნება. რუსეთის ხელისუფლებას აშკარად უჭირს იმის დასაბუთება, თუ რატომ შეიძლება „დამოუკიდებლობა“ აფხაზეთისთვის და არ შეიძლება ჩეჩნეთისათვის ან თათრეთისათვის.

რუსეთმა სოხუმისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობის“ აღიარებით ჩიხში შეიყვანა საქართველოსთან ურთიერთობა. რა ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს საქართველოში, მოსკოვს მოუწევს მასთან საუბრის დაწყება სწორედ ამ თემაზე. საქართველოსთვის სათქმელი კი მოსკოვში ბევრი არაფერი აქვთ.

5.1. არალიარების პოლიტიკიდან ოკუპაციის აღიარების პოლიტიკამდე

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა საქართველოს ორი, მის მიერ ოკუპირებული რეგიონი „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად გამოაცხადა, საქართველოს უმთავრესი საგარეოპოლიტიკური ამოცანა ამ ტერიტორიების „დამოუკიდებლობის“ არალიარების მიღწევა იყო. საერთაშორისო საზოგადოებრიობა დადგა სამართლიანობის მხარეზე და რუსეთის მიერ აღიარებული „სუვერენული“ სახელმწიფოები, მიუხედავად მოსკოვის დიდი ძალისხმევისა, მხოლოდ რამდენიმე მარგინალურმა ქვეყანამ ცნო.

„არალიარების“ პოლიტიკის წარმატების შემდეგ საქართველოს მომდევნო ამოცანა იყო საერთაშორისო დონეზე რუსეთის მიერ საქართველოში დაკავებული ტერიტორიების ოკუპაციის ფაქტის აღიარების მიღწევა.

2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტმა შავი ზღვის ქვეყნების შესახებ ახალი სტრატეგია დაამტკიცა. მას საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოაჩნდა. ეს არის პირველი დოკუმენტი, რომელშიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ სიტყვა „ოკუპაცია“ ოფიციალურად ჩაინერა. ქართველ ექს-

პერტა განცხადებით, ამით კიდევ უფრო მყარდება სამართლებრივი ნიადაგი დეოკუპაციისათვის.

ალსანიშნავია, რომ ერთი წლის წინ, 2010 წლის 20 მაისს, როდესაც ევროპარლამენტმა სამხრეთ კავკასიაზე რეზოლუცია მიიღო, საბოლოო ტექსტში გაქრა რეზოლუციის პროექტში ნახსენები ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები“ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებით.

2011 წლის 20 იანვარს ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციის, რომელიც ევროპარლამენტის რუმინელი დეპუტატისა და ევროპის სახალხო პარტიის წევრ ტრაიან უნგურენუს მოხსენებაზე დაყრდნობით მომზადდა, 32-ე მუხლში ნათქვამია, რომ „ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები ყოველდღიურად ხდება ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში“ და მოუწოდებს ევროკავშირს, „აქტიური რეაგირება მოახდინოს შავი ზღვის რეგიონში მომხდარ ადამიანის უფლებათა თითოეულ დარღვევაზე“. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს (24-ე მუხლი) უსაფრთხოების პოლიტიკისა და საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელ კეტრინ ეშტონს, „გააძლიეროს ზენოლა რუსეთზე, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, საქართველოსთან კონფლიქტის მოგვარებისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით“.

ამ რეზოლუციას საქართველოს საგარეო უწყება მაშინვე გამოეხმაურა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, რომ: „ევროპარლამენტი თავის რეზოლუციაში პირველად ადგენს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ სტატუსს, როგორც ოკუპაციას. ამავდროულად საუბრობს იმაზე, რომ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყოველდღიურად აქვს ადგილი ადამიანის უფლებათა დარღვევას და მოუწოდებს ევროკავშირის სპეციალურ სტრუქტურებს, ყოველი ამ ფაქტის აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინონ. შესაბამისად, ჩვენ უაღრესად გახარებულები ვართ ასეთი რეზოლუციის მიღებით. განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ ეს სამი მიმართულება ექსპლიციტურად აისახა დოკუმენტში“..

საქართველოში მიაჩნიათ, რომ ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია ხელს შეუწყობს ისეთი სამართლებრივი შეფასებების დამკვიდრებას, როგორც არის საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია. ამ ტერმინის გამოყენება კი ქმნის საერთაშორისო პოლიტიკურ და სამართლებრივ ნიადაგს დეოკუპაციისათვის.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მე-3 წლისთავის წინ, 2011 წლის 29 ივლისს აშშ-ის სენატმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ“ რეგიონებად აღიარებს. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მაშინვე მიესალმნენ ამ რეზოლუციას, როგორც აშშ-ის მხარდაჭერის დადასტურებას და საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციისა და შემდგომი ნაბიჯების „სოლიდურ და მყარ საფუძველს“.

რეზოლუცია დემოკრატია სენატორმა ჯინ შაჰინმა და რესპუბლიკელმა სენატორმა ლინდსი გრეჰემმა წარადგინეს. ორივე სენატორი ვაშინგტონში არსებული საერთაშორისო პოლიტიკის კვლევით ცენტრში, „ატლანტიკურ საბჭოში“, საქართველოს საკითხზე მომუშავე სპეციალური ჯგუფის თანათავმჯდომარეები არიან. მიღებულმა რეზოლუციამ მცირედი ცვლილება განიცადა იმ თავდაპირველი პროექტისგან, რომელიც 2010 წლის დეკემბერში სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს წარედგინა. თუმცა მთლიანობაში დოკუმენტის არსი უცვლელია და მოუწოდებს რუსეთს, თავისი შეიარაღებული ძალები 2008 წლის აგვისტოს ომამდე არსებულ პოზიციებზე დააბრუნოს. ერთ-ერთი ცვლილება, რომელიც ახალ ტექსტშია, ეხება სეპარატისტული რეგიონების ხელისუფლებათა მიმართ გამოყენებულ ტერმინებს. თუ რეზოლუციის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში გამოყენებული იყო ტერმინი „დე ფაქტო“, დამტკიცებულ ტექსტში ეს ტერმინი შეცვლილია და მის მაგივრად გამოყენებულია „მაკონტროლებელი ძალაუფლება“ – სწორედ ამ ტერმინით იხსენიებს სოხუმისა და ცხინვალის ხელისუფლებებს საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სახელმწიფო სტრატეგია.

„დღეს სენატმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა ერთხმად გამოხატა“, – განაცხადა სენატორმა შაჰინმა 29 ივლისს. მისი შეფასებით, სიტუაცია „მყიფე და მოუგვარებელი რჩება, რადგანაც რუსულ შეიარაღებულ ძალებს კვლავ ოკუპირებული აქვთ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონები.“

რეზოლუცია ადასტურებს, რომ „საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობისადმი მხარდაჭერა, ასევე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებად აღიარება შეერთებული შტატების პოლიტიკის ნაწილია“. რეზოლუცია მოუწოდებს მოსკოვს, ცხინვალსა და სოხუმს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს და საერთაშორისო მისიებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სრული და ღირსეული დაბრუნების საშუალება მისცენ.

საერთაშორისო დონეზე საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის ფაქტის დაფიქსირება მნიშვნელოვანი წარმატებაა, მაგრამ მას, ცხადია, არ მოჰყვება პირდაპირი შედეგი – ამ ტერიტორიების დეოკუპაცია. საერთაშორისო მხარდაჭერა დღევანდელ ეტაპზე ამას ვერ უზრუნველყოფს. თუმცა მოსკოვი შესაძლოა, იძულებული გახდეს, გადადგას გარკვეული ნაბიჯები თუნდაც დევნილი მოსახლეობის დაბრუნებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვების თვალსაზრისით.

ოკუპირებული ტერიტორიების არსებობის დაფიქსირება შემაკავებელი ბარიერის როლს შეასრულებს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის შესაძლო ახალ აგრესიულ გეგმებთან მიმართებითაც.

5.2. საქართველოს სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით

ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით საქართველოს მიღებული აქვს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი – ერთია კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (2008 წლის 23 ოქტომბე-

რი), მეორე – სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით. ეს ორი დოკუმენტი, გარკვეულწილად, ერთმანეთს ენიინალმდეგება: პირველი ამ ტერიტორიების იზოლაციას გულისხმობს, მეორე ჩართულობას, თუმცა ორივე მათგანის რეალიზება სერიოზულ პრობლემებს აწყდება და ხელისუფლებას გზადაგზა უხდება გარკვეული კორექტივების შეტანა თავის სამოქმედო გეგმაში.

კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ითვალისწინებს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალი გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით კი ბევრ რამეს დასაშვებად მიიჩნევს, რასაც პირველი კანონი კრძალავს.

სხვაობა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონსა და სამოქმედო სტრატეგიას შორის გასაგებია. ოკუპირებული ტერიტორიების საქართველოსგან იზოლაციას რუსეთი აქტიურად ცდილობს და საქართველოს არ შეუძლია რუსეთის ამგვარი პოლიტიკის შეჩერება. საქართველოს ინტერესებში შედის კავშირების შენარჩუნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ მოსახლეობასთან. სწორედ ამაზეა გათვლილი სამოქმედო სტრატეგია. მაგრამ სტრატეგიის რეალიზებაც ფაქტობრივად საოკუპაციო ძალის – რუსეთის – კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. შედეგად, სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ფაქტობრივად უმოქმედო აღმოჩნდა.

5.3. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა

„ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში“ ჩამოყალიბებულია კონკრეტული ზომები ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სტრატეგიის განსახორციელებლად. სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებსა და იქ მცხოვრებ ადამიანებთან კავშირების შენარჩუნება-განმტკიცებას ითვალისწინებს. ამ სტრატეგიას ინონებენ დასავლეთში, მაგრამ უარყოფენ ცხინვალისა და სოხუმის

არსებული რეჟიმები. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებს, რომ სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდება.

სამოქმედო გეგმა, რომელიც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში მომზადდა, ოთხ მიმართულებას მოიცავს: ჰუმანიტარულს, ადამიანურს, სოციალურსა და ეკონომიკურს. ამ სფეროებში პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად კი სამოქმედო გეგმა 7 მექანიზმის შემოღებას ითვალისწინებს, ესენია: ნეიტრალური სტატუსის მქონე საკოორდინაციო მექანიზმი; პირადობის ნეიტრალური მოწმობა და სამოგზაურო დოკუმენტი; ნდობის ფონდი; ერთობლივი საინვესტიციო ფონდი; თანამშრომლობის სააგენტო; ფინანსური ინსტიტუტი და ინტეგრირებული სოციალურ-ეკონომიკური ზონა. ყველა ეს ინსტრუმენტი მოემსახურება და უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმაში ასახული პროექტების განხორციელებას და ეფუძნება ადგილზე არსებულ რეალურ საჭიროებებსა და ადგილობრივი ინიციატივების პრიორიტეტულობის პრინციპს.

ითითებული ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმებიდან ისეა ჩაფიქრებული, რომ გამოხატავდეს რიგითი ადამიანების ინტერესებს და, წესით, მათ რეალიზებას, საბოლოო ჯამში, წინააღმდეგობა არ უნდა შეხვდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ სამოქმედო გეგმის ავტორები. „შერიგების ყველაზე ეფექტური გეგმა არის ვაჭრობა და ერთობლივი ეკონომიკური ინტერესები“, – აღნიშნავს თემურ იაკობაშვილი. სამოქმედო გეგმა იმაზეა გათვლილი, რომ, რაც შეიძლება მეტი დეპოლიტიზებული ინტერაქცია მოხდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასა და დანარჩენ საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობას შორის.

ერთ-ერთი მექანიზმი აღნიშნულის განსახორციელებლად არის სპეციალური სოციალ-ეკონომიკური ზონები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საოკუპაციო გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების ურთიერთობა. ამ გეგმამ ბევრს ერგნეთის ბაზრობა გაახსენა და ზურაბ ტყემალაძემ მისი განხილვის დროს კონტრბანდის შემოდინების საფრთხეც დაინახა. პრემიერ-მინისტრმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ „დავინყოთ პატარა ზონები-

დან, რათა არ მივიღოთ ერგნეთის ბაზრობის ტიპის არალეგალური შემოდინების პრობლემა“.

ვაჭრობის გარდა, მასობრივ არაპოლიტიკურ კონტაქტებს უზრუნველყოფს ასევე ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროები. საქართველოს ხელისუფლება მზადაა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ახალგაზრდები უცხოეთშიც გაუშვას სასწავლად.

ნებისმიერი საქმიანობისათვის, ეს იქნება ვაჭრობა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება თუ სხვა რამ, ადამიანებს სჭირდებათ დოკუმენტები. ამიტომ სამოქმედო გეგმით შემოტანილია ნეიტრალური სტატუსის პირადობის მოწმობები.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თანამშრომლობის სააგენტოს შექმნას, რომელიც, იაკობაშვილის თქმით, „უშუალოდ იმუშავებს ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტაზე, რაც ურთიერთქმედებით იქნება განპირობებული“.

შემდეგი მექანიზმია ნდობის ფონდი, რომელშიც აკუმულირდება ის თანხები, რაც საქართველოს ხელისუფლებისა და დონორების მიერ გამოიყოფა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით. ფონდის მიზანია გამოყოფილი თანხების ხარჯვის ეფექტიანობის გაზრდა. ამ თანხების ხარჯვა უნდა მოხდეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ინიციატივების მიხედვით, თუ რის დაფინანსება და გაკეთება უნდათ. ფონდის ხელმძღვანელობა კი გადაწყვეტს, ამ ინიციატივებიდან რომელი დააფინანსოს.

საქართველოს ხელისუფლება მზადაა, ითანამშრომლოს დე ფაქტო ხელისუფლებებთან, ანუ როგორც დოკუმენტში ეწოდება, „მაკონტროლებელ ხელისუფლებასთან“. თემურ იაკობაშვილის აზრით, თანამშრომლობის შანსი აფხაზეთთან მიმართებით უფრო მეტია, ვიდრე ცხინვალის რეგიონში. ჩანაფიქრის მიხედვით, ყოველ 6 თვეში უნდა მოხდეს სამოქმედო გეგმის გადახედვა, რათა გამოვლინდეს, თუ რა მუშაობს და რა არა.

ევროკავშირი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმას იწონებს და მზად არის, დაეხმაროს მის განხორციელებაში. „ევროკავშირი სრულად უჭერს

მხარს იმ მიდგომას, რომელიც ნდობის აღდგენას, ხალხთა შორის კონტაქტებს და თავისუფალ გადაადგილებას ეფუძნება“, – აღნიშნა ევროკავშირის წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში კეტრინ ეშტონმა.

ევროკავშირში მიიჩნევენ, რომ სამოქმედო გეგმამ ხელი უნდა შეუწყოს მოქნილი გარემოს შექმნას, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებს და არასამთავრობოებს კონფლიქტურ რეგიონებში მუშაობაში დაეხმარება

თქმა X. საგარეო პოლიტიკის კონსტიტუციური საფუძვლები

1. პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების თეორიული საკითხები

1.1. პატარა სახელმწიფოს ცნება

თუ შევადარებთ XX საუკუნის დასაწყისისა და XXI საუკუნის დამდეგის პოლიტიკურ რუკებს, განსხვავება თვალში საცემია: გასული საუკუნის დასაწყისში დედამიწა დანაწილებული იყო რამდენიმე დიდ იმპერიას შორის, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ ახალი კოლონიების ხელში ჩასაგდებად, ხოლო დღეს პლანეტაზე მრავლად არსებობს იმპერიების დაშლის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოები. სუვერენულ სახელმწიფოთა რაოდენობა ორ ასეულს აღწევს.

იმპერიების ნაცვლად ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება XX საუკუნის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ტენდენცია იყო, თუმცა საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპაში შესამჩნევი გახდა ახალი მოვლენა – ეროვნულ სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა არსებობა და ახალი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება ჩვენი დროის დამახასიათებელი ტენდენციაა და დარჩება ასეთად თვალსაწიერ მომავალშიც.

არსებული სახელმწიფოები თავისი ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. ამდენად, ჩნდება „დიდი“ და „პატარა“ სახელმწიფოების ცნებები.¹

¹ ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში „პატარა სახელმწიფოს“ ნაცვლად გამოიყენება „სუსტი სახელმწიფოს“ ცნება. სახელმწიფო ტერიტორიუ-

საერთაშორისო კონფლიქტების დროს მათი შესაძლებლობანი საკუთარი ინტერესების, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დასაცავად მნიშვნელოვნად განსხვავდება. ტერმინი „პატარა სახელმწიფო“ საკმაოდ პირობითი და შეფარდებითია. თავისი შესაძლებლობებით საქართველო არაფრით ჩამოუვარდება სომხეთს ან აზერბაიჯანს, მაგრამ პატარა სახელმწიფოა რუსეთის ან თურქეთის მიმართ. თავის მხრივ, თურქეთი, რომელიც დიდი სახელმწიფოა საქართველოს მიმართ, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება და, არსებითად, პატარა სახელმწიფოა რუსეთთან შედარებით. მაშასადამე, „პატარა“ შეიძლება ეწოდოს ისეთ სახელმწიფოს, რომლის ძლიერებაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება თუნდაც ერთ-ერთ მის მეზობელ სახელმწიფოს.

1.2. პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემატურობა

პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემატურობა უკავშირდება ძალთა უთანასწორობას – როგორ უნდა გაართვას პატარა სახელმწიფომ თავი იმ ფაქტს, რომ ის ფიზიკურად გაცილებით სუსტია თავის პოტენციურ მონინაალმდეგეზე ან თავდამსხმელზე და შეძლოს დამოუკიდებლობის (სუვერენიტეტის) შენარჩუნება.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში მრავალი ნაშრომი არსებობს, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხებს.

ძალთა უთანაბრობა და განსხვავებული შესაძლებლობანი საკუთარი პოლიტიკის გატარების საქმეში სპეციფიკურ პრობლემებს წარმოშობს პატარა სახელმწიფოსა და მისი მეზობელი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობებში.

ლად შეიძლება დიდი იყოს, მაგრამ სუსტი (მაგალითად მონღოლეთი), ისევე როგორც ტერიტორიულად პატარა სახელმწიფო ძლიერი იყოს (მაგალითად ისრაელი).

დიდი სახელმწიფოს მმართველ წრეებში შეიძლება შეიმჩნეოდეს ქედმაღლური დამოკიდებულება პატარა მეზობლისადმი. დიდ სახელმწიფოს მრავალი საშუალება მოეპოვება იმისათვის, რათა საკუთარი ნება თავს მოახვიოს პატარა მეზობელს. შეიძლება ითქვას, რომ, იდეალურ შემთხვევაში, დიდი სახელმწიფოები ესწრაფვიან გავლენისა და კონტროლის მიღწევას ყველა მეზობელ პატარა სახელმწიფოზე. უმთავრესი არგუმენტი ამისათვის დიდი სახელმწიფოსათვის მეზობელი ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მითითებაა – მაგალითად, პატარა სახელმწიფოზე კონტროლის დამყარების გზით ცდილობს უპირატესობის მოპოვებას მეტოქე დიდ სახელმწიფოსთან მიმართებით ან ესწრაფვის, არ დაუშვას მეტოქე დიდი სახელმწიფოს მიერ კონტროლის დამყარება პატარა სახელმწიფოზე.

პატარა და მეზობელ დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები ბევრადაა დამოკიდებული ამ უკანასკნელში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმზე, გაბატონებულ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და მისი საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებზე. დიდი სახელმწიფოს სწრაფვა პატარა სახელმწიფოზე კონტროლის დასამყარებლად შეიძლება შემოიფარგლოს ამ უკანასკნელთან კავშირის ძიებით, ან ალებულ იქნეს კურსი პატარა მეზობლის საშინაო ცხოვრებაში უხეშ ჩარევასა და პირდაპირ აგრესიაზე.

თანამედროვე ცივილიზებული საერთაშორისო ურთიერთობანი, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ძალადობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში, ჯერჯერობით ვრცელდება მხოლოდ მეტად შეზღუდულ არეალზე და, სამწუხაროდ, სუსტად მოქმედებს იმ რეგიონში, რომელშიც საქართველო მდებარეობს.

დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში სერიოზული პრობლემაა უნდობლობის ფაქტორი. წარსულში პატარა სახელმწიფო შეიძლება მრავალგზის ყოფილა დიდი სახელმწიფოს აგრესიის ობიექტი ან საერთოდ დაპყრობილი იყო ამ უკანასკნელის მიერ. ეს აჩენს შიშს მეზობელი დიდი სახელმწიფოს მიმართ – ხომ არ ატარებს ის კვლავ აგრესიულ ზრახვებს, რამდენად შეიძლება მისი ნდობა უსაფრთხოების საკითხებში და ა.შ.

მაგალითად, საქართველოს მეზობელ დიდ სახელმწიფოებთან – რუსეთთან და თურქეთთან – ურთიერთობაში უნდობლობისათვის აქვს საკმარისზე მეტი ისტორიული გამოცდილება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოს მიმართ კორექტული პოლიტიკით კარგად იმუშავა ამ უნდობლობის გასაქრობად, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით რუსეთზე.

უნდობლობა შეიძლება არსებობდეს დიდი სახელმწიფოს მხრიდანაც – წარსული აგრესია ხომ არ უბიძგებს პატარა სახელმწიფოს, დაუკავშირდეს მის მეტოქე დიდ სახელმწიფოს?

უნდობლობა ინვესტს დაძაბულობის ზრდას მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში. უნდობლობის აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯები ორმხრივი უნდა იყოს, მაგრამ ამაში გადამწყვეტი როლი მაინც დიდ სახელმწიფოს ეკუთვნის.

1.3. პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები

როგორც აღვნიშნეთ, უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძირითადი პრობლემაა დიდი სახელმწიფოს მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოსათვის. ამ მიზნის მისაღწევად შეიძლება განხორციელდეს გარკვეული ღონისძიებანი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

პირველი გულისხმობს ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს თვით პატარა სახელმწიფოს შიგნით. აქ შეიძლება, თავის მხრივ, გამოიყოს ორი ძირითადი გეზი:

- საკუთარი სამხედრო ძლიერების ზრდა;
- უარის თქმა საკუთარ სამხედრო ძლიერების ზრდაზე. მცირე ან შემცირებადი შეიარაღება.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საგარეო პოლიტიკაში შეიძლება ასევე არჩეულ იქნეს რომელიმე ორი ძირითადი გეზიდან:

- მოკავშირის ძიება;
- მისწრაფება მიუმხრობლობისაკენ, ნეიტრალიტეტი.

საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ამ შესაძლო გზების სხვადასხვაგვარი შესამების შედეგად შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი სტრატეგიული კურსი, რომელიც შესაძლებელია აირჩიოს პატარა სახელმწიფომ საკუთარი უსაფრთხოებისათვის:¹

1. შეიარაღების ზრდა, საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება მოკავშირის ძიებასთან ერთად;

2. საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შესამება საგარეო პოლიტიკაში მიუმხრობლობა-ნეიტრალიტეტის კურსთან;

3. შეიარაღების დაბალი დონე ძლიერი მოკავშირის ძიებასთან ერთად;

4. შეიარაღების დაბალი დონე და მიუმხრობლობა-ნეიტრალიტეტი.

თუ რომელ გზას დაადგება პატარა სახელმწიფო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ეს დამოკიდებულია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ხასიათის მრავალ ფაქტორზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა სახელმწიფოს რეგიონულ და გეოპოლიტიკურ მდგომარეობას. პატარა სახელმწიფომ უნდა იცოდეს, აქვს თუ არა მას სტრატეგიული მნიშვნელობა მეზობელი დიდი სახელმწიფოსათვის. აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: პატარა სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობის შეფასება ბევრადაა დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორზე. შეიძლება ითქვას, რომ პატარა სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობა ისეთია, როგორც ამას აფასებენ მეზობელი დიდი სახელმწიფოს მმართველი წრეები.

მეზობელი დიდი სახელმწიფოს შესაძლო აგრესიული მოქმედების შესაჩერებლად პატარა სახელმწიფო დაადგება თუ არა თავდაცვის გზას, ეს დამოკიდებულია აგრეთვე მისი ტერიტორიის გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ თავისებურებებზეც. ის შესაძლოა, ხელს უწყობდეს, ანდა პირიქით, ნაკლებ მოსახერხებელი იყოს თავდაცვისათვის. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში პატარა სახელმწიფოების უმრავლესობისათვის, მისი სიმცირის გამო, მთელი ტერიტორია ფაქტობრივად საფრონტო ზონაა.

¹ ო. კნუტსენი, პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების შედარებითი ანალიზი, თბ., 1999.

საკუთარი შეიარაღების ზრდა, თავდაცვის გასაძლიერებლად მიმართული ღონისძიებანი, რა თქმა უნდა, არცერთ შემთხვევაში საკმარისი არ იქნება დიდი სახელმწიფოს აგრესიის მოსაგერიებლად, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს საჭიროა აგრესიის დროებით შესაჩერებლად, სანამ დახმარებას მიიღებდეს ძლიერი მოკავშირისაგან (თუკი ჰყავს ასეთი) და, მეორეც, თავდაცვის მიმართულებით გატარებული ღონისძიებანი ზრდიან ე.წ. „აგრესიის ფასს“, რომლის გათვალისწინებაც, გარკვეულწილად, შემაკავებლად მოქმედებს აგრესორზე.

თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება შეიარაღების მაღალი დონის მეშვეობით, როგორც წესი, საგარეო პოლიტიკის სფეროში უხამდება ძლიერი მოკავშირის ძიებას, მაგრამ პატარა სახელმწიფოს შეუძლია, აირჩიოს მიუმხრობლობა-ნეიტრალიტეტის პოლიტიკაც. მიუმხრობლობის საშუალებით პატარა სახელმწიფოს წარმატების მიღწევა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დიდი სახელმწიფოს მხრიდან უშუალო საფრთხე პატარა სახელმწიფოსათვის. შეიძლება ითქვას, პატარა სახელმწიფოს მიუმხრობლობის პოლიტიკაში ნიადაგ იგულისხმება, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება რომელიმე დიდი სახელმწიფოს მხარდაჭერა, ე.ი. სავარაუდო მოკავშირე „შენიღბულია“, მაგრამ პირველი მოწოდებისთანავე ის მოვა დასახმარებლად. ამდენად, პატარა სახელმწიფოს მხრიდან თავდაცვის პოლიტიკის არჩევა დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, იმასთან, ჰყავს თუ არა მას მოკავშირე დიდი სახელმწიფოს სახით.

1.4. პატარა სახელმწიფოს წარმატებული წინააღმდეგობის ფაქტორები

ახლა განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ პატარა სახელმწიფოს წარმატებით წინააღმდეგობას დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური ზეწოლისადმი და ხელს უწყობენ აგრესიული მოქმედების მოგერიებას.¹

¹ ო. კნუტსენი, პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების შედარებითი ანალიზი, თბ., 1999.

დაშოშმინების პოლიტიკა

პატარა სახელმწიფოს პოლიტიკა უაღრესად მოქნილი უნდა იყოს, ემყარებოდეს ძალის წინაშე რეალიზმის გრძნობას, შეეცადოს, გაითვალისწინოს, თუ მისი რა სახის მოქმედება იქნება სასურველი მეზობელი დიდი სახელმწიფოსათვის, რამაც შეიძლება ხელი ააღებინოს აგრესიულ განზრახვაზე. მას უნდა შეეძლოს, ბევრ საკითხში შემრიგებლობითა და დათმობებით მთავარი შეინარჩუნოს.

დაშოშმინების პოლიტიკა არაეფექტურია იმ შემთხვევაში, თუკი დიდი სახელმწიფოს აგრესიული ზრახვები პირდაპირ არღვევს პატარა სახელმწიფოს სუვერენიტეტს ან ტერიტორიულ მთლიანობას. ასეთ დროს დათმობა მხოლოდ აუარესებს წინააღმდეგობის განწევის შესაძლებლობას და ნამქეზებლად მოქმედებს აგრესიულ მეზობელზე.

„მორალური ბარიერი“

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს პატარა სახელმწიფოს წარმატებით წინააღმდეგობას დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური ზეწოლისადმი და ხელს უწყობს აგრესიული მოქმედების მოგერიებას, ესაა აგრესორის წინაშე არსებული გარკვეული „მორალური ბარიერი“. დღეს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მიერ აგრესია, მით უმეტეს, პატარა ქვეყნის წინააღმდეგ, განიხილება როგორც უსამართლო, დასაგმობი აქტი. დიდ სახელმწიფოს ესაჭიროება თავისი აგრესიული მოქმედების გამართლება და დასაბუთება როგორც საერთაშორისო, ისე საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრიობის თვალში.

დიდი სახელმწიფოები, უკიდურეს შემთხვევაში სიტყვით მაინც, ცნობენ საერთაშორისო არენაზე ცივილიზებული ურთიერთობის აუცილებლობას, აგრესიის, ძალისმიერი მოქმედების და უშვებლობას. ამდენად, პატარა ქვეყნის მხარეზეა მორალური უპირატესობა, მისი მოქმედების სამართლიანობის ცნობა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ. თვით მეზობელი დიდი სახელმწიფოს შიგნით შეიძლება აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც მეტ-ნაკლები თანმიმდევრობით დაიცავენ პატარა ქვეყნის ინტერესებს და წინ აღუდგებიან საკუთარი მთავრობის აგრესიულ ნაბიჯებს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის გარეშე მთავრობას გაუჭირდება თავისი პოლიტიკური ხაზის გატარება. აგრესორი ყოველთვის შეეცდება, თავისი მოქმედება სამართლიანად წარმოადგინოს. ამისათვის ის მიმართავს სხვადასხვა ზომას. პატარა სახელმწიფო მზად უნდა იყოს და დაუყოვნებლივ გამოამჟღავნოს მათი ნამდვილი ხასიათი. ამდენად, არ დაუშვას აგრესორის წინაშე მდგარი „მორალური ბარიერის“ გაქრობა.

დიდი სახელმწიფოს სიძნელები

პატარა სახელმწიფოსთვის ასევე ხელსაყრელი იქნება ნებისმიერი სახის სიძნელები მეზობელ დიდ სახელმწიფოში, ყველაფერი, რაც გადაიტანს მის ყურადღებას სხვა საკითხებზე და თავს შეაკავებინებს პატარა სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრული მოქმედებისაგან.

ლავირების პოლიტიკა

პატარა სახელმწიფო საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნების მიზნით ზოგჯერ ადგება დიდ სახელმწიფოებს შორის ლავირების გზას. ლავირება პატარა სახელმწიფოს მხრიდან მით უფრო აუცილებელია მაშინ, როდესაც მას ესაზღვრება არა ერთი, არამედ ორი ან მეტი დიდი სახელმწიფო. საქართველოს სამეფო-სამთავროები XVI-XVIII საუკუნეებში ახორციელებდნენ ლავირების პოლიტიკას ირანსა და ოსმალეთს შორის, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი გამოჩნდა ახალი დიდი მოთამაშე კავკასიაში რუსეთის სახით.

მოსაზღვრეობაში იგულისხმება არა მარტო უშუალო საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის, არამედ დიდი სახელმწიფოს გეოგრაფიული სიახლოვეც. მაგალითად, საქართველოს უშუალოდ ესაზღვრება რუსეთი და თურქეთი, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია ირანისა და ევროკავშირის სიახლოვეც. ამასთან, თანამედროვე მსოფლიო ისეა შეკავშირებული, რომ გეოგრაფიულად შორს მდებარე დიდი სახელმწიფოებიც შეიძლება უაღრესად დაინტერესებულნი იყვნენ რომელიმე რეგიონში მიმდინარე მოვლენებით და

მტკივნეულად აღიქვამდნენ იქ თავიანთი ინტერესების შელახვას. კავკასიის შემთხვევაში ეს, პირველ რიგში, აშშ-ზე ითქმის.

დიდ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობამ შეიძლება შექმნას ისეთი ვითარება, როდესაც თითოეული მათგანი უარს იტყვის პატარა სახელმწიფოს თავის გავლენის ქვეშ მოქცევის ცდებზე, იმის სანაცვლოდ, რომ ასეთი მოქმედებისაგან თავს შეიკავებს მეორე დიდი სახელმწიფოც.

ბუნებრივია, ლავირებას აქვს თავისი საზღვრები და მოითხოვს ვითარების უაღრესად ზუსტ ანონ-დანონას. საჭიროა სწრაფი რეაგირება საერთაშორისო არენაზე ძალთა ბალანსში მომხდარ მცირე ცვლილებებზეც კი, რომელთაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან პატარა სახელმწიფოს: ჯერ ერთი, დიდი სახელმწიფოები შეიძლება შეთანხმდნენ პატარა სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ; მეორეც, თუ პატარა სახელმწიფო ლავირების დროს სწორად ვერ განსაზღვრავს თავის პოლიტიკას, ამან დიდი სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება აგრესიული მოქმედება გამოიწვიოს. რაც უფრო მეტია პატარა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა უნარი, ერთი მხარის მოთხოვნები დაუპირისპიროს მეორე მხარის მოთხოვნებს და ამით მიაღწიოს დათმობას თითოეული მათგანისაგან, მით უფრო მაღალია ამ ქვეყნის შანსი, წინ აღუდგეს ორივე მხარის ზენოლას.

„დროზე თამაშის“ ტაქტიკა

პატარა სახელმწიფო ზოგჯერ მიმართავს „დროზე თამაშის“ ტაქტიკას – ე.ი. მის ხელმძღვანელ წრეებს მოეთხოვებათ უნარი, რომ სხვადასხვა საშუალებით მიაღწიონ ეროვნული უსაფრთხოებისათვის საზიანო მოთხოვნების შესრულების დაყოვნება-გადავადებას (შემდგომი სრული ნეიტრალიზაციის მიზნით). მაგრამ აქ „ხელოვნება“ სწორედ ისაა, რომ დიდი სახელმწიფოს მმართველებს არ შეექმნათ მანიპულაციის ან გაჭიანურების შთაბეჭდილება.

პატარა მეზობლების შეკავშირება

დიდი სახელმწიფოს მეზობლად შეიძლება მდებარეობდეს რამდენიმე, ერთმანეთის მოსაზღვრე, პატარა სახელმწიფო. თუმცა მათ შორის ურთიერთობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დიდი მეზობლის სიახლოვე.

მეზობელ პატარა სახელმწიფოებს შორის შეიძლება არსებობდეს დაძაბულობა, კონფლიქტები, ინტერესთა დაპირისპირება. ასეთი ვითარება ამცირებს თითოეული მათგანის შანსს, დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი დიდ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში. ამ უკანასკნელს კარგი საბაზი ეძლევა მათ საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, შესაძლებლობა აქვს, გამოვიდეს „მომრიგებელი შუამავლისა“ და „ნესრიგის დამამყარებლის“ როლში.

ისტორიულ გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, აუცილებელია მეზობელ პატარა სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის არსებობა, რათა მათ შეძლონ თავიანთი დამოუკიდებლობის დაცვა. პატარა სახელმწიფოების შეკავშირება და შეთანხმებული მოქმედება საკუთარი ინტერესების დასაცავად ზრდის მათი წარმატების შანსს დიდ სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ დიდ სახელმწიფოსთან დაპირისპირებისას პატარა სახელმწიფო, როგორც წესი, ეძებს სხვა დიდ სახელმწიფოსთან კავშირს და ამას ამჯობინებს მეზობელ პატარა სახელმწიფოსთან დაკავშირებას. პატარა სახელმწიფოს ასეთი მოქმედება სავსებით გასაგებია, რადგანაც მისი მმართველი წრეები საფუძვლიანად მიიჩნევენ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მოკავშირე დიდი სახელმწიფოს დახმარება უფრო ემედიით იქნება, ვიდრე მეზობელი პატარა სახელმწიფოსი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული კანონზომიერებისა, დიდი მოკავშირის ძიებასთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დავინწყებული მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან ურთიერთობა, როგორც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

1.5. პოლიტიკოსების პროფესიონალიზმის მნიშვნელობა

განსაკუთრებით დიდია პატარა სახელმწიფოს ხელმძღვანელი წრეების პოლიტიკური პროფესიონალიზმის მნიშვნელობა – რამდენად ეფექტურად, სწორად წარმართავენ და გამოიყენებენ მიზნის მისაღწევად მწირ საშუალებებს. როგორც აღნიშნავს ო. კნუტსენი: „წარმატება გაუძნელდება მორჩილსა და გაუბედავს; პატარა სახელმწიფო, რომელიც ხელშეუხებელი დარჩება, უნდა იყოს თა-

ვისებური „აქტიური მანიპულატორი“. რაც უფრო მაღალია პატარა ქვეყნის პოლიტიკოსთა გამოცდილების, წარმოსახვის, მოქნილობის, ნერვების მარაგის დონე და საკუთარი განზრახვათა უნარი, მით უფრო მაღალია საბოლოო წარმატების შესაძლებლობაც.

პატარა სახელმწიფოს პოლიტიკის მესაჭეთა ხელოვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დიდ სახელმწიფოთა შორის ლავირების დროს, როდესაც ის მოხერხებულად იყენებს დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულ მტრულ ურთიერთობას. რაც უფრო მეტია პატარა სახელმწიფოს უნარი, ერთი მხარის მოთხოვნები დაუპირისპიროს მეორე მხარის მოთხოვნებს და ამით მიაღწიოს დათმობას თითოეული მხარისაგან, მით უფრო მაღალია ამ ქვეყნის შანსი, წინ აღუდგეს ორივე მხარის ზეწოლას.

პატარა სახელმწიფოს პოლიტიკა უაღრესად მოქნილი უნდა იყოს და გამოდიოდეს ძალის წინაშე რეალიზმის გრძნობით. შეეძლოს ზოგიერთ საკითხში შემრიგებლობითა და დათმობით მთავარის შენარჩუნება. პატარა სახელმწიფოს ლიდერების პოლიტიკური პროფესიონალიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია შეთანხმების მოძებნის უნარი.

სწორი პოლიტიკის გატარება დიდადაა დამოკიდებული უტყუარი მონაცემების ფლობაზე, რაც ზუსტი გათვლის საფუძველია. პატარა სახელმწიფოს არა აქვს უფლება, თავს ნება მისცეს პოლიტიკაში შეცდომების დაშვებისა. შეცდომა პოლიტიკაში პატარა სახელმწიფოსთვის დაუშვებელი ფუფუნებაა. ამდენად, მისი პოლიტიკა რაც შეიძლება მეტად უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულ საფუძველს.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921 წლების) უსაფრთხოების გარანტიების ძიებაში

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში პრაქტიკულად გამოსცადა თითქმის ყველა საშუალება და შესაძლო სტრატეგია, რაც

პატარა ქვეყანამ შეიძლება გამოიყენოს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

უსაფრთხოების სტრატეგიის ძიებაში ერთმანეთში იყო გადახლართული იმდროინდელი მმართველი პარტიის სოციალ-დემოკრატიის პარტიული დოქტრინით ნაკარნახევი პრინციპები და საქართველოს ეროვნული ინტერესებით განპირობებული ნაბიჯები.

2.1. ნეიტრალობა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებს ნეიტრალიტეტი ყველაზე მისაღებ პოლიტიკად მიაჩნდათ პატარა, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსათვის. ამასთან, ეს უნდა ყოფილიყო, ეგრეთ წოდებული „შეიარაღებული ნეიტრალიტეტი“ – საქართველო მზად უნდა ყოფილიყო აგრესიის მოსაგერიებლად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს კარგად ესმოდათ, რომ „ცალმხრივად გამოცხადებული მუდმივი ნეიტრალიტეტი“ დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და საერთაშორისო აღიარების გარეშე „არ არის საკმარისი, რომელიმე სახელმწიფომ თავისი თავი აღიაროს ნეიტრალად“.

ნეიტრალობის აღიარება გამომდინარეობდა კიდევ ერთი, იმდროინდელი სოციალისტებისათვის დამახასიათებელი არგუმენტიდან, რომლის მიხედვითაც დემოკრატიას ხელს უშლიდა „საიდუმლო დიპლომატიის წარმოება“. ამიტომ ნეიტრალობის გარეშე ძალზე ძნელ ამოცანად ეჩვენებოდათ „დემოკრატიული წყობილების შექმნა“. ასეთი წარმოდგენის თანახმად, ნეიტრალურ ქვეყანას, ფაქტობრივად, არც დასჭირდებოდა საგარეო პოლიტიკის წარმოება.

გარდა ამისა, განაცხადი ნეიტრალობაზე გამოიყენებოდა არგუმენტად საგარეო პოლიტიკაში. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ს. დადიანი აღნიშნავდა: „ბევრჯერ იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენი ჩათრევა მოინდომეს სხვადასხვა მებრძოლმა ძალებმა საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ ჩვენ ვაცხადებდით – ნეიტრალური ვართ“. ისიც აღინიშნებოდა, რომ

„ჩვენ პატარა ხალხი, პატარა სახელმწიფო ვართ და დიდ იმპერი-
ალისტურ სახელმწიფოთა აყოლა არ გვარგია“.

საქართველოს ნეიტრალიტეტის საერთაშორისო აღიარების მიღწევა ერთ-ერთ ძირითად საგარეო-პოლიტიკურ ამოცანად ის-
ახებოდა, მაგრამ, ამავე დროს, კარგად ესმოდათ, რომ ნეიტრალი-
ტის საერთაშორისო აღიარებასაც შეიძლება ვერ დაეცვა საქარ-
თველო აგრესიისგან. ამის მაგალითი იყო გერმანიის მიერ ბელგი-
ის ნეიტრალიტეტის დარღვევა პირველი მსოფლიო ომის დროს.
ამიტომ ხაზი ესმოდა, რომ საქართველო გაატარებდა შეიარაღებ-
ული ნეიტრალიტეტის კურსს, ანუ იზრუნებდა ქვეყნის თავდაცვი-
სუნარიანობის განმტკიცებაზე. ნეიტრალიტეტის მიუხედავად, აღ-
ნიშნავდა ს. დადიანი, „ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ თავდაცვაზე“.

ერთა ლიგაში შესაძლო შესვლა ნეიტრალიტეტის პოლიტიკის
დასასრულად განიხილებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთა ლიგა
საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის გარანტიად მიაჩნდათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოღვაწეთა აზ-
რით, მომავალში შეიქმნებოდა თავისუფალ ერთა კავშირი. ეს უნ-
და ყოფილიყო მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა დემოკრა-
ტიული გაერთიანება, რომელიც მშვიდობას უზრუნველყოფდა და
საერთაშორისო ცხოვრების რეგულატორი გახდებოდა. ისიც აღ-
ინიშნებოდა, რომ ეს მომავლის საქმე იყო და ასეთი კავშირის ჩა-
მოყალიბებას დიდი დრო დასჭირდებოდა, მაგრამ მისი შექმნა
აუცილებლად და გარდაუვლად ესახებოდათ.

ნეიტრალიტეტის გამოცხადებამ 1918 წლის 26 მაისს დამო-
უკიდებლობის აქტით საქართველო ვერ დაიცვა ოსმალეთის
აგრესიისგან, რომლის შეჩერებაც მძიმე ბრძოლით და გერმანიის
მხარდაჭერით მოახერხა. საქართველოს ნეიტრალიტეტმა ვერ
შეაჩერა თეთრგვარდიელი გენერლის, დენიკინის, შემოტევა, ისევე
როგორც საბჭოთა რუსეთის თავდასხმა 1920 წლის მაისის
დასაწყისში (რომელიც მოიგერიეს) და 1921 წლის თებერვალ-
მარტში. მით უმეტეს, საბჭოთა რუსეთს 1920 წლის 7 მაისს გა-
ფორმებული ჰქონდა სამშვიდობო ხელშეკრულება საქართვე-
ლოსთან.

2.2. მოკავშირის ძიება

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ მოკლე ხნით შეძლო მოკავშირის პოვნა. კაიზერული გერმანია აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელიც გამოვიდა საქართველოს დამოუკიდებლობის თავისებური გარანტიის როლში. გერმანიამ, რომელიც კავკასიაში დამკვიდრებას ესწრაფოდა, საქართველო მიიჩნია იმ ქვეყნად, რომელსაც შეეძლო რეგიონში მისი საიმედო მოკავშირედ ჩამოყალიბება. ძირითადად, გერმანელებს არჩევანი არ ჰქონდათ – აზერბაიჯანი თურქული ორიენტაციისა იყო, სომხეთი – რუსულ-ინგლისური. არჩევანი არც ქართველებს ჰქონდათ. გერმანიის დახმარებით შეჩერებულ იქნა თურქების შემოტევა, მაგრამ 1918 წლის მაისის ბოლოს შექმნილი საქართველო-გერმანიის კავშირი დიდხანს არ გაგრძელებულა – 1918 წლის ნოემბერში გერმანია დამარცხდა, საქართველო კი უაღრესად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ანტანტის ქვეყნები საკმაოდ ცივ დამოკიდებულებას იჩენდნენ ჩვენი ქვეყნისადმი. საქართველო დამარცხებული გერმანიის მოკავშირედ აღიქმებოდა. გარდა ამისა, ბრიტანეთი დიდი ხნის განმავლობაში „ერთიანი რუსეთის“ იდეიდან გამოდიოდა, ამერიკელები კი ერთი პერიოდი „სომხეთის მანდატის“ მიღების იდეით იყვნენ დაკავებულნი.

შეეძლო თუ არა საქართველოს მოკავშირის პოვნა იმ დროს? ხომ არ იყო მოკავშირის გარეშე დარჩენა იმის შედეგიც, რომ მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის დიდად მიმზიდველი არ იყო „იმპერიალისტებთან კავშირი“? ამაზე მაინც, ალბათ, უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. უბრალოდ, დასავლეთის დიდ სახელმწიფოებში იმ დროს არ იყო ინტერესი სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისადმი.

საქართველოს ხელისუფლება ევროპაში თავისებური „ლობისტის“ როლში სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს იყენებდა. სოციალისტური დელეგაცია 1920 წლის შემოდგომაზე იმყოფებოდა საქართველოში, ევროპელმა სოციალისტებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული აღიარების საქმეში, მაგრამ ცხადია, მათ ქვეყნისთვის უსაფრთხოების გარანტიის მიცემა არ შეეძლოთ.

2.3. რეგიონული თანამშრომლობა

კავკასიაში 1918 წლის მაისში ოთხი სახელმწიფო შეიქმნა: მთიელთა რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს ქვეყნები შემდეგ ცალ-ცალკე მოექცნენ საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში.

რეალურად, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის სერიოზული წინააღმდეგობები და კონფლიქტები არსებობდა. ამ წინააღმდეგობებმა დაშალა ამიერკავკასიის ფედერაცია, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შემდეგ კი იყო სომხეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ 1918 წლის ბოლოს და სომხეთ-აზერბაიჯანის ქრონიკული კონფლიქტი 1918-1920 წლებში. მაშინაც გამოიკვეთა საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობა. საინტერესოა კვინიტაძის პოზიცია. ემიგრაციაში მას მიაჩნდა, რომ საქართველოს, ხელშეკრულების თანახმად, 1920 წლის აპრილში სამხედრო დახმარება უნდა გაენია აზერბაიჯანისათვის. ცხადი იყო, რომ ბოლშევიკები აზერბაიჯანის დაუფლებით არ შემოიფარგლებოდნენ. მართლაც, რუსეთის წითელი არმია მაშინვე შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში, თუმცა მარცხი განიცადა.

უკვე ემიგრაციაში მათ ყოფილ მესვეურებს, სომხეთის გამოკლებით, გაუჩნდათ გაერთიანების სურვილი და შეცდომად მიიჩნიეს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში ერთმანეთისთვის დახმარების გაუწევლობა. გაჩნდა კავკასიის კონფედერაციის შექმნის პროექტიც.

2.4. დაშოშმინების პოლიტიკა

დაშოშმინების პოლიტიკას საქართველო 1918 წელს ახორციელებდა თურქეთის და, ყველაზე გამოკვეთილად, 1920–1921 წლებში საბჭოთა რუსეთის მიმართ. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, არსებითად, დაშოშმინების პოლიტიკის გატარების თვალსაჩინო ნიმუშია. საქართველო ცდილობდა, არ გაელიზიანებინა რუსეთი და ხელშეკრულების თანახმად ასრულებდა მოსკოვის მოთხოვნებს (უცხო სახელმწიფოთა ჯარების არყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, არმიის დემობილიზაცია, სასაზღვრო სიმაგ-

რეებზე უარის თქმა, საბჭოთა რუსეთისადმი მტრული ემიგრანტული ორგანიზაციების საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის არდაშვება, კომუნისტური პარტიის საქმიანობის ლეგალიზება), სანაცვლოდ მოსკოვისაგან ხელშეკრულების ძალით იღებდა დამოუკიდებლობის აღიარებას და უსაფრთხოების გარანტიებს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მოსკოვი არ აპირებდა ხელშეკრულების პირობების შესრულებას, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები კი აუარესებდა თავდაცვის შესაძლებლობას და უადვილებდა რუსეთს აგრესიას.

2.5. ეროვნული ენერჯის მობილიზება

1921 წლის დასაწყისში საქართველო აღმოჩნდა მოკავშირის გარეშე, უშედეგო იყო დაშოშმინების პოლიტიკაც, უფრო სწორად, მისი შედეგი იყო საქართველოს მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება შესაძლო აგრესიის მოგერიების თვალსაზრისით.

რჩებოდა საკუთრივ საქართველოს ძალები. „მარტო ვართ როგორც ძველად“ – წერდა სპირიდონ კედია 1920 წლის ბოლოს. თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეროვნული ენერჯის გამოყენება. ეს მიზეზთა რიგით აიხსნება:

– ეროვნული იდეის ნაკლებობა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, რაც ხელს უშლიდა როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას, აღექვათ საფრთხე და მის საწინააღმდეგოდ მიეღოთ ზომები;

– უსაფრთხოების უზრუნველყოფის ილუზია. 1921 წლის იანვრის ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარება დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მიერ, ისევე როგორც სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთთან საქართველოს ხელისუფლებას აფიქრებინებდა, რომ ქვეყანას საგარეო აგრესია აღარ ემუქრებოდა;

– თავდასხმის მოულოდნელობა, რამაც მკვეთრად გააუარესა წინააღმდეგობის განწევის შესაძლებლობები;

– თავდაცვის დროს დაშვებული შეცდომები, პირველ რიგში, თბილისის უბრძოლველად დატოვების გადაწყვეტილება.

2.6. დასკვნები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) გამოცდილებას თუ შევაფასებთ:

- ნეიტრალიტეტის პოლიტიკა არარეალური იყო;
- საქართველომ ვერ შეძლო მოკავშირის მოძებნა, რაც ობიექტური პირობებით იყო განპირობებული;
- დაშოშმინების პოლიტიკას არ შეეძლო წარმატების მოტანა;
- საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეროვნული რესურსების მაქსიმალური მობილიზება საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად.

3. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია საგარეო პოლიტიკის შესახებ

1995 წლის კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც ესწრაფვის სხვა ხალხებთან (სახელმწიფოებთან) მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებას.

საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა... განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია. პრეამბულა

3.1. საგარეო პოლიტიკა – უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობის სფერო

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის მე-7 მუხლის თანახმად, საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები განეკუთვნება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას:

- სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;

- ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;
- საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;
- საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;
- სახელმწიფო საზღვრის სტატუსი, რეჟიმი და დაცვა.

3.2. პარლამენტი – ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 36-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 47-ე მუხლის ძალით, საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას.

იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, სავალდებულოა, აგრეთვე, ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირება, რომლებიც:

- ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;
- ბ) სამხედრო ხასიათისაა;
- გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;
- დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან;
- ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას.

ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას პარლამენტი ახორციელებს სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის უმრავლესობით.

პარლამენტს უნდა გადაეცეს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები.

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

3.3. პრეზიდენტის, პრემიერმინისტრისა და მთავრობის როლი საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში

1995 წლის კონსტიტუციის 69-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, წარმართავდა და ახორციელებდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, უზრუნველყოფდა ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, იყო ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი დებდა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებდა მოლაპარაკებებს უცხოეთის სახელმწიფოებთან; მთავრობა კი უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პასუხისმგებელი იყო საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

კონსტიტუციის 2010 წლის რედაქციით, 2013 წლის ოქტომბრიდან პრეზიდენტს ჩამოერთვა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია. შესაბამისად, კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 49-ე მუხლში მხოლოდ აღნიშნულია, რომ „საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.“

პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირებასთან ერთად, საგარეო პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია გადავიდა მთავრობისა და პრემიერმინისტრის ხელში. კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 54-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობა არის „აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას“,

55-ე მუხლში კი აღნიშნულია, რომ „პრემიერმინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით“.

3.4. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი საგარეო პოლიტიკაში

საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს.

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის მე-60 მუხლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის სარჩელის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს“.

3.5. საქართველოს პარლამენტის 2013 წლის რეზოლუცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

2013 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელშიც გამოცხადებული იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები:

1. საქართველოს საგარეო ურთიერთობების კურსი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ინტერესებით, მისი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფის ამოცანიდან გამომდინარე;

2. საქართველოს საგარეო ურთიერთობების პოლიტიკის ამოცანებია ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა, ტერიტორიების დეოკუპაცია და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ქვეყნის ერთიანობის აღდგენა;

3. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ევ-

როკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციაში განწევრების სტრატეგიული პრიორიტეტების მისაღწევად საქართველო გადადგამს შემდგომ ნაბიჯებს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და გაძლიერების, სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული მართვის სისტემისა და ადამიანის უფლებათა უზენაესობის დამკვიდრების, მდგრადი ეკონომიკური განვითარების შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველო არ განწევრდება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა პოლიტიკაც ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრიორიტეტს;

4. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპული და ევროატლანტიკური კურსი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მდგრად დემოკრატიულ განვითარებას და ქვეყნის უსაფრთხოებას და არ არის მიმართული რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ;

5. საქართველო განახორციელებს თანამიმდევრულ პოლიტიკას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ბუქარესტის და შემდგომ სამიტებზე საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების აღსასრულებლად. უახლოესი პერიოდის ამოცანას წარმოადგენს შეთანხმების მიღწევა მოდლობებსა და ვადებზე;

6. საქართველო სრულად იზიარებს მსოფლიოს წინაშე მდგარ გამონწვევებზე რეაგირების საერთაშორისო ძალისხმევაში მონაწილეობის ვალდებულებას. ამ მიმართებით საქართველოს მიერ საერთაშორისო სამშვიდობო, საპოლიციო და სამოქალაქო ოპერაციებში წვლილის შეტანა ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია;

7. საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოფს ყველა იმ პირობის შესრულება, რომლებიც საქართველოს საშუალებას მისცემს წარმატებით დაასრულოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან ასოცირების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების და ვიზების ლიბერალიზაციის თაობაზე;

8. ევროკავშირთან თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში განვითარდება ოთხი ძირითადი მიმართულებით: დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის

კანონმდებლობასთან დაახლოება, გარემოს დაცვა და ენერგოუსაფრთხოება, ადამიანთა შორის ურთიერთობები. პრიორიტეტულად განიხილება ასევე თანამშრომლობა სამშვიდობო პროცესების განვითარების სფეროში;

9. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობებით. მის ფარგლებში განიხილება ოთხი ძირითადი მიმართულება:

– თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, მათ შორის თავდაცვის სფეროში გაფართოებული პროგრამის რეალიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება და ნატოს წევრობისათვის მომზადება, აგრეთვე შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის განხორციელება;

– თანამშრომლობა ეკონომიკის, ვაჭრობის და ენერგეტიკის სფეროებში, მათ შორის შეთანხმების მიღწევა თავისუფალი ვაჭრობის საკითხზე;

– დემოკრატიის გაძლიერება;

– ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება, მათ შორის შეთანხმების მიღწევა უვიზო რეჟიმის საკითხებზე.

10. ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ისევე როგორც ევროკავშირთან, როგორც მთავარ სტრატეგიულ პარტნიორებთან არსებული შეთანხმებებით დასახული ამოცანების შესრულებას საქართველო, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს როგორც ვალდებულებას საკუთარი საზოგადოების წინაშე;

11. საქართველო რუსეთთან დიალოგს წარმართავს როგორც ყენევაში მიმდინარე საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით, ისე ორმხრივ ფორმატში. ამ დიალოგის მიზანია კონფლიქტის მოგვარება, კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება;

12. საქართველო ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და რუსეთის ფედერაციის პოზიციების დაახლოებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების და ჰელსინკის პრინციპების შესაბამისად;

13. საქართველო ხელს შეუწყობს კავკასიაში პოლიტიკურ დიალოგს და ეკონომიკურ თანამშრომლობას რეგიონის სახელმწიფოთა ძირეული ინტერესების თანხვედრისათვის. ჩრდილოკავკასიის ხალხებთან ურთიერთობები დაეფუძნება კეთილმეზობლობის, კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის ისტორიულ გამოცდილებას და ტრადიციებს;

14. მნიშვნელოვანია ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება მეზობელ აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სომხეთთან. ამ ქვეყნებისათვის საქართველო უნდა გახდეს ურთიერთსასარგებლო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების და ბიზნესშესაძლებლობების რეალიზაციის სივრცე;

15. ტრანსნაციონალური პროექტებისათვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება შავი და კასპიის ზღვების აუზების, ახლო აღმოსავლეთის და აზიის ქვეყნებთან;

16. საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს ბალტიის ქვეყნებთან. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების გამოცდილება და მხარდაჭერა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში;

17. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე სკანდინავიის სახელმწიფოებთან, მათ მიერ საქართველოში მიმდინარე რეფორმების და ქვეყნის სუვერენიტეტის მხარდაჭერა;

18. საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმყოფებოდეს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. საქართველო გაატარებს თანამიმდევრულ საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საერთაშორისო პატივისცემის ურყეობა;

19. ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოების განმტკიცების ინტერესიდან გამომდინარე, აგრეთვე სამშვიდობო პროცესის

განვითარების და „არალიარების პოლიტიკის“ შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველო მნიშვნელოვნად გააღრმავებს მრავალმხრივ დიპლომატიურ ურთიერთობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, ევროკომისიის, სუამის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფორმატებში“.

(<http://www.newposts.ge/politika/8801-parlamentis-sagareo-dokumentis-sruli-texti.html>)

3.6. საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის პროექტი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ამოცანების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის მე-11 თავში – „გარდამავალი დებულებები“ – ხაზგასმულია ქვეყნის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისკენ მისწრაფების თაობაზე:

მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია

კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავისი უფლებამოსილების ფაგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ეს მუხლი შედეგია იმ ცხარე დებატებისა, რაც 2013 წლიდან გაიშალა კონსტიტუციაში ქვეყნის საგარეო ორიენტაციის ჩანერის საჭიროებასთან დაკავშირებით.

4. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები

სახელმწიფო თავდაცვის ამოსავალ პრინციპებს არეგულირებს საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის მე-8 თავი – „სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება“ (მუხლები: 70–73). 1995 წლის კონსტიტუციის თავდაპირველ ტექსტს რომ შევადაროთ, ამ თავში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, გამომ-

დინარე იქიდან, რომ საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან გარდაიქმნა საპარლამენტო რესპუბლიკად.

კონსტიტუციურად საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი (მუხლი 49-3), მაგრამ მათი რეალური ხელმძღვანელობა გადავიდა მთავრობისა და პრემიერმინისტრის ხელში.

4.1. საქართველოს თავდაცვის ძალები

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს მხოლოდ თავდაცვით მომსახურებას. კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 70-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა“.

საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის ვალია. სამხედრო სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება კანონით.

ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავდაცვისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანებისა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს თავდაცვის ძალები.

თავდაცვის ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. თავდაცვის ძალების რაოდენობას მთავრობის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს პარლამენტი.

2007 წლიდან საქართველოს თავდაცვის ძალების რაოდენობა (სამხედრო მოსამსახურეთა შტატი) არ შეცვლილა და 37 ათას ადამიანს შეადგენს. ექსპერტთა ნაწილს შეიარაღებული ძალების ეს ოდენობა საკმარისად არ მიაჩნია და მეზობელ ქვეყნებზე მიუთითებენ – სომხეთის შეიარაღებული ძალები, უშუალოდ რეგულარული არმიის ნაწილების სახით, ითვლის 70 ათას სამხედრო მოსამსახურეს, აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში კი არის 120–130 ათასი ადამიანი. არასაკმარისად მიაჩნიათ საქართველოს ბიუჯეტში თავდაცვისათვის გამოყოფილი

თანხებიც. თავდაცვის სფეროს ბიუჯეტის 80%-ზე მეტი შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასებსა და სოციალურ პროექტებზე იხარჯება, ხოლო 20%-ზე ნაკლები რჩება უშუალოდ თავდაცვითი მიზნებისათვის, მაგალითად, ახალი შეიარაღების შესყიდვისა და სამხედრო სწავლებისათვის.

თავდაცვის ძალები მოქმედებენ თავდაცვის მინისტრის ბრძანებით კანონით დადგენილი წესით, ხოლო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს – პრემიერმინისტრის ბრძანებით.

საომარი მდგომარეობის დროს დეკრეტით შესაძლებელია თავდაცვის ძალებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების გაერთიანება.

4.2. საგანგებო და საომარი მდგომარეობა

საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი პრემიერმინისტრის წარდგინებით აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.

გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ძალაში შედის საომარი მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი გადაწყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოლოგიური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერმინისტრის წარდგინებით აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკი-

ცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან.

პარლამენტი გადაწყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა.

საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი პრემიერმინისტრის წარდგინებით გამოსცემს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს შესაბამისად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე.

ეროვნული ბანკის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით დეკრეტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობით. დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს. პარლამენტი დეკრეტს ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი დეკრეტს არ ამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საყოველთაო არჩევნები არ ტარდება. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი.

გადაწყვეტილება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმების შესახებ მიიღება შესაბამისი მდგომარეობის გამოცხადებისა და დამტკიცებისთვის დადგენილი წესით.

პარლამენტის გადაწყვეტილება საგანგებო და საომარი მდგომარეობის შესახებ მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

4.3. თავდაცვის ძალების გამოყენება

გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერმინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ.

საგანგებო მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას პრემიერმინისტრის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე.

გადაწყვეტილებას ბუნებრივი ან ტექნოლოგიური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერმინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჭიროებს დამტკიცებას პარლამენტის მიერ. პარლამენტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივი ან ტექნოლოგიური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შეწყვეტის თაობაზე.

საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი და დაუყოვნებლივ შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ.

სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილებას მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ.

პარლამენტის გადაწყვეტილება თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

საკითხი	ვინ იღებს გადაწყვეტილებას			
	პრეზიდენტი პრემიერმინისტრის წარდგენით	პრეზიდენტი მთავრობის წარდგენით	პრემიერმინისტრი	ამტკიცებს პარლამენტი
საომარი მდგომარეობის გამოცხადება	+	-	-	+
ზავის დადება	+	-	-	+
საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება	+	-	-	+
საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენება	-	-	+	-
თავდაცვის ძალების გამოყენება საგანგებო მდგომარეობის დროს	+	-	-	+
თავდაცვის ძალების გამოყენება ბუნებრივი ან ტექნოლოგიური კატასტროფების დროს	-	-	+	-
საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად თავდაცვის ძალების გამოყენება	-	+	-	+
გადაწყვეტილება სხვა ქვეყნის სამხედრო ძალის შემოყვანის შესახებ		+		+

4.4. ეროვნული თავდაცვის საბჭო

1995 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა უმაღლეს მთავარსარდალთან – პრეზიდენტთან, მუდმივმოქმედი ორგანოს – უშიშროების საბჭოს არსებობას. კონსტიტუციის 99-ე მუხლში აღნიშნული იყო: „სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“.

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციით პრეზიდენტთან არსებული უშიშროების საბჭო გაუქმდა. კონსტიტუცია ახლა ითვალისწინებს ეროვნული თავდაცვის საბჭოს არსებობას. კერძოდ, კონსტიტუციის ახალი რედაქციის თანახმად, საომარი მდგომარეობის დროს იქმნება სათათბირო ორგანო – ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი. ეროვნული თავდაცვის საბჭოს მუდმივი წევრები არიან: საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი და თავდაცვის ძალების მეთაური.

საქართველოს პრეზიდენტის გადანყვეტილებით საბჭოს წევრებად მონვეულ იქნენ პარლამენტისა და მთავრობის ცალკეული წევრები. ეროვნული თავდაცვის საბჭო მოქმედებს საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

ეროვნული თავდაცვის საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

თემა XI. საქართველოს პარლამენტი

1. პარლამენტარიზმის ისტორიიდან

პარლამენტი – ინგლ. parliament, ფრანგ. parlement, სიტყვა parler – ლაპარაკი; ესაა უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო სახელმწიფოებში, სადაც არსებობს ხელისუფლებათა დანაწილება.

პარლამენტარები სარგებლობენ განსაკუთრებული პატივისცემით და სტატუსით, როგორც ხელისუფლების საჯარო, დემოკრატიული ბუნების გამომხატველნი; ყველა დაწერილ კონსტიტუციაში აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასთან შედარებით, მათ უპირატესი, უფრო საპატიო ადგილი ეთმობათ.

„პარლამენტარიზმი“ ნიშნავს მოქალაქეთა გარანტიებს, დისკუსიის, პრესის, ინდივიდუალურ თავისუფლებას, გადასახადზე კონტროლს..., უფლებას, იცოდეთ, როგორ განკარგავენ თქვენს ფულს, კრედიტის სიმყარეს, რწმენის, კულტის აღსრულების თავისუფლებას..., თითოეულის უსაფრთხოებას, ტირანიის საპირწონეს, ერის ღირსებას, ... აყვავებას..., სახალხო ინიციატივას, ცვლილებებს, სიცოცხლეს და ბევრ სხვა რამეს. დღეს პარლამენტარიზმის თაობაზე აღარც კამათობენ და აღარც დავობენ“.

ვიქტორ ჰიუგო, პატარა ნაპოლეონი

ხშირად პარლამენტარიზმს წარმომადგენლობით და დემოკრატიულ რეჟიმთან აიგივებენ: „სახელმწიფოს ნების ჩამოყალიბება, რომელსაც ხალხის მიერ არჩეული კოლეგიური ორგანო წარმართავს“ (კელზენი);

პარლამენტარიზმის ძირითადი განსხვავება ხელისუფლების დაყოფის პრინციპია:

- „ხისტი“ დაყოფა საპრეზიდენტო რეჟიმს ახასიათებს;
- საპარლამენტო რეჟიმებში ხელისუფლების დაყოფის მოქნილი სისტემა არსებობს:

– საპარლამენტო რეჟიმებში მოქმედებს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრინციპი პარლამენტის წინაშე;

– ამის სანაცვლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება;

მმართველობის საპარლამენტო სისტემა აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების შერწყმას გულისხმობს და შემდეგი ნიშნებით გამოირჩევა:

- მთავრობა საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსული პარტიის წევრებისაგან ყალიბდება და ცალკე მთავრობის არცერთი წევრის არჩევა არ ხდება;
- მთავრობაში, ჩვეულებრივ, უმრავლესობის მქონე პარტიის ან პარტიათა ლიდერები მოდიან;
- მთავრობა პასუხისმგებელია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე იმ თვალსაზრისით, რომ მისი ნდობით სარგებლობს და ამ ნდობის დაკარგვის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მისი გადადგომაც ხდება;
- მმართველობის საპარლამენტო მოდელში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა „კოლექტიურად“ ხორციელდება, კაბინეტური პრინციპის შესაბამისად;
- რამდენადაც მთავრობის მეთაური (პრემიერმინისტრი) საპარლამენტო ნომენკლატურაა, ქვეყანაში სხვა სახელმწიფო მეთაურიცაა – კონსტიტუციური მონარქი ან წარმომადგენლობითი ფუნქციებით აღჭურვილი პრეზიდენტი.

<ul style="list-style-type: none"> • პარლამენტი – წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტი. • პარლამენტი – ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც პოლიტიკურ სპექტრს მთელი მრავალფეროვნებით წარმოდგენს.

პარლამენტი – ორგვარი დამოკიდებულება:

„პარლამენტს შეუძლია ყველაფრის გაკეთება, გარდა ერთისა: გადააქციოს ადამიანი ქალად, ქალი კი ადამიანად“

ჰერბერტ ჰენრი, ლორდი პემბრუკი (1534-1601)

„დედოფალმა თავის სასიკვდილო განაჩენს უნდა მოანეროს ხელი, თუკი ამას პარლამენტის ორივე პალატა მოითხოვს“

უოლტერ ბეიჯჰოტი, 1867

„პარლამენტი სხვა არაფერია, თუ არა მეტ-ნაკლებად მოცული ხალხის დიდი თავყრილობა“

უოლტერ ბეიჯჰოტი, 1867 წელი

ცნობისათვის

პარლამენტარიზმის ისტორიიდან:

XIX საუკუნე:

- პარლამენტარიზმის „ოქროს ხანა“;
- ბრძოლა საარჩევნო ცენზების გასაუქმებლად: ქონებრივი, განათლების, გენდერული, რელიგიური;
- საყოველთაო საარჩევნო უფლების დამკვიდრება.

2. ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან

2.1. ყუთლუ-არსლანის კარავი – ქართული

პარლამენტარიზმის სათავე?

საქართველოში პარლამენტარიზმის ისტორიის განხილვისას ხშირად იხსენებენ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას თამარ მეფის ზეობის პერიოდში.

- 1185 წელი – ყუთლუ არსლანის დასის მიერ „კარვის დადგმის“ მოთხოვნა; ერთადერთი წყარო ამ ამბის შესახებ არის თამარის პირველი ისტორიკოსის ნაშრომი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

1185 წელს, „უგვარო“ დიდმოხელეთა გადაყენების შემდეგ, თანამდებობებისათვის გამძაფრებული ბრძოლის დროს, ხდება მოვლენა, რომლის შესახებაც ისტორიკოსი გვაუწყებს: „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახ(ედ) ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა **კარავი** დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, **განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა, მაშინლა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი**“ (ქართლის ცხოვრება, ტ.2, გვ. 30-31).

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „კარავი“, მაშინდელი წყაროების მიხედვით, „დარბაზის“ სინონიმი იყო; დარბაზი მეფესთან არსებული სათათბირო ორგანო იყო, რომელიც საერო და საეკლესიო დიდმოხელეებისაგან შედგებოდა;

ყუთლუ-არსლანს ასეთი დარბაზის შექმნა როდი სურს და დარბაზის ნაცვლად „კარავი“ შემთხვევით არაა ნახმარი; ყუთლუ-არსლანის პროგრამის მიხედვით, კარავი სრულიად ახალი დანესებულებაა, რომელიც არსებითად განსხვავდება დარბაზისაგან.

დარბაზს მეფე იწვევდა, მისი სათათბირო ორგანო იყო, მაშინ, როდესაც კარავში მსხდომნი თავად უნდა ყოფილიყვნენ ქვეყნის გამგებელნი და მეფე კარავის მუშაობაში არ მიიღებდა მონაწილეობას; კარავში მსხდომნი იქნებოდნენ ყოველი მნიშვნელოვანი საქმის საბოლოოდ გადამწყვეტნი. მათ ხელში ექცეოდა ქვეყნის უმაღლესი გამგებლობა და უმაღლესი მართლმსაჯულება; მეფეს მხოლოდ გადანყვეტილების შესრულების ფუნქცია რჩებოდა.

2.2. სამეფო დარბაზი თამარ მეფის დროს

- **დარბაზი – დიდებულებისაგან შემდგარი ორგანო, რომლებიც „თანაზიარნი“ იყვნენ მეფის ხელისუფლებისა. დიდებულების „თანადგომითა და ერთნებაობით“ იმართებოდა ქვეყანა;**

ყოთლუ-არსლანის მოთხოვნის მიხედვით, მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ფუნქციები რჩებოდა, შეთანხმების შედეგად მეფემ „დამტკიცების“ უფლება შეინარჩუნა.

შ. ნუცუბიძე „ისნის კარავში“ ხედავდა „ქართულ პარლამენტს“.

„ისნის კარავი“ – „ევროპული წარმომადგენლობითი მართვის“ ერთგვარი წინამორბედი.

2.3. სამეფო დარბაზი – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

საქართველოში მეფეებთან ყოველთვის არსებობდა სათათბირო ორგანოები, სადაც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილებოდა.

1490 წელს კონსტანტინე მეფის მიერ მოწვეული

სამეფო დარბაზი:

„შემოკრიბა კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი და განიზრახვიდა თუ რაი ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა“.

დიდებულებს მეფისთვის ურჩევიათ, დროებით ხელი აელო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაზე.

1722 წელი ვახტანგ VI-ის მიერ მოწვეული სამეფო დარბაზი

(დავით გურამიშვილი):

რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა დაიწყო ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა და დალესტანში, დარუბანდამდე ჩამოვიდა. ვახტანგ VI-ს წერილი გამოუგზავნა და სალაშქროდ მიიწვია. დიდებულთა ნაწილი მეფეს მაინც სიფრთხილის გამოჩენას ურჩევდა, მეფე ვახტანგმა კი პეტრე პირველის წინადადება მიიღო და განჯისკენ გაილაშქრა. რუსეთის იმპერატორი უკან გაბრუნდა, ქართველები კი მარტო აღმოჩნდნენ მტრის პირისპირ. დავით გურამიშვილი შემდეგნაირად აღწერს სამეფო დარბაზის სხდომას:

„მათ უთხრეს, თუ უჭკუო ვართ, ნახავთ, ბოლოს გამოჩნდების; არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, თუ ეგ საქმე მალ მოხ-

დების. მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების, ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების“.

„ბევრნი ბევრს რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა? მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!“.

1790 წლის სამეფო დარბაზის სხდომა, სადაც განიხილებოდა ქართლ-კახეთთან იმერეთის სამეფოს გაერთიანების საკითხი.

კრება სამ დღეს მიმდინარეობდა და კამათის შემდეგ დარბაზმა გაერთიანებას დაუჭირა მხარი.

ერეკლეს მემკვიდრე გიორგი: „შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა... სამეფო ისრავლთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად...“.

სამწუხაროდ, ერეკლე II-მ დარბაზის რჩევა არ მიიღო და ჩათვალა, რომ იმერეთში მისი შვილიშვილის გამეფება საქართველოს ერთიანობის გამომხატველი იქნებოდა: „მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა... დესპანო! წარვედით და იმერეთის ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირისა თავით-თვისით იქნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა“.

2.4. იოანე ბატონიშვილი – სახელმწიფო საბჭოს რეფორმა

იოანე ბატონიშვილი (1768–1830). „სჯულდება“ (1799) – ქართლ-კახეთის სამეფოს რეფორმირების პროექტი;

დარბაზს **სახელმწიფო საბჭოს** უწოდებს;

საბჭო უნდა შექმნილიყო ტერიტორიული პრინციპის მიხედვით 12 წევრის შემადგენლობით; შემადგენლობა: 3 ქართლიდან, 3 კახეთიდან, 3 ქალაქიდან (თბილისიდან) და 3 „თათრებიდან“;

სახელმწიფო საბჭოში უნდა შესულიყო ასევე ერთ-ერთი მეფის ძეც – ტახტის მემკვიდრე, იგი თანდათანობით შეეჩვეოდა ქვეყნის მართვა-გამგეობას.

სახელმწიფო საბჭოს წევრები – „ჭკვიანნი ადამიანნი“, რომლებიც საქვეყნო საქმეების გამო ყოველთვის უნდა იყვნენ „რჩევაში“;

სახელმწიფო საბჭო – სათათბირო ორგანო მეფესთან; მისი მოვალეობა – „მიძიმე საქმეების“ გარჩევა;

მეფის ბრძანებით, საბჭო გამოთქვამდა თავის აზრს, მეფეც „თვისსა განზრახულსა“ გაუზიარებდა საბჭოს, ყველაფერ ამას „ერთად შეამონებდნენ, განარკვევდნენ და მერეთ ისე დაამტკიცებდნენ იმა საქმესა“.

3. პარლამენტი საქართველოში – ისტორია

3.1. საქართველოს ეროვნული საბჭო

საქართველოს ეროვნული საბჭო იყო საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანო.

აირჩიეს საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე 1917 წლის 19–23 ნოემბერს.

1918 წლის 26 მაისს საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა;

1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

საბჭოში უმრავლესობას ფლობდნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები).

მასში ასევე მონაწილეობდნენ ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები, „ალიონის“ ჯგუფი, რადიკალ-დემოკრატები და უპარტიოები.

საბჭოს თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი, 1918 წლის ოქტომბრიდან – კარლო ჩხეიძე.

საბჭომ მოამზადა და 1919 წლის თებერვალში ჩაატარა საყოველთაო და პირდაპირი საპარლამენტო არჩევნები, რის შემდეგაც საკანონმდებლო უფლებამოსილება საქართველოს დამფუძნებელ კრებას გადააბარა.

3.2. საქართველოს დამფუძნებელი კრება

საქართველოს ისტორიაში პირველი არჩეული პარლამენტი იყო დამფუძნებელი კრება, რომელიც შედგებოდა პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 130 წევრისაგან.

არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 14–17 თებერვალს:

- სოციალ-დემოკრატიული პარტია – 109 დეპუტატი;
- ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 დეპუტატი;
- სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 8 დეპუტატი;
- სოც. რევოლუციონერები – 5 დეპუტატი.

დამფუძნებელი კრების შემადგენლობა მკვეთრად მემარცხენე იყო:

მემარცხენე – 122 დეპუტატი

მემარჯვენე – 8 დეპუტატი

- 1919 წლის ზაფხულში დამატებითი არჩევნების შედეგად სოციალ-დემოკრატებს დარჩათ 102 პარლამენტარი, დაემატა დაშნაკთა და ეროვნული პარტიების წარმომადგენლები.

საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციით:

- ერთპალატიანი პარლამენტი;
- ხანგრძლივობა – 3 წელი;
- არჩევნები საყოველთაო საარჩევნო უფლებით;
- პროპორციული სისტემით, საარჩევნო ბარიერის გარეშე;
- პარლამენტის ადგილსამყოფელი – თბილისი;
- არჩევნების ჩატარება იგეგმებოდა 1921 წლის შემოდგომაზე.

3.3. წარმომადგენლობითი ორგანო საბჭოთა პერიოდში

საბჭოთა პერიოდში ჩატარებული არჩევნების დროს შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანოები რეალურად არ შეიძლება მივიჩნიოთ საკანონმდებლო ხელისუფლებად, რადგანაც არც საქართველო იყო სუვერენული სახელმწიფო და არც წარმომადგენლობითი ორგანოები ფლობდნენ იმ უფლებამოსილებას, რაც კონსტიტუციურად ჰქონდათ მინიჭებული. თავად არჩევნები კი ერთპარტიული მმართველობის პირობებში ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

საბჭოთა მმართველობის პერიოდში საქართველოში ისევე, როგორც სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში, ხელისუფლების განაწილება საერთოდ უგულებელყოფილი იყო. საბჭოთა სინამდვილე გაურბოდა ტერმინ „პარლამენტის“ გამოყენებას. სოციალისტური კონცეფციის შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანო ორრგოლიანი სისტემის სახით გამოიყურებოდა. ეს იყო საქართველოს სახალხო დეპუტატთა ყრილობა და მისგან ჩამოყალიბებული უმაღლესი საბჭო.

ამ მხრივ განსაკუთრებულია 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები, რომელიც ჩატარდა დემოკრატიული საარჩევნო სისტემით და არჩევნების შედეგად შექმნილი უზენაესი საბჭო შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს პირველ პარლამენტად, რომელმაც გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1991 წლის 22 დეკემბერ – 1992 წლის 6 იანვარს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად უზენაესმა საბჭომ თავისი კონსტიტუციური საქმიანობა ბოლომდე ვერ მიიყვანა.

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგად შექმნილი პარლამენტი განსაკუთრებული სიჭრელით გამოირჩეოდა იქ წარმოდგენილი პარტიებისა და პოლიტიკური ჯგუფების მხრივ. ამ პარლამენტმა თავისი საქმიანობის დასასრულს – 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

3.4. რა დავარქვით საქართველოს პარლამენტს

1918 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიას სასწრაფოდ მოუხდა მუშაობის დანყება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებაზე, რომ ეროვნულ საბჭოს სახელწოდება შეეცვალოს და ეწოდოს „საქართველოს პარლამენტი“.

კომისიამ პ. საყვარელიძეს დაავალა შესაბამისი კანონპროექტის შემუშავება და მომდევნო სხდომისათვის წარმოედგინა.

საკონსტიტუციო კომისიის 21 სექტემბრის სხდომაზე საკითხის განხილვა გაგრძელდა – მიიღეს ჯერ „სახელმწიფო დარბაზი“, ბოლოს არჩევანი შეაჩერეს სახელწოდებაზე – **რესპუბლიკის დარბაზი**“.

სწორედ ეს სახელწოდება წარუდგინეს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს. მომხსენებლად გამოყვეს პ. საყვარელიძე.

საკონსტიტუციო კომისიის მოსაზრება არ გაიზიარეს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე ხმის უმრავლესობით გადაწყდა, ამ დანსებულები-სათვის ეწოდებინათ „საქართველოს პარლამენტი“.

3.5. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდებები

პერიოდი	სახელწოდება
1918 წლის მაისი-ოქტომბერი	საქართველოს ეროვნული საბჭო
1918 წლის ოქტომბერი – 1919 წლის მარტი	საქართველოს პარლამენტი
1919 წლის 12 მარტი – 1921 წლის 17 მარტი	საქართველოს დამფუძნებელი კრება
1990 წლის ოქტომბერი	საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
1992 წლიდან	საქართველოს პარლამენტი

4. საქართველოს პარლამენტი – ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო

4.1. საქართველოს პარლამენტის სტატუსი 1995 წლის კონსტიტუციით

საქართველოს პარლამენტი ის ძირითადი ორგანოა, სადაც ხორციელდება ხალხის როგორც ხელისუფლების წყაროს პოლიტიკური ნების ფორმირება. საქართველოს პარლამენტის სტატუსსა და როლს ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში განსაზღვრავს კონსტიტუციის მესამე თავი.

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

ზოგადად, კომპეტენციის მიხედვით, განასხვავებენ პარლამენტების 3 ჯგუფს:

1. ზუსტად განსაზღვრული კომპეტენციის მქონე პარლამენტები – კონსტიტუციაში ზუსტად და ამომწურავადაა განსაზღვრული პარლამენტის კომპეტენცია და ამის მაგალითია აშშ-ის კონგრესი.

2. პარლამენტები განუსაზღვრელი კომპეტენციით – პარლამენტი კონსტიტუციურად არ არის შეზღუდული და თავისი შეხედულებისამებრ, საკანონმდებლო წესით, შეუძლია ნებისმიერი საკითხის გადანყვეტა. ასეთი პარლამენტის მაგალითია დიდი ბრიტანეთის პარლამენტი, ამავე ჯგუფს მიეკუთვნება იტალიის, ირლანდიისა და იაპონიის პარლამენტები.

3. ნაწილობრივ განსაზღვრული კომპეტენციის პარლამენტები – საკითხთა ის წრე, რომელიც პარლამენტის უფლებამოსილებაშია შეტანილი, კონსტიტუციით არ არის ამომწურავი და, ჩამოთვლილი საკითხების გარდა, მათ საკანონმდებლო წესით სხვა საკითხების გადანყვეტაც შეუძლიათ.

საქართველოს პარლამენტი მიეკუთვნება სწორედ **ნაწილობრივ განსაზღვრული კომპეტენციის** მქონე პარლამენტთა ჯგუფს. კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 36-ე მუხლში („პარლამენტის სტატუსი და უფლებამოსილება“), კომპეტენციის განმსაზღვრელი ზოგადი დებულებების გარდა, აღნიშნულია, რომ „ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“.

საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 36

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

4.2. ორპალატიანი პარლამენტის პერსპექტივა

საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია, მაგრამ 1995 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებს ორპალატიანი პარლამენტის ფორმირებას, რომელიც შემდგარი იქნება რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისაგან.

რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან, სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

მუხლი 37

პარლამენტის არჩევნები

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

4.3. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა და შემადგენლობა, დავა მაჟორიტარული არჩევნების საჭიროების თაობაზე

1995 წლის კონსტიტუციით პარლამენტი ოთხი წლის ვადით აირჩევა. მისი შემადგენლობა თავიდან 235 წევრით განისაზღვრა. აქედან 150 წევრი პროპორციული სისტემით უნდა ყოფილიყო არჩეული, 85 წევრი კი მაჟორიტარული სისტემით.

პატარა ქვეყნისათვის 235-წევრიანი პარლამენტი მეტისმეტად მრავალრიცხოვნად იქნა მიჩნეული და 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150-ს.

თავიდან ვარაუდობდნენ, რომ 150 წევრიდან 100 წევრი არჩეული იქნებოდა პროპორციული სისტემით, ხოლო 50 წევრი მაჟორიტარული სისტემით. თუმცა 2008 წლის მარტში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, პარლამენტი არჩეული იქნა 75 პროპორციული და 75 მაჟორიტარი დეპუტატის შემადგენლობით. მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობის გაზრდას სახელისუფლო პარტია იმით ასაბუთებდა, რომ ყოველ რაიონს თავისი მაჟორიტარი უნდა ჰყოლოდა.

2012 წლის 1 ოქტომბრის პარლამენტში არჩეულ იქნა 77 პროპორციული სიით და 73 მაჟორიტარი. იმავე პრინციპით ჩატარდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის თანახმად, იმავე შემადგენლობის უნდა იყოს 2020 წელს არჩეული პარლამენტიც.

კონსტიტუციის გარდამავალი დებულების თანახმად, საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში, რომელიც 2020 წელს უნევს, პარლამენტში იქნება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 წევრი. პროპორციული სისტემით არჩევნებისთვის დაწესებული იქნება ბარიერი 5%-იდან 3%-ამდე – „პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3 პროცენტს მაინც“.

რადგანაც მაჟორიტარულ არჩევნებში, როგორც წესი, დიდი უპირატესობა აქვთ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის კანდიდატებს, ოპოზიცია წლების განმავლობაში დაჟინებით მოითხოვს მაჟორიტარული წესით არჩევნების საერთოდ გაუქმებას და საპარლამენტო არჩევნების მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებას. მმართველი პოლიტიკური ძალა ამას მხოლოდ მომდევნოს შემდეგ, – 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დათანხმდა.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციამ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნა წამოაყენა.

4.4. საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის თანახმად

საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე პარლამენტი შედგება 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან.

კონსტიტუციურად განისაზღვრა საპარლამენტო არჩევნების დროც – პარლამენტის მორიგი არჩევნები უნდა ჩატარდეს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს (მანამდე მოქმედი წესის თანახმად, პარლამენტის მორიგი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო

პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს კი ნიშნავდა საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა).

პარლამენტის დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება პარლამენტის დათხოვნიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. თუ არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა.

პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.

4.5. საქართველოს პარლამენტის არჩევის წესი

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 37-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას. მისი მხარდაჭერა დადასტურებული უნდა იყოს ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით, არანაკლებ 25 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით. პოლიტიკური გაერთიანება თავისუფლდება ხელმოწერების წარდგენისგან, თუკი მას უკვე ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის.

პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს მაინც. მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით.

პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების დროს, თუკი არსებობს საარჩევნო ბარიერი (ჩვენს შემთხვევაში საკმაოდ

მაღალი – 5%-იანი) რჩება გაუნაწილებელი მანდატების მნიშვნელოვანი რაოდენობა იმ პარტიების ამომრჩეველთა ხარჯზე, რომელთაც საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს. ჩვეულებრივ, ასეთი მანდატები პროპორციულად ნაწილდება პარლამენტში შესულ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების დროს გაჩნდა მოსაზრება, რომ გაუნაწილებელი მანდატები მთლიანად გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას გადასცემოდა. ამ მოსაზრებას ოპოზიციის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. საბოლოო ჯამში, კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციაში ჩაიდო საპარლამენტო მანდატების განაწილების საკმაოდ რთული სისტემა.

პარლამენტის ნევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5% მაინც მიიღეს. პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს მიიღებს პოლიტიკური პარტია, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

თუმცა კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, ამავე დროს, ჩაიდო დათქმა, რომ პარტიის მიერ მიღებული გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს მის მიერ მიღებული ძირითადი მანდატების 35%-ზე მეტს. ოღონდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ძირითადი მანდატების 35%-ზე მეტს გაუნაწილებელი მანდატების პროპორციული განაწილების პირობებში მიიღებდა. ყველა გაუნაწილებელი მანდატი პროპორციულად განაწილდება ყველა იმ პარტიაზე, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5% მიიღო.

ამ წესით პარტიას არ შეუძლია მიიღოს 89 მანდატზე მეტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი 89 მანდატზე მეტს გაუნაწილებელი მანდატების პროპორციული განაწილების პირობებში მი-

იღებდა. 90-ე და ყველა შემდეგი გაუნაწილებელი მანდატი, რომელსაც ვერ მიიღებს შესაბამისი პარტია, პროპორციულად განაწილება სხვა პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5% მაინც მიიღეს. თუ პარტია 89 მანდატზე მეტს გაუნაწილებელი მანდატების პროპორციული განაწილების პირობებში მიიღებდა, ყველა გაუნაწილებელი მანდატი პროპორციულად განაწილება ყველა იმ პარტიაზე, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5% მაინც მიიღო.

4.6. პარლამენტის პირველი სხდომა

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან.

4.7. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი

საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი, ტრადიციულად, საქართველოს დედაქალაქი თბილისი იყო.

2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი იქნება თბილისთან ერთად ქუთაისი, ხოლო პარლამენტის პლენარული სხდომები მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისში გაიმართება. ეს უნდა მომხდარიყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

2011 წლის 1 ივლისს კონსტიტუციაში კიდევ შევიდა ცვლილება და პარლამენტი 2012 წლიდან მთლიანად ქუთაისში გადაიტანეს:


„მუხლი 48“¹

1. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი.

2. საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა სხდომის ან სესიის მონვევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.“

„ნაციონალურ მოძრაობას“ საერთოდ უნდოდა პარლამენტის თბილისში დაბრუნების გამორიცხვა და თბილისში არსებული პარლამენტის შენობა საპრივატიზაციო ნუსხაში შეიტანეს. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ მიაჩნია, რომ პარლამენტი ქვეყნის დედაქალაქში უნდა უყოს განლაგებული, ხოლო პარლამენტის ადგილსამყოფელი კონსტიტუციით არ უნდა იყოს განსაზღვრული. ასევე გარემონტდა პარლამენტის შენობა თბილისში.

4.8. საქართველოს პარლამენტის შენობა



პარლამენტის მონუმენტური ნაგებობა რუსთაველის პროსპექტზე ქაშვეთის ეკლესიის მოპირდაპირედ პირველ საჯარო სკოლასა და ახლგაზრდობის სასახლეს შორის მდებარეობს. შენობა თავის მასშტაბითა და პომპეზური არქიტექტურით გამოირჩევა, რაც დამახასიათებელია საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო დანიშნულების ნაგებობებისთვის. ადრე მასში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ფუნქციონირებდა. პარლამენტის შენობის ადგილას ე.წ. „სობორო“, სამხედრო ტაძარი იდგა, რომელიც მეფის რუსეთის მიერ კავკასიის

დაპყრობის აღსანიშნავად აიგო 1865–1866 წლებში. გასაბჭოების შემდგომ ტაძარი დაანგრეს და მის ადგილას 1938 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო მთავრობის სახლის მშენებლობა, რომელიც 1965 წლამდე გაგრძელდა. პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები: ვ. კოკორინი, გ. ლეჟავა და ვ. ნასარიძე.

პარლამენტის შენობა ორი კორპუსისგან შედგება. ზედა კორპუსი აშენდა 1938 წელს, მეორე, რუსთაველის გამზირისპირა კორპუსი აიგო 1953 წელს. ორივე კორპუსის გადაწყვეტაში ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მოტივებია გამოყენებული, როგორც ცალკეულ ნაწილთა კომპოზიციაში, ისე დეკორსა და მოსაპირკეთებელ მასალაში. კორპუსებს აერთიანებს შიდა ეზო-ვესტიბიული, რომელიც კიბეებითა და შადრევნებით მიუყვება რელიეფს.

პარლამენტის შენობის არქიტექტურაში გამოყენებულია ეროვნული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი საშენი მასალა – ოქროსფერი ტუფი და არქიტექტურული ორნამენტი. პარლამენტის შენობა და მის გარშემო არსებული სივრცე მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე მრავალწლიან დრამატულ ისტორიას. ასე შენობის საფუძველში ჩაყოლილ იქნა საქართველოს გასაბჭოებისას დაღუპულ მებრძოლთა საფლავები. პარლამენტის შენობის წინ ვითარდებოდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები, როდესაც აქ საბჭოთა არმიამ დაარბია მშვიდობიანი მიტინგი, რაც მსხვერპლით დამთავრდა. ამის აღსანიშნავად პარლამენტის წინ დგას 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალი.

2012 წელს პარლამენტი გადავიდა ქ. ქუთაისში, ახალ შენობაში, რომელიც აშენდა 2010–2012 წლებში. პროექტი ეკუთვნის ესპანურ საპროექტო ბიურო „CMD Ingenieros“-ს (არქიტექტორები: ალბერტო დომინგო და კარლოს ლაზარო). შენობის კომპოზიცია სივრცით-მოცულობითია და შექმნილია მარტივი ფორმებით: მინის კამარა შუაზე გაყოფილია ბეტონის თეთრი სარტყლით, რომლის ბოლოებიც მინის ზედაპირს ჰორიზონტალურად მიუყვება, სადაც შენობაში შესასვლელებია. მინის კამარა, რომელიც ფარავს 100×150 კვ.მ ფართობს, ქმნის შენობის გარეთა გარსს, რომლის შიგნითაც განლაგებულია მთავარი ფოიე და სხვადასხვა

დანიშნულების სათავსები/სამყოფები. შენობას გარშემო აკრავს ვრცელი გამწვანებული ტერიტორია.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისა და ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ საკანონმდებლო ორგანო თბილისიდან ქუთაისში გადავიდა. პარლამენტის ქუთაისის შენობაში მერვე მოწვევის პარლამენტმა 2012 წლის 21 ოქტომბერს დაიწყო მუშაობა. მსჯელობა და დებატები პარლამენტის კვლავ თბილისში დაბრუნების თაობაზე მაშინვე დაიწყო.

2014 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა, შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ დაიბრუნა ძველი სამუშაო სივრცე, თბილისში, რუსთაველის 8 ნომერში. თბილისის პარლამენტის შენობაში ბიუროსა და კომიტეტების სხდომები აღდგა. გარემონტდა სხდომათა და საკომიტეტო მოსმენების დარბაზებიც.

2019 წლის იანვრიდან პარლამენტი ქუთაისში აღარ იმუშავებს და მთლიანად თბილისში გადავა. საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის, თამარ ჩუგოშვილის, თქმით, შეუძლებელია პარლამენტის მუშაობა ორ შენობაში, ორ ქალაქში – ქუთაისსა და თბილისში. გარდა ამისა, ვიცე-სპიკერის განმარტებით, პარლამენტის ქუთაისში მუშაობა დიდ ხარჯვებთანაა დაკავშირებული.

2019 წლიდან ან უკვე ყოფილ პარლამენტის შენობაში განთავსდება პოლიციის რამდენიმე სტრუქტურა. ამის შესახებ განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ჯავახაძემ. კერძოდ, პარლამენტის შენობაში ბინას დაიდებს „112“, საპატრულო პოლიციის მომსახურების ერთიანი ცენტრი, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რეგიონული ცენტრი და მომსახურების სააგენტო.

საპარლამენტო უმცირესობა აკრიტიკებს პარლამენტის ქუთაისიდან მთლიანად თბილისში გადატანას. „ევროპული საქართველოს“ ნევერ ხათუნა გოგორიშვილის განცხადებით, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომ ქუთაისი აღარ იყოს საპარლამენტო ქალაქი. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებით, ქუთაისი დაკარგავს არა მხოლოდ სტატუსს, არამედ დამატებით სამუშაო ადგილებს და შემოსავალს, რადგან ქალაქში აღარ ჩავლენ პარლამენტის წევრები და ასობით თანამშრომელი.

4.9. პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის წესი

1995 წლის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის უფლებას. იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურაც უაღრესად რთულია, კონსტიტუციაში ჩადებული იყო კონფლიქტის შესაძლებლობა, საიდანაც კონსტიტუციური გამოსავალი შეიძლება ვეღარ მოენახათ.

2004 წლის 6 თებერვალს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად პრეზიდენტმა მიიღო პარლამენტის დათხოვნის უფლება კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში (მუხლი 73, პუნქტი პ.):

– თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, საქართველოს პრეზიდენტი 5 დღის ვადაში წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე 5 დღის ვადაში, დანიშნავს მინისტრებს საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

– პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შემდეგ პრეზიდენტს შეეძლო დაეთხოვა მთავრობა ან პარლამენტი. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას სრული შემადგენლობის უმრავლესობით. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან არ იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას. თუ პარლამენტი არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 100 დღისა კვლავ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

– თუ პარლამენტმა ვერ მოახერხა დადგენილი წესის დაცვით წარდგენილი ბიუჯეტის მიღება სამი თვის განმავლობაში,

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, გადააყენოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა, თუკი:

- თუ პარლამენტი ნდობას ვერ გამოუცხადებს მთავრობის შემადგენლობას, საქართველოს პრეზიდენტი 3 დღის ვადაში დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.
- მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია, 3 დღის ვადაში დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.
- თუ პარლამენტი ვერ მოახერხებს წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას 3 თვის განმავლობაში, ხარჯები დაიფარება წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით.

განისაზღვრა ის შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა საქართველოს კონსტიტუციის 51 პრიმა მუხლის თანახმად:

მუხლი 51¹

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:

ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში;

(ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში, თუ დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე; (15.10.2010. N3710 ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრე-

ზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან))

ბ) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;

გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;

დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში. (6.02.2004.N3272)

(დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, თუ დათხოვნა არ ხდება კონსტიტუციის მე-80 მუხლის საფუძველზე. (15.10.2010. N3710 ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)

შენიშვნა: კონსტიტუციის 63-ე მუხლი ითვალისწინებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას.

მე-80 მუხლი ითვალისწინებს პარლამენტის დათხოვნის კიდევ ერთ შესაძლებლობას, როდესაც პარლამენტი ნდობას ვერ გამოუცხადებს პარლამენტის შემადგენლობას.

2013 წლის 25 მარტს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საკონსტიტუციო შესწორება, რომლის ძალითაც საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება – მთავრობის პარლამენტთან შეუთანხმებლად ფორმირება – ჩამოერთვა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი, რომლის გადაწყვეტასაც „ქართული ოცნება“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება პარლამენტში 2012 წლის დეკემბრის ბოლოს 78 დეპუტატის ხელმოწერით მოხდა. საკითხი ბოლო სამი თვის განმავლობაში პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის გუნდებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების, ღია თუ დახურული მოლაპარაკებების მთავარი თემა იყო.

ცვლილებები კონსტიტუციის სამ მუხლს შეეხო და ქვეყნის მთავარ კანონში განისაზღვრა, რომ პარლამენტის მიერ ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებამდე მთავრობის მოვალეობ-

ის შესრულებას გადაყენებული თუ გადამდგარი მთავრობა გააგრძელებს. შესაბამისად, მესამე მოსმენით დამტკიცებული ცვლილებებით, პრეზიდენტს ჩამოერთვა მინიჭებული კონსტიტუციური უფლება, პარლამენტის წინააღმდეგობის მიუხედავად, ახალი მთავრობის ფორმირება მოეხდინა. კონსტიტუციის მე-80 მუხლს ახალი 5h1 პუნქტიც დაემატა, რომლის თანახმად, მთავრობის გადადგომის ან პრეზიდენტის მიერ მისი გადაყენების შემთხვევაში, პრეზიდენტი მასვე აკისრებს მოვალეობის შესრულებას, მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე. გადამდგარი თუ გადაყენებული მთავრობა მოვალეობის შესრულებას რიგგარეშე არჩევნების შედეგად ახლარჩეული პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადებამდე განაგრძობს.

ამასთან, კონსტიტუციაში დარჩა ნორმები, რომლებითაც პრეზიდენტს ახლარჩეული პარლამენტის პირველი ექვსი თვის, ხოლო საკუთარი უფლებამოსილების ამოწურვამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში დათხოვნა ეკრძალება. მოხდა პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვის განმავლობაში პარლამენტის დათხოვნის ამკრძალავი ნორმის კორექტირება და კონსტიტუციაში დაკონკრეტდა, რომ პრეზიდენტს ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება არა აქვს, უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის მაისის თვიდან ახლარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაამდე.

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციით პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობა განხილულია პარლამენტის მიერ მთავრობის არდამტკიცების შემთხვევაში.

5. საქართველოს პარლამენტის წევრები და სამუშაო რეგლამენტი

5.1. საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსი

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 39-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით

და მისი განვება დაუშვებელია. პარლამენტის წევრს თავისი უფლებამოსილების შესასრულებლად კონსტიტუციით შექმნილი აქვს დაცვის დამატებითი გარანტიები, რაც ცნობილია საპარლამენტო იმუნიტეტის სახელწოდებით.

პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს, ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

5.2. საქართველოს პარლამენტის წევრობის შეუთავსებლობა სხვა საქმიანობასთან

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 39-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში, ან ენეოდეს სამენარმეო საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ენეოდეს საზოგადოებრივ

საქმიანობას. პარლამენტის წევრი შეიძლება ეწეოდეს სამეცნიერო, პედაგოგიურ და სახელოვნებო საქმიანობას, თუ ეს საქმიანობა არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას.

შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს პარლამენტის რეგლამენტი. ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუნწყდება.

პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

5.3. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობა

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 39-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუნწყდება, თუ:

- ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა;
- ბ) იკავებს სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობას ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;
- გ) მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო მორიგი სხდომების ნახევარზე მეტს;
- დ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლომ ცნო უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- ვ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;
- ზ) გარდაიცვალა;
- თ) ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

5.4. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები

საქართველოს პარლამენტის საქმიანობას უძღვება პარლამენტის თავმჯდომარე. კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის მე-40 მუხლის თანახმად, პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით რეგლამენტიტ დადგენილი წესით ფარული კენჭისყრით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტიტ დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან (10.10.2002 N1689) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით. (20.04.2000, N 260)

პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტიტ გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ასრულებენ თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.

პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტიტ გათვალისწინებული წესით ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში.

5.5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეები

საქართველოს პირველი პარლამენტის – ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე იყო ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.

1992–1995 წლების მონვევის პარლამენტს თავმჯდომარეობდა ელუარდ შევარდნაძე, რომელიც, ამავე დროს, სახელმწიფოს მეთაურადაც იწოდებოდა; საქართველოს კონსტიტუციის მიღების

შემდგომ, 1995 წელს, პარლამენტის პირველი თავმჯდომარე გახდა მმართველი პარტიის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის, ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჟვანია, რომელიც 2001 წელს ნინო ბურჯანაძემ შეცვალა; 2008–2012 წლებში პარლამენტის თავმჯდომარე იყო დავით ბაქრაძე; 2012–2016 წლებში თავმჯდომარეობდა დავით უსუფაშვილი; 2016 წლიდან დღემდე თავმჯდომარეა ირაკლი კობახიძე.

საკანონმდებლო ორგანო	თავმჯდომარე	მუშაობის წლები
საქართველოს ეროვნული საბჭო	ნოე ჟორდანი	მაისი, 1918 – ოქტომბერი, 1918
საქართველოს პარლამენტი	ნოე ჟორდანი	ოქტომბერი, 1918 – მარტი, 1919
საქართველოს დამფუძნებელი კრება	ნიკოლოზ ჩხეიძე	მარტი, 1919 – მარტი, 1921
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო	ზვიად გამსახურდია	ნოემბერი, 1990 – მაისი, 1991
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო	აკაკი ასათიანი	ივნისი, 1991 – იანვარი, 1992
საქართველოს პარლამენტი	ედუარდ შევარდნაძე	4 ნოემბერი, 1992 – 25 ნოემბერი, 1995
საქართველოს პარლამენტი	ზურაბ ჟვანია	25 ნოემბერი, 1995 – 1 ნოემბერი, 2001
საქართველოს პარლამენტი	ნინო ბურჯანაძე	9 ნოემბერი, 2001 – ნოემბერი, 2003
საქართველოს პარლამენტი	გიგი წერეთელი	ნოემბერი, 2003 – მარტი, 2004

საქართველოს პარლამენტი	ნინო ბურჯანაძე	22 აპრილი, 2004 – 7 ივნისი, 2008
საქართველოს პარლამენტი	დავით ბაქრაძე	7 ივნისი, 2008 – 21 ოქტომბერი, 2012
საქართველოს პარლამენტი	დავით უსუფაშვილი	21 ოქტომბერი, 2012 – 18 ნოემბერი 2016
საქართველოს პარლამენტი	ირაკლი კობახიძე	18 ნოემბერი, 2016 – დღემდე

5.6. პარლამენტის სასესიო მუშაობის წესი

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 44-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის თანახმად ვალდებულია, მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.

2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით პრეზიდენტს აღარ შეეძლება პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევა.

პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამონაწერისთანავე.

პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრიბება. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.

პარლამენტის სხდომები საჯაროა. პარლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომის ან სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადების შესახებ. გადაწყვეტილება სხდომის ნაწილის დახურვის შესახებ განიხილება და მიიღება დახურული წესით. პარლამენტის ღია სხდომის ოქმი საჯაროა.

პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.7. კანონშემოქმედება და გადაწყვეტილებების მიღების წესი

პარლამენტის მიერ კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, და თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონის მიღების სხვა წესი. ორგანული კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, და თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი.

პარლამენტის სხვა გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, და თუ კონსტიტუციით ან კანონით არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების სხვა წესი.

გადაწყვეტილება კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედი.

5.8. კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 46-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

საქართველოს პრეზიდენტი ორი კვირის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

თუ საქართველოს პრეზიდენტი დააბრუნებს კანონს, პარლამენტი კენჭს უყრის საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონის პირვანდელი მიღებისათვის არის დადგენილი. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონის საბოლოო რედაქცია 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

თუ პარლამენტმა არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. ორგანული კანონი ან კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, გარდა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ორგანული კანონისა (ეხება უცხოელ მოქალაქეზე მიწის გაყიდვის გამონაკლის შემთხვევას, რომელიც მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით). კანონი 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ კონსტიტუციურ კანონს, რომელიც პარლამენტმა მიიღო სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს გადაცემიდან 5 დღის ვადაში, პარლამენტისთვის შენიშვნებით დაბრუნების უფლების გარეშე.

თუ საქართველოს პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ მოაწერა ხელი კანონს და არც მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა იგი პარლამენტს ან დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ვადის ამონურვიდან 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

5.9. პრეზიდენტის იმპიჩმენტი

დღეს მოქმედი კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში.

თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

დაუშვებელია პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

5.10. საპარლამენტო არჩევნები საქართველოში

წელი	პარლამენტის საქმიანობის დახასიათება
1990 წლის 28 ოქტომბერი	1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა მეორე მოწვევის, დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები. 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 90,3 პროცენტმა, რომელთაგან 98,9 პროცენტმა კითხვას დადებითად უპასუხა. ამის საფუძველზე 1991

	<p>წლის 9 აპრილს პარლამენტმა მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.</p>
<p>1992 წლის 11 ოქტომბერი</p>	<p>1991–1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ძალაუფლება ხელში აიღო დროებით შექმნილმა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ. 1992 წლის თებერვალში სამხედრო საბჭომ ძალაუფლება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადააბარა. თუმცა საჭირო იყო ხელისუფლების ლეგიტიმაცია, რისთვისაც 1992 წლის შემოდგომაზე დაინიშნა საპარლამენტო არჩევნები. არჩევნებში იმ დროისთვის მოქმედი ყველა პოლიტიკური ძალა იღებდა მონაწილეობას.</p> <p>1992 წლის 11 ოქტომბერს გაიმართა მესამე მონვევის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც შერეული სისტემით ჩატარდა. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩიეს 75 დეპუტატი (ერთმანდატიანი ოლქები), პროპორციული სისტემით კი 150 დეპუტატი (მრავალმანდატიანი ოლქები). საარჩევნო ბარიერი 2% იყო. 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.</p>
<p>1995 წლის 5 ნოემბერი</p>	<p>1995 წლის 5 ნოემბერს გაიმართა მეოთხე მონვევის საპარლამენტო არჩევნები. მასში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას, ან რომელსაც კონსტიტუციის მიღების დღისთვის ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. პროპორციული სისტემით არჩევნები ჩატარდა ერთიანი პარტიული სიით. კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის თანახმად, პარლამენტის შემადგენ-</p>

	ლობა განისაზღვრა 235 დეპუტატით. 150 აირჩეოდა პროპორციული, 85 კი მაჟორიტარული წესით.
1999 წლის 31 ოქტომბერი	1999 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა მეხუთე მოწვევის საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნების დროსაც პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა 235 დეპუტატით – 150 აირჩეოდა პროპორციული, 85 კი მაჟორიტარული წესით.
2003 წლის 2 ნოემბერი	2003 წლის 2 ნოემბრის მეექვსე მოწვევის საპარლამენტო არჩევნებიც იმავე წესით ჩატარდა, როგორც წინა არჩევნები. თუმცა შედეგები ქართველმა ხალხმა გააპროტესტა და მოაწყო ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, რომლის შედეგად 2 ნოემბრის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგები გაუქმებულად ჩაითვალა.
2004 წლის 28 მარტი	2004 წლის 28 მარტს ჩატარდა ხელახალი საპარლამენტო არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემით.
2008 წლის 21 მაისი	2008 წლის 21 მაისს ჩატარებული მეშვიდე მოწვევის საპარლამენტო არჩევნების დროს დეპუტატთა რაოდენობა იყო 150, რაც 2003 წელს ჩატარებული რეფერენდუმით განისაზღვრა.
2012 წლის 1 ოქტომბერი	2012 წლის 2 ოქტომბერს გაიმართა მერვე მოწვევის საპარლამენტო არჩევნები.
2016 წლის 8 ოქტომბერი	2016 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა მე-9 მოწვევის საპარლამენტო არჩევნები.

თემა XII. საქართველოს მთავრობა

1. მთავრობა: ზოგადი დახასიათება

სიტყვა „მთავრობა“ ქართულ ენაში ფართო და ვიწრო აზრით გამოიყენება. ფართო გაგებით მთავრობაში იგულისხმება სახელმწიფო ორგანოთა მთელი სისტემა, ვიწრო გაგებით კი მთავრობა კოლეგიაა, რომელიც სახელმწიფოს აღმასრულებელი საქმიანობის განმახორციელებელი ერთ-ერთი ან ერთადერთი ორგანოა. ჩვეულებრივ, მთავრობა აღნიშნავს სამოქალაქო ხელისუფლებას, რომელიც შეიძლება იყოს ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო.

საინტერესოა ქართულ სიტყვა „მთავრობის“ ეტიმოლოგიური შინაარსი. ზოგი ფიქრობს, რომ მისი ძირია სიტყვა „თავი“, ზოგის აზრით, „თავმჯდომარის“ შეკვეცილი ფორმაა, ზოგი კი „მთავრობას“ სიტყვა „მთავარს“ უკავშირებს. ნებისმიერ შემთხვევაში მთავრობა განსაკუთრებული მნიშვნელობის წამყვან ორგანოდ უნდა მივიჩნიოთ.

დღეისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს „მთავრობა“ ეწოდება საქართველოში, ჩეხეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ესპანეთში, სომხეთსა და სხვა ქვეყნებში. გავრცელებულია კიდევ ამ ორგანოს ორი სხვა სახელწოდება: მინისტრთა საბჭო (ბელგია, საბერძნეთი, ინდოეთი, იტალია) და მინისტრთა კაბინეტი (აზერბაიჯანი, ლიტვა, თურქეთი). არის კიდევ სხვა სახელწოდებები: სახელმწიფო საბჭო (ნორვეგია), ფედერალური საბჭო (შვეიცარია) და ა. შ.

1.1. მთავრობა საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებში

უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან მთავრობა და მისი როლი საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებში.

საპარლამენტო რესპუბლიკაში:

– მთავრობა პოლიტიკურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და არა სახელმწიფოს მეთაურის წინაშე;

– აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში სახელმწიფოს მეთაურს სუსტი პოზიციები აქვს, ხოლო მთავრობას პრივილეგი-რებული ადგილი უკავია.

საპარლამენტო რესპუბლიკებში მთავრობის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება პარლამენტის ნებას უკავშირდება. მთავრობა პარლამენტის საფუძველზე და პარლამენტის მიერ იქმნება. ხშირ-ადაა დაშვებული მინისტრის პორტფელისა და პარლამენტარის მანდატის შეთავსება, რის შედეგადაც მთავრობა, უმეტესწილად, პარლამენტის უმრავლესობის წევრთაგან შედგება.

საპარლამენტო რესპუბლიკაში სახელმწიფო მეთაური გარკ-ვეული ვადით არჩეული (როგორც წესი, არაპირდაპირი, არასაყო-ველთაო არჩევნების საფუძველზე) პრეზიდენტია. მას მოკრძალებული ადგილი უკავია სახელმწიფო ორგანოთა უმაღლეს დონეზე, რადგანაც საკანონმდებლო ხელისუფლებას ფლობს პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებას კი მთავრობა.

სახელმწიფოს მეთაური საპარლამენტო რესპუბლიკაში თავის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ მთავრობის რჩევის, მოწონების, ანდა სანქციის საფუძველზე. პარლამენტის ან მისი ერთ-ერთი პალატის დათხოვნას, პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის მიმართ ვეტოს გამოყენებას, საკუთარი ნორმატიული აქტების გამოცემას და სხვა უფლებებს პრეზიდენტი ახორციელებს მხოლოდ მთავრობის პირდაპირი მითითებით.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, საპარლამენტო რესპუბლიკისგან განსხვავებით, არ არსებობს მთავრობა როგორც კოლეგიური, ინსტიტუციურად დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საქმიანობის განხორციელებას. ხელისუფლების ხისტი დანაწილების შესაბამისად, პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია. პრეზიდენტის კაბინეტში, თუნდაც მას მთავრობა ერქვას, მასში შემავალი ყველა წევრი პრეზიდენტს ექვემდებარება და მის

წინაშეა პასუხისმგებელი. კაბინეტი, რომელიც პირობითად აერთიანებს ამ წევრებს, იშვიათად თათბირობს კოლეგიის სახით და გადაწყვეტილებებს არ იღებს – ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა.

1.2. მთავრობის პარტიული შემადგენლობა

მთავრობის, როგორც კოლეგიის, პარტიული შემადგენლობა საპარლამენტო სისტემებში, ჩვეულებრივ, ამ ორგანოში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის ამსახველია. თუ არჩევნების შედეგად პარლამენტში მანდატთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთმა პარტიამ მოიპოვა, მაშინ მთავრობაც მისი წარმომადგენლებით კომპლექტდება და ჩამოყალიბდება **ერთპარტიული მთავრობა**.

იმ შემთხვევაში, თუკი ვერცერთი პარტია ვერ მოიპოვებს საჭირო უმრავლესობას, მაშინ მთავრობა ყალიბდება საერთო სამთავრობო პროგრამის საფუძველზე და იქმნება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან. ასეთ მთავრობებს **კოალიციურს** უწოდებენ. ასეთი მთავრობები, როგორც წესი, იქმნება იმ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, რომელთა პარტიულ სისტემებში არ არის დომინირებული პარტია.

სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში ცნობილია ე. წ. **„უპარტიო მთავრობა“**. ასეთი მთავრობა იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც საპარლამენტო არჩევნებმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული პარტია, ამავე დროს, ვერც კოალიციური მთავრობის ფორმირება ხერხდება და ვერც პარლამენტის დათხოვნა.

უპარტიო მთავრობისთვის დამახასიათებელია: მთავრობის შემადგენლობაში შედიან არა პარტიული ფუნქციონერები, არამედ სპეციალისტები; არსებობს მოკლე ვადით და ზოგჯერ „დროებით“ და „გარდამავალ“ მთავრობასაც უწოდებენ.

1.3. მთავრობის სტრუქტურა

მთავრობა შედგება პრემიერმინისტრისა და მინისტრებისაგან.

პრემიერმინისტრის (ფრანგული *le premier* – პირველი) თანამდებობა დასავლეთ ევროპაში გაჩნდა XVI–XVII საუკუნეების მიჯნაზე. ქართულად რომ ვთარგმნოთ, პრემიერმინისტრი პირველ მინისტრს ნიშნავს.

პრემიერმინისტრი არის აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირი, რომელსაც განსხვავებული უფლებები და ძალაუფლება აქვს სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის შესაბამისად:

- **საპარლამენტო** სისტემის სახელმწიფოში პრემიერმინისტრი არის მთავრობის (მინისტრთა კაბინეტის) უმაღლესი თანამდებობის პირი; ამ შემთხვევაში პრეზიდენტის (ან მონარქის) ძალაუფლება ნომინალურია და ცერემონიული ფუნქციებით შემოიფარგლება.
- **საპრეზიდენტო** და ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის სახელმწიფოში პრემიერმინისტრი არის თანამდებობის პირი, რომელიც მოქმედებს პრეზიდენტის დირექტივების შესაბამისად და კოორდინაციას უწევს მინისტრების მუშაობას.

მინისტრი (ლათ. Minister – მოსამსახურე, თანაშემწე, მსახური) – მთავრობის წევრი, სამინისტროს ხელმძღვანელი, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად: აშშ, მექსიკა) სიტყვა „მინისტრის“ ნაცვლად იყენებენ სიტყვა „მდივანს“ ან „სახელმწიფო მდივანს“; ზოგიერთ აღმოსავლურ ქვეყანაში გამოიყენება სპარსული სიტყვა „ვეზირი“.

სამინისტროები თავდაპირველად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიქმნა აბსოლუტური მონარქიის განმტკიცების შედეგად (XVI-XVII სს.) და თანდათანობით ცენტრალურ სამთავრობო დანესებულებათა ერთიან სისტემად ჩამოყალიბდა. მინისტრი მისი დამნიშნავი მონარქის მითითებებს ასრულებდა და მის წინაშე იყო პასუხისმგებელი. სამინისტროები არსებითად ხელუხლებლად დატოვა ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა. ზოგ ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიის დამყარებისა და პარლამენტარიზმის განვითარების დროიდან სამინისტროები პარლამენტის წინაშე არიან პასუხისმგებელნი.

მინისტრი ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას, თვალ-ყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდე-

ბობიდან ათავისუფლებს სამინისტროს სამტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეებს, პრემიერმინისტრს წარუდგენს წინადადებას სამინისტროს წლიური შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე, წარუდგენს ანგარიშს სამინისტროს საქმიანობის შესახებ.

მინისტრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსხვავდება. მინისტრის თანამდებობის თავსებადობის საკითხი პარლამენტარის მანდატთან სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირადაა გადანყვეტილი. არსებობს **სამი ძირითადი მიდგომა**: პირველ ჯგუფში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც ვესტმინისტერის სისტემას იყენებენ (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, კანადა, ავსტრალია) ასეთი შეთავსება აუცილებელია; მეორე ჯგუფში (გერმანია, იტალია, ავსტრია, პოლონეთი) – დაშვებულია; მესამე ჯგუფში (ბულგარეთი, ლიტვა, ნორვეგია, ნიდერლანდი, რუსეთი) – აკრძალულია.

საპარლამენტო სახელმწიფოებში მინისტრის თანამდებობა უკავიათ, როგორც წესი, პროფესიონალ პოლიტიკოსებს, ხოლო საპრეზიდენტო რესპუბლიკებში – პროფესიონალ ადმინისტრატორებს (კადრის თანამშრომლები).

საქართველოში მინისტრი არის სამინისტროს ხელმძღვანელი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე. მისი კომპეტენცია და უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქართველოს კანონში „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“.

2. საქართველოს მთავრობა: ისტორია

2.1. მთავრობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918–1921)

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მთავრობა პირველად შეიქმნა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. მაშინ საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცდა მთავრობის შემადგენლობა. პირველ მთავ-

რობაში შედიოდა რვა მინისტრი, მათგან ერთი — **ნოე რამიშვილი** იყო მთავრობის თავმჯდომარე. 24 ივლისს რამიშვილი პოსტზე **ნოე ჟორდანიამ შეცვალა**. ამ მთავრობამ საქართველოში 1921 წლის 17 მარტამდე, საფრანგეთში ემიგრაციამდე იარსება. დამფუძნებელმა კრებამ მთავრობა თავის უკანასკნელ სხდომაზე ბათუმში საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვა და მან ემიგრაციაში გააგრძელა არსებობა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში მთავრობის უფლებამოსილება განსაზღვრული იყო მე-5 თავში — „აღმასრულებელი ხელისუფლება“ (მუხლები 66–75). კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა რესპუბლიკის მთავრობას. მთავრობას ჰყავდა თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევდა პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეული ყოფილიყო ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მთავრობის დანარჩენ წევრებს — მინისტრებს ინვევდა მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ.

მთავრობის წევრს ეკრძალებოდა იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობის დაკავება ან პროფესიული საქმიანობა. მას შეეძლო ყოფილიყო იმავდროულად მხოლოდ პარლამენტის წევრი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანი.

1921 წლის კონსტიტუცია განსაზღვრავდა **მთავრობის თავმჯდომარის** უფლებამოსილებასაც. მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭებოდა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავდა ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებოდნენ მასთან.

განსაკუთრებულ გარემოებაში, თუკი მთავრობის დადგენილების გამოტანა რაიმე მიზეზით ბრკოლდებოდა, მთავრობის თავმჯდომარეს შეეძლო, გამოენვია რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენებოდა პარლამენტს.

თავმჯდომარეს შეეძლო, გამოეცა ბრძანება და განკარგულიყო კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა ჰქონდა, კანონის მოქმედება შეეჩერებინა, ან მისი შესრულება დაებრკოლებინა.

მთავრობის თავმჯდომარეს შეეძლო, თავისი განკარგულებით დაენიშნა მმართველობის ამა თუ იმ დარგის, ადგილის ან მოვლენის რევიზია.

მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდა მოადგილე, რომელიც ასრულებდა მის მოვალეობას მთავრობაში.

მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, უნდა დამორჩილებოდა პარლამენტის დადგენილებას და შეესრულებინა იგი. პარლამენტის მოთხოვნით უნდა გამოეცვალა ცალკე მინისტრი ან შეეცვალა მთელი კაბინეტი.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება ჰქონდა, პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომებს დასწრებოდა. თუ მინისტრი მოითხოვდა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებული იყო, მოესმინა მისთვის. თავის მხრივ, პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებული იყო, სხდომაზე გამოცხადებულიყო და ახსნა-განმარტება მიეცა.

კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი იყვნენ სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისმგებლობაში მიცემა შეეძლო მხოლოდ პარლამენტს, მათი გასამართლება კი საერთო წესით უნდა მომხდარიყო.

მთავრობის საერთო უფლება-მოვალეობები იყო:

– რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა;

– თვალ-ყურის დევნება და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;

– წარდგენა პარლამენტის წინაშე თავისი კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტის ან ხალხის ინიციატივით იყო შესული;

– რესპუბლიკის საგარეო ინტერესების დაცვა;

– საგარეო საფრთხეებისაგან რესპუბლიკის უზრუნველყოფა და მისი დამოუკიდებლობის დაცვა;

– შინაურ წესრიგსა და უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნვა;

– საჭიროების შემთხვევაში მთავრობას უფლება ჰქონდა, თავისი დადგენილებით გამოეყვანა შეიარაღებული ძალა, ვადით არა

უმეტეს 21 დღისა. თუკი მეტი ვადით იყო საჭირო, პარლამენტისაგან უნდა მიეღო ნებართვა;

– ფინანსების განკარგვა, ფულის მოჭრა, კანონის თანახმად, ყოველწლიურად პარლამენტისთვის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა;

– პარლამენტისთვის თავისი მოქმედების ანგარიში წარედგინა და წელიწადში ერთხელ მაინც პარლამენტისთვის წარედგინა მოხსენება საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ; ასევე პარლამენტის მოთხოვნით განსაკუთრებული მოხსენების წარდგენა;

– შეესრულებინა ყოველივე, რასაც კანონი ან პარლამენტი მთავრობას დაავალებდა.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებული იყო მთავრობის წევრთა შორის. თითოეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებდა მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადამდგარიყო, თუკი პარლამენტი ამას მოითხოვდა.

რადგანაც საქართველო პატარა ქვეყანა იყო, მმართველი პოლიტიკური ძალა მიზნად ისახავდა იაფი მთავრობის შექმნას სამინისტროთა შეზღუდული რაოდენობით. 1918 წლის 26 მაისის შემდეგ შექმნილ მთავრობაში 8 სამინისტრო იყო, დამფუძნებელი კრების მიერ შექმნილ მთავრობაში – 4 სამინისტრო. 1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს პირველი მთავრობა, რომელიც კოალიციური იყო:

მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი – ნოე რამიშვილი (სოციალ-დემოკრატი)

საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატი)

სამხედრო საქმეთა მინისტრი – გრიგოლ გიორგაძე (სოციალ-დემოკრატი)

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – გიორგი ჟურული (ეროვნულ-დემოკრატი)

იუსტიციის მინისტრი – შალვა ალექსი-მესხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი)

სახალხო განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი (სოციალ-ფედერალისტი)

მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნოე ხომერიკი (სოციალ-დემოკრატი)

მიმოსვლის გზების მინისტრი – ივანე ლორთქიფანიძე (სოციალ-რევოლუციონერი)

პირველი ცვლილება მთავრობის შემადგენლობაში 1918 წლის ივლისში მოხდა, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გახდა, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად ევგენი გეგეჭკორი დაინიშნა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 მარტს მთავრობის შემდეგი შემადგენლობა დაამტკიცა, რომელიც ერთპარტიული იყო:

მთავრობის თავმჯდომარე – ნოე ჟორდანია (სოციალ-დემოკრატი)
შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი – ნოე რამიშვილი (სოციალ-დემოკრატი)

საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი – ევგენი გეგეჭკორი (სოციალ-დემოკრატი)

მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი – ნოე ხომერიკი (სოციალ-დემოკრატი)

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი – კონსტანტინე კანდელაკი (სოციალ-დემოკრატი)

2.2. მთავრობა საბჭოთა პერიოდში (1921–1990)

საბჭოთა რეჟიმის არსებობის პერიოდში მთავრობას ეწოდებოდა ჯერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო (1922–1946), შემდეგ კი მინისტრთა საბჭო (1946–1991). მას ხელმძღვანელობდა, შესაბამისად, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე (1922–1946 წლებში სულ 8 პირი) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1946–1991 წლები, სულ 11 პირი). საბჭოთა პერიოდში რეალური უფლებამოსილება ჰქონდა არა

ვითომდა არჩეული ორგანოს უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილ მთავრობას, არამედ კომუნისტურ პარტიას, საქართველოში კი ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რომელსაც მოსკოვი ნიშნავდა და მისი ნების შემსრულებელი იყო.

საბჭოთა პერიოდის უკანასკნელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო ნოდარ ჭითანავა (1989 წლის 14 აპრილი – 1990 წლის 15 ნოემბერი). „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა თენგიზ სიგუა (1990 წლის 15 ნოემბერი – 1991 წლის 18 აგვისტო), რომელიც ბოლოს ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა და ამბოხებული ჯაბა იოსელიანის და თენგიზ კიტოვანის მხარეზე აღმოჩნდა.

2.3. მთავრობა ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს

საქართველოს პრემიერმინისტრის თანამდებობის შემოღების შემდეგ (1991 წლის აგვისტო) პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ჯერ მურმან ომანიძე (1991 წლის 18–21 აგვისტო), შემდეგ კი ბესარიონ გუგუშვილი (1991 წლის 21–26 აგვისტო), ეს უკანასკნელი დაინიშნა პრემიერმინისტრადაც (1991 წლის 26 აგვისტო – 1992 წლის 6 იანვარი). ბესარიონ გუგუშვილი გაჰყვა ზვიად გამსახურდიას ემიგრაციაშიც, მასთან ერთად დაბრუნდა საქართველოში და ზვიად გამსახურდიასთან იმყოფებოდა მისი დაღუპვის დროსაც. შემდეგ ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობას დევნილობაში.¹

¹ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა რუსეთ-უკრაინა-სომხეთის 1993 წლის ოქტომბრის დამლევის ინტერვენციისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაღუპვის შემდგომ, 1994 წლის თებერვლიდან იძულებულია, საქმიანობა განაგრძოს უცხოეთში – დევნილობაში ანუ ემიგრაციაში. **საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დევნილობაში** წარმართავს ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერმინისტრი ბესარიონ გუგუშვილი და დევნილი მთავრობის პრეზიდენტი. <https://didgori.wordpress.com/2010/08/27/kanonieri-premier-ministri/>

2.4. საქართველოს მთავრობა 1992–1995 წლებში

1991–1992 წლების ზამთრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საქართველოს მთავრობის სტატუსი განისაზღვრა 1992 წლის 6 ნოემბრის კანონით „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ და 1992 წლის 22 დეკემბერს მიღებული კანონით „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“.

ამ კანონების მიხედვით, უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, რომელიც იმავდროულად პარლამენტის თავმჯდომარე იყო, და მინისტრთა კაბინეტი.

კანონმდებლობით მთავრობა აღიარებული იყო საქართველოს უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოდ, მაგრამ მას სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში, მით უმეტეს კი განსაზღვრაში, საკმაოდ მოკრძალებული როლი ჰქონდა, რადგანაც, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მეთაურს – პარლამენტის თავმჯდომარეს ექვემდებარებოდა, მეორე მხრივ კი, პარლამენტის წინაშე იყო პასუხისმგებელი.

ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ თენგიზ სიგუა დაბრუნდა პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებლად (1992 წლის 6 იანვარი – 8 ნოემბერი), შემდეგ კი გახდა პრემიერმინისტრი (1992 წლის 8 ნოემბერი – 1993 წლის 5 აგვისტო).

თენგიზ სიგუას გადადგომის შემდეგ პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ცოტა ხნით იყო ედუარდ შევარდნაძე (1993 წლის 5-20 აგვისტო), შემდეგ კი პრემიერმინისტრად დაინიშნა ოთარ ფაცაცია (1993 წლის 20 აგვისტო – 1995 წლის 5 ოქტომბერი). შევარდნაძის მმართველობის პერიოდში პრემიერმინისტრის მოვალეობის უკანასკნელი შემსრულებელი იყო ბაკურ გულუა (1995 წლის 5 ოქტომბერი – 8 დეკემბერი).

2.5. საქართველოს მთავრობა 1995 წლის კონსტიტუციით

1995 წელს მიღებული კონსტიტუციით საქართველო გახდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა და მთავრობის არსებობა არ იყო გათვალისწინებული, გაუქმდა პრემიერმინისტრის თანამდებობა.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა საქართველოს პრეზიდენტი მინისტრების მეშვეობით. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით უარი ითქვა პრემიერმინისტრის თანამდებობაზე და საქართველოს პრეზიდენტი გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად (მუხლი 69). მაშინ ჩაითვალა, რომ პრეზიდენტის მიერ მთავრობის საქმიანობის უშუალოდ წარმართვა გაამარტივებდა და უფრო მოქნილს გახდიდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. თუმცა დრომ აჩვენა ამ მოდელის არაეფექტურობა.

მთავრობის საქმიანობაზე თითქმის არარსებულმა საპარლამენტო კონტროლმა საგრძნობი დისბალანსი გამოიწვია საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების ფართო უფლებამოსილება და მის პასუხისმგებლობას შორის.

პრემიერმინისტრის თანამდებობის სუროგატი იყო სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა, რომელსაც კონსტიტუციის 81-ე მუხლი ითვალისწინებდა. ახალშემოღებული სახელმწიფო მინისტრის პოსტი არც ფორმით და არც შინაარსობრივად არ იყო პრემიერმინისტრის თანამდებობის მსგავსი. ის არ წარმოადგენდა სახელმწიფო მინისტრსაც კლასიკური გაგებით, ფაქტობრივად, ეს იყო პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი.¹

¹ სახელმწიფო მინისტრის (ფრანგ. *Ministre d'État*) – უპორტფელო მინისტრი – მთავრობის წევრი, ცალკეულ დროებით საკითხთა მოსაგვარებლად დანიშნული პირი მთავრობის შემადგენლობაში. თანამდებობა დამკვიდრდა საფრანგეთში, მიუხედავად იმისა, რომ ის არაა მოხსენიებული საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციაში. მმართველობის ფრანგული მოდელის გავრცელებასთან ერთად სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც, სადაც შერეული, ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობაა. სახელმწიფო მინისტრი, როგორც წესი, ითვლება მთავრობის წევრად. ხშირად ის ინიშნება პრეზიდენტის მიერ, რათა პრეზიდენტმა გაზარდოს საკუთარ მხარდამჭერთა რიცხვი მთავრობის შემადგენლობაში. სახელმწიფო მინისტრების თანამდებობების შემოღება სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი, მაგრამ დროებითი ღონისძიება იყო ამოცანების გადასაჭრელად. სახელმწიფო მინისტრი არ მართავს სამინისტროს, მას მხოლოდ მცირერიცხოვანი აპარატი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრები ამ პერიოდში იყვნენ:

სახელი და გვარი	თანამდებობაზე ყოფნის დასაწყისი	თანამდებობაზე ყოფნის დასასრული
1. ნიკოლოზ ლეიკიშვილი	1995 წლის 8 დეკემბერი	1998 წლის 26 ივლისი
2. ვაჟა ლორთქიფანიძე	1998 წლის 31 ივლისი	2000 წლის 11 მაისი
3. გიორგი არსენიშვილი	2000 წლის 11 მაისი	2001 წლის 21 დეკემბერი
4. ავთანდილ ჯორბენაძე	2001 წლის 21 დეკემბერი	2003 წლის 27 ნოემბერი
5. ზურაბ ჟვანია	2003 წლის 27 ნოემბერი	2004 წლის 17 თებერვალი

შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში, 2001 წელს, სცადეს საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელება და პრემიერმინისტრის თანამდებობის შემოღება. შევარდნაძემ ამ თანამდებობაზე ზურაბ ჟვანიას კანდიდატურა დაასახელა. პარლამენტმა მაშინ წარდგენილი საკონსტიტუციო ცვლილება არ დაამტკიცა.

2.6. საქართველოს მთავრობა 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ

ვარდების რევოლუციის შემდეგ 2004 წლის 6 თებერვალს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით აღდგენილ იქნა პრემიერმინისტრის თანამდებობა და ცალკე თავად ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის სტრუქტურისა და უფლებამოსილების განმსაზღვრელი მუხლები.

აქვს. ამიტომაც სახელმწიფო მინისტრებს „უპორტფელო მინისტრებს“ უწოდებენ.

საქართველოს მთავრობა, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის სა- შინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პა- სუხისმგებელი იყო საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენ- ტის წინაშე. ხელახლა გაჩნდა მთავრობის თავმჯდომარის პოსტი და მას კვლავ პრემიერმინისტრი ეწოდა.

მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრებოდა კონსტიტუციით და კანონით, რომლის პროექტსაც პარლამენტს წარუდგენდა მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით. მთავრობა შედგებოდა პრემიერმინისტრისა და მი- ნისტრებისაგან. მთავრობის თავმჯდომარე იყო პრემიერმინისტ- რი. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება ყოფილიყო სახელმწი- ფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები). პრემიერმინისტრი უფ- ლებამოსილი იყო მთავრობის ერთ-ერთი წევრისთვის დაეკისრე- ბინა პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე წევ- რისთვის – ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება. პირველი ვიცე-პრემიერისა და ვიცე-პრემიერის მოვალეობის დაკისრების წესი და უფლებამოსილებები განისაზღვრებოდა კანონით.

მთავრობა და მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნი- დნენ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

მთავრობა კონსტიტუციის, კანონებისა და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად ილ- ებდა დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწ- ერდა პრემიერმინისტრი.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო, განსაკუთ- რებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავში- რებით მოეწვია მთავრობის სხდომა და ამ სხდომის თავმჯდომარე ყოფილიყო. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდებოდა პრეზიდენტის აქტით.

მთავრობა უფლებამოსილი იყო, გადამდგარიყო საკუთარი გა- დაწყვეტილებით.

საქართველოს პრეზიდენტი პრემიერმინისტრსა და მთავრო- ბის წევრებს ნიშნავდა პარლამენტთან შეთანხმებით. ამასთან და- კავშირებით კონსტიტუცია ითვალისწინებდა გარკვეულ პროცე-

დურებს. თუ მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღებდა პარლამენტის ნდობას, საქართველოს პრეზიდენტი დგებოდა არჩევანის წინაშე – ან პარლამენტისთვის წარედგინა პრემიერმინისტრის ახალი კანდიდატურა, ანდა დამოუკიდებლად ჩამოეყალიბებინა მთავრობა. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი დაითხოვდა პარლამენტს და დანიშნავდა რიგგარეშე არჩევნებს. თუმცა იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილს საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდა პარლამენტში, კონსტიტუციის ეს მუხლი მხოლოდ თეორიულად არსებობდა.

დაახლოებით იგივე ვითარება იქმნებოდა, თუკი პარლამენტი მთავრობას უნდობლობას გამოუცხადებდა. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი ან ერთი კვირის განმავლობაში გადააყენებდა მთავრობას, ან დაითხოვდა პარლამენტს და დანიშნავდა რიგგარეშე არჩევნებს.

ზოგადად, მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით პრეზიდენტისა და პარლამენტის შესაძლო უთანხმოების განხილვას კონსტიტუციაში დიდი ყურადღება შემთხვევით არ ეთმობა – აქ შეიძლება, გამოვლინდეს კონფლიქტი ხელისუფლების შტოებს შორის და უნდა არსებობდეს თანხმობის მიღწევის კონსტიტუციური მექანიზმი. თუმცა საქართველოში ამ მხრივ პრობლემები არასოდეს წარმოქმნილა, რადგანაც პარლამენტში პრეზიდენტს უმრავლესობის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს.

2.7. საქართველოს მთავრობა 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით

2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციურ ცვლილებებზე ვენეციის კომისიის დასკვნაში გამოითქვა რეკომენდაცია, რომ საქართველოს კონსტიტუცია „მთავრობას და არა პრეზიდენტს უნდა ანიჭებდეს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილებას“. მაშინ საქართველოს ხელისუფლება პრეზიდენტის ფართო უფლებამოსილებას რეფორმების გატარების აუცილებლობით ხსნიდა და პირობას დებდა, რომ გარკვეული ვადის შემდეგ კონსტიტუციას დააბალანსებდა.

საკონსტიტუციო რეფორმა 2010 წელს განხორციელდა და მისი არსი საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა იყო. ამგვარ რეფორმას ისიც განაპირობებდა, რომ 2013 წლისთვის მიხეილ სააკაშვილი თავის მეორე საპრეზიდენტო ვადას ამთავრებდა.

2010 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების დროს აღინიშნებოდა, რომ ახალი სისტემა უზრუნველყოფდა სახელისუფლო შტოების კომპეტენციათა მკაფიო დანაწილებას და მათ შორის ქმედითი დაბალანსების მექანიზმების არსებობას. მთავრობა ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ და მოხდა მისი დისტანცირება სახელმწიფო მეთაურისგან აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პროცესში.

საქართველოს მთავრობა გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა გათავისუფლდა პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან და იგი ანგარიშვალდებულება მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს შეტანილი ცვლილებები ამოქმედდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ახალმა პრეზიდენტმა დადო ფიცი. ამოქმედდა ის მუხლები, რომელთა ძალითაც მანამდე პრეზიდენტის ხელში არსებული უფლებამოსილების მნიშვნელოვანი ნაწილი პარლამენტისა და პრემიერმინისტრის ხელში გადავიდა.

2.8. საქართველოს პრემიერმინისტრები 2004–2012 წლებში

2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებებით შეიქმნა მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პრემიერმინისტრი. მაგრამ ძალოვანი მინისტრები პრეზიდენტს ექვემდებარებოდნენ, ასევე პრეზიდენტს თავადაც შეეძლო მთავრობის სხდომის მოწვევა და წარმართვა. თუკი პრემიერმინისტრი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა იქნებოდა, მას შეეძლო, წინააღმდეგობა გაენია პრეზიდენტის „სამთავრობო ამბიციებისათვის“ და მათ შორის კონფლიქტიც წარმოშობილიყო. პრემიერმინისტრის პოსტის

აღდგენის შემდეგ პირველი პრემიერი იყო ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი და გამოცდილი პოლიტიკოსი ზურაბ ჟვანია. მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ (2005 წლის 3 თებერვალი) ქართულ მედიაში კარგა ხანს განიხილებოდა საკითხი, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ზურაბ ჟვანიას რომ ეცოცხლა. ამ პროგნოზების თანახმად, სააკაშვილთან მისი გარკვეული დაპირისპირება გარდუვალი იყო, რომ ჟვანია არ დაუშვებდა მოვლენების კონფრონტაციულ განვითარებას და ა. შ.

სააკაშვილის მიერ დანიშნული შემდგომი პრემიერმინისტრები პოლიტიკურ ფიგურებს არ წარმოადგენდნენ. 2005 წელს, ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოლაიდელი გახდა ახალი მთავრობის მეთაური. ნოლაიდელის მთავრობა მოქმედებდა 2005–2007 წლებში. მთავრობის მორიგი ცვლილება განხორციელდა 2007 წლის ნოემბრის პოლიტიკური კრიზისის შემდეგ.¹ პრემიერმინისტრის პოსტზე დაინიშნა ვლადიმერ გურგენიძე, რომელიც მანამდე საბანკო სექტორში მუშაობდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის ნოემბერში, კვლავ განხორციელდა მთავრობის ცვლილება – გურგენიძის ნაცვლად პრემიერმინისტრად დაინიშნა გრიგოლ მგალობლიშვილი, რომელიც მალევე, 2009 წლის გაზაფხულზე შეცვალა ნიკა გილაურმა. მთავრობის კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა 2012 წლის საპარ-

¹ პრემიერმინისტრობიდან გადადგომის შემდეგ ზურაბ ნოლაიდელი დროებით ჩამოშორდა პოლიტიკას და კახა კალაძის ბიზნესს ჩაუდგა სათავეში. 2008 წლის შემოდგომაზე ნოლაიდელმა პოლიტიკაში დაბრუნება გადაწყვიტა და დაინიშნა პარტიის – მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის – ჩამოყალიბება. ნოლაიდელის პარტიის მიზანი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება იყო. „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ პირველმა სცადა პრორუსული პარტიის შექმნა, რამდენჯერმე მოსკოვშიც იმყოფებოდა და პუტინმაც მიიღო. 2010 წლის 23 დეკემბერს პარტიის რიგგარეშე ყრილობამ ზურაბ ნოლაიდელი პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან გადააყენა ფინანსური პრობლემის გამო, თუმცა დავალიანების გასტუმრებამდე გამგეობის რიგით წევრად დატოვა. მოგვიანებით ზურაბ ნოლაიდელმა განცხადება გააკეთა ახალი მოძრაობის დაფუძნებასთან დაკავშირებით.

ლამენტო არჩევნების წინ. პრემიერმინისტრად დაინიშნა ივანე მერაბიშვილი, რომელიც მანამდე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 25 ოქტომბერს, პარლამენტის ახალმა შემადგენლობამ დაამტკიცა ახალი მინისტრთა კაბინეტი, რომელიც მთლიანად კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ იქნა დაკომპლექტებული, ვანო მერაბიშვილი კი ციხეში აღმოჩნდა.

ვანო მერაბიშვილი საქართველოს პრემიერმინისტრებიდან ერთადერთია, რომელიც დააპატიმრეს. 2013 წლის 21 მაისს პროკურატურამ ვანო მერაბიშვილი დააპატიმრა და ბრალი დასდო მოსყიდვაში, გაფლანგვასა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. ბრალდება შეეხებოდა დასაქმების სახელმწიფო პროგრამას, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესა და 26 მაისის აქციის დაშლას. 2014 წლის 17 თებერვალს სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

სახელი და გვარი	თანამდებობაზე ყოფნის დასაწყისი	თანამდებობაზე ყოფნის დასასრული	პარტია
1. ზურაბ ფვანია	2004 წლის 17 თებერვალი	2005 წლის 3 თებერვალი	გაერთიანებული დემოკრატები
მიხეილ სააკაშვილი (მ. შ.)	2005 წლის 3 თებერვალი	2005 წლის 17 თებერვალი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
2. ზურაბ ნოღაიდელი	2005 წლის 17 თებერვალი	2007 წლის 16 ნოემბერი	უპარტიო
გიორგი ბარამიძე (მ. შ.)	2007 წლის 16 ნოემბერი	2007 წლის 22 ნოემბერი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

3. ლადო გურგენიძე	2007 წლის 22 ნოემბერი	2008 წლის 1 ნოემბერი	უპარტიო
4. გრიგოლ მგალობლიშვილი	2008 წლის 1 ნოემბერი	2009 წლის 6 თებერვალი	უპარტიო
5. ნიკოლოზ გილაური	2009 წლის 6 თებერვალი	2012 წლის 30 ივნისი	უპარტიო
6. ვანო მერაბიშვილი	2012 წლის 4 ივლისი	2012 წლის 25 ოქტომბერი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

3. საქართველოს მთავრობა მოქმედი კანონმდებლობით

3.1. საქართველოს მთავრობა კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის თანახმად

საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციაში, რომელიც დღეს მოქმედებს, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება განსაზღვრულია კონსტიტუციის მე-5 თავში (მუხლები: 54–58). საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

მთავრობა შედგება პრემიერმინისტრისა და მინისტრებისაგან.

სამინისტრო იქმნება მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად და მას ხელმძღვანელობს მინისტრი.

მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი. **სახელმწიფო მინისტრის** თანამდებობა შეიძლება შემოღებულ იქნეს კანონით, განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად. ამჟამად არსებობს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა.

მთავრობის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ენეოდეს სამენარმოე საქმიანობას, იღებდეს ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მთავრობის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად მთავრობა უფლებამოსილია, დანიშნოს **სახელმწიფო რწმუნებულები**. სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით.

მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით. ამ კანონის პროექტს პარლამენტს წარუდგენს მთავრობა.

2017 წლის ნოემბერში განხორციელებული ცვლილებებით საქართველოს მთავრობაში სამინისტროების რიცხვი 18-იდან 14-ამდე შემცირდა. გაუქმდა ენერგეტიკის სამინისტრო, სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ამ სამინისტროების ფუნქციები სხვა სამინისტროებს გადაეცა. მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სფეროებსაც მიხედავს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახალგაზრდობის საქმეებს მიხედავს, ხოლო სპორტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრეროგატივა გახდება. სოფლის მეურნეობის ფუნქციები გარემოს დაცვის სამინისტროს გადაეცა, ხოლო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხები საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩაიბარა.

2018 წელს პრემიერმინისტრის შეცვლასთან ერთად, სამინისტროების რაოდენობა 14-იდან 11-ამდე შემცირდა.

საქართველოს მთავრობაში დღეისათვის შემდეგი სამინისტროებია:

სამინისტრო	მინისტრი	დანიშვნის თარიღი
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge	გიორგი ბულია	2018 წელი, 15 ივლისი
საგარეო საქმეთა სამინისტრო www.mfa.gov.ge	დავით ზალკალიანი	2018 წელი, 20 ივნისი
შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს ვიცე-პრემიერი www.police.ge	გიორგი გახარია	2017 წელი 15 დეკემბერი
ფინანსთა სამინისტრო ww.mof.ge	ივანე მაჭავარიანი	2018 წელი, 12 ივლისი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო www.mes.gov.ge	მიხეილ ბატიაშვილი	2018 წელი 15 ივლისი
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო www.moh.gov.ge	დავით სერგეენკო	2018 წელი, 15 ივლისი
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო www.moe.gov.ge	ლევან დავითაშვილი	2017 წელი, 15 დეკემბერი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საქართველოს ვიცე-პრემიერი www.mrdi.gov.ge	მაია ცქიტიშვილი	2018 წელი, 30 მარტი
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო www.mod.gov.ge	ლევან იზორია	2016 წელი, 1 აგვისტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო www.justice.gov.ge	თეა წულუკიანი	2012 წელი, 25 ოქტომბერი
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო		2018 წელი, 15 ივლისი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი www.smr.gov.ge	ქეთევან ციხელაშვილი	2016 წელი, 1 აგვისტო

3.2. საქართველოს პრემიერმინისტრი

მთავრობის მეთაურია პრემიერმინისტრი. ის პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

პრემიერმინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს.

პრემიერმინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით.

პრემიერმინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს, მათ შორის ძალოვან მინისტრებს, რაც მანამდე პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებამოსილება იყო.


პრემიერმინისტრი უფლებამოსილია, ერთ-ერთ მინისტრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე მინისტრს – ვიცე-პრემიერის მოვალეობა. პირველი ვიცე-პრემიერისა და ვიცე-პრემიერის მოვალეობათა შესრულების დაკისრების წესი და მათი უფლებამოსილებანი განისაზღვრება კანონით.

პრემიერმინისტრი მთავრობის საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე პარლამენტის მოთხოვნით – სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის ანგარიშს.

საქართველოს წინა პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 2018 წლის 13 ივნისს ზაზა სარალიძის მხარდასაჭერად მოწყობილი საპროტესტო აქციების შემდეგ გადადგა თანამდებობიდან. ამის შესახებ კვირიკაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

3.3. საქართველოს მთავრობის პრემიერმინისტრები 2012–2016 წლებში

გვარი, სახელი		დანიშვნა	თანამდებობის დატოვება	პარტია
ბიძინა ივანიშვილი		25 ოქტომბერი 2012 წელი	20 ნოემბერი 2013 წელი	„ქართული ოცნება“ – დემოკრატიული საქართველო
ირაკლი ლარიბაშვილი		20 ნოემბერი 2013 წელი	30 დეკემბერი 2015 წელი	„ქართული ოცნება“ – დემოკრატიული საქართველო
გიორგი კვირიკაშვილი		30 დეკემბერი 2015 წელი	13 ივნისი 2018 წელი	„ქართული ოცნება“ – დემოკრატიული საქართველო

მამუკა ბახტაძე		20 ივნისი 2018 წელი	დღემდე	„ქართული ოცნება“ – დემოკრატიული საქართველო
-------------------	---	------------------------	--------	---

4. მთავრობის ფორმირების კონსტიტუციური მექანიზმი

4.1. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება

ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას პარლამენტის წინაშე და განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერმინისტრის დანიშვნამდე.

პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან ან პრემიერმინისტრის გადადგომიდან ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან ორი კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

თუ პარლამენტმა მთავრობას დადგენილ ვადაში ნდობა არ გამოუცხადა, პარლამენტს კიდევ აქვს ორკვირიანი ვადა, თავიდან აიცილოს პრეზიდენტის მიერ დათხოვნა და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. ამ ვადაში პარლამენტმა პრემიერმინისტრობის ახალი კანდიდატი უნდა ეძებოს და სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას.

თუკი ესეც ვერ მოხერხდა, მთავრობის ფორმირების 4 უშედეგო კვირის შემდეგ, მე-5 კვირაში, პრეზიდენტმა უნდა დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები.

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერმინისტრს, ხოლო პრემიერმინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერმინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება.

4.2. პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება

პარლამენტი უფლებამოსილია, უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

უნდობლობის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტს. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად ინიციატორები წამოაყენებენ პრემიერმინისტრობის კანდიდატს, ხოლო პრემიერმინისტრობის კანდიდატი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის ახალ შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა.

თუ პარლამენტი საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება. ახალი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერმინისტრს, ხოლო პრემიერმინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერმინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერმინისტრის დანიშვნის მომენტიდან.

თუ პარლამენტი უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, დაუშვებელია პარლამენტის იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა.

4.3. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადება პრემიერმინისტრის ინიციატივით

პრემიერმინისტრი უფლებამოსილია, პარლამენტის წინაშე დასვას მთავრობის ნდობის საკითხი.

ნდობის საკითხს კენჭი ეყრება მისი დასმიდან არაუადრეს მე-7 და არაუგვიანეს მე-14 დღისა. თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი ნდობის არგამოცხადებიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-14 დღისა დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

მაგრამ პარლამენტს კიდევ აქვს შანსი, თავიდან აიცილოს დათხოვნა. საქართველოს პრეზიდენტი არ დაითხოვს პარლამენტს, თუ პარლამენტი მთავრობისთვის ნდობის არგამოცხადებიდან 7 დღის ვადაში სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა.

ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერმინისტრს, ხოლო პრემიერმინისტრი მისი დანიშნვიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერმინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერმინისტრის დანიშვნის მომენტიდან.

დანართი

თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა. სამთავრობო პროგრამა 2018–2020

მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა

საქართველოს სწრაფი განვითარებისთვის გაგრძელდება რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის განხორციელება, რომელიც სრუ-

ლად პასუხობს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ გამოწვევებს და განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას. ამ გეგმით მთავრობა ფოკუსირებას მოახდენს ზუსტად იმ მიმართულებებზე, რომლებიც მოიტანს თვისებრივ ცვლილებებს ქვეყნის განვითარებაში, უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

4-პუნქტიანი გეგმით მთავრობა განახორციელებს შემდეგ რეფორმებს:

► **განათლების რეფორმა**, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და მის მაქსიმალურ, ეფექტიან ჩართვას ქვეყნის განვითარებაში. პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგება დუალური ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით. ამ მიდგომით, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სასწავლებელი და დამსაქმებელი ერთობლივად განახორციელებენ სასწავლო პროგრამებს და გაინაწილებენ სტუდენტის მიერ მისაღწევ კომპეტენციებს. უმაღლესი განათლება დაეფუძნება ეკონომიკის საჭიროებებს და მოთხოვნებს. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები. ამასთან, გათვალისწინებული იქნება ქვეყნის სოციალურ-კულტურული თუ სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის აუცილებელი სხვა მიმართულებების სპეციფიკა და საჭიროებები. შედეგად, გაიზრდება სტუდენტებისა და მომავალი დასაქმებულების კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისათვის მზაობის ხარისხი.

► **ეკონომიკური რეფორმა**, რომელიც ორიენტირებული იქნება კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებასა და მის გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით მთავრობას აქვს გადაწყვეტილებების მთელი პაკეტი, რომელიც ქვეყანაში ბიზნესის კეთებას უფრო მიმზიდველს და მოგებიანს გახდის. შექმნილი მნიშვნელოვანი საგადასახადო სტიმულებით, კერძოდ მოგების გადასახადის რეფორმის შედეგად, კერძო სექტორს რჩება ასეულობით მილიონი ლარი, რაც წახალისებს ინვესტიციებს, დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას და შექმნის ათიათასობით სამუშაო ადგილს. ბოლო წლების გან-

მავლობაში მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში. საგადასახადო გარემო ბიზნესის მიმართ იქნება კიდევ უფრო მეგობრული და მაქსიმალურად წაახალისებს ინვესტიციებს. გაგრძელდება და გაფართოვდება მენარმეობის, დამწყები ბიზნესისა და ინოვაციების ხელშემწყობი პროგრამები, რაც უზრუნველყოფს დამატებით სამუშაო ადგილებს კერძო სექტორში.

► **სივრცითი მონყობა** – სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სივრცითი მონყობის რეფორმის ფარგლებში მომზადდება ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების რეგულირების გეგმები. სწორი სივრცითი მონყობით საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღებისა და წლის განმავლობაში მათი სტაბილური განაწილების საშუალებას. მთელი საქართველოს მასშტაბით დაპროექტდება და დაიგება რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელი, რომელიც ყველა რეგიონს მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან. გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისა და გადაადგილებისთვის. საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, განაპირა და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებას, რეგიონების დაკავშირებასა და ზოგადი ეკონომიკის დივერსიფიცირებას. სწორი დაგეგმარებით და გააზრებული სივრცითი მონყობით საქართველო ეფექტიანად აითვისებს ქვეყნის განვითარების პოტენციალს და მსოფლიო რუკაზე გაძლიერდება საქართველოს, როგორც ტრანზიტული ჰაბის, მნიშვნელობა.

► **საჯარო მმართველობის რეფორმა** უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისების პოლიტიკის შემუშავებასა და მომსახურების ხარისხის დახვეწას, ასევე, უწყებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის საჭიროა მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა. რეფორმის ფარგლებში შეიქმნება ერთიანი „ბიზნესსახლი“, სადაც ყველა შესაბამისი

სახელმწიფო უწყება ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. გაძლიერდება საზოგადოების ჩართულობა მმართველობის პროცესში და უზრუნველყოფილი იქნება პროცესების ეფექტიანი მონიტორინგის საშუალება. მოხდება ონლაინმომსახურების დახვეწა და გაუმჯობესება, ახალი დისტანციური სერვისების დამატება და სახელმწიფო სერვისების საფასურის ოპტიმიზაცია. გაძლიერდება საზოგადოების ჩართულობა მმართველობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უზრუნველყოფილი იქნება პროცესების ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის საშუალება.

ეს რეფორმები უზრუნველყოფს ეკონომიკის უფრო სწრაფ ზრდას და თვისებრივ გარდაქმნას ქვეყნის განვითარებაში. მმართველობის რეფორმა უზრუნველყოფს სწრაფი განვითარების მიზნის მისაღწევად საჭირო გადაწყვეტილებების სწრაფ და ეფექტიან აღსრულებას.

4-პუნქტიანი გეგმის განხორციელებით მივიღებთ თანამედროვე, განვითარებული და საერთაშორისო სტანდარტის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანას, ქვეყნის განვითარებაში ეფექტიანად ჩართული ადამიანური კაპიტალით, უსაფრთხო და სტაბილური ბიზნესგარემოთი და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობით. სწორედ ეს კომპონენტები განაპირობებს უფრო სწრაფ განვითარებასა და კეთილდღეობის ზრდას; ეს არის გზა, რომელიც თვისებრივ გარდატეხას შეიტანს ქვეყნის ეკონომიკაში, რაც ახალი, სწრაფი განვითარების ეტაპის დაწყების საწინდარი გახდება.

თემა XIII. საქართველოს პრეზიდენტი

1. პრეზიდენტის ინსტიტუტი პოლიტიკურ სისტემაში: თეორიული საკითხები

1.1. პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და განვითარება

დღეს ფართოდ გავრცელებული ტერმინი „პრეზიდენტი“ წარმოდგება ლათინური *praesidens*-იდან, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ნინ მჯდომს“. როგორც ჩანს, ანტიკურ ხანაში პრეზიდენტს უწოდებდნენ თავმჯდომარეს სხვადასხვა კრების დროს. ამ თავდაპირველი მნიშვნელობიდან შემდეგ ჩამოყალიბდა ისეთი თანამდებობა, როგორიცაა სენატის პრეზიდენტი.

დღევანდელი მნიშვნელობით, სახელმწიფო მეთაურის აღსანიშნავად, სიტყვა „პრეზიდენტი“ გამოყენება დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოდან, როდესაც შეიქმნა **პრეზიდენტის ინსტიტუტი** აშშ-ში. პირველად პრეზიდენტის პოსტის შემოღების საკითხი განიხილეს 1787 წელს ფილადელფიაში გამართულ კონსტიტუციურ კონვენტზე, აშშ-ის კონსტიტუციის შემუშავების დროს. მანამდე მხოლოდ არსებობდა უმაღლესი ხელისუფლების ორგანიზების მონარქიული ფორმა. მისთვის დამახასიათებელია: ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა, ხელისუფლების სათავეში ყოფნა სიცოცხლის განმავლობაში და, ფაქტობრივად, შეუზღუდავი უფლებამოსილება. მაგრამ ეს ფორმა მიუღებელი იყო ჩრდილოეთამერიკული შტატებისათვის, რომელთა მოსახლეობაც დიდი ბრიტანეთის მონარქის წინააღმდეგ აჯანყდა.

ხანგრძლივი დისკუსიის შედეგად, აშშ-ის კონსტიტუციას საფუძვლად დაედო მედისონის გეგმა, რომლის თანახმადაც აღმასრულებელი ხელისუფლება ეკისრებოდა ერთ თანამდებობის პირს – პრეზიდენტს. მას მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ექ-

ლეოდა და წამყვანი ადგილი ეკავა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში. პრეზიდენტი იყო სახელმწიფოს მეთაურიც და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც. უნდა ითქვას, რომ კონვენტის ბევრი დეპუტატი ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტის პოსტის შემოღებას. მათი აზრით, ფართო უფლებამოსილების მქონე აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნული მეთაური „დიქტატურის მატრიცას“ და „არჩევითი მონარქიის“ შექმნას ნიშნავდა.

პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა ის, რომ არსებობდა ყველასთვის მისაღები ერთადერთი კანდიდატურა ამ პოსტზე – გენერალი ჯორჯ ვაშინგტონი. მსოფლიოში პირველი პრეზიდენტის პოსტი იქმნებოდა კონკრეტული პიროვნებისთვის. შემდგომმა ისტორიამ აჩვენა, რომ ანალოგიური შემთხვევები მრავლად იყო სხვადასხვა დროს, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც.

მწვავე კამათი გაიშალა პრეზიდენტის არჩევის წესსა და უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებით. ძირითადად, სახელდებოდა ვადა 3-იდან 7 წლამდე, თუმცა იყო ვარიანტები 8-იდან 20 წლამდეც. კონვენტმა დაადგინა, პრეზიდენტი არჩეული ყოფილიყო 4 წლით, რაც საკმარისია იმისათვის, რომ პრეზიდენტმა შეძლოს თავისი შესაძლებლობების გამოჩენა და არც ისე დიდი იყო, რომ ზიანი მიეყენებინა საზოგადოებისათვის. პრეზიდენტს შეეძლო ხელახლა არჩევა „იმდენჯერ რამდენჯერაც ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი საჭიროდ ჩათვლიდა მისთვის ნდობის გამოცხადებას“. პრეზიდენტის არჩევა მიენდო **ამრჩევებს** თითოეული შტატიდან. ეს იყო კომპრომისული ვარიანტი პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევისა და საკანონმდებლო ორგანოს მიერ არჩევის შორის.

პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა გადამწყვეტი როლი შეასრულა აშშ-ში პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. მან უარი თქვა, მესამე ვადით ეყარა კენჭი პრეზიდენტის პოსტზე და ამით შექმნა მნიშვნელოვანი პრეცედენტი იმისათვის, რომ პრეზიდენტი აშშ-ში არ გადაქცეულიყო მმართველად სიცოცხლის ბოლომდე. ჯორჯ ვაშინგტონის დამსახურება უდიდე-

სია იმაში, რომ აშშ-ში დამკვიდრდა რესპუბლიკა მმართველობის დემოკრატიული პრინციპებით.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახით მსოფლიოს აჩვენა მმართველობის სტაბილური სისტემის ნიმუში, რომელიც მიმზიდველი აღმოჩნდა მრავალი ქვეყნისთვის – როგორც ახალშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის, ისე ევროპის „ძველი“ ქვეყნებისთვისაც.

აშშ-ის ნიმუშის მიხედვით, პრეზიდენტის ინსტიტუტი XIX საუკუნის პირველ ნახევარში გადაიღეს ლათინური ამერიკის ქვეყნებმა. მიუხედავად ბევრი მსგავსებისა აშშ-ის მმართველობის სისტემასთან, ლათინური ამერიკის საპრეზიდენტო რესპუბლიკები მნიშვნელოვანი სპეციფიკით გამოირჩეოდნენ. თავისი განვითარების ადრეულ სტადიაზეც მათ ახასიათებდათ სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაციის მაღალი დონე, ინსტიტუტის ჰიპერტროფიული განვითარება, არმიის დიდი როლი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხელისუფლების მიღწევის ძალადობრივი მეთოდების სიჭარბე. პრეზიდენტობის ლათინური ამერიკისთვის დამახასიათებელი მოდელის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იყო ძალაუფლების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია პრეზიდენტის ხელში, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების როლის აბსოლუტიზაცია. ლათინური ამერიკის ქვეყნებში არსებულ სისტემებს **სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკები** ეწოდა. საკანონმდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლება, ზოგ შემთხვევაში, დიქტატურის დამყარებით მთავრდებოდა. ლათინურ ამერიკაში პრეზიდენტების უმრავლესობა ხელისუფლებაში მოდიოდა რევოლუციების ან სახელმწიფო გადატრიალებების გზით.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში პრეზიდენტის ინსტიტუტის გადატანამ აჩვენა, თუ რა საფრთხეს შეიცავდა ეს ინსტიტუტი განსხვავებული პოლიტიკური ტრადიციებისა და დაბალი პოლიტიკური კულტურის პირობებში, როდესაც ვერ ხერხდებოდა პრეზიდენტის ხელისუფლების „დაბალანსება“. აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის (1918–1921) მოღვაწეებისათვის ლათინური ამერიკის გამოცდილება მიმ-

ზიდველად არ გამოიყურებოდა და მას იშვიათად მიმართავდნენ სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხების განხილვისას.

ევროპაში პირველი საპრეზიდენტო რესპუბლიკები 1848 წელს შეიქმნა შვეიცარიასა და საფრანგეთში. პრეზიდენტის ინსტიტუტის ერთდროული შემოღების მიუხედავად, ამ ქვეყნებში პრეზიდენტების უფლებამოსილება და სტატუსი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. შვეიცარიაში აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო 7 მინისტრისაგან შემდგარი ფედერალური საბჭო, რომელსაც ირჩევდნენ სამი წლით ფედერალური კრების ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე. საბჭო კოლეგიური ორგანო იყო, რომლის ერთ წევრს იმავე სხდომაზე ერთი წლით ირჩევდნენ შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტად. ერთი და იმავე პირს პრეზიდენტად არჩევა მრავალჯერ შეიძლებოდა, ოღონდ აუცილებელი იყო ერთწლიანი ინტერვალი ამ თანამდებობაზე არჩევნებს შორის. მისი კომპეტენცია არ აღემატებოდა საბჭოს წევრების კომპეტენციას, ხოლო პასუხისმგებლობა სახალხო წარმომადგენლების წინაშე იგივე იყო.

შვეიცარიაში არ იყო მინისტრებისგან ცალკე მდგომი აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელი პირი, რაც შესაძლებლობას იძლევა, ვილაპარაკოთ იქ **კოლექტიური პრეზიდენტის** არსებობის შესახებ. რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის ფუნქციების გაერთიანება შვეიცარიაში შესაძლებელი იყო იმის გამო, რომ ეს ქვეყანა არ იცნობდა პარლამენტარიზმს მისი ინგლისურ-ფრანგული ვარიანტით, არ იცნობდა უნდობლობის ვოტუმს პარლამენტის მხრიდან და პარლამენტის ვადამდელ დათხოვნას. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, არ იგრძნობოდა ქვეყანაში ისეთი ცენტრის არსებობის აუცილებლობა, რომელიც არ იქნებოდა დამოკიდებული შემთხვევით და არამდგრად საპარლამენტო უმრავლესობაზე.

1848 წლის კონსტიტუციამ საფრანგეთში პირველად დაამკვიდრა რესპუბლიკა პრეზიდენტით სათავეში, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ერთპიროვნული მეთაური იყო. საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტი, ფაქტობრივად, აშშ-ის პრეზიდენტის გამეორება იყო და დიდი უფლებამოსილებით აღ-

ჭურვილი, ოლონდ, აშშ-ის პრეზიდენტისგან განსხვავებით, გადანყვიტეს, მისი საყოველთაო სახალხო კენჭისყრით არჩევა. პრეზიდენტის ძლიერი ინსტიტუტი დიქტატურაში რომ არ გადაზრდილიყო, ეროვნული კრების წევრებმა მისი უფლებამოსილება გარკვეულწილად შეზღუდეს – პრეზიდენტს არ ჰქონდა ვეტოს უფლება; ომის გამოცხადება, ისევე როგორც ხელშეკრულებების დადება უნდა დაემტკიცებინა ეროვნულ კრებას. პრეზიდენტს არ შეეძლო შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, ხოლო მის მიერ გამოცემული აქტების უმრავლესობას კონტრასიგნაცია სჭირდებოდა. მაგრამ ყოველივე ამას არ შეეძლო იმ უდიდესი ხელისუფლების განონასწორება, რომელიც მინიჭებული ჰქონდა პრეზიდენტს.

1848 წლის **10** დეკემბრის პლებისციტით საფრანგეთის პრეზიდენტი ლუი-ნაპოლეონი გახდა. ჯორჯ ვაშინგტონისაგან განსხვავებით, საფრანგეთის პირველი პრეზიდენტი თავის დიდ ბიძას – ნაპოლეონ I-ს ჰბაძავდა და პირადი ხელისუფლების რეჟიმის დამყარებას ცდილობდა. კონსტიტუცია, ისევე როგორც აშშ-ში, პრეზიდენტის უფლებამოსილებას **4** წლით საზღვრავდა, ოლონდ ხელმეორე არჩევა მხოლოდ ოთხი წლის ინტერვალით შეიძლებოდა. ამ გარემოებამ ლუი-ნაპოლეონს სახელმწიფო გადატრიალებისკენ უბიძგა. **1851** წლის **1-2** დეკემბრის ღამეს მან დააპატიმრა „პარლამენტის ბელადები“ და დაშალა ეროვნული კრება. **1851** წლის **20** დეკემბერს ჩატარებულმა პლებისციტმა მოიწონა გადატრიალება და პრეზიდენტს ახალი კონსტიტუციის შემუშავების უფლება მისცა, მისი უფლებამოსილება კი **10** წლამდე გაიზარდა. რესპუბლიკა სწრაფად მიექანებოდა მონარქიისკენ, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული ძლიერი მონარქისტული ტრადიციები. **1852** წლის **2** დეკემბერს ლუი-ნაპოლეონი გამოაცხადეს იმპერატორად ნაპოლეონ III-ის სახელით. მისი მმართველობა კატასტროფით დამთავრდა **1870** წელს. საფრანგეთი დამარცხდა პრუსიასთან ომში.

მეორე იმპერიის დაცემის შემდეგ ბრძოლა მონარქისტებსა და რესპუბლიკელებს შორის დამთავრდა მესამე რესპუბლიკის დამყარებით – **1875** წელს მიღებული კონსტიტუციური კანონების შედეგად. სახელმწიფოს მეთაური იყო პრეზიდენტი, რომელსაც ეროვ-

ნული კრება ირჩევდა 7 წლის ვადით, მისი უფლებამოსილებაც საკმაოდ ფართო იყო. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის პოსტის დაკავება აეკრძალათ მმართველი დინასტიის წარმომადგენლებს.

ევროპის, აზიისა და აფრიკის დანარჩენი სახელმწიფოები XIX საუკუნის ბოლომდე მონარქიებად რჩებოდნენ.

1.2. საპრეზიდენტო მმართველობა

მმართველობის საპრეზიდენტო სისტემის დროს მკაფიოდაა გამიჯნული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოები. აღმასრულებელი ხელისუფლება დამოუკიდებლად არჩეული პრეზიდენტის ხელშია, რომელიც უშუალოდ არ არის ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე და ამ უკანასკნელს არც მისი გადაყენება შეუძლია იმპიჩმენტის გარეშე.

საპრეზიდენტო სისტემას შემდეგი ძირითადი ნიშნები ახასიათებს:

- აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ცალ-ცალკე ირჩევა და ორივე დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლებებითაა აღჭურვილი;
- ხელისუფლების ამ ორი შტოს შემადგენლობა ერთმანეთისგან გამიჯნულია (თუმცა არა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემებში);
- აღმასრულებელი ხელისუფალი კონსტიტუციურად ანგარიშვალდებული არ არის საკანონმდებლო ორგანოს წინაშე და, თუ არა იმპიჩმენტის, სხვა შემთხვევაში ამ ორგანოს მისი გადაყენების უფლება არა აქვს;
- პრეზიდენტს არ შეუძლია საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნა; ორივე შტოს არჩევის პირობები მკაცრადაა დადგენილი;
- აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის ხელშია თავმოყრილი, კაბინეტი და მინისტრები კი მის წინაშე ანგარიშვალდებული მრჩევლების როლში გამოდიან;
- პრეზიდენტის თანამდებობა აერთიანებს სახელმწიფოს მეთაურისა და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის ფუნქციებს – ასე ვთქვათ, იგი „ორ სკამზე ზის“.

1.3. კონსტიტუციური და აღმასრულებელი პრეზიდენტები

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ კონსტიტუციური და აღმასრულებელი პრეზიდენტები.

კონსტიტუციური პრეზიდენტები ჰყავს, მაგალითად, ინდონეზია, ისრაელსა და გერმანიას, ანუ საპარლამენტო სისტემის მქონე ქვეყნებს, სადაც პრეზიდენტის მოვალეობები, ძირითადად, წარმომადგენლობით-ცერემონიული ხასიათისაა. ასეთ დროს აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში პრემიერმინისტრი და/ან კაბინეტი დგას.

საპრეზიდენტო რეჟიმებში კი საქმე გვაქვს აღმასრულებელ პრეზიდენტებთან, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურისა და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის პოლიტიკურ ძალაუფლებას ითავსებენ. ამ ტიპის პრეზიდენტი ე.წ. საპრეზიდენტო მმართველობის აუცილებელი წინაპირობაა – საპარლამენტო მმართველობის საპირისპიროდ.

1.4. შეზღუდული და შეუზღუდავი საპრეზიდენტო მმართველობა

საპრეზიდენტო მმართველობა შეიძლება შეზღუდული და შეუზღუდავი სახით არსებობდეს.

შეზღუდული აღმასრულებელი უფლებამოსილებით აღჭურვილი პრეზიდენტი მოქმედებს ჩარჩოებში, რომელთაც ქმნის კონსტიტუცია, დემოკრატიული პოლიტიკის მოთხოვნები, პარტიული კონკურენცია და ძალაუფლების განაწილების ესა თუ ის მოდელი. რაც მთავარია, პრეზიდენტის ძალაუფლება განონანსორებულია ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

შეუზღუდავი საპრეზიდენტო მმართველობის დროს პრეზიდენტი ლამის უსაზღვრო ძალაუფლებითაა აღჭურვილი და რეჟიმიც, შესაბამისად, დიქტატორულია. ამგვარი ვითარება, ძირითადად, ერთპარტიულ სახელმწიფოში იჩენს თავს და შეიარაღებული ძალების სრულ მხარდაჭერას გულისხმობს. შეუზღუდავი აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში მყოფი ამგვარი პრეზიდენტები იყვნენ ლიბიასა და ინდონეზიაში.

1.5. საპრეზიდენტო რეჟიმის არსი

საპრეზიდენტო რეჟიმი შემოღებულ იქნა 1787 წლის აშშ-ის კონსტიტუციით. ამ კონსტიტუციით საპრეზიდენტო სისტემამ მიიღო სამი პრინციპული მნიშვნელობის მახასიათებელი:

– აღმასრულებელი ხელისუფლება განუყოფელია, მას ახორციელებს და განასახიერებს სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად მთავრობის მეთაურიცაა. პრეზიდენტის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მინისტრებს არ გააჩნიათ პოლიტიკური ავტონომია (გადაწყვეტილებებს მხოლოდ პრეზიდენტი იღებს);

– პრეზიდენტს უშუალოდ ხალხი ირჩევს, რაც მას დიდ პერსონალურ ლეგიტიმურობას ანიჭებს, პარლამენტის ლეგიტიმურობასთან შედარებით;

– პრეზიდენტი და პარლამენტი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არიან ხელისუფლების შტოების მკაცრი გაყოფის ფარგლებში. შედეგად პარლამენტარებს არ შეუძლიათ პრეზიდენტის მმართველობის შეწყვეტა უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებით, ხოლო პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის დაშლა.

ეს უზრუნველყოფს საპრეზიდენტო რეჟიმების სტაბილურობას, მაგრამ არა ხელისუფლებას და ავტორიტეტს (როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა არ იზიარებს პრეზიდენტის შეხედულებებს).

1.6. შერეული (ნახევრად საპრეზიდენტო) რეჟიმები

ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპაში. მისი კლასიკური მაგალითია V რესპუბლიკა საფრანგეთში. ამ რეჟიმს შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

– ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის არსებობა, რომელსაც ფართო უფლებამოსილება აქვს;

– სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტისა და კაბინეტის შენარჩუნება, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის დროს ცალკე არჩეული პრეზიდენტი საკანონმდებლო ორგანოდან არჩეულ და მის წინაშე ანგარიშვალდებულ მთავრობას თავმჯდომარეობს.

1.7. პოლიტიკური რეჟიმი და მმართველობის ფორმა

სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებულია გარკვეული ტენდენცია, როდესაც ამა თუ იმ ტიპის პოლიტიკური რეჟიმი ისწრაფვის მმართველობის გარკვეული ფორმისკენ.

ტოტალიტარული რეჟიმი უარყოფს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, პარლამენტარიზმსა და მონარქიზმს, საკუთარი თავის ლეგიტიმაციას ახდენს კოლექტივისტური უშუალო დემოკრატიის სახით (საბჭოების რესპუბლიკა)

ავტორიტარული რეჟიმები, უმრავლეს შემთხვევებში, წარმოდგენილი არიან მმართველობის საპრეზიდენტო ფორმით.

2. პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში: ჩამოყალიბება და ცვლილებები

2.1. პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროების საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

სჭირდება თუ არა საქართველოს პრეზიდენტი? და თუ სჭირდება, როგორი უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს მას? ამ თემაზე ცხარე კამათი მიმდინარეობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მაშინ პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება საჭიროდ არ ჩათვალეს. დამფუძნებელ კრებაში სოციალისტური პარტია დომინირებდა, ამ პარტიის უმრავლესობის აზრით კი, პრეზიდენტის ინსტიტუტი არადემოკრატიული იყო და „მონარქის სახეცვლილ ფორმას“ წარმოადგენდა. თუმცა იმდროინდელმა ლიდერმა ნოე ჟორდანიამ, ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, დამფუძნებელი კრება დაარწმუნა, რომ საჭირო იყო მთავრობის თავმჯდომარისათვის მიეცათ პრეზიდენტისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი უფლებამოსილება.

2.2. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროექტი 1921 წლის კონსტიტუციაში პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების თაობაზე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას აქტიურად უჭერდა მხარს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს, 1920 წლის ბოლოს, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შესწორება, რომელიც დამფუძნებელ კრებას წარუდგინეს, გულისხმობდა აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტრუქციის მთლიანად შეცვლას. ამ შესწორებათა თანახმად, კონსტიტუციის 74-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად: „აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას. რესპუბლიკის მთავრობას შეადგენენ: ა) პრეზიდენტი რესპუბლიკისა და ბ) პასუხისმგებელი მინისტრები“. კონსტიტუციის 75-ე მუხლი შემდეგნაირად უნდა შეცვლილიყო: „რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს ხალხი ხუთი წლის ვადით, ის უნდა იყოს საქართველოს მკვიდრი მოქალაქე და შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 40 წლისა“.

2.3. პრეზიდენტის ფიცის ტექსტი ეროვნულ-დემოკრატიების პროექტის თანახმად

პრეზიდენტის ფიცის ტექსტი, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესწორების თანახმად უნდა დაედო საქართველოს პრეზიდენტს:

„არჩევისთანავე პრეზიდენტი ფიცსა სდებს პარლამენტის წინაშე:

„ვფიცავ, ჩემი ძალ-ღონე შევწირო საქართველოს კეთილდღეობას, წარმატოვებელი ვნება ავაცილო, დავიცვა კონსტიტუცია და კანონები, სინიღისიერად ავასრულო ჩემი მოვალეობა და სამართლიანობა გამოვიჩინო თითოეულის მიმართ“.

2.4. გრიგოლ ლორთქიფანიძე საქართველოსთვის პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროების თაობაზე

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების საკითხზე მიმდინარე დავის თავისებური შეჯამება იყო სიტყვები გრიგოლ ლორთქიფანიძისა, რომელიც 1925 წელს, სუზდალის საპრობილეში მყოფი, ანალიზებდა რა წარსულს, შეცდომად მიიჩნევდა 1921 წლის კონსტიტუციით პრეზიდენტის თანამდებობის უარყოფას: „უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება მეტად მნიშვნობრული და დოგმატური იყო. ესაოდა თითქოს ყველა დემოკრატიებზე უფრო დემოკრატიობა დაგვემტკიცებია და თანაც მონარქიზმის საფრთხიდან თავი დაგვეზღო“. მისი სიტყვით, „თუ სადმე კი არის საჭირო საკმაო უფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი, ეს გახლავთ სწორედ საქართველო, რომელიც დღეს იმყოფება გამთლიანების პროცესში, სადაც გადაჭარბებული პარტიულ-პოლიტიკური და სხვა სახის პარტიკულიარიზმი უფრო ფეოდალურ-ტომობრივ ნაშთის ელფერს ატარებს, ვიდრე კანტონალური დემოკრატიის იერს, და სადაც სახელმწიფოს მთლიანობისა და სიმტკიცის ემბლემა და ფაქტი მეტის რეალობით უნდა იხატებოდეს. პრეზიდენტი დაახლოებით ამერიკა-გერმანიის პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვილი, სრულიად აუცილებელი და მიზანშეწონილია საქართველოსთვის“ (ლორთქიფანიძე გ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 275.)

2.5. პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში

1990-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან რამდენიმე დღის შემდეგ, შემოღებულ იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტი. ამ თანამდებობაზე 1991 წლის 14 აპრილს უზენაესმა საბჭოს აირჩია ზვიად გამსახურდია, პრეზიდენტის ხელში გადავიდა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება აერჩიათ დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, 35-იდან

65 წლამდე, რომელმაც საქართველოში მუდმივად იცხოვრა არანაკლებ უკანასკნელი 5 წლისა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ხუთი წლის ვადით ირჩევდნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ნამდვილად ჩაითვლებოდა, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი.

2.6. 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები

მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი საბჭოს მიერ ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად უკვე იყო არჩეული, 1991 წლის 26 მაისს საქართველოში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. მასში 6 კანდიდატი მონაწილეობდა. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ.

კანდიდატი	ხმების რაოდენობა	%
ზვიად გამსახურდია		87,03
ვალერიან ადვაძე		7,17
ჯიმი მიქელაძე		1,58
ნოდარ ნათაძე		1,14
ირაკლი შენგელაია		0,88
თამაზ კვაჭანტირაძე		0,25

2.7. ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმული პრეზიდენტის ფიცის ტექსტი

1991 წლის 26 მაისს პრეზიდენტად არჩეულმა ზვიად გამსახურდიამ 7 ივნისს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე წარმოთქვა ფიცი:

„ვფიცავ და საზეიმოდ ვაცხადებ ღვთისა და ერის წინაშე, რომ ერთგულად განვახორციელებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას; ვიღვანებ ჩემი ქვეყნის აღორძინებისა და გაძ-

ლიერებისათვის; დავიცავ მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას; განუხრელად განვახორციელებ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, დავიცავ ადამიანის უფლებებს. ღმერთი იყოს ჩემი შემწე ყოველივე ამასში!“

2.8. ზვიად გამსახურდიას შემდგომი ბედი

ზვიად გამსახურდიას, კიტოვანი-იოსელიანის ამბოხების შემდეგ, 1992 წლის 6 იანვარს მოუხდა საქართველოს დატოვება, ის ჯერ სომხეთში, შემდეგ კი ჩეჩნეთში გაემგზავრა. 1993 წლის 24 სექტემბერს გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა მარცხი განიცადა და 31 დეკემბერს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. 1994 წლის თებერვალში გამსახურდია გროზნოში გადაასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს. მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად გახდომის შემდეგ გამსახურდიასადმი დამოკიდებულება იცვლება. 2007 წლის 28 მარტს ზვიად გამსახურდია საქართველოში ჩამოასვენეს და 1 აპრილს დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში. 2013 წლის 26 სექტემბერს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

2.9. ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის თავმჯდომარე

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების შედეგად ზვიად გამსახურდიას საქართველოს დატოვება მოუხდა, ხოლო მისმა მოწინააღმდეგეებმა პრეზიდენტის ინსტიტუტი გაუქმებულად გამოაცხადეს. პრეზიდენტის ინსტიტუტი მიჩნეულ იქნა საქართველოსთვის შეუფერებლად და ქვეყნის „მოვლენათა არადემოკრატიული განვითარების“ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად. შექმნილი რეალობისთვის ანგარიში უნდა გაენია ედუარდ შევარდნაძესაც, რომელიც 1992 წლის მარტში ჩამოვიდა საქართველოში.

ამიტომ 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში შევარდნაძემ კენჭი იყარა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე. **საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე საყოველთაო სახალხო კენჭისყრის გზით აირჩიეს.**

1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავდა საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს სტრუქტურასა და უფლებამოსილებას. ქვეყნის ახალი კონსტიტუცია კი უნდა შემუშავებულიყო „1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მემკვიდრეობითობის საფუძველზე“.

„ხელისუფლების შესახებ“ კანონის მიხედვით, საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკა იყო, სადაც უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა საქართველოს პარლამენტი (მუხლი 3). პარლამენტი შედგებოდა „საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული, პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატებისა და პარლამენტის თავმჯდომარისაგან“ (მუხლი 5), რომლის პირველი მოადგილე იყო პარლამენტის სპიკერი. ძირითადი სიახლე იყო პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო მეთაურის პოსტის შემოღება, რომელსაც, ფაქტობრივად, პრეზიდენტის უფლებამოსილება ენიჭებოდა (მუხლები 17–19). მანამდე პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევნები საყოველთაო სახალხო კენჭისყრით მოეწყო და ამ პოსტზე ედუარდ შევარდნაძე იქნა არჩეული.

საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულ იქნა 1991 წელს. 1992–1995 წლებში საქართველოს უმაღლეს ხელისუფალს სახელმწიფოს მეთაური ერქვა და მის ფუნქციებს ასრულებდა პარლამენტის თავმჯდომარე. 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით კვლავ დაწესდა პრეზიდენტის ინსტიტუტი.

2.10. პრეზიდენტის ინსტიტუტის აღდგენა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით

ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში პრეზიდენტის ინსტიტუტი კვლავ დააბრუნა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულმა კონსტიტუციამ. პრეზიდენტი ფართო უფლებამოსილებით აღიჭურვა. როგორც ამბობდნენ, 1995 წლის კონსტიტუცია „შევარდნაძის თარგზე“ იყო გამოჭრილი.

1993 წლის 16 თებერვალს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება დაევა. ახალ კონსტიტუციაზე მუშაობა გაჭიანურდა, ამასობაში კი საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციის პროექტის თავიანთი ვარიანტები წარუდგინა სხვადასხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და საინიციატივო ჯგუფებმა.

წარმოდგენილი პროექტებიდან 10-ში გათვალისწინებული იყო სახელმწიფოს ინდივიდუალური მეთაური. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პროექტში მას ეწოდებოდა „ერისმთავარი“, სახალხო პარტიის პროექტში – „საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი“, დანარჩენ პროექტებში – „პრეზიდენტი“, „რესპუბლიკის პრეზიდენტი“ ან „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი“. ორი პროექტი (საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ზ. ოკუჯავასი) ითვალისწინებდა კოლექტიურ სახელმწიფოს მეთაურს – უმაღლეს საბჭოს.

მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით, 5 პროექტში გათვალისწინებული იყო შერეული ფორმა, რომელიც პირობითად „ფრანგულ სისტემას“ უახლოვდებოდა. ამ პროექტებში პრეზიდენტს მინიჭებული ჰქონდა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი უფლებამოსილებანი. ორ პროექტში (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, „ხმა ერისა“) ჩამოყალიბებული სისტემა საპრეზიდენტოს უახლოვდებოდა, რადგანაც ერთი პიროვნება ერთდროულად სახელმწიფოს მეთაურიც უნდა ყოფილიყო და მთავრობის მეთაურიც. ორ პროექტში (საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ზ. ოკუჯავასი) იგულისხმებოდა საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა. ერთ პროექტში (ბანკი „აისი“) ლაპარაკი იყო საბჭოთა რესპუბლიკაზე, რომელსაც ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ემატებოდა. ორი პროექტი (რესპუბლიკური პარტიის და ალ. შუშანაშვილის) ითვალისწინებდა საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნას.

რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ხალხის მიერ ორ ტურად გათვალისწინებული იყო 6 პროექტში; საყოველთაო არჩევნები პირველ ტურში და პარლამენტის მიერ მეორეში – შემოთავაზებული იყო ერთ პროექტში; კიდევ ერთი პროექტი აფიქსირებ-

და პრეზიდენტის არაპირდაპირ არჩევას ხალხის მიერ; 3 პროექტში პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევდა.

საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი პროექტების ეს მოკლე მიმოხილვა იმის ილუსტრაციაა, თუ რა განწყობილება და მოსაზრებები არსებობდა XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზებასა და პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით.

უცხოელი ექსპერტების დახმარებით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა კონსტიტუციის ორი პროექტი: ა) საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეგიდით შემუშავებული, რომელიც ითვალისწინებდა იტალიის ან გერმანიის მსგავს კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნას და ბ) საკონსტიტუციო კომისიის სამდივნოში შექმნილი პროექტი, რომელიც ახლოს იდგა ე.წ. ფრანგული ტიპის შერეული მართვა-გამგეობის შექმნის იდეასთან. ეს ორი მიმართულება დომინირებდა სარედაქციო კომისიაში. 1994 წლის ბოლოსთვის მოხერხდა ერთიანი, შეთანხმებული პროექტის შექმნა, რომელმაც „ჩიკაგოს ვარიანტის“ სახელწოდება მიიღო. პროექტზე შემდგომი მუშაობის შედეგად გაფართოვდა პრეზიდენტის უფლებამოსილება და სახელმწიფოს ხელისუფლების მოწყობის „ფრანგული ვარიანტი“ შეიცვალა „ამერიკულით“. შედეგად, 1995 წლის 29 მაისს საკონსტიტუციო კომისიას წარედგინა პროექტი, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა სახელმწიფოს მეთაურის პროექტი. მასში გაზრდილი იყო პრეზიდენტის ხელისუფლება პარლამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ხარჯზე.

სახელმწიფო მეთაურის პროექტის მიხედვით, საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა იყო. ედუარდ შევარდნაძის სიტყვით, „ემბრიონულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის, მკვეთრად გამომხატული, სოციალურად დეტერმინებული პარტიული სისტემის არარსებობისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების, საპარლამენტო დემოკრატიისა და პოლიტიკური კულტურის არასაკმარისი დონის პირობებში, ქვეყნის ურთულესი საერთაშორისო მდგომარეობის ვითარებაში, როდესაც მას საბოლოოდ არა აქვს ნაპოვნი ადგილი გეოპოლიტიკურ სივრცეში – აი, ამ პირობებში საპარლამენტო

მენტო რესპუბლიკა მიუღებელი არის ჩვენი ქვეყნისათვის... მისი კანონიზება გამოიწვევდა გაუთავებელ საპარლამენტო და სამთავრობო კრიზისებს, რაც დამღუპველი აღმოჩნდებოდა სულ რაღაც ორიოდე წლის წინ ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი საქართველოსთვის“.

ე. შევარდნაძის კონსტიტუციის პროექტის ოპონენტებისათვის კრიტიკის მთავარი ობიექტი გახდა პრეზიდენტის დიდი უფლებამოსილება. მაგალითად, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარის, ნ. ნათაძის, დახასიათებით, შევარდნაძის კონსტიტუცია იყო „პროვინციული კომუნიზმის ნიმუში“ და მიზნად ისახავდა „შევარდნაძის უკანონოდ გადამეტებული ხელისუფლების ლეგიტიმაციას“. ნათაძის თქმით, შევარდნაძეს სურდა „საპრეზიდენტო დიქტატურის“ დამყარება და იმედოვნებდა, რომ ეს არ მოხდებოდა. მაგრამ საკონსტიტუციო კომისიამ სწორედ სახელმწიფოს მეთაურის სახელით შემოტანილი პროექტი მიიჩნია საფუძვლად და მხარი დაუჭირა პარლამენტში მის განხილვას.

პარლამენტში კონსტიტუციის განხილვის დროს უაღრესად მწვავედ იდგა პრეზიდენტის უფლებამოსილებისა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი. ამასთან, ოპოზიციის ნაწილი მზად იყო, წასულიყო გარკვეულ კომპრომისზე პრეზიდენტობის საკითხში, მაგრამ გამორიცხავდა რაიმე დათმობებს სამხარეო-ფედერაციულ მოწყობასთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძე მხარს უჭერდა ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტის არსებობას. თავისი პარტიის – მოქალაქეთა კავშირის – II ყრილობაზე მან დახატა ის იდეალი, რისი მიღწევაც სურდა: „განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტი, რომელსაც ექნება საშუალება, საჭიროების შემთხვევაში არ მიიღოს პარლამენტის გადანყვეტილება – ასეთია ხელისუფლების მოდელი, რომელიც გამოიყვანს ქვეყანას კრიზისიდან“.

ოპოზიცია მიუღებლად მიიჩნევდა „სუპერსაპრეზიდენტო ინსტიტუტს“, როდესაც „თითქმის ყველა ის უფლება, რაც 1921 წლის კონსტიტუციით პარლამენტს ჰქონდა, პროექტით პრეზიდენტს ეკუთვნის“, ამასთან, პრეზიდენტის გადაყენების მექანიზმი მხო-

ლოდ სიმბოლური იყო. ერთ-ერთი ოპოზიციური ძალის – „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ აზრით, „კომუნისტური ტოტალიტარული 70-წლიანი რეჟიმის შემდგომ პერიოდში საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღება აუცილებლად იწვევს ერთი პირის ხელში მთელი ძალაუფლების უზურპაციას, დემოკრატიული ინსტიტუტების დათრგუნვას“.

საბოლოოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით მოხერხდა კომპრომისის მიღწევა, რაც იმანაც გააადვილა, რომ ბევრი პარტია თვითონ იყო სხვადასხვა სახის საპრეზიდენტო მოდელის მომხრე. კამათი პრემიერმინისტრის სტატუსისა და მინისტრთა კაბინეტის ფორმირების თაობაზე კი იმით დამთავრდა, რომ პრეზიდენტს დაეკისრა პრემიერმინისტრის ფუნქციის შესრულება. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების მონყობის ორიგინალური მოდელი, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად სიმარტივე და სიააფე იქნა მიჩნეული.

2.11. 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ამომრჩეველთა სიებში შეიტანეს 3118271 ადამიანი, რაც 353595 ამომრჩეველით ნაკლები იყო 1992 წლის პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობაზე. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 2804 ამომრჩეველით ნაკლები იყო იმავე დღეს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე. ამ სხვაობის თაობაზე არც საარჩევნო კომისიას გაუკეთებია ოფიციალური განმარტება და არც ვინმეს გამოუთქვამს პრეტენზია.

საარჩევნო კანონის თანახმად, არჩეულად ითვლებოდა კანდიდატი, რომელიც მიიღებდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტის მხარდაჭერას. საარჩევნო ბიულეტენში შეტანილ იქნა 6 კანდიდატი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 155 322 ამომრჩეველმა (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 69,11%). არჩევნებში მონაწილეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარაში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი კი თბილისში.

კანდიდატებს შორის ხმები შემდეგნაირად განაწილდა:

კანდიდატი	ხმების რაოდენობა	%
ედუარდ შევარდნაძე	1 601 245	51,35%
ჯუმბერ პატიაშვილი	416 788	13,36%
აკაკი ბაქრაძე	31 592	1,01%
პანტელეიმონ გიორგაძე	10 853	0,34%
ქართლოს ღარიბაშვილი	10 113	0,32%
როინ ლიპარტელიანი	7 982	0,25%

საარჩევნო კანონის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ედუარდ შევარდნაძე

2.12. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

არჩევნებში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მოქმედი პრეზიდენტი შევარდნაძე და წინასაპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასული კანდიდატი ჯუმბერ პატიაშვილი. გაიმარჯვა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის კანდიდატმა ედუარდ შევარდნაძემ.

არჩევნებში 2343176 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 75,86%-ს შეადგენდა.

კანდიდატი	ხმების რაოდენობა	%
ედუარდ შევარდნაძე	1 870 311	79,82
ჯუმბერ პატიაშვილი	390 486	16,66
ქართლოს ღარიბაშვილი	7 963	0,34
ავთანდილ ჯოგლიძე	5 942	0,25
ვაჟა ჟღენტი	3 363	0,15
თენგიზ ასანიძე	2 793	0,12

2.13. პრეზიდენტის ინსტიტუტი „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ

„ვარდების“ რევოლუციის შემდეგ პრეზიდენტის ინსტიტუტის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით პრეზიდენტის უფლებამოსილება რამდენადმე გაფართოვდა. მაგალითად, პრეზიდენტმა მიიღო პარლამენტის დათხოვნის უფლება, რასაც 1995 წლის კონსტიტუცია მანამდე არ ითვალისწინებდა.

ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობა ქვეყნის სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველყოფის ინტერესებით საბუთდებოდა. თუმცა ოპოზიციური პარტიების ნაწილი მხარს უჭერდა ქვეყნის საპარლამენტო რესპუბლიკად გადაქცევას, სადაც პრეზიდენტის ინსტიტუტი საერთოდ აღარ იარსებებდა, ანდა პრეზიდენტს შეზღუდული უფლებამოსილება ექნებოდა და მას პარლამენტი აირჩევდა.

2.14. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას მოჰყვა მასობრივი საპროტესტო აქციები. შედეგად გადადგა პრეზიდენტი შევარდნაძე 23 ნოემბერს. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გახდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელმაც კონსტიტუციით დადგენილ ვადაში, 45 დღეში, დანიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები.

არჩევნებში მონაწილეობდა 6 კანდიდატი. მიუხედავად ამისა, არჩევნები არ ყოფილა კონკურენტული, რადგანაც მასში მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ფავორიტი, მიხეილ სააკაშვილი, იღებდა მონაწილეობას. პარტიებს, რომლებიც არ უჭერდნენ მხარს ვარდების რევოლუციას ან დისტანცირებულნი იყვნენ მისგან („ახალი მემარჯვენეები“, საქართველოს ლეიბორისტული პარტია და დემოკრატიული აღორძინების კავშირი), არ წარუდგენიათ საპრეზიდენტო კანდიდატები.

2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები:

კანდიდატი	ხმა	%
მიხეილ სააკაშვილი	1 890 739	96,24
თეიმურაზ შაშიაშვილი	36 716	1,87
როინ ლიპარტელიანი	5 158	0,25
ზაზა სიხარულიძე	4 782	0,24
ქართლოს ღარიბაშვილი	4 222	0,21
ზურაბ ქელესაშვილი	1 908	0,1
სულ:	1 963 556	100.0

2.15. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციების ძალისმიერი მეთოდებით დაშლის შემდეგ შექმნილი დაძაბული სიტუაციის განმუხტვის მიზნით პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას სჭირდებოდა ახალი მანდატი მოქმედებებისათვის და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვა. სააკაშვილი გადადგა თანამდებობიდან 25 ნოემბერს და ოფიციალურად დაინყო წინასაარჩევნო კამპანია. საქართველოს პარლამენტმა არჩევნები დანიშნა 5 იანვარს.

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარდა პლებისციტი საქართველოს ნატოში გაწევრიანებასა და საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების თაობაზე. საპრეზიდენტო არჩევნები დამთავრდა მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებით, ხოლო პლებისციტზე მოსახლეობამ მხარი დაუჭირა საქართველოს გაწევრებას ნატოში და საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებას.

არჩევნების შედეგები:

კანდიდატი	ხმების რაოდენობა	%
მიხეილ სააკაშვილი	1 06 042	53,47
ლევან გაჩეჩილაძე	509 234	25,69
ბადრი პატარკაციშვილი	140 826	7,10
შალვა ნათელაშვილი	128 589	6,49
დავით გამყრელიძე	79 747	4,02
გია მაისაშვილი	15 249	0,77
ირინა სარიშვილი	3 242	0,16

არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე როგორც მიხეილ სააკაშვილმა, ასევე ლევან გაჩეჩილაძემ საკუთარი თავი გამარჯვებულად გამოაცხადეს. ცესკოს მიერ წინასწარი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ლევან გაჩეჩილაძე არჩევნების გაყალბებაზე საუბრობდა. მისი შტაბის წევრის, თინა ხიდაშელის, განცხადებით, სააკაშვილის სასარგებლოდ გაყალბდა დაახლოებით 110 000 ხმა (მთლიანი ხმების 6%). 6 იანვარს დავით გამყრელიძემ აღიარა საკუთარი დამარცხება და მოუწოდა ცესკოს, გამართულიყო მეორე ტური გაჩეჩილაძესა და სააკაშვილს შორის. მოთხოვნას შეუერთდნენ კანდიდატები – გია მაისაშვილი და ბადრი პატარკაციშვილი. შალვა ნათელაშვილმა კი მოითხოვა არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა და ხელახალი არჩევნების დანიშვნა.

ცესკოს მიერ შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შემდეგ დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ეყოლება ხალხის მიერ არაღიარებული პრეზიდენტი, ხოლო დავით ბერძენიშვილმა სააკაშვილს უწოდა ისეთივე არაღიარებული ლიდერი, როგორებიც იყვნენ სეპარატისტი პრეზიდენტები. არჩევნების შედეგები გახდა მიზეზი ოპოზიციის მიერ 6, 13 და 20 იანვარს ჩატარებული ფართომასშტაბიანი დემონსტრაციებისა თბილისში.

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა საარჩევნო პროცესი სამართლიანად და დემოკრატიულად მიიჩნიეს. მათი განც-

ხადებით, არჩევნები გამოხატავდა ხალხის თავისუფალ არჩევანს. ასეთივე შეფასებები გამოთქვეს გერმანიის, ესტონეთისა და ლიტვის პარლამენტების წევრებმა.

უფრო კრიტიკული იყო ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ანგარიში, რომელიც 2008 წლის მარტში გამოქვეყნდა. ანგარიშის მიხედვით, არჩევნები შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე ეს იყო პირველი ნამდვილად კონკურენტული არჩევნები საქართველოში, თუმცა საარჩევნო კამპანია გადაფარა დაშინებისა და ზენოლის შემთხვევებმა საჯარო მოხელეებისა და ოპოზიციის აქტივისტების მიმართ. ასევე ბუნდოვანი იყო განსხვავება მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიასა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ღონისძიებებს შორის.

საკაშვილმა ბოლომდე მიიყვანა თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადა, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის ნოემბერში მისი პარტია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა საპარლამენტო არჩევნებში და უმრავლესობა მოიპოვა ბიძინა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“. ამის შემდეგ საქართველოში, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, იყო ე. წ. კოაბიტაციის პერიოდი, როდესაც პრეზიდენტი ერთი პარტიის წარმომადგენელი იყო, პარლამენტში კი დომინირებდა სხვა პოლიტიკური ძალა – „ქართული ოცნება“.

2.16. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

რიგით მეექვსე საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში გაიმართა 2013 წლის 27 ოქტომბერს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ძალაში შევიდა კონსტიტუციური შესწორება, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2012 წლის 15 ოქტომბერს. ამ შესწორების თანახმად, იკვეცებოდა პრეზიდენტის უფლებები პრემიერმინისტრისა და მთავრობის სასარგებლოდ. არჩევნებში მონაწილეობის უფლება 3537249 ამომრჩეველს ჰქონდა. არჩევნებში კენჭს 23 კანდიდატი იყრიდა. არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელსაც უარი ეთქვა საქართ-

ველოს მოქალაქეობის არქონის გამო. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა მოქმედ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 46,96%-მა, რაც წინა საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია.

კანდიდატი	ხმების რაოდენობა	%
გიორგი მარგველაშვილი	1 012 214	62,12%
დავით ბაქრაძე	354 206	21,73%
ნინო ბურჯანაძე	165 933	10,18%
შალვა ნათელაშვილი	46 958	2,88%
გიორგი თარგამაძე	17 343	1,06%

არჩევნები დადებითად შეაფასეს როგორც მონაწილე სუბიექტებმა, ასევე სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა. არჩევნები მშვიდ და თავისუფალ გარემოში მიმდინარეობდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ და მოქმედმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამარჯვება მიულოცეს გიორგი მარგველაშვილს.

3. პრეზიდენტის ინსტიტუტი კონსტიტუციის 2010 წლის რედაქციის მიხედვით

3.1. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირება

2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად პრეზიდენტის უფლებამოსილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი პარლამენტისა და პრემიერმინისტრის ხელში გადავიდა. თუმცა ეს ნორმები 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედებულიყო.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ კიდევ 2004 წლის 18-19 მარტს ბრატისლავაში (სლოვაკეთი) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით – „გაფართოებული ევროპისაკენ: ახალი დღის წესრიგი“ განაცხადა, რომ ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება საქართველოს „დღევანდელი პირობების გათვალისწინებით“ სჭირდებოდა, სამომავლოდ კი საქართველოც შეიძლება ევროპულ მოდელზე გადასულიყო, როდესაც „პრეზიდენტები რეალურ ძალაუფლებას არ ფლობენ და ლიდერები პრემიერმინისტრები არიან. გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ საქართველო ალბათ ევროპულ მოდელს აირჩევს და თუ სიტუაცია დალაგდება, ჩვენს ქვეყანაშიც საპარლამენტო ხელისუფლება და ევროპაში დამკვიდრებული სისტემა ჩამოყალიბდება“.

2010 წლის 15 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმა სწორედ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად წარმოდგა – კონსტიტუციის ახალი რედაქცია, ფაქტობრივად, საპარლამენტო მოდელზე, ან უფრო ზუსტად, შერეული მმართველობის იმგვარ მოდელზე გადასვლას ითვალისწინებდა, რომელიც უფრო საპარლამენტო რესპუბლიკისაკენ იხრება. ამ აზრით ის ეხმიანებოდა 1921 წლის კონსტიტუციას, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებულ მმართველობის მოდელს ამკვიდრებდა.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმა, პირველ რიგში, პრეზიდენტის კონსტიტუციურ სტატუსს შეეხო. დარჩა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტი. კონსტიტუციის ახალი რედაქციის თანახმად, ჩამოყალიბდა ე.წ. „მთვლემარე პრეზიდენტი“, რომლის უფლებამოსილებაც ფართო იყო კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებში. პრეზიდენტის უფლებამოსილების დიდი ნაწილი კი გადავიდა პარლამენტისა და პრემიერმინისტრის ხელში. მთავრობა ჩამოყალიბდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ, რომელიც ახორციელებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა გათავისუფლდა პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან და იგი მხოლოდ პარლამენტის წინაშე გახდა ანგარიშვალდებული.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმით, მკაფიოდ გამოიკვეთა პრემიერმინისტრის, როგორც მთავრობის თავმჯდომარის,

კონსტიტუციური სტატუსი. ის გათავისუფლდა პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. პრემიერმინისტრი ხდება საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის, ან საპარლამენტო კოალიციის მიერ წამოყენებული კანდიდატურა. მთავრობის წევრების დანიშვნის დროს პრემიერმინისტრი დამოუკიდებელი ფიგურაა და მას აღარ სჭირდება პრეზიდენტის თანხმობა. დამკვიდრდა მთავრობის ფორმირების ე.წ. „საპარლამენტო გზა“, როდესაც მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება ცალსახად პარლამენტის ნებაზეა დამოკიდებული.

3.2. 2013 წლის შემდგომი გამოცდილება და დაპირისპირება პრეზიდენტის ინსტიტუტში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით

2013 წელს ამოქმედებულმა კონსტიტუციურმა მოდელმა გარკვეული ხარვეზები გამოავლინა. პირველ რიგში, მეტოქეობა პრეზიდენტსა და პრემიერმინისტრს შორის, გაურკვეველობა იმის თაობაზე, თუ ვინ არის ქვეყნის პირველი პირი. როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ, მეტოქეობას შეიძლება უფრო მწვავე ხასიათი მიეღო, თუ პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები იქნებოდნენ.

2014–2015 წლებში მუშაობდა საკონსტიტუციო კომისია პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის ხელმძღვანელობით. მისი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა პრეზიდენტის პარლამენტის მიერ არჩევის საკითხიც იყო. კომისიამ რაიმე კონკრეტული პროექტი ვერ წარუდგინა პარლამენტს. პარლამენტში არ არსებობდა საკონსტიტუციო უმრავლესობა და არც თანხმობა საკონსტიტუციო კომისიაში განსახილველ საკითხებზე.

პარტიები, თავიანთი იდეოლოგიური და სხვა მოსაზრებებიდან გამომდინარე, ცდილობენ, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, მაგრამ გასათვალისწინებელია საზოგადოების პოზიციაც. საზოგადოებაში კი განსხვავებული შეხედულებებია, თუმცა უფრო მეტი ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობისკენ იხრება.

2010 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 34% არ იყო ჩამოყალიბებული, სახელმწიფოს მონყობის რომელ მოდელს დაუჭერდა მხარს, 7% არცერთ მოდელს არ ირჩევდა, 4% კი უარს ამბობდა პასუხზე. გამოკითხულთა 7% საპრეზიდენტო რესპუბლიკას უჭერდა მხარს, 25% – ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკას, 16% – საპარლამენტო რესპუბლიკას სუსტი პრეზიდენტით, 6% კი საპარლამენტო რესპუბლიკას – პრეზიდენტის გარეშე.¹

საკონსტიტუციო რეფორმაზე მომუშავე ახალი კომისია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 2016 წლის 15 დეკემბერს შეიქმნა 73 წევრის შემადგენლობით. მათ შორის იყვნენ ექსპერტები და შვიდი პოლიტიკური პარტიის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიამ პროექტი, დავალების შესაბამისად, 2017 წლის 30 აპრილს წარმოადგინა.

პროექტის თანახმად, პრეზიდენტს საყოველთაო არჩევნების გზით აღარ აირჩევენ. თუმცა, „ქართული ოცნება“ – დემოკრატიული საქართველოს მიერ თავდაპირველად შეთავაზებული ინიციატივის ნაცვლად, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს მხოლოდ პარლამენტი აირჩევდა, ამჯერად კომისია შეთანხმდა, რომ პრეზიდენტს პარლამენტი და „რეგიონული წარმომადგენლობა“ ერთად აირჩევა.

ახალი წესი 2023 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს შეეხება და ის არ გავრცელდება 2018 წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ქართული ოცნების ინიციატივას არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მწვავე კრიტიკა მოჰყვა.

¹ საზოგადოების ხედავ საქართველოს კონსტიტუციის რეფორმაზე, ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი, თბ., 2010, გვ. 43.

16 მარტს ამ ინიციატივის კომენტარებისას პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა გააკრიტიკა ეს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ „ქართველ ხალხს არ უნდა წაერთვას პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის უფლება“ და მათ უნდა აირჩიონ პრეზიდენტი პირდაპირი წესით 2018 წელს და შემდგომ წლებშიც.

„არ შეიძლება, ხალხს წავართვათ პრეზიდენტის პირდაპირ არჩევის უფლება“, – განაცხადა მარგველაშვილმა პარლამენტში გამოსვლის დროს. მას მხედველობაში ჰქონდა საკონსტიტუციო რეფორმაზე მომუშავე კომისიის გეგმები პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევის შესახებ. „პრეზიდენტის არჩევის წესი დღევანდელი ან ხვალინდელი პრეზიდენტის, დღევანდელი ან ყოფილი პრემიერის სურვილებზე კი არ უნდა იყოს მორგებული, არამედ ხალხის საჭიროებებსა და რეალურად დაბალანსებულ კონსტიტუციაზე“ – დასძინა მან.

ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა გააკრიტიკა ეს ინიციატივა და განაცხადა, რომ „მათ ვერ წარმოადგინეს ვერც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი, თუ რატომ უნდა წავართვათ მაღალი წარმომადგენლობითი ნდობის ვოტუმი საქართველოს პრეზიდენტს“.

„მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველოს“ წევრმა გიგი წერეთელმა განაცხადა, რომ „ინსტიტუტებს შორის ბრძოლის პირობებში დასაბალანსებლად გვჭირდება აქტიური, ქმედითი პრეზიდენტი, რომელსაც აირჩევს მოსახლეობა პირდაპირი წესით“.

„დემოკრატიის განვითარებისა და ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული“, – ნათქვამია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივ განცხადებაში, რომელიც 16 მარტს გამოქვეყნდა. „პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნების გაუქმება არ არის საპარლამენტო მოდელიდან გამომდინარე აუცილებლობა, რადგან საპარლამენტო მმართვე-

ლობის მქონე ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც, მიუხედავად შეზღუდული უფლებამოსილებებისა, პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩევა“, – ნათქვამი იყო განცხადებაში.

საპრეზიდენტო არჩევნების წესის შეცვლის იდეა „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა დეპუტატმა საკონსტიტუციო რეფორმის პროცესის დასაწყისშივე გაახმოვანა. მმართველი პარტიის დეპუტატებმა, კერძოდ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ არსებული ინსტიტუციური სისტემა კლასიკური საპარლამენტო მმართველობის ფორმას სცდება და ის სტანდარტულ ფორმას უნდა მოერგოს; ხოლო პრეზიდენტი, რომელიც კომისიას მმართველი პარტიის ხელში პრეზიდენტის უფლებამოსილებების შემცირების იარაღად მიიჩნევს, პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის მომხრეა და ამის მოტივად ხალხის უფლებას ასახელებს, რომ მათ თავად აირჩიონ პრეზიდენტი.

4. პრეზიდენტის ინსტიტუტი კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის მიხედვით

4.1. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი

კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის 49-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

4.2. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი

საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ფარული კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევ-

ნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც.

საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 ხმოსანი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების (საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოების) ყველა წევრი. სხვა ხმოსნებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, განსაზღვრული კვოტების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება პარლამენტის შენობაში. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 30 ხმოსანს. ერთ ხმოსანს უფლება აქვს, მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას. ერთ ხმოსანს შეუძლია, ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ ხმოსანთა სრული შემადგენლობის უმრავლესობისა. თუ პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩა, მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. არჩევნების პირველი ან მეორე ტური შემდგარად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ხმოსანთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ არჩევნები არ შედგა ან ამომრჩეველთა კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი ვერ აირჩია, 30 დღის ვადაში იმართება საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები.

საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტი აირჩევა უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. თუ არჩევის თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა ამ მდგომარეობის გაუქმებიდან 45 დღის ვადაში. თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევის თარიღი ემთხვევა საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე ბოლო 2 თვეს, საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვიდან 45 დღის განმავლობაში.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს პარლამენტი, გარდა ხელახალი არჩევნებისა, რომელსაც ნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე. პრეზიდენტის არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

4.3. პრეზიდენტის ფიცი, უფლებამოსილება, იმუნიტეტი

თანამდებობის დაკავების წინ, არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს, საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი მიმართავს ხალხს და დებს ფიცს: „მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება და ახალარჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალაა. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელ-

ფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის. საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე.

4.4. პრეზიდენტის უფლებამოსილებები

საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი:

ა) მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას; მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს;

ბ) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

გ) კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესით ნიშნავს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს;

დ) მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს სამხედრო ძალების მეთაურს; ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს; ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მონაწილეობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე განწესებაში; პარლამენტს წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრთა კანდიდატურებს;

ე) ორგანული კანონით დადგენილი წესით წყვეტს მოქალაქეობის, ხოლო კანონით დადგენილი წესით თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ვ) შეინყალებს მსჯავრდებულთ;

ზ) კანონით დადგენილი წესით ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

თ) უფლებამოსილია, მთავრობის წარდგინებითა და პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას;

ი) ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, პარლამენტის, მთავრობის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, მიმართოს ხალხს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

4.5. თანახელმონერა (კონტრასიგნაცია)

1. საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი საჭიროებს პრემიერმინისტრის კონტრასიგნაციას. სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს კონტრასიგნაციას, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ კონტრასიგნაციის შემდეგ. კონტრასიგნაციით გამოცემულ სამართლებრივ აქტზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

2. კონტრასიგნაციას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც უკავშირდება:

ა) პარლამენტის არჩევნების დანიშვნას, პარლამენტის დათხოვნას, პარლამენტის სხდომის ან სესიის მოწვევას;

ბ) კონსტიტუციური შეთანხმების დადებას;

გ) კანონის ხელმოწერას და გამოქვეყნებას, პარლამენტში კანონპროექტის შენიშვნებით დაბრუნებას;

დ) პრემიერმინისტრის დანიშვნას; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნას; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრის თანამდებობაზე განწესებას; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის წარდგენასა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანიშვნას; საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნას;

ე) სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებას;

ვ) მოქალაქეობის მინიჭებასა და შეწყვეტას, თავშესაფრის მიცემას;

ზ) მსჯავრდებულთა შეწყალება;

თ) საკონსტიტუციო სასამართლოსა და სასამართლოსათვის მიმართვას;

ი) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების განხორციელების ორგანიზებას.

**საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში პრეზიდენტის
ინსტიტუტის ტრანსფორმაციის ზოგადი სურათი**

1918-1921	საპარლამენტო რესპუბლიკა	მთავრობის მეთაურს უთავსდება პრეზიდენტის ზოგიერთი უფლებამოსილება
1991.IV. – 1992.I	საპრეზიდენტო რესპუბლიკა	პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება
1992.I- 1992.X	სამხედრო საბჭო, სახელმწიფო საბჭო	„პრეზიდენტი საქართველოში ალარ იქნება“
1992.X- 1995.VIII	საპარლამენტო რესპუბლიკა	ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის უფლებამოსილებით
1995.VIII- 2004.II	საპრეზიდენტო რესპუბლიკა	გაუქმდა პრემიერმინისტრის პოსტი. პრეზიდენტი – აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.
2004.II - 2013.X	ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა	აღდგა პრემიერმინისტრის პოსტი. გაფართოვდა პრეზიდენტის უფლებები.
2013.X – 2017.IX	„უფრო“ საპარლამენტო რესპუბლიკა	პრეზიდენტის უფლებამოსილების დიდი ნაწილი გადადის პარლამენტისა და პრემიერმინისტრის ხელში. „მთვლემარე“ პრეზიდენტი ამოქმედდება კრიზისულ სიტუაციაში.

2017.IX – დღემდე	საპარლამენტო რესპუბლიკა	პრეზიდენტის უფლებამოსილება კიდევ უფრო შემცირებულია, თუმცა შენარჩუნებულია პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევა
2023 წლიდან	საპარლამენტო რესპუბლიკა	პრეზიდენტს აირჩევს ამრჩევთა კოლეგია





**პრეზიდენტის უფლებამოსილების ცვლა საქართველოს
1995 წლის კონსტიტუციაში**

(კონსტიტუციის თავდაპირველი ტექსტი და სამი რედაქცია)

პრეზიდენტის უფლებამოსილებანი	1995	2004	2010	2017
სახელმწიფოს მეთაური	+	+	+	+
უმაღლესი მთავარსარდალი	+	+	+	+
პარლამენტის დაშლის უფლება	-	+	+	+
აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი	+	+	-	-
წარმართავს და ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო სფეროში	+	+	-	-
პრემიერმინისტრის დანიშვნა	*	+	-	-
უფლებამოსილება საგანგებო სიტუაციებში	+	+	+	-

* 1995 წლის კონსტიტუცია პრემიერმინისტრის თანამდებობას არ ითვალისწინებდა.

4.6. საქართველოს პრეზიდენტები

	სახელი	სურათი	მოღვაწეობის წლები	წარმდგენი სუბიექტი	თანამდებობა
1	ზვიად გამსახურდია		14 აპრილი, 1991, 26 მაისი 1991 – 6 იანვარი 1992 წელი	მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო	საქართველოს პრეზიდენტი
2	ედუარდ შევარდნაძე		26 ნოემბერი 1995 – 30 აპრილი 2000 30 აპრილი 2000 – 23 ნოემბერი 2003	საქართველოს მოქალაქეთა კავშირი	საქართველოს პრეზიდენტი
	ნინო ბურჯანაძე		23 ნოემბერი 2003 – 25 იანვარი 2004	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
3	მიხეილ სააკაშვილი		25 იანვარი 2004 – 25 ნოემბერი 2007	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	საქართველოს პრეზიდენტი

	ნინო ბურჯანაძე		25 ნოემბერი 2007 – 20 იანვარი 2008	ერთიანი ნაციონა- ლური მოძრაობა	საქართველოს პრეზი- დენტის მოვალე- ობის შემსრუ- ლებელი
3	მიხეილ სააკაშვილი		20 იანვარი 2007 – 17 ნოემბერი 2013	ერთიანი ნაციონა- ლური მოძრაობა	საქართველოს პრეზი- დენტი
4	გიორგი მარგვე- ლაშვილი		17 ნოემბერი 2013 – 16 დეკემბერი 2018	ქართული ოცნება – დემოკრა- ტიული საქართველო	საქართველოს პრეზი- დენტი
5	სალომე ზურაბიშვილი		16 დეკემბერი 2018 – დღემდე	უპარტიო	საქართველოს პრეზი- დენტი

გამომცემლობის რედაქტორი	თამარ გაბელაია
გარეკანის დიზაინი	მარიამ ებრალიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ნინო ვაჩიშვილი
გამოცემის მენეჯერი	მარიაკა ერქომაიშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, 6284, 6278
www.press.tsu.edu.ge